



საქართველოს მასშტაბით  
 საზოგადოებრივი აზრის **კვლევა**  
**გარემოსა და კლიმატის**  
**საკითხებზე ცოდნის, აღქმის,**  
**დამოკიდებულების, ქცევის**  
**და სასურველი პოლიტიკის**  
**შესახებ**



**WFD**



# საქართველოს მასშტაბით სამოგადოებრივი აზრის **კვლევა გარემოსა და კლიმატის საკითხებზე ცოდნის, აღქმის, დამოკიდებულების, ქცევის და სასურველი პოლიტიკის შესახებ**

კვლევა განახორციელა სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტმა (ISSA) ვესტმინსტერის დემოკრატიის ფონდის (WFD) დაკვეთით. დოკუმენტი მომზადებულია გაერთიანებული სამეფოს მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით, მიმდინარე პროგრამის "გარემოს დაცვის, კლიმატის ცვლილებისადმი მედეგობის და დემოკრატიული მდგრადობის ხელშეწყობა საქართველოში" ფარგლებში.

აღნიშნულ კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლებელია არ ასახავდეს გაერთიანებული სამეფოს მთავრობის და ვესტმინსტერის დემოკრატიის ფონდის მოსაზრებებს.

ნოემბერი, 2023


# სარჩევი

<b>1. მეთოდოლოგია.....</b>	<b>3</b>
<b>2. რაოდენობრივი კვლევის ძირითადი მიზნებაბი.....</b>	<b>9</b>
<b>3. თვისებრივი კვლევის ძირითადი მიზნებაბი .....</b>	<b>19</b>
<b>4. რაოდენობრივი კვლევის დეტალური ანგარიში .....</b>	<b>29</b>
რესპონდენტების სოციალურ-დემოგრაფიული პროფილი.....	30
აღქმები და დამოკიდებულებები .....	33
ცოდნა .....	82
ქცევა .....	120
პოლიტიკა.....	140
<b>5. თვისებრივი კვლევის დეტალური ანგარიში .....</b>	<b>175</b>
კლიმატის ცვლილება საქართველოს კონტექსტში.....	176
კლიმატის ცვლილების გავლენა და მოწყვლადი ჯგუფები .....	178
სხვადასხვა რესურსის გამოყენება ყოველდღიურ საქმიანობაში.....	183
ენერჯის განახლებადი და ალტერნატიული წყაროები.....	184
საქართველოს მიდგომა და სტრატეგია კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით.....	184
კლიმატის ცვლილების შესახებ ინფორმაციის მიღების წყაროები, შინაარსი და სანდოობა.....	185
რესურსების გამოყენების პრაქტიკები.....	188
კლიმატის ცვლილების გავლენა სოფლის მეურნეობაზე .....	189



# 1.

## მეთოდოლოგია





კვლევის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს მასშტაბით საზოგადოებრივი აზრის კვლევა გარემოსა და კლიმატის საკითხებზე ცოდნის, აღქმის, დამოკიდებულების, ქცევის და სასურველი პოლიტიკის შესახებ. უფრო კონკრეტულად კვლევის ფარგლებში შესწავლილი იქნა შემდეგი საკითხები:

- ▶ კლიმატის ცვლილების შესახებ აღქმები და დამოკიდებულებები (ინდივიდების როლი კლიმატის ცვლილების დაჩქარებაში, კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლის გზები და ა.შ.)
- ▶ კლიმატის ცვლილების შესახებ ცოდნა (კლიმატის ცვლილების გამომწვევი მიზეზები, სფეროები, რომლებიც ახდენენ გავლენას კლიმატის ცვლილებაზე, მნიშვნელოვანი გზები კლიმატის ცვლილების შესაზღუდად, კლიმატის ცვლილების შესახებ ინფორმაციის მიღების წყაროები და ა.შ.)
- ▶ კლიმატის ცვლილების შემცირებისკენ მიმართული ქცევები (პრაქტიკები, რომლებიც არბილებს კლიმატის ცვლილებას, ქცევის ძირითადი მოტივები და ა.შ.)
- ▶ კლიმატის ცვლილების შერბილების მიმართ არსებული პოლიტიკა (კლიმატის ცვლილების შესახებ კანონის და შესაბამისი რეგულაციების შემოღების საჭიროება, კლიმატის ცვლილებასთან გამკლავების სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკა და ა.შ.)

კვლევის მიზნის მისაღწევად გამოყენებულ იქნა თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები.

## **თვისებრივი კვლევა**

თვისებრივი კვლევის ფარგლებში ჩატარდა 9 ფოკუს ჯგუფი მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფთან. დეტალური ინფორმაცია იხილეთ ცხრილში #1.

### **ცხრილი #1**

#	სამიზნე ჯგუფები	ფოკუს ჯგუფების რაოდენობა
1	თბილის მოსახლეობა	1
2	დასავლეთ საქართველოს ქალაქის მაცხოვრებლები	1
3	აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქის მაცხოვრებლები	1
4	დასავლეთ საქართველოს სოფლის მაცხოვრებლები	1
5	აღმოსავლეთ საქართველოს სოფლის მაცხოვრებლები	1
6	ეთნიკური აზერბაიჯანელები	1
7	ეთნიკური სომხები	1
8	შშმ თემის წევრები	1
9	ქვიარ თემის წევრები	1

ფოკუს ჯგუფებისთვის შემუშავდა ღია შეკითხვებისგან შედგენილი სადისკუსიო გეგმა. სადისკუსიო გეგმა შეიცავდა როგორც საერთო, ისე სპეციფიკურ შეკითხვებს სამიზნე ჯგუფების მიხედვით. სადისკუსიო გეგმის საბოლოო ვერსია შეთანხმდა კვლევის დამკვეთ ორგანიზაციასთან - WFD-სთან.

ცხრავე ფოკუს ჯგუფი ჩატარდა დისტანციურად, ელექტრონული პლატფორმის ZOOM-ის გამოყენებით. აღნიშნული ფორმატით ფოკუს ჯგუფების ჩატარებას ის უპირატესობა ჰქონდა, რომ სხვადასხვა ტერიტორიაზე (ქალაქებსა და სოფლებში) მცხოვრები მოსახლეობა ერთ სივრცეში მოხვედნენ, რითიც უზრუნველყოფილი იქნა საკვლევი საკითხების შესახებ მრავალფეროვანი ინფორმაციის შეგროვება. ყველა ფოკუს ჯგუფის ჩაწერა მოხდა მხოლოდ მონაწილეთაგან სიტყვიერი თანხმობის მოპოვების შემდგომ. ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა კონფიდენციალურობა დაცულია. კერძოდ, წარმოდგენილ ანალიტიკურ ანგარიშში არ არის მოცემული რესპონდენტების მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია (სახელი, გვარი, კონკრეტული მისამართები და ა.შ.).

ფოკუს ჯგუფები ჩატარდა 2023 წლის 14-19 სექტემბრის შუალედში. ფოკუს ჯგუფები გაგრძელდა დაახლოებით 2 საათი და თითოეულში მონაწილეობა მიიღო 7-9 რესპონდენტმა. რესპონდენტების ჯამური რაოდენობა არის 73.

მონაცემთა ანალიზი: ფოკუს ჯგუფების შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზი რამდენიმე საფეხურად განხორციელდა: პირველ ეტაპზე გაიშიფრა ჩანაწერები და მომზადდა ტრანსკრიპტები. შემდეგი ეტაპი მოიცავდა მონაცემების კოდირება/კატეგორიზაციას. ხოლო ანალიზის საბოლოო ეტაპზე მოხდა სტრუქტურირებული შინაარსის ლოკალური და ინკლუზიური ინტეგრაცია, რის საფუძველზეც მომზადდა ანალიტიკური ანგარიში.

## რაოდენობრივი კვლევა

რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში, პირისპირს (Face-to-face) მეთოდის გამოყენებით, გამოიკითხა საქართველოს 11-ივე რეგიონის სრულწლოვანი მოსახლეობა (18+ ასაკის). კვლევის ინსტრუმენტს წარმოადგენდა ფორმალიზებული კითხვარი. კითხვარის შემუშავებისას გათვალისწინებულ იქნა WFD-ს მიერ 2022 წლის კვლევაში გამოყენებულ ინსტრუმენტი. შერჩევის დიზაინად განისაზღვრა ალბათური შერჩევის მეთოდი - სტრატეგიკაციულ-კლასტერული შერჩევა, ხოლო ზომად - 1 513 რესპონდენტთან დასრულებული ინტერვიუ. სტრატეგს მოცემულ კვლევაში წარმოადგენდა საქართველოს ყველა რეგიონი (თბილისის ჩათვლით). რაც შეეხება კლასტერებს, ისინი რეგიონების შიგნით არსებული მუნიციპალიტეტებია, ხოლო მუნიციპალიტეტების ფარგლებში - სააღწერო უბნები. როგორც მუნიციპალიტეტების, ისე სააღწერო უბნების შერჩევა მოხდა შემთხვევითი გზით. კლასტერიზაციის პროცესში გამოიყო პირველადი, მეორადი და საბოლოო შერჩევის წერტილები

- ▶ პირველადი შერჩევის წერტილი (PSU): სააღწერო უბნები, რომლებიც არსებობს მუნიციპალიტეტების საქალაქო და სასოფლო ტიპის დასახლებებში
- ▶ მეორადი შერჩევის წერტილი (SSU): შინამეურნეობები/ოჯახები
- ▶ საბოლოო შერჩევის წერტილი (FSU): 18 წლის ან მეტი ასაკის პირები. შინამეურნეობებში რესპონდენტთა შერჩევა განხორციელდება შემთხვევითი გზით.

კვლევის შედეგები სტატისტიკურად რეპრეზენტატულია შემდეგი ჭრილების დონეზე: თბილისი/აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველო, სქესი, ასაკი, ეთნიკური უმცირესობა და დასახლების ტიპი. შერჩევის მთელი მოცულობა უზრუნველყოფს სტატისტიკურად სანდო შედეგებს შერჩევის 2.8%-იანი ცდომილების ფარგლებში. დეტალური ინფორმაცია იხილეთ ცხრილში #2.

## ცხრილი #2

ჭრილები	ინტერვიუების რაოდენობა	ცდომილება (95%-იანი სანდოობის დონე)
თბილისი	401	4.9%
აღმოსავლეთი	405	4.9%
დასავლეთი	455	4.6%
დასახლების ტიპი		
თბილისი	401	4.9%
ქალაქი	431	4.7%
სოფელი	429	4.7%
ასაკი		
18-29	295	5.5%
30-54	546	4.0%
55+	420	4.8%
სქესი		
კაცი	528	4.3%
ქალი	733	3.6%
მიღწეული განათლების ბოლო დონე		
საშუალო განათლება (დაუსრულებელი/ დასრულებული)	486	4.4%
დაუსრულებელი უმაღლესი / პროფესიული განათლება	273	5.5%
დასრულებული უმაღლესი განათლება / აკადემიური ხარისხი	500	4.4%
ეთნიკური უმცირესობები	383	5.0%
ჯამი	1513	2.8%



**საველე სამუშაოები:** საველე სამუშაოების დაწყებამდე ჩატარდა სუპერვაიზორებისა და ინტერვიუერების ტრენინგი, სადაც მათ მიეცათ დეტალური ინსტრუქტაჟი კვლევის ინსტრუმენტის სპეციფიკასთან დაკავშირებით. კვლევა განხორციელდა 10 სუპერვაიზორისა და 44 ინტერვიუერის მეშვეობით. საველე სამუშაოები დაიწყო 2023 წლის 13 ოქტომბერს და დასრულდა 25 ოქტომბერს.


**საველე სამუშაოების კონტოლი:** საველე სამუშაოების პარალელურად განხორციელდა საველე სამუშაოების კონტროლი. საველე კონტროლი ჩატარდა შერჩევითი ერთობლიობიდან კითხვარების 10%-ს (150 ინტერვიუ).

**მონაცემთა ანალიზი:** მონაცემთა ანალიზის მოსამზადებელ ეტაპზე მოხდა მონაცემთა განმედა და შენონვა. შენონვა განხორციელდა გენერალური ერთობლიობის სქესის, ასაკისა და განათლების მიღწეული დონის განწილების მიხედვით. კვლევის მონაცემები გაანალიზდა SPSS-ის პროგრამაში. მონაცემთა ანალიზი განხორციელდა უნივარიაციული, ბივარიაციული და მულტივარიაციული მეთოდების გამოყენებით: ერთგანზომილებიანი სიხშირული განაწილება, ცენტრალური ტენდენციის საზომები, კროსტაბულაცია, კორელაცია, რეგრესია და ა.შ. წარმოდგენილ ანალიტიკურ ანგარიშში მონაცემები შედარებულია 2022 წელს ჩატარებული კვლევის შედეგებთან.



# 2.

## რატოდენობრივი კვლევის ძირითადი მიზნებები





## აღქმები და დამოკიდებულებები

- ▶ კვლევის ორივე რაუნდში (2022 და 2023 წწ.) გამოკითხულთა შორის ისეთთა წილი, რომლებმაც მიუთითეს, რომ კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ზიანი მნიშვნელოვანია (ძალზე მნიშვნელოვანი ან უფრო მეტად მნიშვნელოვანი) როგორც პირადად მათთვის, ასევე ქალაქისთვის/სოფლისთვის, რეგიონისთვის, ქვეყნისთვის და მსოფლიოსთვის შეფასების ობიექტის (ინდივიდი, ქალაქი/სოფელი, რეგიონი, ქვეყანა, მსოფლიო) დიაპაზონის გაფართოების სიმეტრიულად იმატებს. მსგავსი ტენდენცია ვლინდება რესპონდენტთა სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლების ჭრილშიც.
- ▶ ეთნიკური უმცირესობების სეგმენტში 71%-84%-ს შორის ვარირებს ისეთთა წილი, რომლებიც კლიმატის ცვლილების საკითხის მნიშვნელოვნების შესაფასებლად (ხუთივე განზომილებაში) სკალის დადებით ნიშნულებს („ძალზე მნიშვნელოვანი“, „უფრო მეტად მნიშვნელოვანი“) იყენებენ.
- ▶ როგორც 2022 (70%), ასევე, 2023 (63%) წელს ჩატარებული გამოკითხვის მონაწილეთა 60%-ზე მეტი კლიმატის ცვლილების დაჩქარებული ტემპებს სრულად ან გარკვეულწილად ადამიანების ქმედებებს მიაწერს. ასეთი განწყობის მქონე რესპონდენტთა წილი თბილისში ყოველ მეორე რესპონდენტს უტოლდება, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში კი 60%-ს აღემატება. რესპონდენტთა განათლების დონის მიხედვით საკითხის გაანალიზება კი ცხადყოფს, რომ უმაღლესი განათლების მქონე რესპონდენტთა გამოკვეთილი უმრავლესობა (70%) აცნობიერებს მოქალაქეების (მოსახლეობის) უარყოფით როლს კლიმატისთვის ზიანის მიყენების კუთხით; არაუმაღლესი განათლების მქონე პირებში ასეთთა წილი 58%-ია, ხოლო ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა შორის - 48%.
- ▶ კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ნეგატიური პროცესები, რომლებიც ბოლო წლების განმავლობაში მოსახლეობისთვის ხილული გახდა, 2023 წლის კვლევის შედეგების გათვალისწინებით, ბუნებრივი კატასტროფებია (წყალდიდობა, მეწყერი, ღვარცოფი და ა.შ.) - 93%. ამასთან, 91%-მა მიუთითა ადამიანების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების ფაქტებზე. ეს უკანაკნელი რესპონდენტთა ყველაზე დიდმა ნაწილმა გამოკვეთა 2022 წელს (96%), რასაც შემცირებული მოსავლის პრობლემა მოსდევდა (93%).
- ▶ კლიმატის ცვლილების თანმხლები პროცესები უფრო მეტად აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მოსახლეობისთვის არის შესამჩნევი, ვიდრე თბილისის მაცხოვრებლებისთვის, რასაც, გარკვეულწილად, მოსახლეობის ცხოვრების სტილიც განაპირობებს. კერძოდ, რეგიონების მოსახლეობა უფრო მეტად არის დაკავებული აგრარული საქმიანობით (მინათმოქმედება, მესაქონლეობა და ა.შ.) და ისეთი ცვლილებები, როგორებიცაა გახშირებული გვალვები (დასავლეთ საქართველო - 89%; აღმოსავლეთ საქართველო - 90%; თბილისი - 80%) და ცხოველებისა და მცენარეების დაავადებების ზრდა (დასავლეთ საქართველო - 89%; აღმოსავლეთ საქართველო - 92%; თბილისი - 68%) პირდაპირ გავლენას ახდენს

მათ ეკონომიკურ საქმიანობაზე. ანალოგიურად, სოფლის მოსახლეობა უფრო მეტად აღიქვამს კლიმატის ცვლილების შედეგებს, ვიდრე ქალაქის. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა 91% კი აცხადებს, რომ ბოლო წლებში კლიმატის ცვლილების შედეგად ადამიანების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება შეინიშნება.

- ▶ რესპონდენტები საკუთარ ნეგატიურ წვლილს კლიმატის ცვლილების პროცესში, კვლევის ორივე რაუნდში, ყველაზე ხშირად ისეთი ქცევებით/ქმედებებით ხსნიან, როგორებიცაა: ენერჯის ჭარბი მოხმარება (2023- 29%; 2022 - 37%), ნარჩენების წარმოქმნა (2023 - 27%; 2022 - 29%) და საკუთარი მანქანით გადაადგილება (2023 - 25%; 2022 - 29%).
- ▶ 2023 წელს, ისევე როგორც კვლევის წინა რაუნდში, ქალაქის მოსახლეობის მიერ ნარჩენების წარმოქმნა და ენერჯის ჭარბი მოხმარება კლიმატისთვის ზიანის მიყენების კუთხით, ქალაქის მოსახლეობის მიერ იდენტიფიცირდა როგორც ყველაზე აქტუალური პრობლემები. ამასთან, სასოფლო ტიპის დასახლებებში 2022-23 წლებში თანაბრად პრობლემურია ენერჯის ჭარბი მოხმარების საკითხი (2023 წელი: 33%; 2022 წელი - 32%).
- ▶ 2023 წლის კვლევის შედეგების გათვალისწინებით, წინა წელთან შედარებით, 18-24 წლის რესპონდენტებს შორის შემცირებულია ისეთთა წილი, რომლებიც ჭარბ ენერჯიას მოიხმარდნენ (2023 წელი: 33%; 2022 წელი: 46%) ან საკუთარი მანქანით გადაადგილდებოდნენ (2023 წელი: 18%; 2022 წელი: 32%). ეთნიკურ უმცირესობების ჯგუფში კლიმატის ცვლილების პროცესში საკუთარი უარყოფითი როლის გამომწვევი მიზეზების დასახელებისას ყველა ხშირ ფაქტორად ხეების მოჭრა/ტყეების გაჩეხვა (29%) და ენერჯის ჭარბი მოხმარება (28.3%) ფიქსირდება.
- ▶ კლიმატის ცვლილებასთან საბრძოლველად ყველაზე რთულად შესასრულებელი ქმედებების გამოკვეთის თვალსაზრისით, კვლევის ორივე რაუნდში მსგავსი ტენდენციები დაფიქსირდა. კერძოდ, როგორც 2023, ისე 2022 წელს პირველი რიგის პრობლემად/სირთულედ ელექტროენერჯის/სათბობი საწვავის დაზოგვით ენერჯის მოხმარების შემცირება გამოიკვეთა (2023 - 39%; 2022 - 41%). რესპონდენტთა დასახლების ტიპის ჭრილში საკითხის ანალიზი აჩვენებს, რომ წინა წელთან შედარებით, სოფლის მაცხოვრებლებს უფრო რთულად წარმოუდგენიათ საკუთარი ავტომობილის ნაცვლად საზოგადოებრივი ტრანსპორტის გამოყენება (რაც კიდევ უფრო გაზრდილია კვლევის წინა ფაზის მონაცემებთან შედარებით), ვიდრე ქალაქის მოსახლეობას (2023 წელი: ქალაქი - 30%; სოფელი - 35%; 2022 წელი: ქალაქი - 18%; სოფელი - 20%); ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის ყველაზე რთულად შესასრულებელი ენერჯის მოხმარების შემცირება (ბუნებრივი აირის, ელექტროენერჯის და სათბობი საწვავის დაზოგვით) (43%) აღმოჩნდა.
- ▶ 2023 წელს, რესპონდენტები როგორც პირადად მათთვის (40%), ისე ქალაქისთვის/სოფლისთვის (46%) კლიმატის ცვლილებაზე უფრო მეტად პრობლემურ საკითხად ყველაზე ხშირად უმუშევრობას ასახელებენ; ქვეყნის გადმოსახედიდან კი ასეთ პრიორიტეტად უსაფრთხოება/ომის საფრთხე იკვეთება (46%). ანალოგიური ტენდენციები ვლინდება რესპონდენტების დასახლების ტიპის და ასაკის ჭრილის

დონებზე. რაც შეეხება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს - პირადად მათთვის, ასევე ქალაქისთვის/სოფლისთვის კლიმატის ცვლილებაზე უფრო მეტად მნიშვნელოვან პრობლემად უმუშევრობა გამოიყო, ქვეყნის გადმოსახედიდან კი, ეთნიკურმა უმცირესობებმა უსაფრთხოების პრობლემაზე გაამახვილეს ყურადღება.

- ▶ რესპონდენტთა უმრავლესობას კლიმატის ცვლილების გამომწვევ და შემაფერხებელ ფაქტორებთან მიმართებით უმეტესწილად სწორი წარმოდგენები და აღქმები გააჩნია. მაგალითად, კლიმატის ცვლილებას არარეალურ პროცესად/მითად მოსახლეობის მხოლოდ 13% მიიჩნევს და, ასევე, მხოლოდ 12% თვლის, რომ კლიმატის ცვლილებით გამომწვეული ნეგატიური შედეგები მხოლოდ დიდ ინდუსტრიულ ქვეყნებს ეხება და არ ვრცელდება ისეთ გეოგრაფიულ წერტილებში, როგორც საქართველო და მისნაირი ქვეყნებია.
- ▶ როგორც უმაღლესი, ასევე, არაუმაღლესი განათლების მქონე რესპონდენტების დიდი ნაწილი კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით შემუშავებული წყვილადი დებულებებიდან უმეტესად მართებულ თეზისებს ემხრობა. მაგალითად, ორივე სამიზნე ჯგუფში 80%-ზე მაღალია ისეთთა წილი, რომლებიც ფიქრობენ, რომ კლიმატის ცვლილება რეალური/ობიექტური პროცესია, რაც საფრთხეს უქმნის დედამიწაზე ცხოვრებას და კლიმატის ცვლილებას გვერდს ვერ აუვლის ვერც ერთი ქვეყანა, მათ შორის, საქართველოც.
- ▶ კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით შემუშავებული წყვილადი დებულებებიდან მცდარი პოზიციის დაფიქსირების მაჩვენებელი არც თუ ისე დაბალია ეთნიკური უმცირესობების ჯგუფის წევრთა შორის. მაგალითად, აღნიშნული სამიზნე ჯგუფის უმრავლესობა (57%) ფიქრობს, რომ კლიმატის ცვლილება შეუქცევადი პროცესია, რომლის შეჩერება ადამიანის/კაცობრიობის ძალისხმევით შეუძლებელია, სულ მცირე მესამედ ნაწილს კი (36%), კლიმატის ცვლილება რეალურ საფრთხედ არ მიაჩნია;
- ▶ გამოკითხულთა შორის 77% მიიჩნევს, რომ ადამიანები ძალზე უდიერად ეპყრობიან გარემოს და ბუნებას, 74% კი დასძენს, რომ მთავრობამ გარკვეული შეზღუდვები უნდა უზრუნველყოს იმ ბიზნეს საქმიანობისთვის, რომელიც ეკოლოგიაზე არ ზრუნავს და ეკოლოგიურ საფრთხეებს არ ითვალისწინებს. ამასთან, მაშინ, როდესაც გამოკითხულთა 38% არ ეთანხმება მოსაზრებას იმის შესახებ, რომ „სამუშაო ადგილების შექმნა გაცილებით მნიშვნელოვანია მაშინაც, თუ ისინი გარემოზე უარყოფით ზემოქმედებას ახდენენ“, აღნიშნულთან დაკავშირებით საპირისპირო პოზიციას გამოკითხულთა 31% ავლენს. კვლევის მონაცემების სტატისტიკური ანალიზი აჩვენებს, რომ როგორც უმაღლესი, ისე არაუმაღლესი განათლების მქონე პირებს შორის სწორი პოზიციების მქონეთა წილი აჭარბებს ისეთთა რაოდენობას, რომლებიც კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლის ეფექტიანი მექანიზმების თვალსაზრისით მცდარ განწყობებს იზიარებენ.
- ▶ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ რესპონდენტთაგან დაახლოებით ყოველი მესამე კლიმატზე ნეგატიური ეფექტის მქონე აქტივობების მომხრეა და ნაკლებად ანუხებს გარემოზე/კლიმატზე მათი უარყოფითი ზემოქმედება.



## სოდნა

- ▶ საქართველოს მოსახლეობა კლიმატის ცვლილების თვალსაზრისით ყველაზე დაუცველ რეგიონებად იმერეთი/რაჭა-ლეჩხუმს (52%), აჭარასა (39%) და გურიას (30%) ასახელებს. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა თვალსაზრისით, ასეთ დაუცველ რეგიონთა შორის პირველ ადგილზე აჭარაა.
- ▶ კლიმატის ცვლილების გამომწვევ ფაქტორებს შორის უპირატეს მნიშვნელობას რესპონდენტები ტყეების გაკაფვა/მცენარეული საფარის შემცირებას (73%) ანიჭებენ, რაც წამყვან ფაქტორად დაფიქსირდა კვლევის წინა (2022 წ.) რაუნდშიც. აქვე, საგულისხმოა, რომ სწორედ აღნიშნული ქმედება იკვეთება საკვანძო მნიშვნელობის პირველი რიგის მიზეზად რესპონდენტთა სოციალურ დემოგრაფიული მახასიათებლების ჭრილში საკითხის გაანალიზებისას. ანალოგიურ შეფასებას ავლენენ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებიც (65%).
- ▶ ისეთ ეკონომიკურ სფეროებად, რომლებიც ყველაზე ძლიერ ნეგატიურ გავლენას ახდენს კლიმატის ცვლილებაზე, მრეწველობა (50%) და ტრანსპორტი (50%) გამოიკვეთა.
- ▶ ქვეყნის გეოგრაფიული მხარეების ჭრილში საკითხის ანალიზის თანახმად, კლიმატის ცვლილებაზე ნეგატიური ეფექტის მქონე წამყვანი დარგები თბილისში მშენებლობა (45%), ტრანსპორტი (43%) და მრეწველობა (36%). ეს უკანასკნელი წამყვან ფაქტორად გამოიკვეთა დასავლეთ (56%) და აღმოსავლეთ (57%) საქართველოშიც, რასაც მოსდევს ტრანსპორტი და მშენებლობა. აღნიშნული სფეროები გამოიყოფა რესპონდენტთა დასახლების ტიპის (ქალაქი/სოფელი) და განათლების დონეზე საკითხის სტატისტიკური დამუშავებისასაც. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები პირველი რიგის ნეგატიური გავლენის მქონე სფეროდ მრეწველობას ასახელებენ, რასაც ტრანსპორტისა და ნარჩენების სექტორი მოსდევს.
- ▶ რაც შეეხება კლიმატის ცვლილებით გამოწვეული რისკების/საფრთხეების კუთხით ყველაზე მოწყვლად ეკონომიკურ სექტორებს, ამ თვალსაზრისით პირველ პოზიციაზე სოფლის მეურნეობაა (58%), შემდეგ კი ჯანდაცვა (40%) და ბიომრავალფეროვნება (30%). აღნიშნული სფეროები, როგორც ყველაზე მეტად საფრთხის ქვეშ მყოფი, იკვეთება გამოკითხულთა სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლების დონეზეც.
- ▶ კლიმატის ცვლილების პროცესის ნეგატიური შედეგების შემცირებისთვის ოპტიმალურ გამოსავლად, როგორც 2023 (28%), ასევე 2022 წელს (31%) გამოკითხულთა ყველაზე დიდი ნაწილის მიერ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება სახელდება. ეს ფაქტორი, კვლევის ორივე რაუნდში წამყვანი მნიშვნელობის მექანიზმად გამოიყო: ა) როგორც სოფლის, ასევე ქალაქის მოსახლეობის და ბ) უმაღლესი განათლების მქონე და არმქონე რესპონდენტების მიერ. ეთნიკურად არაქართველი მოსახლეობის მეხუთედი ნაწილი კლიმატის ცვლილების მკვეთრად შესაზღუდად ყველაზე ეფექტიან გზად თითოეული ადამიანის ქცევის რადიკალურად შეცვლას (21%) და ტექნოლოგიების გაუმჯობესებას (20%) მიიჩნევს.

- ▶ რესპონდენტთა 84% მიიჩნევს, რომ საქართველო ენერჯის ალტერნატიული და განახლებადი წყაროების გამოყენებაზე უნდა გადავიდეს.
- ▶ მოსახლეობის 38% ალტერნატიული და განახლებადი ენერჯის წყაროებიდან საქართველოსთვის ყველაზე პრიორიტეტულად მზის ენერჯოტექნოლოგიებს ასახელებს, მეხუთედი ნაწილი კი, ქარის ენერჯოტექნოლოგიების დანერგვის ხელსაყრელობაზე მიუთითებს (20%). ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა 37% განახლებადი და ალტერნატიული ენერჯის წყაროებიდან ყველაზე პრიორიტეტულად მზის ენერჯოტექნოლოგიებს მიიჩნევს, 18% - მცირე და საშუალო ჰესებს.
- ▶ ქალაქების მაცხოვრებლების ყველაზე დიდი ნაწილი ენერჯის წარმოების მაღალეფექტური სადგურების ამუშავების საჭიროებაზე მიუთითებს, სოფლის მოსახლეობის შედარებით დიდი ნაწილი კი (19%), ენერჯოეფექტური გათბობის სისტემის დანერგვაზე. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა 42% ვერ ასახელებს ისეთ ენერჯოეფექტურ ტექნოლოგიას, რომელსაც საქართველომ უნდა მიაწოდოს პრიორიტეტი.
- ▶ რესპონდენტთა დიდი უმრავლესობა აღნიშნავს, რომ კლიმატის ცვლილების შესახებ სპეციალური საგანმანათლებლო კურსების დანერგვა საშუალო სკოლის (88%) და უმაღლესი განათლების (85%) საფეხურზე ძალიან/უფრო მეტად მნიშვნელოვანია. რესპონდენტთა 72% დამატებითი სასერტიფიკატო კურსის შექმნას ემხრობა, 74% კი ფიქრობს, რომ მსგავსი საკითხების განხილვა საჯარო სემინარების დონეზე უნდა ხდებოდეს.
- ▶ საქართველოში განხორციელებული კლიმატისა და გარემოსადმი მეგობრული ღონისძიებების, პროგრამების, პროექტებისა და პოლიტიკების შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობის დონე ძალზე დაბალია. რესპონდენტთა დასახლების ტიპის დონეზე საკითხის ანალიზი აჩვენებს, რომ, კვლევის წინა რაუნდთან შედარებით, მოსახლეობის ინფორმირებულობის დონე გაზრდილია კლიმატის ცვლილების თაობაზე ეროვნული შეტყობინების სქემის შესახებ (2023 წელი: ქალაქი- 16; სოფელი - 13%; 2022 წელი: ქალაქი - 6%; სოფელი - 6%); ასევე, შედარებით მოიმატა მოსახლეობაში ისეთთა წილმა, რომლებიც აღნიშნავენ, რომ ადრეული შეტყობინების სისტემის შესახებ სმენიათ (2023 წელი: ქალაქი- 15%; სოფელი - 17%; 2022 წელი: ქალაქი - 4%; სოფელი - 5%).
- ▶ კვლევის წინა რაუნდთან შედარებით, 2023 წელს კლიმატისა და გარემოსადმი მეგობრული პროგრამების, პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ არაინფორმირებულობის დონე უმაღლესი განათლების მქონე რესპონდენტთა ჯგუფში საგრძნობლად შემცირდა (2023 წელი - 56%; 2022 წელი - 73%);, არაუმაღლესი განათლების მქონე რესპონდენტთა შორის კი, ინფორმაციის არმქონეთა მხოლოდ 7%-იანი კლება დაფიქსირდა.



## ქვეყნა

- ▶ როგორც 2022, ისე 2023 წლის კვლევები აჩვენებს, რომ კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებით მოქმედების აუცილებლობა რესპონდენტთა ყოველდღიური საუბრების თემა არ არის. ზოგადად, გამოკითხვის ორივე რაუნდის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული აქტუალურ საკითხად არ მიიჩნევა: 2023 წელს გამოკითხულთა 59% და 2022 წელს გამოკითხულთა 54% ამ თემას სხვა ადამიანებთან საუბრისას ყოველთვის უფრო იშვიათად ახსენებს. კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებით მოქმედების აუცილებლობაზე მსჯელობა (ნებისმიერი სიხშირით), 2023 წლის გამოკითხვის ფარგლებში, უფრო მეტად დამახასიათებელია: ა) 35-44 წლის რესპონდენტებისთვის (93%), ბ) უმაღლესი განათლების მქონეთათვის (93%).
- ▶ გარემოს გაფრთხილება და კლიმატის ცვლილებების შერბილებაზე ზრუნვა რესპონდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილისთვის პრიორიტეტული არ არის - ქალაქების მაცხოვრებელთა 29%, ხოლო სასოფლო დასახლებების 24% აცხადებს, რომ ამ მიმართულებით არანაირ ქმედებას არ ახორციელებს. ძირითადი განხორციელებული ღონისძიებები ხეების დარგვას (2023 წელი - 19%, 2022 წელი - 30%) და ენერჯის დაზოგვას (2023 წელი - 17%, 2022 წელი - 20%) მიემართება. სასოფლო სივრცეებშიც დომინანტური ხეების დარგვაა: 2023 წელი - 37%, 2022 წელი - 65%. წინა რაუნდთან შედარებით, გაზრდილია მათი წილი, ვინც გარემოზე ზემოქმედების შემცირების მიზნით სახლს ათბუნებს და ნაკლებ შემას მოიხმარს: 2023 წელი - 13%, 2022 წელი - 5%. გეოგრაფიული არეალის ჭრილში იკვეთება, რომ, თბილისში დომინანტური პრაქტიკა ენერჯის დაზოგვაა (17%), ხოლო დასავლეთ (25%) და აღმოსავლეთ საქართველოში (24%) - ხეების დარგვა. მსგავსი შედეგი მოსალოდნელი იყო, რამდენადაც დედაქალაქის მიღმა სივრცეებში სასოფლო დასახლებებიც მოიაზრება.
- ▶ ორივე კვლევა აჩვენებს, რომ სხვადასხვა მოქმედების განხორციელების გზით გარემოს მოფრთხილების ძირითადი მოტივს რესპონდენტებისთვის ჯანმრთელობაზე ზრუნვა წარმოადგენს (2023 წელი - 38%, 2022 წელი - 44%). რაც უფრო იზრდება რესპონდენტთა ასაკი, მით უფრო იზრდება შვილების უსაფრთხო მომავალზე ზრუნვის მოტივით აქტივობების განხორციელება, რაც ორივე რაუნდში მაქსიმალური შედეგს 35-44 წლის რესპონდენტებში აღწევს: 2023 წელი - 25%, 2022 წელი - 32%. უმაღლესი განათლების მქონე რესპონდენტები მეტად აცნობიერებენ გარემოზე ინდივიდუალური ქცევის გავლენას; ამდენად, კლიმატის ცვლილებების შემარბილებელი აქტივობების განხორციელების მოტივად ამ ჯგუფში სწორედ ეს ფაქტორი სახელდება: 2023 წელი - 21% (არაუმაღლესი განათლება - 14%), 2022 წელი - 12% (არაუმაღლესი განათლება - 9%).
- ▶ რესპონდენტთა უმრავლესობა (საშუალოდ 53%) სხვადასხვა სიტუაციაში, გარემოს მოფრთხილების თვალსაზრისით, მართებულ პოზიციას დაიკავებდა. იკვეთება, რომ ჰიპოთეტურ სიტუაციებში ინდივიდები სწორად წყვეტენ, როგორი მოქცევა იქნება გარემოსთვის უმჯობესი; თუმცა, როდესაც საქმე მათ უშუალოდ



კონტრიბუციას ეხება, ძირითადი აქტივობები, როგორც ზემოთ აღინიშნა, ხეების დარგვა და ენერჯის დაზოგვა. ჰიპოტეტური მსჯელობისას, რესპონდენტთა საშუალოდ 53%-ს გააზრებული აქვს რომ ა) ინდივიდუალური ქცევა გარემოზე გავლენის მომხდენია, ბ) სიცხისგან თავდასაცავად, კონდიციონერების სიტემის მაგივრად, უმჯობესია თავდაცვის ზომების შესახებ საგანმანათლებლო პროგრამები დაფინანსდეს, გ) ენერჯის მოხმარების შემცირების მიზნით პანელების, იზოლაციის და ახალი ფანჯრების შესაძენად ფულის დახარჯვა მართებული ქმედებაა. უმაღლესი განათლების მქონეთა უმრავლესობა (საშუალოდ 78%), ხოლო არაუმაღლესი განათლების მქონეთა ნახევარი (საშუალოდ 49%) თითოეულ შეთავაზებულ სიტუაციასთან მიმართებით მართებულ პოზიციას იკავებს; თუმცა, ხაზგასასმელია, რომ არაუმაღლესი განათლების წარმომადგენელთა შორის დიდია იმ პირთა წილი (საშუალოდ 24%), ვინც პასუხზე უარი განაცხადა ან კონკრეტული პოზიციის დაფიქსირება გაუჭირდა. მსგავს შედეგი შესაძლოა, მათი ინფორმირებულობის დაბალ დონეს უკავშირდებოდეს.



## პოლიტიკა

- ▶ გამოკითხვის ორივე რაუნდში კლიმატის ცვლილების შეჩერების/მის მკვეთრად შეზღუდვის მხრივ მთავარ დაინტერესებულ მხარეებად რესპონდენტები მოსახლეობას/მოქალაქეებს (2023 წელი - 59%, 2022 წელი - 72%) და საქართველოს მთავრობას (2023 წელი - 47%, 2022 წელი - 42%) ასახელებს. წინა რაუნდში მნიშვნელოვნადაა მიჩნეული საერთაშორისო ორგანიზაციების როლიც (31%), თუმცა, წელს მაჩვენებელი 22%-მდე მცირდება. ამდენად, რესპონდენტთა შეფასებით, მთავარი მოქმედი აქტორები ხალხი და ხელისუფლებაა - ერთი მხრივ, პრაქტიკულ აქტივობებში ჩართული ჯგუფი და, მეორე მხრივ, მარეგულირებელი ორგანო.
- ▶ მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობა აქტიურად არაა ჩართული გარემოს დაცვის მხრივ კონკრეტული აქტივობების განხორციელებაში, უმრავლესობა კლიმატის ცვლილების შესახებ კანონის და შესაბამისი რეგულაციების შემოღებას ემხრობა: 2023 წელი - 87%, 2022 წელი - 88%. უმაღლესი განათლების მქონეთა შორის მომხრეთა წილი მეტია: 2023 წელი - 92%, 2022 წელი - 90%. ეთნიკური უმცირესობების შემთხვევაში მომხრეთა მაჩვენებელი 73%-ს უტოლდება. ამ შემთხვევაში შედარებით მაღალია იმ რესპონდენტთა წილი, ვისაც გაუჭირდა პოზიციის დაფიქსირება ან უარი განაცხადა (18%). კლიმატის ცვლილებასთან გამკლავების საქმეში ჩართული თითოეული აქტორი (მოქალაქეები, მთავრობა, პარლამენტი, მმართველო პარტია, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, ოპოზიციური პარტიები, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები) ორივე რაუნდის რესპონდენტთა უმრავლესობის მიერ პასუხისმგებელ აქტორებად ფასდება: 2023 წელი - საშუალოდ 83%, 2022 წელი - საშუალოდ 84%. პოზიტიური შეფასებები შენარჩუნებულია ეთნიკური უმცირესობების შემთხვევაშიც, თუმცა, მაღალია მათი წილი, ვისაც ოპოზიციური პარტიების (21%), არასამთავრობო (22%) და საერთაშორისო ორგანიზაციების (23%) პასუხისმგებლიანობის განსაზღვრა გაუჭირდა.
- ▶ კვლევის ორივე რაუნდის რესპონდენტებმა გამოკვეთეს ქვეყანაში პოლიტიკის სხვადასხვა მიმართულებებში (სექტორებში) განსახორციელებელი ქმედებები: ენერგეტიკის მიმართულება - განახლებადი ენერჯის წარმოების ხელშეწყობა (2023 წელი - 48%, 2022 წელი - 62%), ეკონომიკის მიმართულება - იმ კომპანიებისთვის მაღალი გადასახადის დაკისრება, რომლებიც თავისი საქმიანობით აბინძურებენ გარემოს (2023 წელი - 34%, 2022 წელი - 39%), ტრანსპორტის სექტორი - ძლიერ დამაბინძურებელი მანქანების გადაადგილების აკრძალვა (2023 წელი - 41%, 2022 წელი - 36%), ნარჩენების სექტორი - მაღალი სტანდარტების ნაგავსაყრელების მშენებლობა, რომლებიც ატმოსფეროს არ დააბინძურებენ (2023 წელი - 43%, 2022 წელი - 48%), სოფლის მეურნეობის სექტორი - სასუქების ზომიერად მოხმარება და ქიმიურის ბუნებრივით ჩანაცვლება (2023 წელი - 35%, 2022 წელი - 38%).
- ▶ 2023 წელს გამოკითხულთა მესამედი (32%) მიიჩნევს, რომ გახშირებული ბუნებრივი კატასტროფებისგან მოსახლეობის დასაცავად სახელმწიფომ ადრე-


ული შეტყობინების სისტემები უნდა განავითაროს, რაც ყველაზე გამოკვეთილ ღონისძიებად არის მიჩნეული. 2022 წლის რაუნდში წამყვან პოზიციას შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობა იკავებდა (25%). სხვადასხვა ჭრილში საკითხის განხილვისასაც, სწორედ ეს ორი საკითხი დომინირებს. მაგალითად, თუკი თბილისში (33%) და აღმოსავლეთ საქართველოში (40%) გამოკითხულთა ძირითადი ნაწილი უპირატესობას ადრეული შეტყობინების სისტემას ანიჭებს, დასავლეთ საქართველოში პრიორიტეტული ინფრასტრუქტურული საკითხია (25%). 2023 წელს გამოკითხულთა შორის, როგორც უმაღლესი განათლების (34%), ისე არაუმაღლესი განათლების (31%) მქონეთა შეხედულებები ადრეული შეტყობინების სისტემისკენ იხრება, ხოლო 2022 წლის კვლევაში - ინფრასტრუქტურულ გამართულობისკენ (უმაღლესი განათლება - 26%, სხვა - 24%). ეთნიკური უმცირესობების შემთხვევაში ადრეული შეტყობინების სისტემების (36%) მიღმა მნიშვნელოვნად ჯანდაცვის სისტემების გაუმჯობესება და კლიმატთან დაკავშირებული დაავადებების მონიტორინგი (15%) სახელდება, რაც სხვა სამიზნე ჯგუფებში შედარებით ნაკლებად აქტუალური ღონისძიებაა.

- ▶ კლიმატის ცვლილებით გამოწვეულ პრობლემებთან გამკლავების თვალსაზრისით, სახელმწიფოს როლი ყველა მიმართულებით მნიშვნელოვნად ფასდება. საკითხები შეეხება ტრანსპორტის სისტემას, ენერჯის წარმოებასა და მოხმარებას, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, ნარჩენების მართვას, ტყეების დაცვას, ნავთობისა და ბუნებრივი აირის გამოყენებას - 2023 წელს გამოკითხულთა საშუალოდ 83%, ხოლო 2022 წელს გამოკითხულთა საშუალოდ 82% ამ მიმართულებით სახელმწიფოს, როგორც მარეგულირებელი ორგანოს, ჩართვას მნიშვნელოვნად მიიჩნევს. ეთნიკური უმცირესობების შეფასებით, სახელმწიფო განსაკუთრებით აქტიურად უნდა ერთვებოდეს სუფთა ტრანსპორტის სისტემების განვითარებაში (86%), საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაუმჯობესებაში (83%), ტყეების დაცვასა და განაშენიანებაში (90%).
- ▶ ზემოაღნიშნული საკითხების გათვალისწინებით, ლოგიკურია, რომ ორივე კვლევის ფარგლებში გამოკითხულ რესპონდენტთა უმრავლესობა კლიმატის ცვლილების შემცირების მიზნით ყველა სახის რეგულაციის შემუშავებას და შემოღებას ეთანხმება. მომხრეთა წილი განსაკუთრებით მაღალია ტყის მდგრადი მართვისა და განაშენიანების (2023 წელი - 95%, 2022 წელი - 97%), ხოლო ყველაზე დაბალი - 2050 წლისთვის ბენზინზე მომუშავე ახალი ავტომობილებისა და სატვირთო მანქანების აკრძალვის მიმართულებით (2023 წელი - 58%, 2022 წელი - 51%). კვლევის რაუნდებს შორის გამოკვეთილი ერთადერთი სხვაობა მოხმარებულ ენერჯიაზე რეალური (მაღალი) ტარიფების დაწესების მარეგულირებელი აქტის შემოღებას უკავშირდება - 2023 წლის გამოკითხვაში მონაწილეთა უმრავლესობა მსგავსი რეგულაციის მომხრეა (53%), ხოლო 2022 წელს გამოკითხულთა 52% - მოწინააღმდეგე. მიუხედავად იმისა, რომ კლიმატის ცვლილების შემცირების მიზნით თითოეული რეგულაციის შემოღებას ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა საშუალოდ 73%-იც იზიარებს, რეალურად არის საკითხები, რომელთა შეფასებაც ეთნიკური უმცირესობების საშუალოდ მეოთხედზე მეტს გაუჭირდა (ეს ეხება, მაგალითად, ელექტრომობილების შეძენის შემთხვევაში, მათ სუბსიდირებას, 2050 წლისთვის ბენზინზე მომუშავე ახალი ავტომობილებისა და სატვირთო მანქანების აკრძალვას, მოხმარებულ ენერჯიაზე რეალური ტარიფების დაწესებას და სხვ.)



# 3.

**თვისებრივი  
კვლევის  
ძირითადი  
მიზნებები**





## კლიმატის ცვლილება საქართველოს კონტექსტში

- ▶ კლიმატის ცვლილება ფოკუს ჯგუფების მონაწილეებისათვის გლობალურ დათბობას და მის თანმდევ შედეგებს უკავშირდება. კერძოდ, დისკუსიების მონაწილეები კლიმატის ცვლილებისა და გლობალური დათბობის შედეგებად მოიაზრებენ ბუნებრივ კატაკლიზმებს, სტიქიურ მოვლენებსა და წლის განმავლობაში, სეზონებისათვის უჩვეულო ტემპერატურის გამოვლინებას.
- ▶ კლიმატის ცვლილების მაგალითის სახით, კვლევის მონაწილეები ხშირად უბრუნდებიან ახლო წარსულში, საქართველოს მასშტაბით მომხდარ რამდენიმე სტიქიურ მოვლენას, რაც, მათი მოსაზრებით, თვალსაჩინოდ გამოხატავს მოსალოდნელ საშიშროებას. კონკრეტულად, მონაწილეები იხსენებენ 3 აგვისტოს შოვის ტერიტორიაზე განვითარებული სტიქიის შემთხვევას. გარდა ამისა, მენყერული და წყალმოვარდნის შემთხვევებს ქობულეთსა და გურიაში და უხვი ნალექით გამოწვეულ დატბორვით პროცესებს რუსთავსა და თბილისში.
- ▶ აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში მცხოვრებმა მონაწილეებმა ისაუბრეს 2023 წელს დიდი ოდენობით მოსულ ნალექზე, რაც, მათი შეფასებით, უჩვეულოა. დიდი ოდენობით მოსული ნალექი, ერთი მხრივ, გახდა მენყერული და დატბორვითი პროცესების კატალიზატორი, ხოლო მეორე მხრივ, უარყოფითად იმოქმედა რეგიონისათვის დამახასიათებელი კულტურების მოსავლიანობაზე.
- ▶ კლიმატური პირობების თვალსაზრისით, კახეთის რეგიონისათვის მნიშვნელოვან პრობლემად გამოიკვეთა სეტყვა. კონკრეტულად, რამდენიმე მონაწილე ამბობს, რომ 2023 წელს მოსული სეტყვის ზომა წინა წლებთან შედარებით გაზრდილია, რამაც შედეგად მასიურად გაანადგურა ყურძნის მოსავალი.
- ▶ დასავლეთ საქართველოს რეგიონების ქალაქებისა და სოფლების მაცხოვრებლები ამბობენ, რომ წლის განმავლობაში მათ რეგიონს მნიშვნელოვანი ზარალი მიადგაროგორც ინფრასტრუქტურული, ასევე კერძო საკუთრებისა და ადამიანური მსხვერპლის თვალსაზრისით.
- ▶ თბილისის მაცხოვრებლები გარემოს ცვალებადობას მეტწილად ისეთი პირობების გაუარესებაში ხედავენ, როგორებიცაა ჰაერის, წყლის და მიწის რესურსების დაბინძურება.



## კლიმატის ცვლილების გავლენა და მონაცვლადი ჯგუფები

- ▶ ფოკუს ჯგუფების მონაწილეებს მიაჩნიათ, რომ ეკონომიკური ზარალი პირველ რიგში აგროსფეროს და მინათმოქმედებაზე დასაქმებულ პირებს ადგებათ, რამდენადაც კლიმატის ნებისმიერი უჩვეულო გამოვლინება შესაძლოა მოსავლის ნაყოფიერებისათვის გადამწყვეტი აღმოჩნდეს.
- ▶ გამომდინარე იქიდან, რომ 2023 წლის პირველ ნახევარში მთელი ქვეყნის მასშტაბით, რამდენიმე თვის მანძილზე, დიდი ოდენობით ნალექი მოვიდა, სოფლის მეურნეებს ხშირად მოუწიათ მოსავლის შენამვლა და მიადგათ ეკონომიკური ზარალი.
- ▶ ფოკუს ჯგუფების მონაწილეები აკავშირებენ ცუდ მოსავლიანობასა და ქვეყნის მასშტაბით პროდუქტებზე ფასების ზრდას და ამბობენ, რომ აღნიშნულს ყველა მაცხოვრებლისათვის მოაქვს ეკონომიკური ზიანი.
- ▶ მონაწილეთა განმარტებით, ინდივიდუალურ დონეზე გაზრდილია სტრესისა და მღელვარების მაჩვენებელი, რაც პირველ რიგში დაკავშირებულია ახლო წარსულში საქართველოს მასშტაბით მომხდარ სტიქიურ უბედურებებთან.
- ▶ უმეტესწილად, კლიმატის ცვლილებების მონაცვლად ჯგუფებად მიიჩნევიან ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირები. თვალსაჩინოა მონაწილეთა მიერ ორი ძირითადი ასაკობრივი ჯგუფის გამოვლენა, კერძოდ, მცირეწლოვანი ბავშვებისა და ასაკოვანი ადამიანების ჯრილში.
- ▶ სტიქიური სიტუაციის ფარგლებში, შშმ თემის წარმომადგენლები შეუფერხებელი მოქმედებისა და გადაადგილების პრობლემას უსვამენ ხაზს და ამბობენ, რომ სწრაფი რეაგირების საჭიროების შემთხვევაში, მათთვის შესაძლოა რთული იყოს რეკომენდირებული აქტივობების განხორციელება.
- ▶ მონაწილეები მიიჩნევენ, რომ ქვიარ თემის წარმომადგენლები, უკვე არსებული პირობებიდან გამომდინარე (უსახლკარობა, იმუნიტეტის შესუსტება, მწირი კვება) მონაცვლადები არიან და უჭირთ ახალ გამოწვევებთან ადაპტაცია.



## კლიმატის ცვლილების გამოწვევი მიზეზები

- ▶ ფოკუს ჯგუფების მონაწილეებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს ტყეების ჩეხვის, ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის, დამაბინძურებელი საწარმოების მოქმედების და ჰაერის დაბინძურების გარემოებებს.
- ▶ თბილისში მაცხოვრებლები ამბობენ, რომ მასიურად ხდება ქალაქის მასშტაბით ღია სივრცეების ათვისება და მშენებლობების წარმოება, რაც არა მხოლოდ ზღუდავს მწვანე სივრცეების ხარჯზე სუფთა ჰაერის გამოყოფას, ამასთანავე წარმოქმნის სამშენებლო კერას, რომელიც გარემოს მყარი ნაწილაკებით აბინძურებს.

- ▶ ჰაერის დაბინძურების პრობლემურობის თვალსაზრისით, სხვადასხვა რეგიონის მაგალითზე, აქტიურად სახელდება ფაბრიკებისა და ქარხნების ფუნქციონირება, რომლებიც ჰაერში დიდი ოდენობით მყარ ნაწილაკებს აფრქვევენ. მეორე მხრივ, ჰაერის დაბინძურების თვალსაზრისით, კვლევის მონაწილეები ასევე კრიტიკის საგნად მიიჩნევენ გადატვირთულ საავტომობილო მოძრაობას.
- ▶ ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობისა და ფუნქციონირების თვალსაზრისით, კვლევის მონაწილეთა დამოკიდებულება სკეპტიკურია. მონაწილეები აკრიტიკებენ ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის პრაქტიკულ მხარეს, რამდენადაც მიიჩნევენ, რომ საქართველოში არ ტარდება შესაბამისი გეოლოგიური და სეისმოლოგიური კვლევები, რაც აუცილებელია მშენებლობამდე ჩატარდეს.
- ▶ კვლევის მონაწილეებმა ისაუბრეს ნიადაგისა და წყლის რესურსების დაბინძურებაზე, როგორც პრობლემაზე. ფოკუს ჯგუფის დისკუსიისას არაერთხელ გაუღერდა მოქალაქეთა მიერ საყოფაცხოვრებო ნარჩენების მიწაზე დაყრის ან წყალში გადაყრის მავნე პრაქტიკები.
- ▶ შეიძლება ითქვას, რომ მონაწილეები მნიშვნელოვნად მიიჩნევენ ინდივიდუალურ ქცევებს და თვლიან, რომ ადამიანთა ქმედებები დიდ გავლენას ახდენს ეკოლოგიურ გარემოსა და კლიმატის ცვლილებაზე.



## სხვადასხვა რესურსის გამოყენების ტანდენციები

- ▶ რესურსების (წყალი, ელექტროენერჯია, გაზი და სხვ.) გონივრულად გამოყენების თვალსაზრისით, დამოკიდებულებები რამდენიმე ნაწილად გაიყო. შეიძლება ითქვას, რომ იმ რეგიონებსა და ტერიტორიებზე, სადაც რესურსები ხელმისაწვდომია და მათი მოხმარება არ არის დაკავშირებული დიდ თანხებთან, ეს ამავდროულად განაპირობებს მათ უკონტროლო ხარჯვას. ამის საპირისპიროდ, საქართველოში გვხვდება ტერიტორიები, სადაც ასეთი რესურსების სიმწირის გამო ფაქტობრივად ხდება მათი მინიმალურად გამოყენება და დაგროვება/შენარჩუნება.



## ენერჯიის განახლებადი და ალტერნატიული წყაროები

- ▶ მიუხედავად იმისა, რომ კვლევის მონაწილეებმა შეძლეს რამდენიმე მაგალითის დასახელება, ჯამში მათი ცოდნა და გამოცდილება, განახლებადი წყაროების გამოყენების თვალსაზრისით, მწირია. მონაწილეთაგან მხოლოდ რამდენიმემ დაასახელა, რომ თავად ფლობს მზის პანელს, ან უნახავს ასეთი საშუალება თავის საახლობლო წრეში.
- ▶ მონაწილეები ამბობენ, რომ განახლებადი ენერჯიის გამოყენების საშუალებები ფინანსურად დიდ თანხებთან არის დაკავშირებული და შესაბამისად ნაკლებად მიმზიდველია.



## საქართველოს მიღგომა და სტრატეგია კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით

- ▶ ფოკუს ჯგუფების მონაწილეები ფლობენ ინფორმაციას, რომ საქართველო მიერთებულია საერთაშორისო კონვენციებს და ამავდროულად, ერთვება გარემოსდაცვით ღონისძიებებში, რომლებიც საერთაშორისო დონეზე ტარდება. მიუხედავად ამისა, მონაწილეებს უჭირთ დაასახელონ, ხელმძღვანელი კონვენციების ფარგლებში, რომელ დაკისრებულ მოვალეობებს ან აღებულ პასუხისმგებლობებს ასრულებს საქართველო პოლიტიკურ დონეზე.
- ▶ კვლევის მონაწილეებმა გაიხსენეს რამდენიმე ინტერვენცია, რომლებიც კანონის დონეზე მიემართებოდა ჰაერის დაბინძურების პროცესების აღკვეთას. ერთი მხრივ, ეს შეეხებოდა კერძო ავტომობილების გამონაბოლქვის დარეგულირებას. მეორე მხრივ, ინიციატივა მიმართული იყო ქვეყნის დონეზე ფაბრიკა-ქარხნების რეგულირებაზე.
- ▶ კვლევის მონაწილეები სამრეწველო სფეროს კონტექსტში საუბრობენ, რომ მიუხედავად საკანონმდებლო ცვლილებებისა და ჯარიმების დაკისრებისა, დღემდე ფუნქციონირებს სანარმოები, რომლებიც რეგულაციების დარღვევით მოქმედებენ, ჯარიმის საფასურს იხდიან და მრეწველობას განაგრძობენ. ამ მხრივ, კვლევის მონაწილეები ხაზს უსვამენ ზედამხედველობის სამსახურების მუშაობის გამკაცრების აუცილებლობას.



## კლიმატის ცვლილების შესახებ ინფორმაციის მიღების წყაროები, შინაარსი და სანდოობა

- ▶ ფოკუს ჯგუფების მონაწილეები ინფორმაციას კლიმატის ცვლილების შესახებ ძირითადად მასმედიის საშუალებით იღებენ. განსაკუთრებით გამოარჩიეს ტელევიზიები და ონლაინ საინფორმაციო გამოცემები.
- ▶ რესპონდენტების ნაწილი ინფორმაციას უცხო ენებზე - ინგლისურად ან რუსულად - იღებს, რადგან, მათი შეფასებით, კლიმატის ცვლილების შესახებ ქართულენოვანი ინფორმაცია მწირია, ხოლო რაც ხელმისაწვდომია, ის ერთფეროვანი და ზოგჯერ არასანდოა.
- ▶ ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული სოფლებისა და ქალაქების მაცხოვრებლებისთვის კლიმატის ცვლილების შესახებ ინფორმაცია, ქართულთან ერთად, მათ მშობლიურ ენაზეც არის ხელმისაწვდომი.
- ▶ ფოკუს ჯგუფების მონაწილეები ყველაზე ნაკლებად სოციალური მედიის საშუალებით მიღებულ ინფორმაციას ენდობიან. მეტი სანდოობით სარგებლობენ ტელევიზია და დარგის ექსპერტები.



- ▶ ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა მიერ ბოლო პერიოდში მიღებული ინფორმაცია ძირითადად შეეხებოდა მსოფლიოში არსებულ გარემოსთან დაკავშირებულ გამოწვევებს, როგორცაა: წყნარ ოკეანეში არსებული ცვლილებები, მინისძვრის შედეგად გადაადგილებული ქანები, აისბერგების დნობა, იაპონიის მაგალითზე სტიქიური მოვლენებისგან თავის დაღწევის გზები და ა.შ. ადგილობრივ დონეზე დასახელდა გურიასა და კურორტ შოვში მომხდარი სტიქიური მოვლენები.
- ▶ სოფლის მოსახლეობაში განსაკუთრებული ინტერესი არსებობს ერთწლიან და მრავალწლიან კულტურებზე კლიმატის ცვლილების გავლენის შესახებ ინფორმაციის მისაღებად.
- ▶ ქვიარ თემის წარმომადგენლები ისურვებდნენ მეტად სტრუქტურული ცოდნის მიღებას კლიმატის ცვლილების გამომწვევი მიზეზების, ზიანის მასშტაბის, პასუხისმგებელი პირების და ა.შ. შესახებ. ასევე, აღინიშნა, რომ, მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით, სასარგებლო იქნებოდა სხვადასხვა ფორმატის სადისკუსიო სივრცეების შექმნა, სადაც მონაწილეები კლიმატთან დაკავშირებულ აქტუალურ საკითხებს განიხილავენ.



## რესურსების გამოყენების პრაქტიკები

- ▶ ფოკუს ჯგუფებში მონაწილეები რესურსების დაზოგვას, ძირითადად, ელექტროენერჯისა და ბუნებრივი აირის ეკონომიური მოხმარებით ცდილობენ. თუმცა, რესურსების გამოყენების შემცირება განპირობებულია კომუნალური გადასახადის დაზოგვის მოტივით და ნაკლებად - გარემოზე ზრუნვით.
- ▶ რესპონდენტები სასმელი და სარწყავი წყლის რესურსების ჭარბი მოხმარების შემცირებაზე ნაკლებ ყურადღებას ამახვილებენ, რადგან, ერთი მხრივ, წყლის მოხმარებაზე გადასახადი მცირეა ან საერთოდ არ არის (განსაკუთრებით სოფლად), და/ან წყლის რესურსების (სასმელი და სარწყავი) მისაწვდომობა პრობლემას წარმოადგენს და ამდენად მის ჭარბ მოხმარებაზე საუბარი შეუსაბამოა.
- ▶ ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა შეფასებით, ახალგაზრდები რესურსების ჭარბი მოხმარებით გამოწვეული ზიანის შესახებ მეტად ინფორმირებულები არიან, ვიდრე უფროსები. მოზარდებისთვის და ახალგაზრდებისთვის ეკოლოგიურ გარემოსთან დაკავშირებული ინფორმაცია სხვადასხვა წყაროებით არის ხელმისაწვდომი. მაგალითად, სკოლაში არაფორმალური განათლების ფარგლებში გამართული სემინარების, სოციალური მედიის მეშვეობით და ა.შ.



## კლიმატის ცვლილების გავლენა სოფლის მეურნეობაზე

- ▶ სოფლის მოსახლეობა კლიმატის ცვლილებებს სასუქისა და პესტიციდების გამოყენების აუცილებლობას უკავშირებს, რის გარეშეც მოსავლის მოყვანა შეუძლებელი ხდება.
- ▶ ფოკუს ჯგუფების მონაწილე, დიდი ზომის ფერმერული მეურნეობის მქონე ოჯახების წარმომადგენლები შხამქიმიკატებს აქტიურად იყენებენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ შეძლებენ რეალიზაციისთვის განკუთვნილი მოსავლის მოყვანას.
- ▶ სასუქს და პესტიციდებს სოფლის მოსახლეობის ის ნაწილი არ იყენებს, რომელიც მიღებულ პროდუქციას საკუთარი ოჯახებისთვის მოიხმარს.



## პასუხისმგებელი აქტორები კლიმატის ცვლილებაზე და გარემოს დეგრადაციით გამოწვეული პრობლემების მოგვარებაზე

- ▶ კლიმატის ცვლილებების და გარემოს დეგრადაციით გამოწვეული პრობლემების მოგვარებაზე პასუხისმგებლობას რესპონდენტების ერთი ნაწილი ინდივიდსა და სახელმწიფოს შორის ანაწილებს, ხოლო მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას გამოკვეთილად სახელმწიფოს და კერძო სექტორს აკისრებს.
- ▶ ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა აზრით, ინდივიდუალური პასუხისმგებლობა გამოიხატება: ა) ინდივიდების მიერ, შესაძლებლობის ფარგლებში, გარემოზე ზრუნვაში (არდანაგვიანებაში, რესურსების ჭარბად არგამოყენებაში და ა.შ.) და ბ) გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ მართებული ინფორმაციისა და ცოდნის გავრცელებაში - როგორც ოჯახში (განსაკუთრებით ბავშვებში), ისე საკუთარ თემში (სამეზობლოში, სანათესაოში და ა.შ.).
- ▶ ფოკუს ჯგუფების მონაწილეები გარემოსდაცვითი მიმართულებით სახელმწიფოს როლს ხედავენ: 1) განათლების სისტემაში გარემოსდაცვითი საკითხების ინტეგრაციაში, რაც გაზრდის ცოდნას და ინფორმირებულობას მოსახლეობაში, განსაკუთრებით, ახალგაზრდებში; 2) გარემოს ზედამხედველობაზე აქტიური მონიტორინგის განხორციელებაში, რომელიც შეეხება როგორც გარემოს დაზიანების ინდივიდუალური შემთხვევების გამოვლენას, ისე გარემოსთვის ზიანის მომტანი კერძო ორგანიზაციების (ფაბრიკა, ქარხნები და ა.შ.) საქმიანობის მონიტორინგს.



## ეკოლოგიური გარემოს ზიანის შემცირებისკენ მიმართული ქმედებები

- ▶ ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა ერთი ნაწილის აზრით, გარემოზე ზიანის მიყენების გამო დაჯარიმება ყველაზე ქმედითი მიდგომაა, მეორე ნაწილი კი ფიქრობს, რომ გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ ცნობიერების ამაღლება ყველაზე უკეთ უზრუნველყოფს გარემოზე ზიანის შემცირებას.



## მთავრობის საქმიანობის შეფასება და მიმართულებები, რომლებზეც სახელმწიფო ორგანოებმა უნდა იუზუაონ

- ▶ ფოკუს ჯგუფებში გამოიკვეთა მოსაზრება, რომ ბოლო წლებში უმჯობესდება სახელმწიფოს საქმიანობა გარემოსდაცვითი მიმართულებით, რაც, პირველ ყოვლისა, მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფში, განსაკუთრებით ახალგაზრდებში, გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ განათლებასა და ცნობიერების ამაღლებაში გამოიხატება.
- ▶ ხელისუფლების მთავარი გამოწვევა გარემოს დაზიანებაზე არასათანადო მონიტორინგის განხორციელება და მათი აღსრულებაა.
- ▶ ფოკუს ჯგუფების მონაწილეები ამახვილებენ ყურადღებას ეკოლოგიურ გარემოზე ზიანის მომტანი საწარმოებისა და ფაბრიკების საქმიანობის მონიტორინგის და მათთვის რეგულაციების გამკაცრების საჭიროებაზე.
- ▶ მუნიციპალურ დონეზე მწვავე პრობლემას წარმოადგენს მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა (დანაგვიანებული გარემო, ნაგავსაყრელების და ნარჩენების ურნების/ბუნკერების არარსებობა და ა.შ.).



## ადგილობრივი ხელისუფლებისთვის და სხვა აქტორებისთვის მიმართვის გამოცდილება

- ▶ ფოკუს ჯგუფების მონაწილეები ბუნებრივი კატასტროფების დროს, დახმარების მისაღებად დაუკავშირდებიან საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრს, ცხელი ხაზის (ტ:112) მეშვეობით.
- ▶ რესპოდენტების ნაწილს დახმარების მისაღებად ადგილობრივ ხელისუფლების მიმართვის გამოცდილება აქვს, რაც სხვადასხვა სტიქიური მოვლენების (მენყერი,

წყალდიდობა, ქარიშხალი და ხანძარი) გამო მიღებული მატერიალური ზიანის ანაზღაურებას უკავშირდება. ასეთი გამოცდილება მეტწილად ნეგატიურია (თუმცა, არსებობს დადებითი მაგალითებიც). ადგილობრივი ხელისუფლებისთვის მიმართვა მომავალშიც, საჭიროების შემთხვევაში, ერთ-ერთ პრიორიტეტად რჩება.

- ▶ კლიმატის ცვლილებით ან ბუნებრივი გარემოს დეგრადაციით წარმოქმნილი პრობლემების მოგვარების მიზნით, ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა მცირე ნაწილს აქვს სამოქალაქო საზოგადოების და მასმედიის საშუალებებისთვის მიმართვის გამოცდილება, რაც ძირითადად იურიდიული კონსულტაციის მიღებასა და პრობლემის გაშუქებაში გამოიხატა.



## ინფორმირება უცხოეთის კოზითური გამოცდილების შესახებ

- ▶ უცხოეთის გამოცდილების შესახებ ინფორმაციის მქონე რესპონდენტებისთვის ძალზე მოსაწონია უცხო ქვეყნებში მოქმედი ბუნებრივი კატასტროფების წინასწარი შეტყობინების სისტემა, რომლის დანერგვა საქართველოშიც აუცილებელია გახშირებული ბუნებრივი სტიქიური მოვლენების ფონზე.
- ▶ ერთი ნაწილის აზრით, სასურველია საქართველოს რეალობაში უცხოეთის იმ პრაქტიკის გადმოტანა, რომელიც კერძო სექტორს ავალდებულებს გარემოს ეკოლოგიურ მდგომარეობაზე ზრუნვას.
- ▶ ეთნიკური უმცირესობებისთვის (სომხები, აზერბაიჯანელები) სასურველია, რომ კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებულ საკითხებზე უფრო მეტი ორენოვანი ინფორმაცია გავრცელდეს მოსახლეობაში. ეს მით უფრო მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებით, რომ ეთნიკური უმცირესობების უმრავლესობა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით არის დაკავებული.



## ჰიპოთეტური სიტუაციების შეფასება


- ▶ საგულისხმოა, რომ ჰიპოთეტური სიტუაციების (ქეისების) შეფასებისას, სამიზნე ჯგუფების მიხედვით არ გამოვლენილა არსებითად განსხვავებული მოსაზრებები და დამოკიდებულებები.
- ▶ ფოკუს ჯგუფების მონაწილეებისთვის შეთავაზებული სიტუაციების შეფასების შედეგად გამოვლინდა, რომ რესპონდენტები აღიარებენ ინდივიდუალური ქმედებების მნიშვნელობას, რომლებიც მიმართულია გარემოს ზრუნვასა და გაფრთხილებაზე. თუმცა, ამავედროულად, ყურადღებას ამახვილებენ სახელმწიფოს და კერძო სექტორის პასუხისმგებლობაზე.

- ▶ განხილული სიტუაციების საფუძველზე იკვეთება, რომ ფოკუს ჯგუფების მონაწილეები იზიარებენ სხვადასხვა ტექნოლოგიური რესურსის (ჰესები, ქიმიური მრეწველობა, ძვირფასი ლითონების წარმოება და ა.შ.) გამოყენების საჭიროებას, რადგან მათი გამოყენება ხელს უწყობს ეკონომიკის ზრდას და დასაქმებას. თუმცა, ეკოსისტემის დაცვის მნიშვნელობასაც უსვამენ ხაზს. რესპონდენტების აზრით, ბალანსის დაცვა აუცილებელია - ერთი მხრივ, ხელი უნდა შეეწყოს ეკონომიკის ზრდას და დასაქმების ადგილების შექმნას, ხოლო, მეორე მხრივ, დაცული უნდა იქნეს ეკოლოგიური გარემო და ადამიანების ჯანმრთელობა.



# 4.

## რატოდენობრივი კვლევის დეტალური ანგარიში






# რესპონდენტების სოციალურ-დემოგრაფიული პროფილი

გარემოსა და კლიმატის საკითხებზე ცოდნის, აღქმის, დამოკიდებულების, ქცევის და სასურველი პოლიტიკის შესახებ კვლევაში მონაწილე პირთა სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები ცხადყოფს, რომ შერჩევითი ერთობლიობის 46%-ს მამრობითი სქესის რესპონდენტები წარმოადგენენ, ხოლო 54%-ს ქალები. რესპონდენტთა განაწილება საცხოვრებელი რეგიონების დონეზე აჩვენებს, რომ გამოკითხულთა შორის 31.6% თბილისის მაცხოვრებელია, 14.3% იმერეთის, 11.4% კი ქვემო ქართლის. სხვა რეგიონებში გამოკითხულთა წილი 1.3%-8.8% შორის მერყეობს (იხ. დიაგრამა #1).

## დიაგრამა #1

საცხოვრებელი რეგიონი (N=1259)




აღწერილ მახასიათებლებთან ერთად რესპონდენტები დიფერენცირდნენ მათი დასახლების ტიპის, ეროვნებისა და ეთნიკური წარმომავლობის მიხედვით. კერძოდ, გამოკითხულთა შორის 90.1% ეროვნებით ქართველია, 9.9% კი სხვა ეთნიკურ ჯგუფს მიეკუთვნება. რაც შეეხება დასახლების ტიპს, კვლევაში მონაწილე პირთაგან ყოველი მეორე ურბანული ტიპის გეოგრაფიულ ერთეულებში სახლობს, 49.7% კი სოფლის მაცხოვრებელია.

ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელთაგან (N=383) 40.4% სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მკვიდრია, ხოლო 44.6% ქვემო ქართლის. მხოლოდ 7 რესპონდენტია თბილისის (N=4), გურიისა (N=1) და იმერეთის (N=2) მაცხოვრებელი. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა 18% საქალაქო ტიპის დასახლებებში ცხოვრობს, 82% კი სოფლად. რაც შეეხება ამ სეგმენტის ეროვნულ მიკუთვნებულობას 37.3% სომეხია, 61.2% კი აზერბაიჯანელი. რესპონდენტების დიფერენცირება მათი სქესის მიხედვით აჩვენებს, რომ მათგან 49.6% მამრობითი სქესის წარმომადგენელია, 50.4% კი ქალი.

გარდა ზემოთ თქმულისა, კვლევაში მონაწილე პირები 6 ასაკობრივ კატეგორიაში გადანაწილდნენ. მათ შორის ყველაზე დაბალია 18-24 წლის (12.3%) და 55-64 წლის (16.2%) პირთა ხვედრითი წილი, რასაც რამდენადმე აღემატება სხვა ჯგუფების პროცენტული მაჩვენებლები (იხ. დიაგრამა #2).

## დიაგრამა #2


ასაკი(N=1259)



რაც შეეხება ეთნიკური უმცირესობების ჯგუფის წევრების ასაკობრივ გადანაწილებას, კვლევა აჩვენებს, რომ მეხუთედზე მცირედით მეტი (22.7%) 25-34 წლისაა, 17.7% კი 45-54 ასაკობრივ კატეგორიაში თავსდება. უფრო ახალგაზრდა ან უფროსი რესპონდენტების წილი 14%-16%-ს შორის მერყეობს (იხ. დიაგრამა #3).

## დიაგრამა #3

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ასაკი (N=383)




გამოკითხვაში მონაწილეთა 39.1%-ს უმაღლესი განათლების საფეხური აქვს დასრულებული, ხოლო 35.7%-ს - საშუალო განათლების. თითქმის მეხუთედს უტოლდება მათი წილი, ვინც საშუალო პროფესიული განათლების დიპლომის მფლობელია (17.9%). ცალკეულ შემთხვევაში 5%-საც კი ვერ აღწევს იმ რესპონდენტთა წილი, ვისაც არასრული საშუალო განათლება (2.8%), არასრული უმაღლესი განათლება (3.7%) ან დაწყებითი განათლება (0.6%) აქვს მიღებული.

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა 60.1%-ს საშუალო განათლების საფეხური აქვს დასრულებული. მეათედს აჭარბებს არასრული საშუალო (13.3%) და უმაღლესი განათლების (12.6%) დიპლომის მფლობელ რესპონდენტთა წილი. მინიმალურია იმ გამოკითხულთა რაოდენობა, ვისაც მხოლოდ დაწყებითი განათლება აქვს მიღებული (0.8%, N=3) (იხ. დიაგრამა #4).



#### დიაგრამა #4


რა არის თქვენ მიერ მიღწეული განათლების უმაღლესი დონე?  
(ეთნიკური უმცირესობები) (N=383) (%) (2023 წელი)



რაც შეეხება რესპონდენტთა ოჯახის საერთო თვიურ შემოსავალს, მეათედს აჭარბებს მათი წილი, ვისი ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი 1000-1499 ლარის (15.1%) ან 1500-1999 ლარის (10%) დიაპაზონში ჯდება. განსაკუთრებით დაბალია იმ გამოკითხულთა ოდენობა, რომელთა ოჯახის შემოსავალი 3000 ლარი ან უფრო მეტია (ჯამურად 4%) (იხ. დიაგრამა #5).

#### დიაგრამა #5

რა არის თქვენი ოჯახის საერთო თვიური შემოსავალი?  
გთხოვთ, გაითვალისწინოთ ყველა სახის შემოსავალი,  
როგორცაა ხელფასი, პენსია, გრანტი და ა.შ (N=1259)




გამოკითხვის წინა რაუნდის მსგავსად, შესაძლოა შემოსავლები 5 კატეგორიად დაჯგუფდეს: 600 ლარამდე, 600-999 ლარი, 1000-1999 ლარი, 200 ლარი ან მეტი, არ ვიცი/უარი პასუხზე. ამ ჯგუფებს შორის რესპონდენტთა გადანაწილება შემდეგი იქნება:

- ▶ 600 ლარამდე - 15.8%
- ▶ 600-999 ლარი - 19%
- ▶ 1000-1999 ლარი - 25.1%
- ▶ 2000 ლარი ან მეტი - 11.4%
- ▶ არ ვიცი/უარი პასუხზე - 28.7%

რაც შეეხება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს, დაჯგუფებული მონაცემების მიხედვით, თითქმის ყოველმა მეორემ (47.8%) თავი შეიკავა ოჯახის ყოველთვიური შემოსავლის დასახელებისგან. იდენტიფიცირებული ოდენობების მიხედვით კი, ყოველი მეხუთეს ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი 600-999 ლარის დიაპაზონში მერყეობს, 16.3%-ის შემთხვევაში კი თანხის ოდენობა 600 ლარს არ აღემატება (იხ. დიაგრამა #6).

**დიაგრამა #6**

**რა არის თქვენი ოჯახის საერთო თვიური შემოსავალი? გთხოვთ, გაითვალისწინოთ ყველა სახის შემოსავალი, როგორცაა ხელფასი, პენსია, გრანტი და ა.შ (ეთნიკური უმცირესობები) (N=383) (%) (2023 წელი)**



**აღქმები და დამოკიდებულებები**

კვლევის ფარგლებში რესპონდენტებმა კლიმატის ცვლილების პრობლემა 5 განზომილებაში შეაფასეს. კერძოდ, რამდენად მნიშვნელოვანია აღნიშნული გამოწვევა პირადად მათთვის, მათი ქალაქისთვის/სოფლისთვის, რეგიონისთვის, ქვეყნისთვის, მსოფლიოსთვის. შეფასება განხორციელდა 5 ქულიან სკალაზე, სადაც ქულა „1“ უკიდურესად ნეგატიური პოზიციის გამომხატველ ნიშნულს წარმოადგენდა, ხოლო ქულა „5“ დადებითი შეფასების ზღვრული წერტილი იყო.

2023 წლის კვლევის რაოდენობრივი მონაცემების გათვალისწინებით, იმ რესპონდენტთა წილი, რომლებიც კლიმატის კრიზისთან დაკავშირებულ საკითხებს არც ლოკალურ და არც გლობალურ პერსპექტივაში დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებენ („ძალიან უმნიშვნელოა+უფრო უმნიშვნელოა, ვიდრე მნიშვნელოვანი“) ძალზე დაბალია და ჯამში 13%-ს არ აღემატება, რასაც საგრძნობლად გადასწონის საპირისპირო დამოკიდებულების მქონეთა პროცენტული

წილი. ანალოგიური განწყობების მქონე რესპონდენტთა პროცენტული მაჩვენებელი კვლევის წინა რაუნდში (2022 წელი) 6.8%-ს არ აღემატებოდა (თითოეულ დონეზე). 2023 წელს გამოკითხულთა შორის ისეთთა რაოდენობა, რომელთათვისაც კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ზიანი „უფრო მეტად მნიშვნელოვანია, ვიდრე უმნიშვნელო+ძალზე მნიშვნელოვანია“, შეფასების ჭრილის (პერსონალური დონე -> გლობალური დონე) გაფართოების სიმეტრიულად იზრდება (პირადად თქვენთვის - 82.8%; თქვენი ქალაქისთვის - 86%; თქვენი რეგიონისთვის - 86.2%; თქვენი ქვეყნისთვის - 90.3%; მსოფლიოსთვის - 91.9%). მსგავსი ტენდენცია ვლინდება წინა წლის კვლევის შედეგებშიც (იხ. ცხრილი #1).

**ცხრილი #1**

რამდენად მნიშვნელოვანია კლიმატის ცვლილების პრობლემა...?		ძალიან უმნიშვნელო	2	3	4	ძალიან მნიშვნელოვანი	არ ვიცი/უარი პასუხზე
		%					
2023 წელი (N=1259)	პირადად თქვენთვის	2.4	2.8	11.8	18	64.8	0.2
	თქვენი ქალაქის/სოფლისთვის	1.6	2.3	9.4	19.3	66.8	0.7
	თქვენი რეგიონისთვის	1.4	1.5	9.2	20.8	65.4	1.6
	თქვენი ქვეყნისთვის	0.3	0.7	7.7	19.4	70.9	1
	მსოფლიოსთვის	0.2	0.9	5.5	17.6	74.3	1.4
2022 წელი (N=1500)	პირადად თქვენთვის	4.3	2.5	12.5	21.1	59.5	0.2
	თქვენი ქალაქის/სოფლისთვის	1.5	3	9.4	21.6	63.9	0.6
	თქვენი რეგიონისთვის	1.2	1.3	10.6	21.9	64.6	0.4
	თქვენი ქვეყნისთვის	1	1.3	7.3	21.6	68.2	0.7
	მსოფლიოსთვის	1.2	1.3	5.3	17.4	73.2	1.6

რესპონდენტების დასახლების ტიპის ჭრილში საკითხის გაანალიზებით გამოვლენილი ტენდენციის მიხედვით, ურბანულ (თბილისის ჩათვლით) და რურალურ გეოგრაფიულ არეალებში გამოკითხულთა შეფასებებს შორის შესამჩნევი სხვაობა არ ვლინდება. ქალაქისა და სოფლის მაცხოვრებლების სულ მცირე 81%-ზე მეტი აცხადებს რომ, როგორც პერსონალურად მათთვის, ასევე, უფრო ფართო მასშტაბით (მათი ქალაქი/სოფელი, რეგიონი, ქვეყანა, მსოფლიო) კლიმატის ცვლილების პრობლემა „უფრო მეტად მნიშვნელოვანია, ვიდრე არა+ძალიან მნიშვნელოვანია“. ამასთან, აღსანიშნავია, რომ რაც უფრო ფართოვდება შეფასების განზომილების დიაპაზონი, მით უფრო იზრდება ისეთ რესპონდენტთა წილი, რომლებიც საკითხის მნიშვნელოვნებაზე მიუთითებენ (როგორც ქალაქში, ასევე სოფელში). რაც

შეხება იმ პირთა წილს კვლევაში, რომლებიც კლიმატის ცვლილებას უმნიშვნელო პრობლემად მიიჩნევენ, ქალაქში გამოკითხულთა შორის შეფასების თითოეულ განზომილებაში 5.4%-ს არ აღემატება, სოფლებში გამოკითხულთა შორის კი 4.7%-ს. ამ თვალსაზრისით ყველაზე მაღალია მათი პროცენტული რაოდენობა, რომლებიც ამბობენ, რომ აღნიშნული საკითხი პირადად მათთვის „ძალიან უმნიშვნელოა+უფრო მეტად უმნიშვნელოა, ვიდრე მნიშვნელოვანი“. (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა;  $p < 0.05$ ) (იხ. ცხრილი#2).

## ცხრილი #2

რამდენად მნიშვნელოვანია კლიმატის ცვლილების პრობლემა...? (N=1259) (დასახლების ტიპის ჭრილი)		ძალიან უმნიშვნელო	2	3	4	ძალიან მნიშვნელოვანი	არ ვიცი/უარი პასუხზე
		%					
პირადად თქვენთვის ( $\chi^2=16.565$ ; $p < 0.05$ )	ქალაქი (თბილისის ჩათვლით)	2.6	2.8	12.4	15.4	66.5	0.3
	სოფელი	2	2.7	10.8	23.1	61.5	-
თქვენი ქალაქისთვის/სოფლისთვის ( $\chi^2=17.415$ ; $p < 0.05$ )	ქალაქი (თბილისის ჩათვლით)	1.5	2.9	7.8	18.1	68.7	1
	სოფელი	1.8	1.3	12.3	21.5	63.1	-
თქვენი რეგიონისთვის ( $\chi^2=20.969$ ; $p < 0.05$ )	ქალაქი (თბილისის ჩათვლით)	1.6	1.7	7.8	19.4	67.1	2.5
	სოფელი	1.2	1.3	12	23.5	62	-
თქვენი ქვეყნისთვის ( $\chi^2=16.933$ ; $p < 0.05$ )	ქალაქი (თბილისის ჩათვლით)	0.5	0.8	6.6	17.3	73.3	1.4
	სოფელი	-	0.4	9.6	23.3	66.5	0.2
მსოფლიოსთვის ( $\chi^2=17.043$ ; $p < 0.05$ )	ქალაქი (თბილისის ჩათვლით)	0.4	1.3	4.4	15.9	76.1	1.9
	სოფელი	-	0.2	7.6	20.7	7.9	0.5

**ქვეყნის გეოგრაფიული მხარეების დონეზე (თბილისი, დასავლეთ საქართველო, აღმოსავლეთ საქართველო) რესპონდენტთა შეფასებების დიფერენცირებით შემდეგი ტენდენციები ვლინდება:**

- ▶ როგორც აღმოსავლეთ (81.4%) და დასავლეთ საქართველოში (83.6%), ასევე, დედაქალაქში (83.6%) გამოკითხული მოსახლეობის თითქმის თანაბარი რაოდენობა აცხადებს, რომ კლიმატის ცვლილების საკითხი პირადად მათთვის „უფრო მეტად მნიშვნელოვანია, ვიდრე უმნიშვნელო+ძალიან მნიშვნელოვანია“.
- ▶ თბილისის მოსახლეობაში (90.9%) უფრო მაღალია ისეთთა წილი, რომლებიც აღნიშნულ საკითხს მნიშვნელოვნად მიიჩნევენ მათი ქალაქისთვის/სოფლისთვის, ვიდრე აღმოსავლეთ (81%) და დასავლეთ საქართველოში (86.8%) გამოკითხულთა შორის.
- ▶ რეგიონის პერსპექტივიდან კლიმატის ცვლილებას, როგორც მნიშვნელოვან საკითხს დასავლეთ საქართველოს და თბილისის მოსახლეობა უფრო მეტად აიდენტიფიცირებს, როგორც მნიშვნელოვანს, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა.
- ▶ სამივე გეოგრაფიულ არეალში გამოკითხულთა შორის თითქმის თანაბარია ისეთთა წილი, რომლებიც კლიმატის კრიზისის მნიშვნელოვნებას, როგორც ქვეყნისთვის, ასევე გლობალური მსოფლიოსთვის, შეფასების სკალის პოზიტიური ნიშნულებით გამოხატავენ.

(მონაცემები სტატისტიკურად სანდოა;  $p < 0.05$ ) (იხ. ცხრილი #3).

**ცხრილი #3**

რამდენად მნიშვნელოვანია კლიმატის ცვლილების პრობლემა...? (N=1259) (გეოგრაფიული მხარე/თბილისის ჭრილი)		ძალიან უმნიშვნელო	2	3	4	ძალიან მნიშვნელოვანი	არ ვიცი/უარი პასუხზე
		%					
პირადად თქვენთვის ( $\chi^2=25.139$ ; $p < 0.05$ )	თბილისი	1.4	2.3	12.7	17	66.6	-
	დასავლეთ საქართველო	1.2	3.5	11.3	14.9	68.7	0.5
	აღმოსავლეთ საქართველო	4.3	2.6	11.5	21.8	59.7	0.2
თქვენი ქალაქისთვის/სოფლისთვის ( $\chi^2=42.068$ ; $p < 0.05$ )	თბილისი	-	2.4	6.2	20.7	70.2	0.5
	დასავლეთ საქართველო	0.5	1.8	9.9	16	70.8	0.9
	აღმოსავლეთ საქართველო	3.9	2.8	11.7	20.9	60.1	0.6

რამდენად მნიშვნელოვანია კლიმატის ცვლილების პრობლემა...? (N=1259) (გეოგრაფიული მხარე/თბილისის ქრილი)		დალიან უმნიშვნელო	2	3	4	დალიან მნიშვნელოვანი	არ ვიცი/უარი პასუხზე
		%					
თქვენი რეგიონისთვის (χ²=35.326; p<0.05)	თბილისი	-	1.6	8.4	20.7	66.3	3
	დასავლეთ საქართველო	0.5	0.9	8.1	19.8	69.6	1.1
	აღმოსავლეთ საქართველო	3.5	2.1	10.9	21.8	60.8	0.8
თქვენი ქვეყნისთვის (χ²=22.077; p<0.05)	თბილისი	-	0.6	5.1	18.3	75.0	1
	დასავლეთ საქართველო	0.5	0.9	7	16.6	73.3	1.6
	აღმოსავლეთ საქართველო	0.5	0.6	10.5	22.8	65.3	0.5
მსოფლიოსთვის (χ²=19.317; p<0.05)	თბილისი	-	1.3	3.5	15.7	77.9	1.5
	დასავლეთ საქართველო	0.5	1.1	6.9	14.3	75.8	1.4
	აღმოსავლეთ საქართველო	0.2	0.4	6	22.1	69.8	1.4

განათლების საფეხურის ქრილში მონაცემების სტატისტიკური ანალიზი ცხადყოფს, რომ შეფასების თითოეულ განზომილებაში კლიმატის ცვლილების საკითხს, როგორც „უფრო მეტად მნიშვნელოვანს, ვიდრე არა+ძალზე მნიშვნელოვანს“, უფრო მეტად უმაღლესი განათლების მქონე პირები აიდენტიფიცირებენ, ვიდრე განათლების სხვა საფეხურზე მყოფი რესპონდენტები (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: p<0.05) (იხ. ცხრილი #4).

**ცხრილი #4**

რამდენად მნიშვნელოვანია კლიმატის ცვლილების პრობლემა...? (N=1259) (განათლების ქრილი)		დალიან უმნიშვნელო	2	3	4	დალიან მნიშვნელოვანი	არ ვიცი/უარი პასუხზე
		%					
პირადად თქვენთვის (χ²=20.178; p<0.05)	უმაღლესი განათლება	2	2.3	8.9	14.7	72	-
	სხვა	2.6	3.1	13.7	20.1	60.1	0.4
თქვენი ქალაქისთვის/სოფლისთვის (χ²=31.380; p<0.05)	უმაღლესი განათლება	0.7	2.2	6.5	14.4	75.5	0.7
	სხვა	2.2	2.4	11.2	22.4	61.2	0.6

რამდენად მნიშვნელოვანია კლიმატის ცვლილების პრობლემა...? (N=1259) (განათლების ჭრილი)		დალიან უმნიშვნელო	2	3	4	დალიან მნიშვნელოვანი	არ ვიცი/უარი პასუხზე
		%					
თქვენი რეგიონისთვის ( $\chi^2=18.118$ ; $p<0.05$ )	უმადლესი განათლება	0.5	1.6	7.1	17.7	71.3	1.8
	სხვა	2.0	1.5	10.6	22.8	61.6	1.5
თქვენი ქვეყნისთვის ( $\chi^2=21.730$ ; $p<0.05$ )	უმადლესი განათლება	0.2	0.8	5.3	15	78.1	0.6
	სხვა	0.4	0.6	9.1	22.2	66.4	1.3
მსოფლიოსთვის ( $\chi^2=20.753$ ; $p<0.05$ )	უმადლესი განათლება	0.2	1.3	4.1	12.9	80.8	0.7
	სხვა	0.3	0.7	6.4	20.6	70.1	1.9

ეთნიკური უმცირესობების ჯგუფში 71%-84%-ს შორის ვარირებს ისეთთა წილი, რომლებიც კლიმატის ცვლილების საკითხს სკალის დადებითი წერტილებით აფასებენ („დალიან მნიშვნელოვანი+უფრო მეტად მნიშვნელოვანია, ვიდრე უმნიშვნელო“), როგორც პირადად მათთვის (73.4%), ასევე, ქალაქისთვის/სოფლისთვის (71.1%), რეგიონისთვის (74.8%), ქვეყნისთვის (79.5%) და მსოფლიოსთვის (84.3%) (იხ. ცხრილი #5).


### ცხრილი #5

რამდენად მნიშვნელოვანია კლიმატის ცვლილების პრობლემა...? (N=383) (ეთნიკური უმცირესობები)		დალიან უმნიშვნელო	2	3	4	დალიან მნიშვნელოვანი	არ ვიცი/უარი პასუხზე
		%					
პირადად თქვენთვის		0.3	5.6	20.7	25.6	47.8	-
თქვენი ქალაქის/სოფლისთვის		0.3	1.8	24.4	25.4	45.7	2.5
თქვენი რეგიონისთვის		0.3	1.4	20.1	28.1	46.8	3.3
თქვენი ქვეყნისთვის		-	0.8	16.3	29.1	50.4	3.5
მსოფლიოსთვის		-	0.3	11.4	27.9	56.3	4

კლიმატის ცვლილებასა და ადამიანის ქცევას შორის მიზეზშედეგობრივი კავშირის შეფასება აჩვენებს, რომ მოსახლეობის უმრავლესობას გაცნობიერებული აქვს ადამიანის ქცევითი თავისებურებების ნეგატიური ეფექტი. კერძოდ, 2023 წელს გამოკითხულ რესპონდენტთა 27.5% სრულიად, ხოლო 35.1% გარკვეულწილად დარწმუნებულია, რომ კლიმატის ცვლილების დაჩქარებული ტემპები ადამიანების დაუდევრობით/სხვადასხვა ტიპის ყოველდღიური საქმიანობით არის გამოწვეული (2022 წელი: სრულიად დარწმუნებული - 36.1%; გარკვეულწილად დარწმუნებული - 33.5%). ანალოგიური განწყობის არმქონე მოსახლეობის წილი 2023 წელს გამოკითხულთა შორის ჯამში 15%-ს არ აღემატება, 2022-ში კი 14%-ს („სრულიად არ ვარ დარწმუნებული+გარკვეულწილად არ ვარ დარწმუნებული“) (იხ. დიაგრამა #7).

## დიაგრამა #7

რამდენად ხართ დარწმუნებული იმაში, რომ კლიმატის ცვლილების დაჩქარებული ტემპები ადამიანების ქმედებებითაა გამოწვეული?




რაოდენობრივი მონაცემების სტატისტიკური ანალიზი ცხადყოფს, რომ კლიმატის ცვლილების დაჩქარებულ ტემპს თბილისის მოსახლეობის (69.3%) უფრო დიდი ნაწილი მიაწერს ადამიანის ქმედებებს, ვიდრე დასავლეთ (61.3%) და აღმოსავლეთ (57.7%) საქართველოსი („სრულიად დარწმუნებული ვარ+გარკვეულწილად დარწმუნებული ვარ“). ამასთან, აღნიშნულ საკითხში დედაქალაქში გამოკითხულთაგან ყოველი მესამეა სრულიად დარწმუნებული, დასავლეთ საქართველოში 26.1%, ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში კი ანალოგიურ შეფასებას რესპონდენტთა მეხუთედზე მცირედით მეტი აფიქსირებს (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა:  $\chi^2=32.901$ ;  $p<0.05$ ) (იხ. დიაგრამა #8).



**დიაგრამა #8**

**რამდენად ხართ დარწმუნებული იმაში, რომ კლიმატის ცვლილების დაჩქარებული ტემპები ადამიანების ქმედებებითაა გამოწვეული? (N=1259)**

გეოგრაფიული მხარე/თბილისის ჭრილი




რესპონდენტთა განათლების ჭრილში საკითხის გაანალიზება ცხადყოფს, რომ გამოკითხულთა შორის უმაღლესი განათლების მქონე პირთა უფრო დიდი ნაწილი (70%) მიაჩნის კლიმატის ცვლილების დაჩქარებულ ტემპებს ადამიანის ქმედებებს, ვიდრე უფრო დაბალი აკადემიური ხარისხის მქონე რესპონდენტები (57.7%) („სრულიად დარწმუნებული ვარ+გარკვეულწილად დარწმუნებული ვარ“). ამ უკანასკნელთა შორის 17.5%-ს უტოლდება მათი პროცენტული მაჩვენებელი, რომლებიც საერთოდ ან გარკვეულწილად არ არიან დარწმუნებულები, რომ მოსახლეობის ქმედებებსა და კლიმატის ცვლილებას შორის მიზეზშედეგობრივი კავშირი არსებობს (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა:  $\chi^2=27.353$ ;  $p<0.05$ ) (იხ. დიაგრამა #9).

## დიაგრამა #9

რამდენად ხართ დარწმუნებული იმაში, რომ კლიმატის ცვლილების დაჩქარებული ტემპები ადამიანების ქმედებებითაა გამოწვეული? (N=1259)

განათლების ჭრილი




რესპონდენტების ოჯახის თვიური შემოსავლების გათვალისწინებით მათი აღქმების დიფერენცირება ცხადყოფს, რომ მათ შემთხვევაში, რომელთა შემოსავალი 1000 ლარს აღემატება, გამოკვეთილი უმრავლესობა „სრულიად+გარკვეულწილად“ დარწმუნებულია, რომ ადამიანის ქმედებები კლიმატის ცვლილების დაჩქარებული პროცესების გამომწვევი მიზეზია (1000-1999 ლარი: 64%; 2000 + ლარი: 68.1%). ასევე, ანალოგიური შეფასება დააფიქსირა იმ რესპონდენტთა 65.4%-მა, რომლებმაც შემოსავლის დასახელებაზე ან უარი განაცხადეს, ან აღნიშნეს, რომ საკითხზე ინფორმაციას არ ფლობდნენ. საპირისპირო შეფასების („სრულიად არ ვარ დარწმუნებული+გარკვეულწილად არ ვარ დარწმუნებული“) მქონეთა წილი გამოკითხულთა მეხუთედს აღემატება იმ რესპონდენტთა სეგმენტში, რომელთა ოჯახის თვიური შემოსავალი 1000 ლარზე ნაკლებია (<600 ლარი: 21.4%; 600-999 ლარი - 22.2%). (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა:  $\chi^2=52.109$ ;  $p<0.05$ ) (იხ. დიაგრამა #10)

## დიაგრამა #10

რამდენად ხართ დარწმუნებული იმაში, რომ კლიმატის ცვლილების დაჩქარებული ტემპები ადამიანების ქმედებებითაა გამოწვეული? (N=1259)


შემოსავლის ჭრილი



ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი რესპონდენტების 47.5% „სრულიად+გარკვეულწილად“ დარწმუნებულია, რომ კლიმატის ცვლილების დაჩქარებული ტემპები ადამიანის ქმედებებითაა გამოწვეული, 17.8% კი საპირისპირო შეფასებას გამოხატავს (იხ. დიაგრამა #11).

**დიაგრამა #11**

**რამდენად ხართ დარწმუნებული იმაში, რომ კლიმატის ცვლილების დაჩქარებული ტემპები ადამიანების ქმედებებითაა გამოწვეული? (N=383) (ეთნიკური უმცირესობები)**



- სრულიად არ ვარ დარწმუნებული
- გარკვეულწილად არ ვარ დარწმუნებული
- არც დარწმუნებული ვარ და არც არ ვარ დარწმუნებული
- გარკვეულწილად დარწმუნებულივარ
- სრულიად დარწმუნებული ვარ
- არ ვიცი/უარი პასუხზე

გარდა ზემოთ აღწერილისა, უკანასკნელი ორი წლის (2022-2023) კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ მოსახლეობისთვის უფრო მეტად კლიმატის კრიზისით გამოწვეული ისეთი ცვლილებებია შესამჩნევი, რომლებიც მათ ყოველდღიურ ცხოვრებაზე ხელშესახებ უარყოფით გავლენას ახდენს. მაგალითად, მეორე რაუნდში გამოკითხულთა შორის 92.8% აცხადებს, რომ ბოლო წლებში გახშირდა ბუნებრივი კატასტროფები (წყალდიდობა, მეწყერი, ღვარცოფი და ა.შ.) (2022 წელი - 84.1%), 90.6% კი მიუთითებს, რომ ადამიანების ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა. ამ უკანასკნელ გამოვლინებაზე 2022 წელს ჩატარებული გამოკითხვის მონაწილეთა ყველაზე მეტმა ნაწილმა (95.9%) მიუთითა. კვლევის ამავე ფაზაში 92.5%-მა შემცირებულ მოსავალზე გააკეთა აქცენტი. აქვე, აღსანიშნავია, რომ 2022 წლის შერჩევით ერთობლიობაში თითქმის 89.8%-ს გაუტოლდა მათი რაოდენობა, რომლებიც კლიმატის კრიზისის უარყოფით შედეგებად გახშირებულ გვალვებს (89.7%) და მაღალ ტემპერატურას (უფრო ინტენსიური/ხშირი, ცხელი ჰაერის ტალღებით) (89.6%) ასახელებდნენ. 2023 წლის მონაცემებით 83.3%-89%-ს შორის ვარირებს იმ რესპონდენტთა პროცენტული რაოდენობა, რომლებიც კლიმატის ცვლილების ნეგატიურ შედეგებად აიდენტიფიცირებენ ისეთ მოვლენებს, როგორებიცაა: გახშირებული გვალვები, მაღალი ტემპერატურა (უფრო ინტენსიური/ხშირი ცხელი ჰაერის ტალღებით), ამინდის სხვა გახშირებული ექსტრემალური გამოვლინებები (ქარი, თოვლი, სეტყვა და ა.შ.), შემცირებული მოსავალი და ცხოველებისა და მცენარეების დაავადებების ზრდა. ამისგან განსხვავებით 2022 წელს 74%-ს არ აღემატებოდა ისეთ რესპონდენტთა წილი, რომლებიც ამინდის ექსტრემალური გამოვლინებების გახშირებაზე, ბიომრავალფეროვნების შემცირებასა და მყინვარების რაოდენობისა და ფართობის შემცირებაზე გამოთქვამდნენ წუხილს.

აღსანიშნავია, რომ 2022 წლის შედეგებისგან განსხვავებით, შედარებით გაზრდილია მოსახლეობის ცნობიერების/ინფორმირებულობის დონე ისეთ უარყოფით გამოვლინებებთან მიმართებით, რომლებიც ყოველდღიურობაში ნაკლებად შესამჩნევია და დამხმარე/დამატებითი წყაროების (ტელევიზია, პრესა, ინტერნეტი და ა.შ.) გარეშე მათ შესახებ ინფორმაციის მიღება თითქმის შეუძლებელია. კერძოდ, 2023 წლის რესპონდენტთა 37.1% აცხადებს, ბოლო წლების განმავლობაში არ შეუნიშნავთ კლიმატის ცვლილებით გამოწვეული გაუდაბნოების გაძლიერებული პროცესი (2022 – 30%); 2022-2023 წლების კვლევის მონაცემების შედარება აჩვენებს მყინვარების რაოდენობის და ფართობის შემცირების ფაქტების შესახებ მოსახლეობის თითქმის თანაბრად არ ფლობდა/ფლობს ინფორმაციას (2023 – 29.3%; 2022 წელი - 29.4%). როგორც 2023, ასევე, 2022 წლებში გამოკითხულთა შორის რესპონდენტთა მეოთხედს უტოლდება ისეთთა წილი, რომლებსაც უკანასკნელი წლების განმავლობაში ბიომრავალფეროვნების, მწერების, ცხოველების/მცენარეების პოპულაციის და წყლის რესურსების შემცირებასთან დაკავშირებული ცვლილებები არ შეუნიშნავს (იხ. ცხრილი #6).

**ცხრილი #6**

თქვენი დაკვირვებით, კლიმატის ცვლილებით გამოწვეული რა ცვლილებები შეგინიშნავთ ბოლო წლებში?	2023 წელი (N=1259)			2022 წელი (N=1500)		
	დას	არა	არ ვიცი/უარი პასუხზე	დას	არა	არ ვიცი/უარი პასუხზე
	%					
გახშირებული ბუნებრივი კატასტროფები (წყალდიდობა, მეწყერი, ღვარცოფი და ა.შ.)	92.8	6.8	0.5	84.1	15.1	0.8
გახშირებული გვალვები	86.2	11.7	2.1	89.8	9.1	1.1
მაღალი ტემპერატურა, უფრო ინტენსიური/ხშირი ცხელი ჰაერის ტალღებით	89	9.7	1.4	89.6	9.2	1.2
სხვა გახშირებული ექსტრემალური ამინდის გამოვლინებები (ქარი, თოვლი, სეტყვა და ა.შ.)	85.2	12.8	2	73.8	24	2.1
მყინვარების რაოდენობის და ფართობის შემცირება	57.8	29.3	12.9	60.8	29.4	9.8
გაუდაბნოების პროცესის გაძლიერება	49.6	37.1	13.4	57.7	30	12.3
ბიომრავალფეროვნების, მწერების, ცხოველების და მცენარეების პოპულაციის შემცირება	66.8	26	7.3	67	25.1	7.9

შემცირებული წყლის რესურსები	71	25.3	3.7	77	20.6	2.4
შემცირებული მოსავალი	87.1	9.7	3.2	92.5	5.2	2.2
ცხოველებისა და მცენარეების დაავადებების ზრდა	83.3	12.3	4.5	85.4	9.4	5.2
ადამიანის ჯანმრთელობის გაუარესება	90.6	7.3	2	96	3.2	1

რესპონდენტთა გეოგრაფიული განაწილების მიხედვით, ბოლო წლებში, კლიმატის ცვლილებით გამოწვეული პრობლემები/გამოწვევები, გარდა გამოწვევებისა, უფრო მეტად აღმოსავლეთ (თბილისის გარდა) და დასავლეთ საქართველოს მაცხოვრებლებისთვის არის შესამჩნევი, ვიდრე დედაქალაქის მოსახლეობისთვის. კერძოდ, მაშინ, როდესაც თბილისში გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა (98.3%) აცხადებს, რომ კლიმატის ცვლილების შედეგად ბოლო პერიოდში ბუნებრივი კატასტროფები (წყალდიდობა, მეწყერი, ღვარცოფი და ა.შ.) გახშირდა, ამავე კოჰორტაში არც თუ ისე დაბალია ისეთთა წილი, რომელთა ყურადღების მიღმა რჩება ბუნებრივ გარემოში მიმდინარე სხვა მნიშვნელოვანი ცვლილებები. მაგალითად, თბილისის მოსახლეობის 46.6%-სთვის შეუმჩნეველია გაძლიერებული გაუდაბნოების პროცესი. აღნიშნულთან დაკავშირებით ანალოგიურ შეფასებას აფიქსირებს რეგიონების მოსახლეობის დიდი ნაწილიც (დასავლეთი - 35%; აღმოსავლეთი - 30.5%). ამასთან, დედაქალაქში 38% აცხადებს, რომ კლიმატის ცვლილების შედეგად ბოლო წლებში არც წყლის რესურსები შემცირებულა; სულ მცირე ყოველი მესამე რესპონდენტი კი დასძენს, რომ არც ბიომრავალფეროვნების, მწერების, ცხოველებისა და მცენარეების პოპულაციის შემცირება შეინიშნება. აგრეთვე, საინტერესოა, რომ დედაქალაქის მოსახლეობის მეოთხედი არ ფლობს ინფორმაციას ცხოველებისა და მცენარეების დაავადებების ზრდაზე, მეხუთედი კი შემცირებულ მოსავალთან დაკავშირებით არის არაინფორმირებული.

თბილისისგან განსხვავებით, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში შედარებით მაღალია ისეთ რესპონდენტთა წილი, რომელთათვისაც კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ნეგატიური შედეგები ხილვადია. ეს ერთი მხრივ, შესაძლოა გამოწვეული იყოს იმ ფაქტით, რომ რეგიონების მოსახლეობა უფრო მეტად არის დაკავებული აგრარული საქმიანობით (მინათმოქმედება, მესაქონლეობა და ა.შ.) და ისეთი ცვლილებები, როგორებიცაა გახშირებული გვალვები (დასავლეთ საქართველო - 88.6%; აღმოსავლეთ საქართველო - 89.5%; თბილისი - 80%) და ცხოველებისა და მცენარეების დაავადებების ზრდა (დასავლეთ საქართველო - 88.7%; აღმოსავლეთ საქართველო - 91.7%; თბილისი - 68%) პირდაპირ გავლენას ახდენს მათ ეკონომიკურ საქმიანობაზე. მაგალითად, შემცირებულ მოსავალზე მიუთითებს დასავლეთ (91.2%) და აღმოსავლეთ (95.5%) საქართველოში გამოკითხულთა 90%-ზე მეტი მაშინ, როდესაც თბილისში ასეთთა წილი 73.3%-ია; აქვე, საინტერესოა, რომ თბილისთან შედარებით (82.1%), რეგიონებში რამდენადმე მაღალია ისეთთა პროცენტული მაჩვენებელი, რომლებიც აცხადებენ, რომ კლიმატის ცვლილების შედეგად ადამიანების ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა: დასავლეთ საქართველო - 93.3%; აღმოსავლეთ საქართველო - 95.7%; (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა:  $p < 0.05$ ) (იხ. ცხრილი #7).

**ცხრილი #7**

თქვენი დაკვირვებით, კლიმატის ცვლილებით გამოწვეული რა ცვლილებები შეგინიშნავთ ბოლო წლებში? (N=1259)  (გეოგრაფიული მხარე/თბილისის ჭრილი)		დიახ	არა	არ ვიცი/უარი პასუხზე
		%		
გახშირებული ბუნებრივი კატასტროფები (წყალდიდობა, მეწყერი, ღვარცოფი და ა.შ.) ( $\chi^2=50.905$ ; $p<0.05$ )	თბილისი	98.3	1.7	-
	დასავლეთ საქართველო	94.3	4.8	0.9
	აღმოსავლეთ საქართველო	86.5	13.1	0.4
გახშირებული გვალვები ( $\chi^2=21.881$ ; $p<0.05$ )	თბილისი	80	17.1	2.9
	დასავლეთ საქართველო	88.6	8.8	2.5
	აღმოსავლეთ საქართველო	89.5	9.6	1
სხვა გახშირებული ექსტრემალური ამინდის გამოვლინებები (ქარი, თოვლი, სეტყვა და ა.შ.) ( $\chi^2=17.508$ ; $p<0.05$ )	თბილისი	82.8	15.6	1.6
	დასავლეთ საქართველო	81.5	15.6	2.8
	აღმოსავლეთ საქართველო	90.4	7.9	1.7
გაუდაბნობის პროცესის გაძლიერება ( $\chi^2=31.504$ ; $p<0.05$ )	თბილისი	42.6	46.6	10.8
	დასავლეთ საქართველო	47.8	35	17.1
	აღმოსავლეთ საქართველო	57.3	30.5	12.3
ბიომრავალფეროვნების, მწერების, ცხოველების და მცენარეების პოპულაციის შემცირება ( $\chi^2=44.085$ ; $p<0.05$ )	თბილისი	57.4	34.5	8.1
	დასავლეთ საქართველო	64.1	25.9	10
	აღმოსავლეთ საქართველო	77.3	18.6	4.1
შემცირებული წყლის რესურსები ( $\chi^2=121.484$ ; $p<0.05$ )	თბილისი	58.6	38	3.4
	დასავლეთ საქართველო	63.4	29.6	7
	აღმოსავლეთ საქართველო	88.6	10.3	1.1
შემცირებული მოსავალი ( $\chi^2=113.852$ ; $p<0.05$ )	თბილისი	73.3	21.8	5
	დასავლეთ საქართველო	91.2	4.9	3.9
	აღმოსავლეთ საქართველო	95.5	3.3	1.2
ცხოველებისა და მცენარეების დაავადებების ზრდა ( $\chi^2=105.252$ ; $p<0.05$ )	თბილისი	68	25	7
	დასავლეთ საქართველო	88.7	6.7	4.6
	აღმოსავლეთ საქართველო	91.7	6.2	2.1
ადამიანის ჯანმრთელობის გაუარესება ( $\chi^2=59.195$ ; $p<0.05$ )	თბილისი	82.1	15.4	2.5
	დასავლეთ საქართველო	93.3	4.1	2.5
	აღმოსავლეთ საქართველო	95.7	3.1	1.2

კვლევაში მონაწილე პირთა დასახლების ტიპის დონეზე საკითხის დამუშავება აჩვენებს, რომ ურბანული ტიპის გეოგრაფიული არეალების (თბილისის ჩათვლით) მაცხოვრებლებთან შედარებით, სოფლის მოსახლეობა უფრო მეტად და ნათლად აღიქვამს კლიმატის ცვლილებით გამოწვეულ ნეგატიურ შედეგებს. მაგალითად, ისეთი ცვლილებები, როგორებიცაა ცხოველებისა და მცენარეების დაავადებების ზრდა, მცენარეებისა როდენობისა და ფართობის შემცირება, შემცირებული მოსავალი, შემცირებული წყლის რესურსები, გახშირებული გვალვები და ბიომრავალფეროვნების პოპულაციის კლება, გაუდაბნობის პრო-

ცესის გაძლიერება - ნაკლებად რჩება სოფლის მოსახლეობის ყურადღების მიღმა, მაშინ როდესაც ქალაქში ასეთთა წილი შედარებით დაბალია. კერძოდ, რურალური და ურბანული ტიპის დასახლებებში გამოკითხულ იმ რესპონდენტთა პროცენტულ მაჩვენებლებს შორის სხვაობა, რომლებიც კლიმატის ცვლილებით გამოწვეულ ზემოთ ჩამოთვლილ გამოწვევებს/სირთულეებს ამჩნევენ 13%-18%-მდე მერყეობს. აღსანიშნავია, რომ ადამიანების ჯანმრთელობის გაუარესება შედარებით თანაბრად ხილვადი აღმოჩნდა ქალაქისა (თბილისის ჩათვლით) (87.7%) და სოფლის (96.3%) მოსახლეობისთვის (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა:  $p < 0.05$ ) (იხ. ცხრილი #8).

### ცხრილი #8

თქვენი დაკვირვებით, კლიმატის ცვლილებით გამოწვეული რა ცვლილებები შეგინიშნავთ ბოლო წლებში? (N=1259)  (დასახლების ტიპის ჭრილი)		დას	არა	არ ვიცი/უარი პასუხზე
		%		
გახშირებული გვალვები ( $\chi^2=14.949$ ; $p < 0.05$ )	ქალაქი (თბილისის ჩათვლით)	82.7	14.4	2.9
	სოფელი	92.9	6.6	0.5
მაღალი ტემპერატურა, უფრო ინტენსიური/ხშირი ცხელი ჰაერის ტალღებით ( $\chi^2=7.258$ ; $p < 0.05$ )	ქალაქი (თბილისის ჩათვლით)	87.9	10.4	1.7
	სოფელი	91	8.2	0.7
მცინვარების რაოდენობის და ფართობის შემცირება ( $\chi^2=24.257$ ; $p < 0.05$ )	ქალაქი (თბილისის ჩათვლით)	53.6	32.2	14.2
	სოფელი	66	23.6	10.4
გაუდაბნობის პროცესის გაძლიერება ( $\chi^2=10.376$ ; $p < 0.05$ )	ქალაქი (თბილისის ჩათვლით)	45.3	40.3	14.3
	სოფელი	57.6	30.9	11.5
ბომრავალფეროვნების, მწერების, ცხოველების და მცენარეების პოპულაციის შემცირება ( $\chi^2=9.857$ ; $p < 0.05$ )	ქალაქი (თბილისის ჩათვლით)	62.1	29.3	8.5
	სოფელი	75.6	19.6	4.8
შემცირებული წყლის რესურსები ( $\chi^2=13.596$ ; $p < 0.05$ )	ქალაქი (თბილისის ჩათვლით)	65.5	30	4.5
	სოფელი	81.5	16.3	2.2
შემცირებული მოსავალი ( $\chi^2=16.726$ ; $p < 0.05$ )	ქალაქი (თბილისის ჩათვლით)	82.1	13.4	4.6
	სოფელი	96.6	2.6	0.7
ცხოველებისა და მცენარეების დაავადებების ზრდა ( $\chi^2=26.541$ ; $p < 0.05$ )	ქალაქი (თბილისის ჩათვლით)	77	16.6	6.4
	სოფელი	95.1	4.1	0.7
ადამიანის ჯანმრთელობის გაუარესება ( $\chi^2=7.454$ ; $p < 0.05$ )	ქალაქი (თბილისის ჩათვლით)	87.7	9.7	2.7
	სოფელი	96.3	2.9	0.8



ზემოთ აღწერილი საკითხთან მიმართებით ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა 91% აცხადებს, რომ კლიმატის ცვლილების ნეგატიური ეფექტი, რაც ბოლო წლებში გამოიკვეთა ადამიანის ჯანმრთელობის გაუარესებაა. ამასთან, 80%-ს აჭარბებს ისეთთა რაოდენობა, რომლებიც კლიმატის ცვლილებით გამოწვეულ ისეთ შედეგებზე მიუთითებენ, როგორებიცაა: შემცირებული მოსავალი (89.5%), ცხოველებისა და მცენარეების დაავადებების ზრდა (84.6%), გახშირებული გვალვები (84.2%), მაღალი ტემპერატურა (81.8%) და შემცირებული წყლის რესურსები (81%). აღნიშნულ ჯგუფში შედარებით ნაკლებია მათი წილი, რომლებიც მყინვარების რაოდენობის და ფართობის შემცირებასა და გაუდაბნოების პროცესის გაძლიერებაზე საუბრობენ (იხ. ცხრილი #9).


### ცხრილი #9

თქვენი დაკვირვებით, კლიმატის ცვლილებით გამოწვეული რა ცვლილებები შეგინიშნავთ ბოლო წლებში? (N=383)  (ეთნიკური უმცირესობები)	დაახ	არა	არ ვიცი/უარი პასუხზე
	%		
გახშირებული ბუნებრივი კატასტროფები (წყალდიდობა, მენწყერი, ღვარცოფი და ა.შ.)	70.5	28.9	0.7
გახშირებული გვალვები	84.2	14.4	1.3
მაღალი ტემპერატურა, უფრო ინტენსიური/ხშირი ცხელი ჰაერის ტალღებით	81.8	17	1.1
სხვა გახშირებული ექსტრემალური ამინდის გამოვლინებები (ქარი, თოვლი, სეტყვა და ა.შ.)	76.3	19.3	4.4
მყინვარების რაოდენობის და ფართობის შემცირება	36.9	43.2	19.9
გაუდაბნოების პროცესის გაძლიერება	39.2	45.9	14.9
ბიომრავალფეროვნების, მწერების, ცხოველების და მცენარეების პოპულაციის შემცირება	71	26.5	2.5
შემცირებული წყლის რესურსები	81	17.1	1.8
შემცირებული მოსავალი	89.5	8.7	1.8
ცხოველებისა და მცენარეების დაავადებების ზრდა	84.6	13.2	2.3
ადამიანის ჯანმრთელობის გაუარესება	91.2	7.3	1.5

გამოკითხვაში მონაწილე პირებმა განსაზღვრეს, თუ რა მიმართულებით მიუძღვით ნეგატიური წვლილი კლიმატის ცვლილების პროცესში. ამ თვალსაზრისით, რესპონდენტთა ყველაზე დიდი ნაწილი მათი მხრიდან უპასუხისმგებლობად მიიჩნევს ენერჯის ჭარბ მოხმარებას (28.9%), ნარჩენების წარმოქმნას (26.9%) და საკუთარი მანქანით გადაადგილების პრაქტიკას (24.7%). ანალოგიური ტენდენცია ვლინდება წინა რაუნდის კვლევის შედეგებშიც (2022 წელი: ენერჯის ჭარბი მოხმარება - 37%; საკუთარი მანქანით გადაადგილება - 28.8%; ნარჩენების წარმოქმნა - 28.5%;). 2023 წელს გამოკითხული რესპონდენტები საკუთარ უარყოფით როლს შედარებით იშვიათად ხსნიან ისეთი ქმედებებით, როგორებიცაა: არაენერგოეფექტური ტექნოლოგიების გამოყენება (12.5%) და ხეების მოჭრა/ტყეების გაჩეხვა (15.4%), მაშინ როდესაც 2022 წლის მონაცემების მიხედვით მოსახლეობა უფრო ხშირად სწორედ ხეების მოჭრა/ტყეების გაჩეხვის (24.6%) მავნე ჩვევას/პრაქტიკას მიაწერდა საკუთარ თავს (იხ. დიაგრამა #12).

## დიაგრამა #12

### რაში ხედავთ საკუთარ უარყოფით როლს კლიმატის ცვლილების პროცესში?



რესპონდენტთა სქესის ჭრილში საკითხის გაანალიზება აჩვენებს, რომ როგორც 2023, ასევე, 2022 წლის გამოკითხვაში მონაწილე კაცი რესპონდენტები საკუთარ ნეგატიურ წვლილს კლიმატის ცვლილების პროცესში ყველაზე ხშირად ავტომობილით გადაადგილების ჩვევით ხსნიან (2023 წელი: 34.5%; 2022 წელი: 34.2%). ამასთან, აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის ამავე სეგმენტის მიერ, ენერჯის ჭარბი მოხმარება, როგორც უარყოფითი ეფექტის მქონე რიგით მეორე ქმედება, წინა წელთან შედარებით ნაკლებად დასახელდა (2023 წელი: 26.7%; 2022 წელი: 31.1%). რაც შეეხება მდებარეობითი სქესის წარმომადგენელი რესპონდენტების პრაქტიკებს, კვლევის შედეგების გათვალისწინებით, ბოლო ერთი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად შემცირდა კლიმატის ცვლილების პროცესზე გავლენის მქონე ისეთი მავნე ჩვევის დასახელების პროცენტული მაჩვენებელი, როგორიცაა ენერჯის ჭარბი მოხმარება (2023 წელი: 30.8%; 2022 წელი: 41.5%). გარდა ამისა, საგულისხმოა, რომ კლიმატის ცვლილე-

ბის პროცესში ქალი რესპონდენტების უარყოფითი როლის განმსაზღვრელ მეორე რიგის ფაქტორად, ისევე, როგორც 2022 წელს (30.7%), ამჟამადაც (27.7%) ნარჩენების წარმოქმნა სახელდება (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა:  $\chi^2= 75.119$ ;  $p<0.05$ ) (იხ. ცხრილი #10).

**ცხრილი #10**

რაში ხედავთ საკუთარ უარყოფით როლს კლიმატის ცვლილების პროცესში?  (სქესის ჭრილი)	2023 წელი (N=1259)		2022 წელი (N=1500)	
	კაცი	ქალი	კაცი	ქალი
	%			
ენერჯის ჭარბი მოხმარება	26.7	30.8	32.1	41.5
საკუთარი მანქანით გადაადგილება	34.5	16.4	34.2	23.8
არაენერგოეფექტური ტექნოლოგიების გამოყენება	10.5	14.2	10.4	13.6
ყანების გადანვა	3.1	3.5	4.7	6.4
სველი შეშის და არაენერგოეფექტური ღუმელების გამოყენება	9.6	8.8	6.4	7.7
ნარჩენების წარმოქმნა	26.1	27.7	26.1	30.7
ხეების მოჭრა/ტყეების გაჩეხვა	17.6	13.6	25.2	24
თვითმფრინავით ხშირი მოგზაურობა	1.1	1.7	3.1	2.4
ხორცის დიდი რაოდენობით მოხმარება	4.7	4.8	7.6	5.4
სხვა	4.8	5.2	0.6	0.3
არცერთი	-	-	3	2.3
არ ვიცი/უარი პასუხზე	22.7	29.9	16.9	15.7

კვლევაში მონაწილე პირთა დასახლების ტიპის დონეზე საკითხის სტატისტიკური ანალიზი ცხადყოფს, რომ, როგორც ქალაქის, ასევე, სოფლის მაცხოვრებლების წარმოდგენები კლიმატის ცვლილების პროცესში მათი ქცევების/ქმედებების უარყოფით როლთან მიმართებით შეცვლილია. კერძოდ, მაშინ, როდესაც 2022 წელს ურბანული ტიპის დასახლებებში გამოკითხული პირები კლიმატზე მათ ნეგატიურ ზემოქმედებას ყველაზე ხშირად ისეთი ფაქტორებით ხსნიდნენ, როგორებიცაა ენერჯის ჭარბი მოხმარება (40%) და საკუთარი მანქანით გადაადგილება (32.5%), 2023 წლის კვლევაში პასუხის აღნიშნული ვარიანტების დაფიქსირების მაჩვენებელი რამდენადმე შემცირდა (ენერჯის ჭარბი მოხმარება - 27.2%; საკუთარი მანქანით გადაადგილება - 24.2%). ამასთან, საგულისხმოა, რომ მიმდინარე წელს, გასულთან შედარებით, უფრო მეტად აქტუალური ნარჩენების წარმოქმნით კლიმატისთვის/გარემოსთვის ზიანის მიყენების საკითხი აღმოჩნდა, ვიდრე საკუთარი მანქანით გადაადგილება. რაც შეეხება რურალური ტიპის დასახლებებს, 2022-23 წლებში თანაბრად პრობლემურია ენერჯის ჭარბი მოხმარების საკითხი (2023 წელი: 32.6%; 2022 წელი - 32.1%). გარდა ამისა, თუკი, 2023 წელს მეორე რიგის პრობლემად საკუთარი მანქანით გადაადგილება (25.7%) გამოიკვეთა, ასეთად 2022-ში ხეების მოჭრა/ტყეების გაჩეხვა ფიქსირდებოდა (30.9%). აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელ მავნე პრაქტიკაზე, ბოლო გამოკითხვაში მონაწილე რესპონდენტები (სოფლების მაცხოვრებლები) შედარებით ნაკლებად მიუთითებენ (2023 წელი: 18.5%; 2022 წელი: 30.9%) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა:  $\chi^2= 50.182$ ;  $p<0.05$ ) (იხ. ცხრილი #11).

**ცხრილი #11**

რაში ხედავთ საკუთარ უარყოფით როლს კლიმატის ცვლილების პროცესში? (დასახლების ტიპის ჭრილი)	2023 წელი (N=1259)		2022 წელი (N=1500)	
	ქალაქი (თბილისის ჩათვლით)	სოფელი	ქალაქი (თბილისის ჩათვლით)	სოფელი
	%			
ენერჯის ჭარბი მოხმარება	27.2	32.1	40	32.6
საკუთარი მანქანით გადაადგილება	24.2	25.7	32.5	23.5
არაენერგოეფექტური ტექნოლოგიების გამოყენება	14.4	8.9	13.6	9.8
ყანების გადანვა	1.7	6.4	3.9	8
სველი შეშის და არაენერგოეფექტური ღუმელების გამოყენება	4.5	17.9	3.9	11.6
ნარჩენების წარმოქმნა	28.7	23.5	29.9	26.4
ხეების მოჭრა/ტყეების გაჩეხვა	13.8	18.5	20.1	30.9
თვითმფრინავით ხშირი მოგზაურობა	1.8	0.8	2.9	2.5
ხორცის დიდი რაოდენობით მოხმარება	5.6	3.1	8.5	3.4
სხვა	6.1	2.9	0.1	0.9
არცერთი	-	-	3.3	1.8
არ ვიცი/უარი პასუხზე	26.3	27.1	13.7	20

ზემოთქმულთან ერთად, საინტერესოა კვლევაში მონაწილე პირთა წლოვანების ჭრილში მათი შეფასებების დიფერენცირება. კერძოდ, 2023-2022 წლის სტატისტიკური მონაცემების შედარება ცხადყოფს, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში 18-24 წლამდე ასაკის პირებში მნიშვნელოვნად შემცირდა კლიმატის ცვლილებაზე უარყოფითი ეფექტის მქონე ისეთი ქმედებების განხორციელების მაჩვენებელი, როგორებიცაა: ენერჯის ჭარბი მოხმარება (2023 წელი: 33.1%; 2022 წელი: 46%) და საკუთარი მანქანით გადაადგილება (2023 წელი: 17.5%; 2022 წელი: 31.6%). 25-34 (2023 წელი: 11.2%; 2022 წელი: 24.9%) და 35-44 წლის (2023 წელი: 15.2%; 2022 წელი: 25.4%) ასაკობრივი კატეგორიის წარმომადგენელთა ჯგუფებში კი კვლევის წინა რაოდენობით შედარებით ნაკლებად სახელდება ისეთი ნეგატიური აქტივობა, როგორიცაა ხეების მოჭრა/ტყეების გაჩეხვა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ შუახნის ასაკის მოსახლეობა წინა წელთან შედარებით უფრო ხშირად გადაადგილდება საკუთარი მანქანით და ასევე, უფრო მეტად იყენებს არაენერგოეფექტურ ტექნოლოგიებს. რაც შეეხება 45-55 წლის რესპონდენტების შეფასებებს, კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ აღნიშული ჯგუფის წარმომადგენლებში, წინა წლისგან განსხვავებით, შეამცირდა ენერჯის ჭარბად გამოყენების და საკუთარი მანქანით გადაადგილების პრაქტიკა, თუმცა, რამდენადმე გაიზარდა ისეთი უარყოფითი ქმედების დაფიქსირების მაჩვენებელი, როგორიცაა ნარჩენების წარმოქმნა (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა;  $\chi^2 = 137.581$ ;  $p < 0.05$ ) (იხ. ცხრილი #12).


**ცხრილი #12**

რაში ხედავთ საკუთარ უარყოფით როლს კლიმატის ცვლილების პროცესში? 2023 წელი- N=1053; 2022 წელი - N=1500; (ასაკის ჯგუფი)		18-24 წლის	25-34 წლის	35-44 წლის	45-54 წლის	55-65 წლის
		%				
ენერჯის ჭარბი მოხმარება	2023 წელი	33.1	33.9	30.1	28.8	27.6
	2022 წელი	46	38.3	33.8	38.5	29.5
საკუთარი მანქანით გადაადგილება	2023 წელი	17.5	30.8	34.3	24.5	22.2
	2022 წელი	31.6	33.3	27	30.2	21.8
არაენერგოეფექტური ტექნოლოგიების გამოყენება	2023 წელი	12.6	11.8	18.2	15.3	8.8
	2022 წელი	15.9	12.4	11.1	10.3	11.3
ყანების გადაწვა	2023 წელი	2.6	1.8	3.3	3.4	4.4
	2022 წელი	3.8	6.2	4.3	7	6.2
სველი შუშის და არაენერგოეფექტური ღუმელების გამოყენება	2023 წელი	8.1	7.9	9.1	7.2	10.2
	2022 წელი	6.6	5.4	7.6	9	6.7
ნარჩენების წარმოქმნა	2023 წელი	31.1	28.9	27.2	31.4	24.9
	2022 წელი	29.8	30.6	29.2	25.2	27.9
ხეების მოჭრა/ტყეების გაჩეხვა	2023 წელი	11.2	11.2	15.2	15.3	21.8
	2022 წელი	17.5	24.9	25.4	29.7	23.2
თვითმფრინავით ხშირი მოგზაურობა	2023 წელი	1.5	0.4	2.2	1.5	3
	2022 წელი	3.7	4	2.9	1.5	1.8
ხორცის დიდი რაოდენობით მოხმარება	2023 წელი	7	5.4	8	2.4	4.2
	2022 წელი	8.1	7.8	4.5	5.3	6.8
სხვა	2023 წელი	3.6	3.3	5.5	4.2	5.2
	2022 წელი	0.3	0.4	0.3	0.8	0.4
არცერთი	2023 წელი	-	-	-	-	-
	2022 წელი	2.2	2	2.2	3	3.9
არ ვიცი/უარი პასუხზე	2023 წელი	32.3	24.4	22	23.2	25.6
	2022 წელი	11.8	13.8	18.5	16.6	20

ეთნიკურად არაქართველ რესპონდენტთა შორის, კლიმატის ცვლილების პროცესში საკუთარი უარყოფითი როლის გამომწვევი მიზეზების დასახელებისას ყველა ხშირ ფაქტორად ხეების მოჭრა/ტყეების გაჩეხვა (29%) და ენერჯის ჭარბი მოხმარება (28.3%) გამოიკვეთა. თითქმის თანაბრად მნიშვნელოვან პოზიციას იკავებს ისეთი არაკლიმატმეგობრული აქტივობის განხორციელება, როგორცაა ნარჩენების წარმოქმნა (18.7%) და საკუთარი მანქანით გადაადგილება (17.8%). აქვე, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ჯგუფში ხშირად ფიქსირდება „არ ვიცი/უარი პასუხზე“ პასუხის კატეგორია (32.6%) (იხ. დიაგრამა #13).

## დიაგრამა #13

### რაში ხედავთ საკუთარ უარყოფით როლს კლიმატის ცვლილების პროცესში? (N=383) (ეთნიკური უმცირესობები)




ვინაიდან, კლიმატის ცვლილება, როგორც ნეგატიური მოვლენა, კაცობრიობის ერთ-ერთი უდიდესი გამოწვევაა და ამ პროცესზე ადამიანი საკუთარი სამეურნეო, ეკონომიკური თუ სხვა ტიპის საქმიანობით/ჩვევებით უდიდეს ზეგავლენას ახდენს, ცხადია, საზოგადოების ცხოვრების სტილის შეცვლის აუცილებლობის საჭიროება იკვეთება. კვლევის ფარგლებში (2023, 2022) რესპონდენტებმა დაასახელეს კლიმატის ცვლილებასთან საბრძოლველად მნიშვნელოვანი ქმედებებიდან ის ძირითადი სამი, რომლებიც მათთვის ყველაზე რთულად მისაღწევია. აღსანიშნავია, რომ 2023 და 2022 წლებში მსგავსი ტენდენციები გამოვლინდა. კერძოდ, 2023 წელს პირველი რიგის სირთულედ ბუნებრივი აირის, ელექტროენერჯის და სათბობი საწვავის დაზოგვით ენერჯის მოხმარების შემცირება (39.3%) იდენტიფიცირდა, რაც ასევე, აქტუალური პრობლემა იყო კვლევის წინა რაუნდის მონაწილეთათვის (40.9%).

მეორე გამოწვევად, 2023 წელს გამოკითხულთა საკუთარი ავტომობილით გადაადგილების შემცირება და საზოგადოებრივი ტრანსპორტის უფრო ხშირად გამოყენება (31.7%) დასახელდა. აღნიშნული სირთულის დასახელების პროცენტული მაჩვენებელი 2022 წელს 19%-ს შეადგენდა. ასევე, წლების მიხედვით, განსხვავებულია პლასტმასის და ცელოფანის მოხმარების შემცირების, როგორც სირთულის - იდენტიფიცირების პროცენტული წილი (2023 - 16.2%; 2022 - 9.7%); (იხ. დიაგრამა #14).

## დიაგრამა #14

### კლიმატის ცვლილებასთან საბრძოლველად შემდეგ ქმედებებს შორის, რომელი იქნება პირადად თქვენთვის ყველაზე რთული?



კლიმატის ცვლილებასთან საბრძოლველად ყველაზე რთულად შესასრულებელ აქტივობებად 2022 და 2023 წლებში ქალი და კაცი რესპონდენტების მიერ ბუნებრივი აირის, ელექტროენერჯის და სათბობი საწვავის დაზოგვით ენერჯის მოხმარების შემცირება და საკუთარი ავტომობილით გადაადგილების შემცირება/საზოგადოებრივი ტრანსპორტის უფრო ხშირად გამოყენება დასახელდა. აღსანიშნავია, რომ 2023 წელს, წინა წელთან შედარებით, როგორც მამრობითი, ასევე, მდედრობითი სქესის რესპონდენტებს შორის მნიშვნელოვნად გაიზარდა საკუთარი ავტომობილის ნაცვლად, საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილების, როგორც ყველაზე რთული აქტივობის დაფიქსირების მაჩვენებელი (კაცი: 2023 – 44.8%; 2022 – 26.8%; ქალი: 2023 – 20.5%; 2022 – 11.8%). ზრდის დინამიკა შეინიშნება ისეთი ჩვევის ჩამოყალიბებასთან მიმართებით, როგორიცაა ახალი სამოსის შეძენაზე უარის თქმა (კაცი: 2023 – 5.7%; 2022 – 0.8%; ქალი: 2023 – 1.9%; 2022 – 8.2%) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა:  $\chi^2 = 120.289$   $p < 0.05$ ) (იხ. ცხრილი #13)

**ცხრილი #13**

კლიმატის ცვლილებასთან საბრძოლველად შემდეგ ქმედებებს შორის, რომელი იქნება პირადად თქვენთვის ყველაზე რთული?  (სქესის ჭრილი)	2023 წელი (N=1259)		2022 წელი (N=1500)	
	კაცი	ქალი	კაცი	ქალი
	%			
ენერჯის მოხმარების შემცირება, ბუნებრივი აირის, ელექტროენერჯის და სათბობი საწვავის დაზოგვით	35.2	42.8	32.4	48.8
საკუთარ ავტომობილით გადაადგილების შემცირება და საზოგადოებრივი ტრანსპორტის უფრო ხშირად გამოყენება	44.8	20.5	26.8	11.8
ხშირად ფრენაზე უარის თქმა	1.1	2	1.2	1.8
ახალი სამოსის ხშირად შეძენაზე უარის თქმა	5.7	10.8	0.8	3.1
კვების სტილის რადიკალურად შეცვლა (ხორცის მოხმარებაზე უარის თქმა)	11.3	12.2	7.3	4.4
ნარჩენების წარმოქმნის შემცირება და ნარჩენების დახარისხება	11.6	12.9	8.1	5.5
საყოფაცხოვრებო ტექნიკის შეძენისას ენერგოეფექტური მოდელებისთვის უპირატესობის მინიჭება	5.1	8.2	0.9	1.9
ერთჯერადის ნაცვლად, მრავალჯერადი მოხმარების ნივთების შეძენა და გამოყენება	6.9	10.4	2.7	3.6
პლასტმასის და ცელოფანის მოხმარების შემცირება	14.5	17.7	9.6	9.8
სხვა	2.7	2.5	1.1	0.7
არ ვიცი/უარი პასუხზე	16.7	20.2	9.1	8.5

ასაკის ჭრილში საკითხის სტატისტიკური დამუშავება ცხადყოფს, რომ კლიმატის ცვლილებასთან საბრძოლველად საჭირო ქმედებებიდან 2023 წლის გამოკითხვაში, წინა რაუნდთან შედარებით, სირთულედ უფრო ხშირად იდენტიფიცირდება ისეთი აქტივობების განხორციელება, როგორებიცაა: საკუთარი ავტომობილით გადაადგილების ნაცვლად, საზოგადოებრივი ტრანსპორტის გამოყენება, ახალი სამოსის შეძენაზე უარის თქმა, ნარჩენების წარმოქმნის შემცირება/დახარისხება და კვების სტილის რადიკალურად შეცვლა. აქვე, აღსანიშნავია, რომ თუ 2022 წელს მგზავრობისთვის საზოგადოებრივი ტრანსპორტის გამოყენება სირთულეს ყველაზე მეტად 25-34 წლის მოსახლეობისთვის წარმოადგენდა (22.2%), 2023 წელს აღნიშნული ქმედება, როგორც რთულად გადასალახი ბარიერი უფრო მეტი სიხშირით შუახნის მოსახლეობის მიერ სახელდება (45.3%). ამასთან, მაშინ, როდესაც თითოეულ ასაკობრივ კატეგორიაში, გასული წლის მონაცემებთან შედარებით რამდენადმე შემცირებულია, ბუნებრივი აირის, ელექტროენერჯის და სათბობი საწვავის დაზოგვით ენერჯის მოხმარების შემცირების, როგორც რთულად განსახორციელებელი ქმედების დასახელების პროცენტული მაჩვენებელი, 55-65 წლამდე ასაკობრივ კატეგორიაში ამ მიმართულებით ზრდის დინამიკა ვლინდება. (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა:  $\chi^2 = 188.403$ ;  $p < 0.05$ ) (იხ. ცხრილი #14)



**ცხრილი #14**

კლიმატის ცვლილებასთან საბრძოლველად შემდეგ ქმედებებს შორის, რომელი იქნება პირადად თქვენთვის ყველაზე რთული?  (ასაკის ჭრილი)  2023 წელი- N=1053; 2022 წელი - N=1500;		18-24 წლის	25-34 წლის	35-44 წლის	45-54 წლის	55-65 წლის
		%				
ენერჯის მოხმარების შემცირება, ბუნებრივი აირის, ელექტროენერჯის და სათბობი საწვავის დაზოგვით	2023 წელი	46.4	40.9	37.3	37.5	37.6
	2022 წელი	47.3	43.3	39.6	41.7	33.3
საკუთარ ავტომობილით გადაადგილების შემცირება და საზოგადოებრივი ტრანსპორტის უფრო ხშირად გამოყენება	2023 წელი	26.1	37.7	45.3	33.6	25.1
	2022 წელი	15.4	22.2	18.7	19.8	17.8
ხშირად ფრენაზე უარის თქმა	2023 წელი	1.3	2.2	2.3	1.5	2.1
	2022 წელი	1.8	3.2	1.5	-	1.1
ახალი სამოსის ხშირად შეძენაზე უარის თქმა	2023 წელი	20.8	12.4	9.1	6.1	3.8
	2022 წელი	4.9	1.3	0.9	2.5	1.2
კვების სტილის რადიკალურად შეცვლა (ხორცის მოხმარებაზე უარის თქმა)	2023 წელი	20.2	9	15.4	10.5	10.1
	2022 წელი	8.7	5.5	4.6	4.2	6.7
ნარჩენების წარმოქმნის შემცირება და ნარჩენების დახარისხება	2023 წელი	14.8	11.2	14.9	14.6	10.3
	2022 წელი	6.4	6	6.3	7.7	7.2
საყოფაცხოვრებო ტექნიკის შეძენისას ენერგოეფექტური მოდელებისთვის უპირატესობის მინიჭება	2023 წელი	3.4	8.5	5.6	8.6	7
	2022 წელი	1.6	2.1	1.8	0.9	0.9
ერთჯერადის ნაცვლად, მრავალჯერადი მოხმარების ნივთების შეძენა და გამოყენება	2023 წელი	4.8	7.1	8.4	11.4	10.1
	2022 წელი	1.2	1.5	4.4	3.4	5
პლასტმასის და ცელოფანის მოხმარების შემცირება	2023 წელი	16.5	14.9	14.5	16.9	18.4
	2022 წელი	5.4	6	11.8	10.3	14.7
სხვა	2023 წელი	2.9	1.8	1.9	2	3.1
	2022 წელი	-	0.7	0.8	1.8	0.9
არ ვიცი/უარი პასუხზე	2023 წელი	12.7	14.6	13.3	17	22
	2022 წელი	7.2	8.2	9.6	7.9	11.2

რესპონდენტთა დასახლების ტიპის ჭრილში საკითხის გაანალიზება აჩვენებს, რომ სასოფლო-სამეურნეო დასახლებებში უფრო მეტად ფიქსირდება საკუთარი ავტომობილის ნაცვლად საზოგადოებრივი ტრანსპორტის გამოყენების სირთულე (35.3%), ვიდრე რურალური ტიპის გეოგრაფიულ ერთეულებში (29.8%). ამასთან, საგულისხმოა ისიც, რომ კვლევის წინა რაუნდთან შედარებით, 2023 წელს, როგორც ქალაქის, ასევე, სოფლის მოსახლეობა აღნიშნულ აქტივობის განხორციელების სირთულეზე უფრო ხშირად მიუთითებს (2023 წელი: ქალაქი - 29.8%; სოფელი - 35.3%; 2022 წელი: ქალაქი - 18.2%; სოფელი - 20.1%); გარდა აღწერილისა, კვლევის ორი ფაზის სტატისტიკური მონაცემების შედარებით ვლინდება, რომ ქალაქისა და სოფლის მოსახლეობა კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლის მიზნით, ნაკლებ მზაობას გამოხატავს ისეთი აქტივობების განსახორციელებლად, როგორებიცაა: ახალი სამოსის ხშირად შეძენაზე უარის თქმა, კვების სტილის შეცვლა (ხორცის მოხმარებაზე უარის თქმა), ნარჩენების წარმოქმნის შემცირება და მათი დახარისხება და ა.შ. (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა:  $\chi^2= 32.337$ ;  $p<0.05$ ) (იხ. ცხრილი #15)


**ცხრილი #15**

კლიმატის ცვლილებასთან საბრძოლველად შემდეგ ქმედებებს შორის, რომელი იქნება პირადად თქვენთვის ყველაზე რთული?  (დასახლების ტიპის ჭრილი)	2023 წელი (N=1259)		2022 წელი (N=1500)	
	ქალაქი (თბილისის ჩათვლით)	სოფელი	ქალაქი (თბილისის ჩათვლით)	სოფელი
	%			
ენერჯის მოხმარების შემცირება, ბუნებრივი აირის, ელექტროენერჯის და სათბობი სანჯავის დაზოგვით	37.6	42.4	41.2	40.5
საკუთარ ავტომობილით გადაადგილების შემცირება და საზოგადოებრივი ტრანსპორტის უფრო ხშირად გამოყენება	29.8	35.3	18.2	20.1
ხშირად ფრენაზე უარის თქმა	2.3	0.2	1.8	1.2
ახალი სამოსის ხშირად შეძენაზე უარის თქმა	10.1	5.3	2.4	1.4
კვების სტილის რადიკალურად შეცვლა (ხორცის მოხმარებაზე უარის თქმა)	14.1	7.3	7	4
ნარჩენების წარმოქმნის შემცირება და ნარჩენების დახარისხება	12	12.9	6.2	7.4
საყოფაცხოვრებო ტექნიკის შეძენისას ენერგოეფექტური მოდელებისთვის უპირატესობის მინიჭება	6.4	7.6	1.3	1.6
ერთჯერადის ნაცვლად, მრავალჯერადი მოხმარების ნივთების შეძენა და გამოყენება	9.1	8.2	3.1	3.2
პლასტმასის და ცელოფანის მოხმარების შემცირება	16.1	16.3	9.4	10.1
სხვა	3.3	1.2	0.6	1.3
არ ვიცი/უარი პასუხზე	18	19.8	8.6	9.2

კლიმატის ცვლილებასთან საბრძოლველად, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ რესპონდენტთათვის ყველაზე რთულად განსახორციელებელ ქმედებათა შორის პირველი რიგის გამოწვევად ენერჯის მოხმარების შემცირება (ბუნებრივი აირის, ელექტროენერჯის და სათბობი სანჯავის დაზოგვით) (43.4%) დაფიქსირდა; ამასთან, სირთულედ იდენტიფიცირდა საკუთარი ავტომობილით გადაადგილების ნაცვლად საზოგადოებრივი ტრანსპორტის გამოყენება (33.1%). რესპონდენტებისთვის ნაკლებ გამოწვევას წარმოადგენს ისეთ აქტივობებზე უარის თქმა, როგორებიცაა ახალი სამოსის შეძენა (6.3%), ენერგოეფექტური საყოფაცხოვრებო ტექნიკის შეძენა (9.9%), ხშირად ფრენა (1.3%) და სხვ. (იხ. დიაგრამა #15).

**დიაგრამა #15**

**კლიმატის ცვლილებასთან საბრძოლველად შემდეგ ქმედებებს შორის, რომელი იქნება პირადად თქვენთვის ყველაზე რთული? (N=383) (ეთნიკური უმცირესობები)**



გარდა ზემოთ აღწერილისა, კვლევის ფარგლებში რესპონდენტებმა განსაზღვრეს კლიმატის ცვლილებაზე მეტად მნიშვნელოვანი პრობლემები. გამონკვევების/სირთულეების იდენტიფიცირება სამ დონეზე განხორციელდა. კერძოდ, გამოიკვეთა სამი ყველაზე პრობლემური საკითხი პერსონალურად რესპონდენტისთვის, ქალაქისთვის/სოფლისთვის და ქვეყნისთვის. 2023 წელს გამოკითხული პირები, მათთვის, როგორც ინდივიდისთვის (40%) და ქალაქისთვის/სოფლისთვის (46%) კლიმატის ცვლილებაზე მეტად პრობლემურ საკითხად ყველაზე ხშირად უმუშევრობას ასახელებენ. რაც შეეხება საკითხის შეფასებას ქვეყნის პერსპექტივიდან, ამ შემთხვევაში პირველი რიგის გამონკვევად ქვეყნის უსაფრთხოება/ომის საფრთხე სახელდება (45.7%). უმუშევრობაზე, როგორც მასშტაბურ პრობლემაზე (ქვეყნის დონეზე) რესპონდენტთა 38.7% მიუთითებს. კვლევის წინა რაუნდში რესპონდენტებმა კლიმატის ცვლილებაზე მნიშვნელოვან პრობლემად, შეფასების სამივე განზომილებისთვის უმუშევრობა გამოყვეს (2022 წელი: ინდივიდუალური დონე - 48.2%; ქალაქის/სოფლის დონე - 55.9%; ქვეყნის დონე - 53.9%).

ჯანდაცვაზე გაზრდილი ფასებისა (26.6%) და ქვეყნის უსაფრთხოების (26.3%) საკითხი, როგორც კლიმატის კრიზისზე მეტად საყურადღებო, ინდივიდუალურ დონეზე შეფასებისას თითქმის თანაბრად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა 2023 წელს გამოკითხული რესპონდენტებისთვის. რაც შეეხება ქალაქის/სოფლის პერსპექტივიდან იდენტიფიცირებულ მეორე რიგის პრობლემას, ყველაზე ხშირად სწორედ ქვეყნის უსაფრთხოება სახელდება (25.3%), ამის შემდეგ კი გამოკითხულთათვის მნიშვნელოვანი მოსახლეობის სიღარიბის საკითხია (23.7%). ეს უკანასკნელი, როგორც მესამე რიგის ქვეყნის მთავარი გამოწვევად იდენტიფიცირდა. წინა წლის შედეგების მიხედვით, კლიმატის კრიზისზე მეტად მნიშვნელოვან მეორე რიგის პრობლემად რესპონდენტთა მიერ სიღარიბე გამოიყო (ინდივიდუალური დონე - 23.9%; ქალაქის/სოფლის დონე - 30.7%; ქვეყნის დონე - 29.3%). გარდა აღნიშნულისა, რესპონდენტებმა დასძინეს, რომ მათთვის როგორც ინდივიდისთვის მნიშვნელოვანია ჯანდაცვაზე გაზრდილი ფასები (26.8%), მათი ქალაქისთვის/სოფლისთვის - ელექტროენერგიაზე, სანვავზე და ენერგიაზე გაზრდილი ტარიფები (22.9%), ხოლო ქვეყნის პერსპექტივიდან მესამე რიგის პრობლემად ქვეყნის უსაფრთხოება/ომის საფრხე გამოიყო (იხ. ცხრილი #16).

### ცხრილი #16

რა არის კლიმატის ცვლილებაზე მეტად პრობლემური საკითხები...	2023 წელი (N=1259)			2022 წელი (N=1500)		
	თქვენთვის, როგორც ინდივიდისთვის?	თქვენი ქალაქის/სოფლისთვის?	ჩვენი ქვეყნისთვის?	თქვენთვის, როგორც ინდივიდისთვის?	თქვენი ქალაქის/სოფლისთვის?	ჩვენი ქვეყნისთვის?
	%					
უმუშევრობა	39.6	46.3	38.7	48.2	55.9	53.9
კორუფცია	5.8	8.7	13.1	7.9	8.1	13.3
კრიმინალი/საზოგადოებრივი უსაფრთხოება	9.1	12.2	13.3	8.9	6.8	9.6
ტერორიზმი	3	2.1	4.8	2.2	0.9	1.8
შიდა კონფლიქტები, მათ შორის ეთნიკური და რელიგიური კონფლიქტები	4.4	5.6	8.7	6.3	4.8	9.4
ქვეყნის უსაფრთხოება / ომის საფრთხე	26.3	25.3	45.7	14.7	7.9	23.1
ნარკოტიკული საშუალებები	9.6	13.3	17.2	9.9	11.2	13.1
ელექტროენერგიაზე, სანვავზე და ენერგიაზე გაზრდილი ტარიფები	19.3	19.2	14.6	29	22.9	18.8
არასათანადოდ განვითარებული საქალაქო ან მუნიციპალური ინფრასტრუქტურა	7.2	12.7	6.6	5.4	12.8	4.6
არასათანადო საცხოვრებელი პირობები	7.7	9.5	7.4	5.5	8.1	4.2

რა არის კლიმატის ცვლილებაზე მეტად პრობლემური საკითხები...	2023 წელი (N=1259)			2022 წელი (N=1500)		
	თქვენთვის, როგორც ინდივიდისთვის?	თქვენი ქალაქის/სოფლისთვის?	ჩვენი ქვეყნისთვის?	თქვენთვის, როგორც ინდივიდისთვის?	თქვენი ქალაქის/სოფლისთვის?	ჩვენი ქვეყნისთვის?
	%					
მაღალი ხარისხის განათლებაზე ხელმისაწვდომობის არქონა	6.7	5.3	4.9	9.3	7.8	7.6
ჯანდაცვაზე გაზრდილი ფასები	26.6	16.8	14.8	26.8	20.6	19
არაეფექტური სოციალური უზრუნველყოფა და სერვისები/დახმარებები	6	5.9	5.4	4	5.6	4.2
სიღარიბე	24.2	23.7	21.3	23.9	30.7	29.3
არასრულფასოვანი კვება და რაციონი	8.8	4	3.1	6.1	6	5.4
პოლიტიკური პოლარიზაცია	2.5	2	8.3	2.2	2.1	7.5
არ ვიცი/უარი პასუხზე	5.1	6	3.7	2.6	2.2	1.8

**რესპონდენტების დასახლების ტიპის ჭრილში საკითხის გაანალიზების შედეგად შემდეგი ტენდენციები ვლინდება:**

▶ კვლევის ორივე რაუნდში (2023, 2022), როგორც ქალაქის, ასევე, სოფლის მოსახლეობისთვის კლიმატის ცვლილებაზე მეტად პრობლემური საკითხი პერსონალურად მათთვის იყო/არის უმუშევრობა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ 2023 წელს ჩატარებულ გამოკითხვაში აღნიშნული სირთულის დასახელების პროცენტული მაჩვენებელი რამდენადმე შემცირდა 2022 წლის შედეგებთან შედარებით (2023 წელი: ქალაქი - 35.1%; სოფელი - 48.3%; 2022 წელი: ქალაქი - 43.5%; სოფელი - 54.9%). ამასთან, თუკი 2022 წელს ქვეყნის უსაფრთხოების, როგორც პირადად რესპონდენტებისთვის კლიმატის ცვლილებაზე მეტად მნიშვნელოვანი საკითხის, დასახელების სიხშირე 16.1%-ს უტოლდებოდა ქალაქში, ხოლო 12.7%-ს სოფელში გამოკითხულთა შორის, 2023 წელს ურბანული ტიპის დასახლებებში 29.1%-ს გაუტოლდა, ხოლო რურალურ გეოგრაფიულ არეალებში 21%-ს. გარდა ამისა, რესპონდენტების მიერ პერსონალური გადმოსახედიდან გაკეთებული შეფასებები ცხადყოფს, რომ ისეთი პრობლემების დასახელების პროცენტული წილი (როგორც კლიმატის ცვლილებაზე მეტად აქტუალურის), როგორებიცაა ელექტროენერჯიაზე, საწვავზე/ენერჯიაზე გაზრდილი ტარიფები და სიღარიბე, წინა რაუნდთან შედარებით 2023 წელს შემცირებულია (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა:  $\chi^2 = 72.241$ ;  $p < 0.05$ ).

- ▶ კლიმატის ცვლილებაზე მეტად პრობლემური პირველი რიგის საკითხად, ქალაქის/სოფლის პერსპექტივიდან კვლევის ორივე რაუნდში უმუშევრობა გამოიკვეთა. თუმცა, პრობლემაზე აქცენტირების მაჩვენებელში კლების დინამიკა შეინიშნება (2023 წელი: ქალაქი 44.8%; სოფელი - 49.3%; 2022 წელი: ქალაქი - 53.3%; სოფელი - 54.9%). ამავდროულად, შემცირებულია სიღარიბესა და გაზრდილ ტარიფებზე (ელექტროენერჯია, საწვავი და სხვ.) აქცენტირების სიხშირე. გარდა თქმულსა, გამოვლენილი ტენდენციის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ რურალური და ურბანული ტიპის მაცხოვრებლები, წინა წელთან შედარებით უფრო მძაფრად აღიქვამენ ქვეყნის უსაფრთხოების საკითხს, როგორც კლიმატის ცვლილებაზე მეტად მნიშვნელოვანს (2023 წელი: ქალაქი - 28.5%; სოფელი - 19.2%; 2022 წელი: ქალაქი - 9.2%; სოფელი - 5.9%) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა:  $\chi^2= 88.921$ ;  $p<0.05$ ).
- ▶ გლობალური (ქვეყნის) გადმოსახედიდან საკითხის შეფასება აჩვენებს, რომ თუკი 2022 წელს რესპონდენტების კლიმატის ცვლილებაზე მეტად პრიორიტეტული საკითხი უმუშევრობა იყო, 2023 წელს ასეთად ქვეყნის უსაფრთხოება გამოიკვეთა, როგორც ქალაქის, ასევე სოფლის დონეზე (უმუშევრობა: 2023 წელი: ქალაქი - 36.8%; სოფელი - 42.2%; 2022 წელი: ქალაქი - 52.5%; სოფელი - 56%; ქვეყნის უსაფრთხოება: 2023 წელი: ქალაქი - 45.2%; სოფელი - 46.6%; 2022 წელი: ქალაქი - 20.7%; სოფელი - 26.5%). (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა:  $\chi^2= 69.603$ ;  $p<0.05$ ) (იხ. ცხრილი #17).

### ცხრილი #17

რა არის კლიმატის ცვლილებაზე მეტად პრობლემური საკითხები... (დასახლების ტიპის ჭრილი)		2023 წელი (N=1259)			2022 წელი (N=1500)		
		თქვენთვის, როგორც ინდივიდისთვის?	თქვენი ქალაქის/სოფლისთვის?	ჩვენი ქვეყნისთვის?	თქვენთვის, როგორც ინდივიდისთვის?	თქვენი ქალაქის/სოფლისთვის?	ჩვენი ქვეყნისთვის?
		%					
უმუშევრობა	ქალაქი (თბილისის ჩათვლით)	35.1	44.8	36.8	43.5	53.3	52.5
	სოფელი	48.3	49.3	42.4	54.9	59.7	56
კორუფცია	ქალაქი (თბილისის ჩათვლით)	7.6	10.7	15	9.8	11.4	15.2
	სოფელი	2.4	5	9.3	5.3	3.4	10.6
კრიმინალი/საზოგადოებრივი უსაფრთხოება	ქალაქი (თბილისის ჩათვლით)	11.5	16.1	16	10.7	9.5	10
	სოფელი	4.4	4.9	8.2	6.3	2.8	9

რა არის კლიმატის ცვლილებაზე მეტად პრობლემური საკითხები...  (დასახლების ტიპის ჭრილი)		2023 წელი (N=1259)			2022 წელი (N=1500)		
		თქვენთვის, როგორც ინდივიდისთვის?	თქვენი ქალაქის/სოფლისთვის?	ჩვენი ქვეყნისთვის?	თქვენთვის, როგორც ინდივიდისთვის?	თქვენი ქალაქის/სოფლისთვის?	ჩვენი ქვეყნისთვის?
		%					
ტერორიზმი	ქალაქი (თბილისის ჩათვლით)	4	3	6.5	3	1	1.9
	სოფელი	1	0.4	1.6	1	0.7	1.6
შიდა კონფლიქტები, მათ შორის ეთნიკური და რელიგიური კონფლიქტები	ქალაქი (თბილისის ჩათვლით)	5.2	7	8.5	7.6	6.3	10.7
	სოფელი	2.7	3.1	9	4.5	2.7	7.6
ქვეყნის უსაფრთხოება / ომის საფრთხე	ქალაქი (თბილისის ჩათვლით)	29.1	28.5	45.2	16.1	9.2	20.7
	სოფელი	21	19.2	46.6	12.7	5.9	26.5
ნარკოტიკული საშუალებები	ქალაქი (თბილისის ჩათვლით)	12.7	18.1	21.2	10.9	14.4	14
	სოფელი	3.6	4.1	9.5	8.5	6.6	11.8
ელექტროენერჯიაზე, სანვაზე და ენერჯიაზე გაზრდილი ტარიფები	ქალაქი (თბილისის ჩათვლით)	16.8	16.1	12.2	24.4	17.8	15
	სოფელი	24.1	25.1	19.2	35.5	30.2	24.3
არასათანადოდ განვითარებული საქალაქო ან მუნიციპალური ინფრასტრუქტურა	ქალაქი (თბილისის ჩათვლით)	7.1	9.9	6.4	5.2	13.1	4.9
	სოფელი	7.5	18	6.9	5.8	12.3	4.1
არასათანადო საცხოვრებელი პირობები	ქალაქი (თბილისის ჩათვლით)	8	8.9	7.8	3.7	6.7	4.2
	სოფელი	7.2	10.8	6.7	8	10.1	4.1
მაღალი ხარისხის განათლებაზე ხელმისაწვდომობის არ ქონა	ქალაქი (თბილისის ჩათვლით)	8.7	6.4	5.8	10.7	9.4	8.2
	სოფელი	2.8	3.4	3.3	7.3	5.5	6.7
ჯანდაცვაზე გაზრდილი ფასები	ქალაქი (თბილისის ჩათვლით)	25.8	14.5	13	24.1	17	18
	სოფელი	28.1	21.3	18.1	30.7	25.7	20.4
არაეფექტური სოციალური უზრუნველყოფა და სერვისები/დახმარებები	ქალაქი (თბილისის ჩათვლით)	4.4	5.1	4	4.2	5.3	4.2
	სოფელი	9	7.5	8	3.8	6.2	4.4
გეოგრაფიული ადგილმდებარეობის დონეზე საკითხის გაანალიზებით გამოვლენილი ტენდენციების მიხედვით, როგორც თბილისის (51.7%), ასევე, დასავლეთ (56.2%) და აღმოსავლეთ საქართველოს (64.2%) მოსახლეობა ისეთ სფეროდ, რომელზეც კლიმატის ცვლილება ყველა მეტად მოქმედებს უარყოფითად, სოფლის მეურნეობას გამოყოფს. აგრარული სექტორის შემდეგ კი აქცენტი ჯანდაცვასა და ბიომრავალფეროვნებაზე კეთდება. ამასთან, კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ გამოკითხულთა ცოდნით კლიმატის ცვლილების უარყოფითი ეფექტი ყველაზე ნაკლებად ისეთ დარგებზე აისახება, როგორებიცაა ენერჯეტიკა ტრანსპორტი, მრეწველობა და მშენებლობა. (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა;  $\chi^2=120.247$ ;  $p<0.05$ ) (იხ. დიაგრამა #27).

**დიაგრამა #27**

**ჩამოთვლილთაგან რომელ სფეროებზე ახდენს ყველაზე დიდ გავლენას კლიმატის ცვლილება? (N=1259)**

გეოგრაფიული მხარე/თბილისის ქრელი




ზემოთ თქმულის მსგავსად, როგორც ურბანული, ასევე, რურალური ტიპის დასახლებებში სოფლის მეურნეობა, ჯანდაცვა და ბიომრავალფეროვნება კლიმატის ცვლილების კუთხით ყველაზე მონყვლად სფეროებად რჩება. ამასთან, ქვეყნის გეოგრაფიული მხარეების ჭრილში გამოვლენილი ტენდენციის მსგავსად, ქალაქი/სოფლის დონეზეც სწორედ ენერჯეტიკა, ტრანსპორტი, მშენებლობა და მრეწველობა გამოიკვეთა, როგორც კლიმატის ცვლილებით გამოწვეული საფრთხეების/რისკების ქვეშ მყოფი სფეროები. (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა;  $\chi^2=31.561$ ;  $p<0.05$ ) (იხ. დიაგრამა #28).

## დიაგრამა #28

### ჩამოთვლილთაგან რომელ სფეროებზე ახდენს ყველაზე დიდ გავლენას კლიმატის ცვლილება? (N=1259)

#### დასახლების ტიპის ჭრილი






რესპონდენტთა განათლების დონეზე საკითხის დამუშავებით ვლინდება, რომ, როგორც უმაღლესი განათლების მქონე, ასევე აღნიშნული აკადემიური ხარისხის არმქონე მოსახლეობას ნათლად აქვს გაცნობიერებული, თუ რომელ სფეროებზე ახდენს კლიმატის ცვლილება ყველაზე მეტად უარყოფით გავლენას. ორივე სამიზნე ჯგუფში უპირველეს სფეროდ სოფლის მეურნეობა გამოიკვეთა (უმაღლესი განათლების მქონე - 53.8%; უმაღლესი განათლების არმქონე - 60.2%), მეორე და მესამე რიგის მოწყვლად სფეროებად კი ჯანდაცვა და ბიომრავალფეროვნება. (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა:  $\chi^2=29.602$ ;  $p<0.05$ ) (იხ. დიაგრამა #29).

## დიაგრამა #29


### ჩამოთვლილთაგან რომელ სფეროებზე ახდენს ყველაზე დიდ გავლენას კლიმატის ცვლილება? (N=1259)



ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა შეფასებით კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ნეგატიური შედეგები ყველაზე მეტად სოფლის მეურნეობაზე ზემოქმედებს (67.9%). რანჟირებულ მიზნებში მეორე პოზიცია ჯანდაცვას, ხოლო მესამე ბიომრავალფეროვნებას უკავია. რესპონდენტები ძალზე იშვიათად აქცენტირებენ ისეთ სექტორებზე, როგორებიცაა ენერჯეტიკა, ტრანსპორტი, მრეწველობა და მშენებლობა (იხ. დიაგრამა #30).

**დიაგრამა #30**


**ჩამოთვლილთაგან რომელ სფეროებზე ახდენს ყველაზე დიდ გავლენას კლიმატის ცვლილება? (N=383) (ეთნიკური უმცირესობები)**



კლიმატის ცვლილების პროცესის მკვეთრად შესაფერხებლად/შეზღუდვისთვის ოპტიმალურ გამოსავლად, როგორც 2023 (27.7%), ასევე 2022 წელს (30.7%) გამოკითხულთა ყველაზე დიდი ნაწილის მიერ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება სახელდება. ამასთან, მიმდინარე წელს გამოკითხულთა თითქმის მეხუთედი (18.3%) ინდივიდუალური პასუხისმგებლობის მნიშვნელოვნებას უსვამს ხაზს და თითოეული ადამიანის ქცევის რადიკალური ცვლილების აუცილებლობაზე მიუთითებს. ამავე პოზიციას აფიქსირებს კვლევის წინა ფაზაში გამოკითხულთა 22.7%. აქვე აღსანიშნავია ისიც რომ მნიშვნელოვანი რაოდენობრივი სხვაობა არ ვლინდება იმ რესპოდენტებს შორის, რომლებიც რომ ტექნოლოგიების გაუმჯობესებისა (2023 - 16.7%; 2022 - 25.8%;) და სახელმწიფოს რეგულაციების შემოღების (2023 - 11.3%; 2022 - 7.8%) საჭიროებაზე საუბრობენ (იხ. დიაგრამა #31).

## დიაგრამა #31

### თქვენი აზრით, ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი გზა კლიმატის ცვლილების მკვეთრად შეზღუდვისთვის?



● 2023 წელი (N=1259) ● 2022 წელი (N=1500)



დასახლების ტიპის ჭრილში საკითხის გაანალიზება აჩვენებს, კვლევის ორივე რაუნდში კლიმატის ცვლილების პროცესების შესაჩერებელ ოპტიმალურ სტრატეგიად მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული აქტივობების განხორციელებაა განხილული. თუმცა, მიუხედავად ასეთი მიდგომის პრიორიტეტულობისა, 2023 წელს ამ მიდგომის აქტუალურობა რამდენადმე შემცირდა (ცნობიერების ამაღლება: 2023 წელი - ქალაქი: 29.6%; სოფელი - 24%; 2022 წელი - ქალაქი: 32%; სოფელი: 29%). აღწერილთან ერთად, საგულისხმოა, რომ ქალაქის (თბილისის ჩათვლით) მოსახლეობა, კვლევის წინა ფაზასთან შედარებით, 2023 წელს კლიმატის ცვლილების მკვეთრად შეზღუდვის კუთხით ეფექტიან მექანიზმად ნაკლებად განიხილავს თითოეული ადამიანის ქცევის რადიკალურად შეცვლას (2023 - 16.7%; 2022 - 22.4%). (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა:  $\chi^2=13.995$ ;  $p<0.05$ ) (იხ. ცხრილი #28).

**ცხრილი #28**

თქვენი აზრით, ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი გზა კლიმატის ცვლილების მკვეთრად შეზღუდვისთვის?  (დასახლების ტიპის ჭრილი)	2023 წელი (N=1259)		2022 წელი (N=1500)	
	ქალაქი (თბილისის ჩათვლით)	სოფელი	ქალაქი (თბილისის ჩათვლით)	სოფელი
	%			
თითოეული ადამიანის ქცევის რადიკალურად შეცვლა	16.7	21.3	22.4	23
ცნობიერების ამაღლება	29.6	24	32	29
ტექნოლოგიების გაუმჯობესება	19.1	12.3	16	16
სასწავლო პროგრამების განვითარება	5.2	2.9	3.9	4
სახელმწიფო რეგულაციების შემოღება	9.5	14.7	7.9	8
კლიმატის ცვლილება არ არსებობს	1.3	0.2	1	1
საზოგადოების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში	4.7	7.4	5.9	5
კლიმატის ცვლილება გარდაუვალი პროცესია, მისი შეჩერება შეუძლებელია	8.3	10.1	9.3	11
სხვა	-	-	0.1	-
არ ვიცი/უარი პასუხზე	5.5	7.1	1.5	4

რესპონდენტთა განათლების მიხედვით მათი შეხედულებების დიფერენცირება ცხადყოფს, რომ 2022 წლის მსგავსად, 2023 წელს, როგორც უმაღლესი განათლების მქონე, ასევე, ასეთი აკადემიური სტატუსის არმქონე რესპონდენტები კლიმატის ცვლილების შეზღუდვის კუთხით ყველაზე პრიორიტეტულ აქტივობად საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას განიხილავენ. ამასთან, საგულისხმოა ისიც, რომ კვლევის წინა ფაზის იდენტიურია უმაღლესი განათლების მქონე იმ რესპონდენტების პროცენტული წილი, რომლებიც კლიმატის ცვლილების შეზღუდვის საუკეთესო მექანიზმად თითოეული ადამიანის ქცევის რადიკალურად შეცვლას ასახელებს; რაც უმაღლესი განათლების არმქონე პირების შემთხვევაში წინა რაუნდთან შედარებით რამდენადმე შემცირდა (2023 წელი - უმაღლესი განათლების მქონე: 20.6%; უმაღლესი განათლების არმქონე: 16.8%; 2022 წელი - უმაღლესი განათლების მქონე: 20.6%; უმაღლესი განათლების არმქონე: 24.1%) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა:  $\chi^2=17.154$ ;  $p<0.05$ ) (იხ. ცხრილი #29).


**ცხრილი #29**

თქვენი აზრით, ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი გზა კლიმატის ცვლილების მკვეთრად შეზღუდვისთვის?  (განათლების წრილი)	2023 წელი (N=1259)		2022 წელი (N=1500)	
	უმადლოესი განათლება	სხვა	უმადლოესი განათლება	სხვა
	%			
თითოეული ადამიანის ქცევის რადიკალურად შეცვლა	20.6	16.8	20.6	24.1
ცნობიერების ამაღლება	31.1	25.5	36.9	26.6
ტექნოლოგიების გაუმჯობესება	14	18.5	13.4	17.4
სასწავლო პროგრამების განვითარება	5.2	3.9	2.9	4.8
სახელმწიფო რეგულაციების შემოღება	9.2	12.6	8.7	7.2
კლიმატის ცვლილება არ არსებობს	1.2	0.8	0.2	1.7
საზოგადოების ჩართულობა გადანაცვლებების მიღების პროცესში	5.6	5.6	6.1	4.9
კლიმატის ცვლილება გარდაუვალი პროცესია, მისი შეჩერება შეუძლებელია	8	9.6	9.8	10
	-	-	0.2	-
არ ვიცი/უარი პასუხზე	5	6.8	1.2	3.3

ეთნიკურად არაქართველი მოსახლეობის მეხუთედი ნაწილი კლიმატის ცვლილების მკვეთრად შესაზღუდად ყველაზე ეფექტიან გზად თითოეული ადამიანის ქცევის რადიკალურად შეცვლას (20.9%) და ტექნოლოგიების გაუმჯობესებას (20%) მიიჩნევს. ისეთ მექანიზმებს, როგორებიცაა ცნობიერების ამაღლება და სახელმწიფო რეგულაციების შემოღება გამოკითხულთაგან მხოლოდ 12.2% (თითოეულ შემთხვევაში) მიუთითებს (იხ. დიაგრამა #32).

**დიაგრამა #32**


**თქვენი აზრით, ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი გზა კლიმატის ცვლილების მკვეთრად შეზღუდვისთვის? (N=383) (ეთნიკური უმცირესობები)**



კვლევაში მონაწილე პირთა 83.5%-ს მიაჩნია, რომ საქართველო ენერჯიის ალტერნატიული და განახლებადი წყაროების (წყლის/ქარის/მზის/სხვ. ენერჯია), ენერჯოეფექტური ტექნოლოგიების გამოყენებაზე უნდა გადავიდეს. აღნიშნულს არ ეთანხმება გამოკითხულთა ძალზე მცირე ნაწილი (3.6% - [N=45]) (იხ. დიაგრამა #33).

**დიაგრამა #33**


**თქვენი აზრით, უნდა მოახდინოს თუ არა საქართველომ ენერჯის განახლებად და ალტერნატიულ წყაროებზე, ენერგოეფექტურ ტექნოლოგიებზე გადართვა? (N=1259)**



კვლევის შედეგების მიხედვით, უმაღლესი განათლების მქონე რესპონდენტთა (89.2%) შორის უფრო მაღალია ისეთთა წილი, რომლებიც ფიქრობენ, რომ საქართველო ენერჯის განახლებად და ალტერნატიულ წყაროებზე, ენერგოეფექტური ტექნოლოგიების გამოყენებაზე უნდა გადავიდეს, ვიდრე შედარებით დაბალი აკადემიური სტატუსის მქონე პირთა შორის (79.8%). (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა;  $\chi^2=25.768$ ;  $p<0.05$ ) (იხ. დიაგრამა #34).

**დიაგრამა #34**


**თქვენი აზრით, უნდა მოახდინოს თუ არა საქართველომ ენერჯის განახლებად და ალტერნატიულ წყაროებზე, ენერგოეფექტურ ტექნოლოგიებზე გადართვა? (N=1259)**



ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ რესპონდენტთა 75.7% მიიჩნევს, რომ საქართველო ენერჯის განახლებად და ალტერნატიულ წყაროებზე, ენერგოეფექტური ტექნოლოგიების გამოყენებაზე უნდა გადავიდეს. გამოკითხულთა შორის მეხუთედზე მცირედით მეტს აღნიშნულ საკითხზე საკუთარი პოზიციის დაფიქსირება გაუჭირდა („არ ვიცი/უარი პასუხზე“) (იხ. დიაგრამა #35).

**დიაგრამა #35**

**თქვენი აზრით, უნდა მოახდინოს თუ არა საქართველომ ენერჯის განახლებად და ალტერნატიულ წყაროებზე, ენერგოეფექტურ ტექნოლოგიებზე გადართვა? (N=383) (ეთნიკური უმცირესობები)**




მოსახლეობის 37.7%-ის მიერ ალტერნატიული და განახლებადი ენერჯის წყაროებიდან საქართველოსთვის ყველაზე პრიორიტეტულად მზის ენერგო-ტექნოლოგიები სახელდება. ამასთან, რესპონდენტთა მეხუთედი ნაწილი ქარის ენერგოტექნოლოგიების დანერგვის ხელსაყრელობაზე მიუთითებს (19.9%), 14.3% კი მცირე და საშუალო ჰესების მშენებლობას ანიჭებს უპირატესობას. აღსანიშნავია, რომ შედარებით არაპოპულარულია ისეთი ენერჯის წყაროების გამოყენება, როგორებიცაა დიდი სიმძლავრის ჰესები, გეოთერმული ენერჯია, ბიომასა (იხ. დიაგრამა #36)



## დიაგრამა #36

თქვენი აზრით, რომელი განახლებადი და ალტერნატიული ენერჯის წყაროები უნდა იყოს პრიორიტეტული საქართველოსთვის? (N=1259)




როგორც თბილისის (42.3%), ასევე, დასავლეთ (35.5%) და აღმოსავლეთ საქართველოს (35.7%) მოსახლეების ყველა დიდი ნაწილი აღნიშნავს, რომ საქართველოში მზის ენერჯოტექნოლოგიების გამოყენება უნდა დაიწყოს. გამოკითხულთა შორის შედარებით მცირე ნაწილი მიუთითებს ქარის ენერჯოტექნოლოგიების დანერგვის პრიორიტეტულობაზე (თბილისი - 17.8%; დასავლეთ საქართველო - 18.1%; აღმოსავლეთ საქართველო - 23.3%). საგულისხმოა, რომ ქვეყნის დასავლეთ ნაწილში გამოკითხულთა შორის 18% მცირე და საშუალო ჰესების აშენების მომხრეა, რასაც 5-6%-ით ჩამორჩება იდენტური პოზიციის მქონე რესპონდენტთა წილი თბილისსა და აღმოსავლეთ საქართველოში. (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა;  $\chi^2=51.543$ ;  $p<0.05$ ) (იხ. დიაგრამა #37).

**დიაგრამა #37**

**თქვენი აზრით, რომელი განახლებადი და ალტერნატიული ენერჯის წყაროები უნდა იყოს პრიორიტეტული საქართველოსთვის? (N=1259)**


გეოგრაფიული მხარე/თბილისის ქრელი



ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა 36.8% განახლებადი და ალტერნატიული ენერჯის წყაროებიდან ყველაზე პრიორიტეტულად მზის ენერჯოტექნოლოგიებს მიიჩნევს, 17.7% კი მცირე და საშუალო ჰესებს. რესპონდენტთა 29.5% კი აღნიშნულ საკითხთან მიმართებით საკუთარი აზრის დაფიქსირებას თავს არიდებს („არ ვიცი/უარი პასუხზე“) (იხ. დიაგრამა #38).

**დიაგრამა #38**


**თქვენი აზრით, რომელი განახლებადი და ალტერნატიული ენერჯის წყაროები უნდა იყოს პრიორიტეტული საქართველოსთვის? (N=383) (ეთნიკური უმცირესობები)**



რაც შეეხება ენერჯოტექნოლოგიებს შორის არჩევანს, უპირატესი პოზიციით ენერჯის წარმოების მაღალეფექტური სადგურები (21.8%) გამოიკვეთა. ამასთან პრიორიტეტულ მიმართულებად სახელდება ენერჯოტექნოლოგიების სისტემების გამოყენების პრაქტიკის დანერგვა. რესპონდენტთა თითქმის თანაბარი რაოდენობა მიუთითებს ისეთ საშუალებებზე, როგორებიცაა სამრეწველო სექტორში ენერჯოტექნოლოგიების გამოყენება (11.4%) და ენერჯოტექნოლოგიების განათების სისტემები (11.1%). საგულისხმოა, რომ გამოკითხულთა შორის 23.9%-მა აღნიშნულ შეკითხვასთან მიმართებით საკუთარი მოსაზრება არ/ვერ დააფიქსირა (არ ვიცი/უარი პასუხზე) (იხ დიაგრამა #39).

**დიაგრამა #39**

**თქვენი აზრით, რომელ ენერგოეფექტურ ტექნოლოგიებს უნდა მიანიჭოს პრიორიტეტი საქართველომ? (N=1259)**




კვლევაში მონაწილე პირთა დასახლების ტიპის ჭრილში საკითხის გაანალიზება აჩვენებს, რომ სოფელში გამოკითხულთაგან ყოველ მესამეს არ აქვს პასუხი იმის შესახებ, თუ რომელი ენერგოეფექტური ტექნოლოგიების გამოყენებას უნდა მიანიჭოს პრიორიტეტი საქართველომ; ანალოგიურ პოზიციას ქალაქის მაცხოვრებლების 18.1% აფიქსირებს. მათ შორის, რომლებმაც კონკრეტულ ტექნოლოგიებზე მიუთითეს, ურბანული ტიპის დასახლებების მაცხოვრებლების ყველაზე დიდი ნაწილი ენერჯის წარმოების მაღალეფექტურ სადგურებს ასახელებს, სოფლის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი კი (18.7%) ენერგოეფექტური გათბობის სისტემის დანერგვის საჭიროებაზე მიუთითებს. როგორც ქალაქში, ასევე, სოფლად შედარებით დაბალია ისეთ რესპონდენტთა წილი, რომლებიც ენერგოეფექტური გაგრილებისა და განათების სისტემების, ენერგოეფექტური საყოფაცხოვრებო და სამრეწველო ტექნოლოგიების გამოყენებას მიიჩნევენ პრიორიტეტულად. (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა:  $\chi^2=37.401$ ;  $p<0.05$ ) (იხ. დიაგრამა #40).

**დიაგრამა #40**

**თქვენი აზრით, რომელ ენერგოეფექტურ ტექნოლოგიებს უნდა მიანიჭოს პრიორიტეტი საქართველომ? (N=1259)**


დასახლების ტიპის ჭრილი



ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა 42% ვერ ასახელებს ისეთ ენერგოეფექტურ ტექნოლოგიას, რომელსაც საქართველომ უნდა მიანიჭოს პრიორიტეტი (არ ვიცი/უარი პასუხზე). დარჩენილთაგან ყველაზე მეტი კი ასეთად ენერგოეფექტური განათების სისტემებს (14.1%) და ენერგიის წარმოების მაღალეფექტურ სადგურებს (12.2%) გამოყოფს (იხ. დიაგრამა #41).

## დიაგრამა #41


თქვენი აზრით, რომელ ენერგოეფექტურ ტექნოლოგიებს უნდა მიანიჭოს პრიორიტეტი საქართველომ? (N=383)  
(ეთნიკური უმცირესობები)



კლიმატის ცვლილების შესახებ ინფორმაციის მიღების სასურველ წყაროებად 2023 წელს გამოკითხულთა მიერ ყველაზე ხშირად ტელევიზია (70.7%) და სოციალური მედია (55.5%) დასახელდა, ნაკლებად გამოყენებადია საინფორმაციო ვებ-გვერდები (16.5%). ასევე, დაბალია ინფორმაციის მოპოვების სასურველ წყაროებად რადიოს, ბეჭდური მედიის, სკოლები/ უნივერსიტეტებისა და სხვა საშუალებების დასახელების მაჩვენებელი. მსგავსად 2023 წლისა, წინა წელს გამოკითხულ რესპონდენტთათვის ყველაზე მისაღებ საინფორმაციო წყაროდ სოციალური მედია და ტელევიზია სახელდება (იხ. დიაგრამა #42).

**დიაგრამა #42**

**რომელი წყაროებიდან ისურვებდით ახალი ინფორმაციის მიღებას კლიმატის ცვლილების შესახებ?**



კლიმატის ცვლილების შესახებ ინფორმაციის მიღების სასურველ წყაროდ 18-29, 25-34 და 35-44 წლის რესპონდენტებისთვის სოციალური მედია აღმოჩნდა. უფროსი ასაკის მოსახლეობა კი პრიორიტეტს სატელევიზიო მედიას ანიჭებს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ შუახნის ასაკობრივი კატეგორიის წარმომადგენელთა მიერ თითქმის თანაბრად სახელდება სოციალური მედია (71.2%) და ტელევიზია (68.6%), როგორც ინფორმაციის მიღების სასურველი წყაროები (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა:  $\chi^2=571.599$ ;  $p<0.05$ ) (იხ. ცხრილი #30).

**ცხრილი #30**

რომელი წყაროებიდან ისურვებდით ახალი ინფორმაციის მიღებას კლიმატის ცვლილების შესახებ? (ასაკის ჭრილი) 2023 წელი- N=1053; 2022 წელი - N=1500;	18-24 წლის	25-34 წლის	35-44 წლის	45-54 წლის	55-65 წლის
	%				
	სოციალური მედია	82.3	74.4	71.2	59.5
საინფორმაციო ვებგვერდები	26.3	25.4	23.9	8.3	11.6
რადიოსადგურები	1.4	2.3	1.8	4	3.1
ტელევიზია	37.7	54.5	68.6	77.2	85.2
ბეჭდური მედია	3.4	2.7	3.7	4	1.9
სახელმწიფო უწყებები	4.8	10.4	10.2	9	7.7
სკოლები / უნივერსიტეტები	10.7	9.3	7.5	9.7	6.6
სხვა (კომპეტენტური პირები/სემინარები)	-	0.4	-	-	0.5
არ ვისურვებდი	0	0	0.4	0.5	0.5
არ ვიცი/უარი პასუხზე	1.3	1	1.1	0.5	0.8

ქალაქი/სოფლის ჭრილში საკითხის გაანალიზება ცხადყოფს, რომ თითქმის იმდენად, რამდენადაც, კვლევის წინა რაუნდთან შედარებით, სოფლის მოსახლეობის მიერ კლიმატის ცვლილების შესახებ ინფორმაციის მიღების სასურველ წყაროდ სოციალური მედიის დასახელების მაჩვენებელი შემცირდა, 2023 წელს გაიზარდა ტელევიზიის დაფიქსირების წილი. რაც შეეხება ქალაქის მოსახლეობის დამოკიდებულებას აღნიშნულ საკითხთან მიმართებით, 2022-2023 წლებში რესპონდენტები თანაბარი სიხშირით ასახელებენ სოციალურ მედიას, როგორც პრიორიტეტულ საშუალებას; ამასთან, ამ უკანასკნელ ჯგუფში, კვლევის წინა ფაზასთან შედარებით რამდენადმე გაიზარდა ტელევიზიის დასახელების პროცენტული მაჩვენებელიც. (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა;  $\chi^2=19.965$ ;  $p<0.05$ ) (იხ. ცხრილი #31).

**ცხრილი #31**

რომელი წყაროებიდან ისურვებდით ახალი ინფორმაციის მიღებას კლიმატის ცვლილების შესახებ? (დასახლების ტიპის ჭრილი)	2023 წელი (N=1259)		2022 წელი (N=1500)	
	ქალაქი (თბილისის ჩათვლით)	სოფელი	ქალაქი (თბილისის ჩათვლით)	სოფელი
	%			
სოციალური მედია	62.1	43	62.9	60.5
საინფორმაციო ვებგვერდები	19.7	10.4	24.4	18.6
რადიოსადგურები	3.1	1.7	5.2	5.6
ტელევიზია	66.1	79.5	61.8	70.7
ბეჭდური მედია	4.1	1.2	5.1	5.4
სახელმწიფო უწყებები	7.2	9.2	9.8	10.3




რომელი წყაროებიდან ისურვებდით ახალი ინფორმაციის მიღებას კლიმატის ცვლილების შესახებ? (დასახლების ტიპის ჭრილი)	2023 წელი (N=1259)		2022 წელი (N=1500)	
	ქალაქი (თბილისის ჩათვლით)	სოფელი	ქალაქი (თბილისის ჩათვლით)	სოფელი
	%			
სკოლები / უნივერსიტეტები	7	9	11.5	8.3
სხვა (კომპეტენტური პირები/სემინარები)	0.1	0.3	0.3	0.2
არ ვისურვებდი	0.4	-	-	-
არ ვიცი/უარი პასუხზე	0.5	2	1.6	1.1

ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელთათვის კლიმატის ცვლილების შესახებ ინფორმაციის მიღების ყველაზე სასურველ წყაროს ტელევიზია (33.8%) და სოციალური მედია (30.5%) წარმოადგენს. შედარებით იშვიათად სახელდება ისეთი საშუალებები, როგორებიცაა საინფორმაციო ვებგვერდები (12.4%), სახელმწიფო უწყებები (10.5%) და სხვა (იხ. დიაგრამა #43).

### დიაგრამა #43


რომელი წყაროებიდან ისურვებდით ახალი ინფორმაციის მიღებას კლიმატის ცვლილების შესახებ? (N=383)  
(ეთნიკური უმცირესობები)



გარდა ზემოთ განხილული საკითხებისა, რესპონდენტებმა 5 ქულიან სკალაზე შეაფასეს, სხვადასხვა საგანმანათლებლო საფეხურის დონეზე კლიმატის ცვლილების შესახებ სპეციალური კურსების სწავლების მნიშვნელოვნების საკითხი. კვლევის შედეგების გათვალისწინებით, რესპონდენტთა დიდი უმრავლესობა აღნიშნავს, რომ ასეთი სასწავლო კურსის სწავლება საშუალო სკოლის (87.6%) და უმაღლესი განათლების (85.4%) საფეხურზე „ძალიან მნიშვნელოვანია+უფრო მეტად მნიშვნელოვანია, ვიდრე არა“. თითქმის თანაბარია იმ რესპონდენტთა პროცენტული მაჩვენებლები, რომლებიც ანალოგიურ პოზიციებს აფიქსირებენ დამატებითი სასერტიფიკატო კურსების (72%) და საჯარო სემინარების (74.2%) ფარგლებში კლიმატის ცვლილების სპეციალური კურსის ინტეგრირებასთან მიმართებით (იხ. დიაგრამა #44).

## დიაგრამა #44

როგორ ფიქრობთ, რამდენად მნიშვნელოვანია, რომ შეიქმნას სპეციალური კურსები კლიმატის ცვლილების შესახებ (N=1259)



ქვეყნის გეოგრაფიული მხარეების/თბილისის დონეზე საკითხის გაანალიზება აჩვენებს, რომ კლიმატის ცვლილების შესახებ სპეციალური საგანმანათლებლო კურსების შექმნას საშუალო სკოლის დონეზე ყველაზე მეტად დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა (93.5%) მიიჩნევს „ძალიან მნიშვნელოვანად+უფრო მეტად მნიშვნელოვნად, ვიდრე არა“. ასეთთა წილი თბილისში 79.8%-ია, აღმოსავლეთ საქართველოში კი 89.1%. დედაქალაქში (77%) შედარებით მაღალია ისეთ რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებიც მსგავსი საგანმანათ-

ლებლო პროგრამებისთვის დამატებითი სასერტიფიკატო კურსების ორგანიზებას მიიჩნევენ მნიშვნელოვნად (დასავლეთი - 72.8%; აღმოსავლეთი - 66.9%). ამასთან, თბილისისა და დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის თითქმის თანაბარი ნაწილი ემხრობა საჯარო სემინარებზე კლიმატის ცვლილების საკითხების განხილვას. რაც შეეხება აღნიშნული მიმართულებით საუნივერსიტეტო კურსის შექმნას, ამ უკანასკნელ მოსაზრებას ყველაზე მეტად აღმოსავლეთ საქართველოში მიიჩნევენ მნიშვნელოვნად (90.1%) (თბილისი - 82.8%; დასავლეთ საქართველო - 82.9%). (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა:  $p < 0.05$ ) (იხ. ცხრილი #32).

### ცხრილი #32


როგორ ფიქრობთ, რამდენად მნიშვნელოვანია, რომ შეიქმნას სპეციალური კურსები კლიმატის ცვლილების შესახებ... (N=1259)  (დასახლების ტიპის ჭრილი)		თბილისი	დასავლეთ საქართველო	აღმოსავლეთ საქართველო
		%		
საშუალო სკოლის საფეხურზე ( $\chi^2=81.332$ )	ძალიან უმნიშვნელო	1.9	-	0.7
	2	0.2	0.6	0.6
	3	17.5	4.9	7.1
	4	21.7	19.4	31.4
	ძალიან მნიშვნელოვანი	58.1	74.1	57.7
	არ ვიცი/უარი პასუხზე	0.5	1	2.5
დამატებითი სასერტიფიკატო კურსების დონეზე ( $\chi^2=34.053$ )	ძალიან უმნიშვნელო	2.1	3.1	1.7
	2	2.1	3.4	2.4
	3	15.2	17.1	18.7
	4	25.7	23.6	26.5
	ძალიან მნიშვნელოვანი	51.3	49.2	40.4
	არ ვიცი/უარი პასუხზე	3.6	3.6	10.3
საჯარო სემინარების დონეზე ( $\chi^2=39.173$ )	ძალიან უმნიშვნელო	2.9	2.3	2.2
	2	2	2.4	2.1
	3	14.9	13.8	17.1
	4	26	24	27.2
	ძალიან მნიშვნელოვანი	50.5	54.8	40.8
	არ ვიცი/უარი პასუხზე	3.7	2.7	10.6
უნივერსიტეტში ( $\chi^2=39.984$ )	ძალიან უმნიშვნელო	1.5	2.1	1.8
	2	1.9	2.1	0.3
	3	12.1	11.6	4.3
	4	24.6	20.2	30.1
	ძალიან მნიშვნელოვანი	58.2	62.7	60
	არ ვიცი/უარი პასუხზე	1.7	1.3	3.6

ეთნიკურად არაქართველ რესპონდენტებს შორის 90.1%-ს მიაჩნია, რომ კლიმატის ცვლილების შესახებ სპეციალური კურსების შექმნა და საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო პროგრამებში მათი ინტეგრირება „ძალიან მნიშვნელოვანია+უფრო მეტად მნიშვნელოვანია, ვიდრე არა“. შეფასების ამავე ნიშნულებს იყენებს რესპონდენტთა 85.1% სასკოლო

სწავლებაში მსგავსი სასწავლო კურსის შეტანასთან დაკავშირებით. რაც შეეხება დამატებით სასერტიფიკატო კურსების სახით ან საჯარო სემინარების დონეზე სწავლებას, როგორც მნიშვნელოვან იდეას, გამოკითხულთაგან ყოველი მეორე რესპონდენტი ემხრობა (იხ. დიაგრამა #45).

### დიაგრამა #45


როგორ ფიქრობთ, რამდენად მნიშვნელოვანია, რომ შეიქმნას სპეციალური კურსები კლიმატის ცვლილების შესახებ... (N=383) (ეთნიკური უმცირესობები)



გარდა ზემოთ განხილულისა, 2023 წელს ჩატარებული კვლევის შედეგების გათვალისწინებით, საქართველოში განხორციელებული კლიმატისა და გარემოსადმი მეგობრული ღონისძიებების, პროგრამების, პროექტებისა და პოლიტიკების შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობის დონე ძალზე დაბალია. კერძოდ რესპონდენტები ყველაზე ხშირად აცხადებენ, რომ ასეთი აქტივობის შესახებ ინფორმაციას არ ფლობენ (63.7%). (იხ. დიაგრამა #46).

**დიაგრამა #46**

**საქართველოში რა კლიმატ და გარემოსადმი მეგობრული პოლიტიკები, პროგრამები, პროექტები და ღონისძიებები გაგივიათ?**



რესპონდენტთა დასახლების ტიპის დონეზე საკითხის - თუ რა/რომელი კლიმატ და გარემოსადმი მეგობრული პოლიტიკები, პროგრამები, პროექტები და ღონისძიებები გაუვიათ რესპონდენტებს - გაანალიზება აჩვენებს, რომ კვლევის წინა რაუნდთან შედარებით მოსახლეობის ინფორმირებულობის დონე გაზრდილია - კლიმატის ცვლილების თაობაზე ეროვნული შეტყობინების სქემის შესახებ (2023 წელი: ქალაქი- 15.7; სოფელი - 12.9%; 2022 წელი: ქალაქი - 6.4%; სოფელი - 6.1%); ასევე, შედარებით გახშირდა მოსახლეობაში ისეთთა წილი, რომლებიც აღნიშნავენ, რომ ადრეული შეტყობინების სისტემის შესახებ სმენიათ (2023 წელი: ქალაქი- 15.4%; სოფელი - 16.8%; 2022 წელი: ქალაქი - 4.3%; სოფელი - 5.1%). აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ კვლევის ორივე ფაზაში თვალსაჩინოდ მაღალია აღნიშნულ საკითხზე მოსახლეობის არაინფორმირებულობის მაჩვენებელი, როგორც სოფლად, ასევე საქალაქო ტიპის დასახლებებში (არ ვიცი/უარი პასუხზე - 2023 წელი: ქალაქი- 60.5%; სოფელი - 70.4%; 2022 წელი: ქალაქი - 77.6%; სოფელი - 76%). (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა:  $\chi^2=34.034$ ;  $p<0.05$ ) (იხ. ცხრილი #33).

**ცხრილი #33**

საქართველოში რა კლიმატ და გარემოსადმი მეგობრული პოლიტიკები, პროგრამები, პროექტები და ღონისძიებები გაგივიათ?  (დასახლების ტიპის ჭრილი)	2023 წელი (N=1259)		2022 წელი (N=1500)	
	ქალაქი (თბილისის ჩათვლით)	სოფელი	ქალაქი (თბილისის ჩათვლით)	სოფელი
	%			
სათბურის აირების ინვენტარიზაციის ანგარიში	4.8	0.6	3.1	3.1
ეროვნული შეტყობინება კლიმატის ცვლილების შესახებ	15.7	12.9	6.4	6.1
კლიმატის ცვლილების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა	7.2	4.1	5.1	5.2
ეროვნულად განსაზღვრული წვლილის დოკუმენტი (NDC)	1.7	0.7	1.8	2
დაბალემისიანი განვითარების სტრატეგია (LEDS)	0.6	1	1.5	1.6
მერების შეთანხმება - მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმები (SECAP)	2.7	0.5	3	3.4
ნიკო კეცხოველის პრემია	2.5	2	3.6	3.1
ადრეული შეტყობინების სისტემების განვითარება	15.4	16.8	4.3	5.1
სხვა	3.5	1.4	1.8	1.4
არ ვიცი/უარი პასუხზე	60.2	70.4	77.6	76

გარდა ზემოთ აღწერილისა, აღსანიშნავია, რომ კვლევის წინა რაუნდთან შედარებით, კლიმატ და გარემოსადმი მეგობრული პროგრამების, პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ არაინფორმირებულობის დონე უმაღლესი განათლების მქონე რესპონდენტთა ჯგუფში საგრძნობლად შემცირდა (2023 წელი - 56.2%; 2022 წელი 72.7%); სხვა საგანმანათლებლო ხარისხის მქონე რესპონდენტთა შორის რესპონდენტთა მიერ საკითხზე ინფორმაციის არქონის მაჩვენებლის მხოლოდ 7%-იანი კლება დაფიქსირდა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ორივე სამიზნე ჯგუფში, წინა წელთან შედარებით, გაიზარდა ცნობადობა ისეთი თემების მიმართ, როგორებიცაა ეროვნული შეტყობინება კლიმატის ცვლილების შესახებ და ადრეული შეტყობინების სისტემის განვითარება. (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა;  $\chi^2=68.578$ ;  $p<0.05$ ) (იხ. ცხრილი #34).


**ცხრილი #34**

საქართველოში რა კლიმატ და გარემოსადმი მეგობრული პოლიტიკები, პროგრამები, პროექტები და ღონისძიებები გაგიგიათ?  (განათლების წრილი)	2023 წელი		2022 წელი	
	უმადლევი განათლება	სხვა	უმადლევი განათლება	სხვა
	%			
სათბურის აირების ინვენტარიზაციის ანგარიში	3.6	3.2	4.8	2
ეროვნული შეტყობინება კლიმატის ცვლილების შესახებ	16.5	13.7	7.7	5.6
კლიმატის ცვლილების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა	8.2	4.7	6.8	4
ეროვნულად განსაზღვრული წვლილის დოკუმენტი (NDC)	1.4	1.3	1.1	2.2
დაბალემისიანი განვითარების სტრატეგია (LEDS)	0.9	0.6	2.3	1
მერების შეთანხმება - მდგრადი ენერჯეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმები (SECAP)	3.8	0.7	3.3	2.9
ნიკო კეცხოველის პრემია	4.8	0.8	5.1	2.7
ადრეული შეტყობინების სისტემების განვითარება	19	13.9	5	3.9
სხვა	2.7	2.8	2.2	1.6
არ ვიცი/უარი პასუხზე	56.2	68.6	72.7	79.6

კლიმატ და გარემოსადმი მეგობრული პოლიტიკებიდან, პროგრამებიდან, პროექტებიდან, ღონისძიებებიდან, რომელთა შესახებ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები ფლობენ გარკვეულ ინფორმაციას (სულ მცირე გაუგიათ მათ შესახებ) ყველაზე დიდი სიხშირით ადრეული შეტყობინების სისტემის განვითარება იკვეთება (19.3%). აქვე, საგულისხმოა, რომ აღნიშნულ საკითხზე ინფორმაცია ნაკლებადაა გავრცელებული, რასაც ადასტურებს პასუხის ისეთი კატეგორიის დაფიქსირების მაღალი მაჩვენებელი, როგორცაა „არ ვიცი/უარი პასუხზე“ – 66.9% (დიაგრამა #47).

დიაგრამა #47

საქართველოში რა კლიმატ და გარემოსადმი მეგობრული პოლიტიკები, პროგრამები, პროექტები და ღონისძიებები გაგივიათ? (N=383) (ეთნიკური უმცირესობები)



- სათბურის აირების ინვენტარიზაციის ანგარიში
- ეროვნული შეტყობინება კლიმატის ცვლილების შესახებ
- კლიმატის ცვლილების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა
- დაბალემისიანი განვითარების სტრატეგია (LEDS)
- ადრეული შეტყობინების სისტემების განვითარება
- სხვა
- არ ვიცი/უარი პასუხზე






კითხვარის მომდევნო ბლოკი მიემართებოდა რესპონდენტთა ქცევის შეფასებას. გამოიკვეთა, რომ 2023 წელს გამოკითხულთა 40.8% სხვა ადამიანებთან საუბრისას კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით მოქმედების აუცილებლობას უფრო იშვიათად განიხილავს, ვიდრე ყოველთვიურად (2022 წელი - 42.4%). რესპონდენტთა საშუალოდ 15% ბემოაღნიშნულ საკითხს ყოველკვირეულად ან ყოველთვიურად ეხება, რაც, წინა წლის მონაცემებთან შედარებით, გაზრდილი მაჩვენებელია: 2022 წელი - საშუალოდ 11.5%. როგორც წინა წელს, ისე 2023 წლის გამოკითხვაშიც ყველაზე მცირეა იმ რესპონდენტთა წილი, ვინც მსგავსი თემების შესახებ სხვა ადამიანებთან ყოველდღიურად ან თითქმის ყოველდღე საუბრობს: 2023 - 7.8%, 2022 - 8.4%. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ წლებს შორის მაინც პოზიტიური დინამიკა შეინიშნება. ამას მოწმობს ის შედეგიც, რომ თუკი 2022 წელს გამოკითხულთა 13.9% კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით მოქმედების აუცილებლობას არასდროს გამოიკვეთდა, წელს მონაცემი განახევრებულია და 7.9%-ს უტოლდება (იხ. დიაგრამა #48).

### დიაგრამა #48

სხვა ადამიანებთან საუბრისას, რამდენად ხშირად განიხილავთ კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით მოქმედების აუცილებლობას?



**ასაკობრივი ჯგუფების** ჭრილში საკითხის გაანალიზებისას იკვეთება, რომ თითოეული ჯგუფის წარმომადგენელთა ძირითადი ნაწილი კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით მოქმედების აუცილებლობაზე უფრო იშვიათად საუბრობს, ვიდრე ყოველთვიურად:

- ▶ **18-24 წლის:** 2023 წელი - 47.5%, 2022 წელი - 48.1%
- ▶ **25-34 წლის:** 2023 წელი - 43.3%, 2022 წელი - 48.8%
- ▶ **35-44 წლის:** 2023 წელი - 41.9%, 2022 წელი - 45.7%
- ▶ **45-54 წლის:** 2023 წელი - 39%, 2022 წელი - 32%
- ▶ **55-65 წლის:** 2023 წელი - 33%, 2022 წელი - 38.3%

აქვე ხაზგასასმელია, რომ თუკი 2022 წელს ჩატარებული გამოკითხვის ფარგლებში 55-65 წლის ასაკის რესპონდენტთა 88.5% აღნიშნულ საკითხს რაღაც სიხშირით მაინც ახსენებს სხვა ადამიანებთან საუბრისას, რაც მსგავსი პრაქტიკის გამოხატულების დომინანტური წილია, 2023 წლის რაუნდში 35-44 წლის ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლები არიან ისინი, ვინც მსგავს საკითხზე საუბრის თვალსაზრისით წამყვან პოზიციას იკავებს (93.1%). თუმცა, მეორე მხრივ, ისიცაა აღსანიშნავი, რომ კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით მოქმედების აუცილებლობას ყოველდღიურად ან თითქმის ყოველდღე 55-65 წლის ასაკის 12.9% გამოკვეთს (2022 წელი - 10.2%) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა:  $X^2=78268$ ,  $p<0.05$ ) (იხ. ცხრილი #35).

### ცხრილი #35

სხვა ადამიანებთან საუბრისას, რამდენად ხშირად განიხილავთ კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით მოქმედების აუცილებლობას? (ასაკის ჭრილში) (%)		ყოველდღიურად ან თითქმის ყოველდღე	კვირაში რამდენჯერმე	ყოველკვირეულად	ყოველთვიურად	უფრო იშვიათად	არასდროს	არ ვიცი/უარი პასუხზე
18-24 წლის	2023 წელი (N=1053)	1.9	7.2	15.1	9.6	47.5	17.4	1.4
	2022 წელი (N=1500)	6.3	10.1	8.1	12.2	48.1	15.2	-
25-34 წლის	2023 წელი (N=1053)	5	8.2	14.8	18.3	43.3	10.3	-
	2022 წელი (N=1500)	4.7	9.4	8	12.4	48.8	16.4	0.3
35-44 წლის	2023 წელი (N=1053)	6.6	9.6	15	19.9	41.9	5	1.9
	2022 წელი (N=1500)	7	11	10.3	11.1	45.7	14.6	0.3
45-54 წლის	2023 წელი (N=1053)	9.8	8.6	11.6	23.9	39	5.1	2
	2022 წელი (N=1500)	13.5	15.3	15.7	11.2	32	11.6	0.6
55-65 წლის	2023 წელი (N=1053)	12.9	11.3	17.7	17.6	33	5.2	2.2
	2022 წელი (N=1500)	10.2	12	13.6	14.4	38.3	11.5	-

თუკი, 2022 წელს გამოკითხულთა შორის, როგორც უმაღლესი (13.4%), ისე არაუმაღლესი განათლების (14.2%) მქონე პირთა მეთავედზე მეტი არასდროს საუბრობდა კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით მოქმედების აუცილებლობაზე, 2023 წელს მონაცემები საშუალოდ 8%-ს უტოლდება: უმაღლესი განათლება - 7.1%, სხვა (არაუმაღლესი განათლება) - 8.4%. გამოკითხვის ორივე რაუნდში იკვეთება, რომ უმაღლესი განათლების დიპლომის მფლობელ რესპონდენტთა შედარებით დიდი წილია დაინტერესებული სხვებთან საუბრისას მსგავს საკითხზე აქცენტირებით (ნებისმიერი სიხშირით), ვიდრე - არაუმაღლესი განათლების მქონეები:

- ▶ უმაღლესი განათლება: 2023 წელი - 92.8%, 2022 წელი - 86.4%
- ▶ სხვა (არაუმაღლესი განათლება): 2023 წელი - 89.4%, 2022 წელი - 85.5% (იხ. ცხრილი #36).


### ცხრილი #36

სხვა ადამიანებთან საუბრისას, რამდენად ხშირად განიხილავთ კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით მოქმედების აუცილებლობას? (განათლების მიღწეული დონის ჭრილში) (%)		ყოველდღიურად ან თითქმის ყოველდღე	კვირაში რამდენჯერმე	ყოველკვირეულად	ყოველთვიურად	უფრო იშვიათად	არასდროს	არ ვიცი/უარი პასუხზე
უმაღლესი განათლება	2023 წელი (N=1259)	7.7	7.9	14.8	20	42.3	7.1	02
	2022 წელი (N=1500)	6.3	11	11.9	13.8	43.4	13.4	0.2
სხვა	2023 წელი (N=1259)	7.8	10.7	13.1	17.8	39.9	8.4	2.2
	2022 წელი (N=1500)	9.7	12	10.8	11.2	41.7	14.2	0.3

კვლევაში მონაწილე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მესამედზე მეტი (38.8%) სხვა ადამიანებთან საუბრისას ძალზე იშვიათად განიხილავს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით მოქმედების აუცილებლობას; ყოველი მეხუთე (19.9%) ამ თემებზე ყოველკვირეულად საუბრობს, 16.5% კი - ყოველთვიურად. მეათედს აღემატება მათი წილიც (12.9%), ვინც კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ საკითხებს სხვებთან საუბრისას კვირაში რამდენჯერმე განიხილავს (იხ. დიაგრამა #49).

### დიაგრამა #49

სხვა ადამიანებთან საუბრისას, რამდენად ხშირად განიხილავთ კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით მოქმედების აუცილებლობას? (ეთნიკური უმცირესობები) (N=383) (%) (2023 წელი)



საქალაქო ტიპის დასახლებებში მაცხოვრებელთა მეოთხედზე მეტი (28.8%) კლიმატის ცვლილებების შერბილებისთვის და გარემოს გაფრთხილებისთვის არანაირ პრაქტიკას არ მიმართავს. პასუხის მსგავსი კატეგორია წინა წლის გამოკითხვაში არ ყოფილა. 2022 წელს გამოკითხულთა შორის განსაკუთრებით მაღალია ხეების დარგვის პრაქტიკა (30.1%), თითქმის ყოველი მეხუთე რესპონდენტი კი ენერჯის დაზოგვით უფრთხილდება გარემოს (19.5%). 2023 წლის გამოკითხვაში მონაწილეთა შორისაც სწორედ ეს ორი პრაქტიკაა დომინანტური: ენერჯის დაზოგვა - 17.4%, ხეების დარგვა - 18.5%. თუკი წინა წლის გამოკითხვაში მეათედს აღემატებოდა მათი წილი, ვინც საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობდა (14%), ველოსიპედით და ფეხით გადაადგილდებოდა (13.8%) ან ნარჩენების განცალკევებას ახდენდა და შემდეგ აბარებდა (10.8%), 2023 წლის გამოკითხვაში მსგავსი პრაქტიკები შემცირებულია და საშუალოდ 6%-ს აღწევს:

- ▶ საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობა - 6.8%
- ▶ ველოსიპედით და ფეხით გადაადგილება - 6%
- ▶ ნარჩენების განცალკევებული შეგროვება (ქაღალდი, მინა, პლასტმასი და ა.შ.) და ჩაბარება - 5.5%

მსგავსი შედეგი შესაძლოა სწორედ იმით იყოს განპირობებული, რომ 2022 წლის გამოკითხვაში არ ყოფილა პასუხის კატეგორია „არაფერს არ მივმართავ“, რაც 2023 წელს დომინანტურ პოზიციას იკავებს (იხ. ცხრილი #37).

### ცხრილი #37

რა პრაქტიკებს მიმართავთ პირადად თქვენ კლიმატის ცვლილების შერბილებისთვის და გარემოს გაფრთხილებისათვის? (%)	საქალაქო დასახლებები	
	2023 წელი (N=826)	2022 წელი (N=884)
ენერჯის დაზოგვა	17.4	19.5
ხეების დარგვა	18.5	30.1
საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობა	6.8	14
ველოსიპედით და ფეხით გადაადგილება	6.0	13.8
ენერგოეფექტური საყოფაცხოვრებო ტექნიკის გამოყენება	3.5	2.8
ელექტრო ავტომობილის გამოყენება	3.2	0.9
ნარჩენების განცალკევებული შეგროვება (ქაღალდი, მინა, პლასტმასი და ა.შ.) და ჩაბარება	5.5	10.8
წყლის დაზოგვა	7.6	5.4
არაფერს არ მივმართავ	28.8	-
სხვა	0.7	0.5
არ ვიცი/უარი პასუხზე	1.9	2.1

რაც შეეხება რურალურ (სასოფლო) ტიპის დასახლებებში გარემოს გაფრთხილების მიზნით გამოკვეთილ პრაქტიკებს, როგორც 2022 წელს, ისე 2023 წელს ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, დომინანტური ქცევა, რასაც მოსახლეობა კლიმატის ცვლილების შერბილ-

ბისტვის ახორციელებს, ხეების დარგვა: 2023 წელი - 37.2%, 2022 წელი - 64.9%. ამ შემთხვევაშიც ხაზგასასმელია, რომ 2023 წელს სოფლად გამოკითხულთა თითქმის მეოთხედი (24%) მსგავსი მიზნით არანაირ პრაქტიკას არ მიმართავს - 2022 წელს კი პასუხის ეს კატეგორია არ ყოფილა შეთავაზებული. წელს გამოკითხულთა მეთედზე მეტი (13.3%) გარემოს გაფრთხილების თვალსაზრისით სახლს ათბუნებს და ნაკლებ შემას მოიხმარს (2022 წელი - 5%) (იხ. ცხრილი #38).

**ცხრილი #38**

რა პრაქტიკებს მიმართავთ პირადად თქვენ კლიმატის ცვლილების შერბილებისთვის და გარემოს გაფრთხილებისათვის? (%)	სასოფლო დასახლებები	
	2023 წელი (N=432)	2022 წელი (N=616)
ხეების დარგვა	37.2	64.9
ენერგოეფექტური ღუმელების და გამომშრალი შეშის გამოყენება	1.9	5.1
მზის პანელები ელექტროენერჯის მისაღებად	8.5	2.6
თანამედროვე ბიომასის ბრიკეტები, პელეტების გამოყენება	1	0.7
სასუქების ოპტიმალური გამოყენება	2.7	4.7
სახლის დათბუნება და ნაკლები შეშის მოხმარება	13.3	5
წყლის რესურსების დაზოგვით გამოყენება	7.5	7.9
არაფერს არ მივმართავ	24	-
სხვა	0.5	1.7
არ ვიცი/უარი პასუხზე	3.4	7.4

დასავლეთ საქართველოს საქალაქო ტიპის დასახლებებში გამოკითხულთა 26.8% არანაირ პრაქტიკას არ მიმართავს კლიმატის ცვლილების შერბილებისთვის; მსგავს პოზიციას აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების მოსახლეობის 18.3% იზიარებს. მეორე მხრივ, აღმოსავლეთ საქართველოში, ისევე, როგორც დასავლეთში, საქალაქო ტიპის დასახლებებში ყველაზე მეტად გავრცელებულია ხეების დარგვისა (აღმოსავლეთ საქართველო - 23.8%, დასავლეთ საქართველო - 24.6%) და ენერჯის დაზოგვის (აღმოსავლეთ საქართველო - 21.2%, დასავლეთ საქართველო - 14.3%) პრაქტიკა. აქვე ხაზგასასმელია, რომ თბილისის მაცხოვრებელთა 35.5% არანაირ ქმედებას არ ახორციელებს, რაც დომინანტური პოზიციაა. დასახლებულ კატეგორიებს შორის კი ენერჯის დაზოგვა (17.1%) და ხეების დარგვა (12.3%) ჭარბობს (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა:  $X^2=94097$ ,  $p<0.05$ ) (იხ. ცხრილი #39).

**ცხრილი #39**

რა პრაქტიკებს მიმართავთ პირადად თქვენ კლიმატის ცვლილების შერბილებისთვის და გარემოს გაფრთხილებისათვის? (დასახლების ტიპის მიხედვით) (გეოგრაფიული არეალის ჭრილში) (%) (2023 წელი)	საქალაქო დასახლებები (N=826)		
	თბილისი	დასავლეთ საქართველო	აღმოსავლეთ საქართველო
ენერჯის დაზოგვა	17.1	14.3	21.2
ხეების დარგვა	12.3	24.6	23.8
საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობა	9.3	4.6	4.4
ველოსიპედით და ფეხით გადაადგილება	1.7	8.8	v11
ენერგოეფექტური საყოფაცხოვრებო ტექნიკის გამოყენება	3.5	3.6	3.4
ელექტრო ავტომობილის გამოყენება	2.8	1.2	5.7
ნარჩენების განცალკევებული შეგროვება (ქაღალდი, მინა, პლასტმასი და ა.შ.) და ჩაბარება	5.8	7.9	2.8
წყლის დაზოგვა	9.3	3.8	8.5
არაფერს არ მივმართავ	35.5	26.8	18.3
სხვა	1.3	-	0.5
არ ვიცი/უარი პასუხზე	1.4	4.3%	0.5

რაც შეეხება სასოფლო დასახლებებს, დასავლეთ საქართველოს სოფლებში მეტადაა გავრცელებული ხეების დარგვის პრაქტიკა - თითქმის ყოველი მეორე მსგავს ქმედებას ახორციელებს (46.9%). აღმოსავლეთ საქართველოში კი იმ რესპონდენტთა წილი, ვინც გარემოს გაფრთხილებისთვის ხეებს რგავს 29.4%-მდე მცირდება. საქართველოს ამ ტერიტორიაზე უფრო გავრცელებული პრაქტიკა სახლების დათბუნება და ნაკლები შეშის მოხმარებაა (22.8%, დასავლეთ საქართველო - 1.6%) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა:  $\chi^2=58681$ ,  $p<0.05$ ) (იხ. ცხრილი #40).

## ცხრილი #40

რა პრაქტიკებს მიმართავთ პირადად თქვენ კლიმატის ცვლილების შერბილებისთვის და გარემოს გაფრთხილებისათვის? (დასახლების ტიპის მიხედვით) (გეოგრაფიული არეალის ჭრილში) (%) (2023 წელი)	სასოფლო დასახლებები (N=432)	
	დასავლეთ საქართველო	აღმოსავლეთ საქართველო
ხეების დარგვა	46.9	29.4
ენერგოეფექტური ღუმელების და გამომშრალი შეშის გამოყენება	2.9	1.1
მზის პანელები ელექტროენერჯის მისაღებად	6.5	10.2
თანამედროვე ბიომასის ბრიკეტები, პელეტების გამოყენება	1.3	0.8
სასუქების ოპტიმალური გამოყენება	4.4	1.3
სახლის დათბუნება და ნაკლები შეშის მოხმარება	1.6	22.8
წყლის რესურსების დაზოგვით გამოყენება	4.3	10.1
არაფერს არ მივმართავ	27.7	21
სხვა	0.6	0.4
არ ვიცი/უარი პასუხზე	3.8	3

საქალაქო ტიპის დასახლებებში მაცხოვრებელი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების ძირითადი ნაწილი კლიმატის ცვლილებების შერბილებისთვის არაფერს არ აკეთებს (25.7%, N=19). დასახლებულ კატეგორიებში კი, ზოგადი ტენდენციის მსგავსად, ენერჯის დაზოგვა (22%, N=16) და ხეების დარგვა (15.7%, N=11) დომინანტური. მინიმალურია იმ რესპონდენტთა წილი, ვინც ენერგოეფექტურ საყოფაცხოვრებო ტექნიკას იყენებს (2.5%, N=2) (იხ. ცხრილი #41).

## ცხრილი #41

რა პრაქტიკებს მიმართავთ პირადად თქვენ კლიმატის ცვლილების შერბილებისთვის და გარემოს გაფრთხილებისათვის? (საქალაქო ტიპის დასახლებები) (ეთნიკური უმცირესობები)	2023 წელი (N=71) (%)
ენერჯის დაზოგვა	22 (N=16)
ხეების დარგვა	15.7 (N=11)
საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობა	8.6 (N=6)
ველოსიპედით და ფეხით გადაადგილება	6.5 (N=5)
ენერგოეფექტური საყოფაცხოვრებო ტექნიკის გამოყენება	2.5 (N=2)
ელექტრო ავტომობილის გამოყენება	8.0 (N=6)
ნარჩენების განცალკევებული შეგროვება (ქაღალდი, მინა, პლასტმასი და ა.შ.) და ჩაბარება	4.3 (N=3)
წყლის დაზოგვა	6.6 (N=5)
არაფერს არ მივმართავ	25.7 (N=19)

რაც შეეხება სასოფლო ტიპის დასახლებებს, გამოკითხულ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მეხუთედი (20%) ხეების დარგვით უფრთხილდება გარემოს, 16.2% კი - სახლის დათბუნებით და ნაკლები შეშის მოხმარებით. თითოეულ შემთხვევაში მეთედს აღემატება მათი წილი, ვინც ელექტროენერჯის მისაღებად მზის პანელებს იყენებს (14.7%) ან წყლის რესურსს ზოგავს (11.3%). აქვე აღსანიშნავია, რომ სოფლად მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობათა თითქმის მეხუთედი (19.8%) კლიმატის ცვლილების შერბილებისთვის არანაირ პრაქტიკას არ მიმართავს (იხ. ცხრილი #42).


## ცხრილი #42

რა პრაქტიკებს მიმართავთ პირადად თქვენ კლიმატის ცვლილების შერბილებისთვის და გარემოს გაფრთხილებისათვის? (სასოფლო ტიპის დასახლებები) (ეთნიკური უმცირესობები)	2023 წელი (N=311) (%)
ხეების დარგვა	20.0
ენერგოეფექტური ღუმელების და გამომშრალი შეშის გამოყენება	1.4
მზის პანელები ელექტროენერჯის მისაღებად	14.7
თანამედროვე ბიომასის ბრიკეტები, პელეტების გამოყენება	1.5
სასუქების ოპტიმალური გამოყენება	10.3
სახლის დათბუნება და ნაკლები შეშის მოხმარება	16.2
წყლის რესურსების დაზოგვით გამოყენება	11.3
არაფერს არ მივმართავ	19.8
არ ვიცი/უარი პასუხზე	4.9

კლიმატის ცვლილების შერბილებისთვის და გარემოს გაფრთხილებისთვის ზემოაღნიშნული ქცევების განხორციელებისას, რესპონდენტთა ძირითადი მოტივი ჯანმრთელობაზე ზრუნვაა (2023 წელი - 37.8%, 2022 წელი - 43.8%); შემდგომ პოზიციას კი შვილების უსაფრთხო მომავალი იკავებს: 2023 წელი - 22.9%, 2022 წელი - 27.1%. მნიშვნელოვანია, რომ 2022 წლის მონაცემებში საშუალოდ მეათედს უტოლდება მათი წილი, ვინც მოტივად ხარჯების შემცირებას (9.1%) ან გარემოზე ცუდი გავლენის მოხდენას (10%) ასახელებს; 2023 წელს კი ამ რესპონდენტთა წილი ცალკეულ შემთხვევაში 15%-ს აჭარბებს: ხარჯების შემცირება - 18.6%, იმის გააზრება, რომ გარემოზე ცუდ გავლენას ვახდენ - 16.5% (იხ. დიაგრამა #50).

## დიაგრამა #50

ამ ქცევის განხორციელებისას, რა არის თქვენი ძირითადი მოტივი





მსგავსი ქცევის მოტივებზე საუბრისას სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები გამოიკვეთა ასაკობრივი ჯგუფების ჭრილში ( $\chi^2=58030$ ,  $p<0.05$ ). ორივე რაუნდში რესპონდენტთა დიდი ნაწილი ძირითად მოტივად ჯანმრთელობაზე ზრუნვას ასახელებს.

- ▶ **18-24 წლის:** 2023 წელი - 56%, 2022 წელი - 46.8%
- ▶ **25-34 წლის:** 2023 წელი - 33.3%, 2022 წელი - 42.5%
- ▶ **35-44 წლის:** 2023 წელი - 33.1%, 2022 წელი - 45.4%
- ▶ **45-54 წლის:** 2023 წელი - 32.1%, 2022 წელი - 43.8%
- ▶ **55-65 წლის:** 2023 წელი - 37.6%, 2022 წელი - 41.1%

ორივე რაუნდის შემთხვევაში ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ რაც უფრო იზრდება ასაკობრივი კატეგორიები, მით ხშირია შვილების უსაფრთხო მომავალზე ზრუნვის მოტივი, რაც სავსებით ლოგიკური შედეგია, რადგან ზედა ასაკობრივ კატეგორიებში მეტადაა მოსალოდნელი შვილის ყოლა, ვიდრე 18-24 წლის რესპონდენტებში.

- ▶ **18-24 წლის:** 2023 წელი - 5.7%, 2022 წელი - 10.4%
- ▶ **25-34 წლის:** 2023 წელი - 24.1%, 2022 წელი - 26.3%
- ▶ **35-44 წლის:** 2023 წელი - 25.3%, 2022 წელი - 31.5%
- ▶ **45-54 წლის:** 2023 წელი - 24.7%, 2022 წელი - 29.5%
- ▶ **55-65 წლის:** 2023 წელი - 23.6%, 2022 წელი - 34.4%

ამასთან, 2023 წლის გამოკითხვაში თითოეულ ასაკობრივ ჯგუფში რესპონდენტთა უფრო დიდი წილი ასახელებს მოტივად ხარჯების შემცირებას, ვიდრე - 2022 წელს (იხ. ცხრილი #43).

**ცხრილი #43**

ამ ქცევის განხორციელებისას, რა არის თქვენი ძირითადი მოტივი (ასაკის ჭრილში) (%)		ჯანმრთელობაზე ზრუნვა	ხარჯების შემცირება	იმის გააზრება, რომ გარემოზე ცუდ გავლენას ვახდენ	ჩემი შვილების უსაფრთხო მომავალი	უფრო კომფორტულია ან ადვილი	სხვა	არ ვიცი/უარი პასუხზე
18-24 წლის	2023 წელი (N=1053)	56	14.8	14.5	5.7	6.8	-	2.3
	2022 წელი (N=1500)	46.8	9.1	19.4	10.4	7.4	0.6	6.2
25-34 წლის	2023 წელი (N=1053)	33.3	18	18.3	24.1	5.1	-	1.2
	2022 წელი (N=1500)	42.5	8.6	11.1	26.3	4.7	0.4	6.4
35-44 წლის	2023 წელი (N=1053)	33.1	19.3	17.5	25.3	2.8	1.5	0.5
	2022 წელი (N=1500)	45.4	9	5.6	31.5	2.3	0.6	5.7
45-54 წლის	2023 წელი (N=1053)	32.1	17.5	22	24.7	3.6	-	-
	2022 წელი (N=1500)	43.8	8.1	9.7	29.5	4.5	0.4	4.2
55-65 წლის	2023 წელი (N=1053)	37.6	20.5	15.3	23.6	2.1	0.5	0.5
	2022 წელი (N=1500)	41.1	11.1	5.9	34.4	3.8	0.3	3.5

მოტივებზე მსჯელობისას, განათლების მიღწეული დონის ჭრილში, ცხადია, ზოგადი ტენდენცია შენარჩუნებულია. თუმცა, ხაზგასასმელია, რომ ჯანმრთელობაზე ზრუნვის მიღმა, არაუმალესი განათლების კატეგორიის წარმომადგენელ რესპონდენტთა მეხუთედი (20.5%) მიიჩნევს, რომ კლიმატის ცვლილებების შერბილებისთვის განხორციელებული აქტივობების ძირითადი მოტივი ხარჯების შემცირებაა, რასაც უმალესი განათლების მქონეთა 15.5% იზიარებს. ამ უკანასკნელ ჯგუფში მეხუთედს აჭარბებს მათი წილი (21%), ვინც მიიჩნევს, რომ ქცევას ახორციელებს რადგან იაზრებს, რომ გარემოზე ცუდ გავლენას ახდენს (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა:  $X^2=15194$ ,  $p<0.05$ ). წინა რაუნდში, განათლების მიღწეული დონის ჭრილში სამიზნე ჯგუფებს შორის მკვეთრი განსხვავებები არ გამოვლენილა. 2022 წელს გამოკვეთილად დიდი ნაწილი ასახელებდა ჯანმრთელობაზე ზრუნვას, როგორც ძირითად მოტივს (უმალესი განათლება - 44.4%, სხვა - 43.4%), რაც 2023 წელს შემცირებულია (უმალესი განათლება - 37.1%, სხვა - 38.2%), რადგან მნიშვნელობა ენიჭება სხვა ზემოთ ხსენებულ კატეგორიებსაც (იხ. ცხრილი #44).


## ცხრილი #44

ამ ქვევის განხორციელებისას, რა არის თქვენი ძირითადი მოტივი (განათლების მიღწეული დონის ჭრილში) (%)		ჯანმრთელობაზე ზრუნვა	ხარჯების შემცირება	იმის გააზრება, რომ გარემოზე ცუდ გავლენას ვახდენ	ჩემი შვილების უსაფრთხო მომავალი	უფრო კომფორტული ან ადვილი	სხვა	არ ვიცი/უარი პასუხზე
უმაღლესი განათლება	2023 წელი (N=1259)	37.1	15.5	21	20.4	4.4	0.4	1.2
	2022 წელი (N=1500)	44.4	8.4	11.5	25.9	4.8	0.1	4.8
სხვა	2023 წელი (N=1259)	38.2	20.5	13.6	24.4	2.4	0.3	0.5
	2022 წელი (N=1500)	43.4	9.6	8.9	27.8	4.2	0.6	5.4

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა შემთხვევაშიც, ზოგადი ტენდენციის მსგავსად, გარემოზე ზრუნვისთვის განხორციელებული პრაქტიკების ძირითადი მოტივი ჯანმრთელობაზე ზრუნვა (39.6%) და შვილებისთვის უსაფრთხო მომავლის შექმნაა (37.8%). მეათედს აღემატება მათი წილი, ვინც მთავარ მოტივად ხარჯების შემცირებას ასახელებს (12.8%) (იხ. დიაგრამა #51).

## დიაგრამა #51

ამ ქვევის განხორციელებისას, რა არის თქვენი ძირითადი მოტივი (ეთნიკური უმცირესობა) (N=383) (%) (2023 წელი)



ინდივიდუალური ქვევის დეტალურად შესაფასებლად რესპონდენტებს წარედგინათ სხვადასხვა სიტუაცია. მათ კი უნდა განესაზღვრათ, თუ რას მოიმოქმედებდნენ მსგავს შემთხვევებში. სიტუაციებზე დაყრდნობით, გამოიკვეთა, რომ გამოკითხულთა ძირითადი ნა-

წილი, გარემოს მოფრთხილების თვალსაზრისით, მართებულ პოზიციებს იკავებს. თითქმის ყოველი მეორე რესპონდენტის აზრით (49.8%), თუკი რეგიონი, კლიმატის ცვლილების გამო, უკიდურესი სიცხეების პრობლემის წინაშე დგას, კონდიციონერების სისტემების შექმნის მაგივრად, სიცხისგან უსაფრთხოების/თავდაცვის ზომების შესახებ საგანმანათლებლო პროგრამებს დააფინანსებდა. კონდიციონერების სისტემა გარემოზე დამატებით ნეგატიური გავლენის მომხდენია; ამდენად, რესპონდენტთა ძირითადი ნაწილი მართებულად მოიქცეოდა.

რესპონდენტთა პოზიტიურ ქცევაზე მიუთითებს ისიც, რომ გამოკითხულთა 47.5% კლიმატის ცვლილების ინფორმირებულობის შესახებ გამართულ სემინარზე იმ მონაწილის აზრს არ გაიზიარებდა, ვინც ამტკიცებს, რომ ინდივიდუალური ქმედებები კლიმატის ცვლილებაზე მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენს. როგორც ჩანს, გამოკითხულთა ძირითადმა ნაწილმა იცის, რომ გარემოზე და მის უსაფრთხოებაზე ცალკეული ინდივიდის ქცევა აისახება.

ამასთან, გამოკითხულთა უმრავლესობა (62.6%), გარემოსდაცვითი თვალსაზრისით, მართებულად საზღვრავს, რომ ენერჯის მოხმარების შემცირების მიზნით, უმჯობესია პანელების, იზოლაციის და ახალი ფანჯრების შესაძენად ფულის დახარჯვა, ვიდრე ამ მიმართულებით ფულის დაზოგვა.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ კვლევაში მონაწილე პირთა ძირითადი ნაწილი, გარემოს მოფრთხილების თვალსაზრისით, სხვადასხვა სიტუაციაში მართებულ ქცევას განახორციელებდა (იხ. ცხრილი #45).

**ცხრილი #45**

<b>წარმოიდგინეთ: თქვენ მუშაობთ ადგილობრივ ხელისუფლებაში რეგიონში, სადაც კლიმატის ცვლილების გამო უკიდურესი სიცხეა. ბიუჯეტი შეზღუდულია და თქვენ უნდა გადაწყვიტოთ დააფინანსოთ კონდიციონერების სისტემები საზოგადოებრივ შენობებში ან თემის/სამეზობლოს საგანმანათლებლო პროგრამები სიცხისგან უსაფრთხოების/თავდაცვის ზომების შესახებ. რა გადაწყვეტილებას მიიღებდით? (%) (2023 წელი)</b>	
დავაფინანსებ კონდიციონერების სისტემების შექმნას საზოგადოებრივი შენობებისთვის	31.1
დავაფინანსებ საგანმანათლებლო პროგრამებს სიცხისგან უსაფრთხოების/თავდაცვის ზომების შესახებ.	49.8
არ ვიცი/უარი პასუხზე	19.1
<b>წარმოიდგინეთ: თქვენ ხელმძღვანელობთ სემინარს კლიმატის ცვლილებაზე ინფორმირებულობის შესახებ. ერთ-ერთი მონაწილე ამტკიცებს, რომ ინდივიდუალური ქმედებები, როგორცაა მაგალითად ენერჯის მოხმარების შემცირება მნიშვნელოვან გავლენას არ მოახდენს. რა იქნებოდა თქვენი პოზიცია? (%) (2023 წელი)</b>	
მონაწილის აზრს გავიზიარებ იმის შესახებ, რომ ინდივიდუალური ქმედებები კლიმატის ცვლილებაზე მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენს	29.5
მონაწილის აზრს არ გავიზიარებ იმის შესახებ, რომ ინდივიდუალური ქმედებები კლიმატის ცვლილებაზე მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენს	47.5
არ ვიცი/უარი პასუხზე	23
<b>წარმოიდგინეთ: თქვენ გსურთ თქვენს სახლში ენერჯის მოხმარება მეტად ეფექტური გახადოთ, რაც შესაძლებელია მზის პანელების, იზოლაციის, ან ახალი ფანჯრების დაყენებით. აღნიშნული ხარჯებთან არის დაკავშირებული, თუმცა შეამცირებს თქვენ მიერ ენერჯის მოხმარებას და, შესაბამისად, სამომავლოდ თქვენს ყოველთვიურ ხარჯებს ენერჯის მოხმარებაზე. რას გადაწყვეტთ? (%) (2023 წელი)</b>	
დავხარჯავდი/დავაგროვებდი ფულს პანელების, იზოლაციის ან ახალი ფანჯრების შესაძენად	62.6

ფულს/დანაზოგს არ გამოვიყენებდი პანელების, იზოლაციის ან ახალი ფანჯრების შესაძენად, რადგან სხვა პრიორიტეტები მაქვს	22.3
არ ვიცი/უარი პასუხზე	15.1

დასახლების ტიპის ჭრილში ზოგიერთ სიტუაციასთან მიმართებით სტატისტიკურად სანდო განსხვავებები იკვეთება. სემინარის ერთ-ერთ მონაწილეს, რომელიც ამტკიცებს, რომ ინდივიდუალური ქმედებები კლიმატის ცვლილებებზე მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს, როგორც ურბანულ (50.3%), ისე რურალურ (42.1%) სივრცეებში გამოკითხულთა ძირითადი ნაწილი არ დაეთანხმებოდა. თუმცა, საგულისხმოა, რომ სასოფლო ტიპის მაცხოვრებელთა თითქმის მესამედს კონკრეტული პოზიციის დაფიქსირება გაუჭირდა (30.3%) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა:  $X^2=6595$ ,  $p<0.05$ ).

ორივე ტიპის დასახლების შემთხვევაში რესპონდენტთა უმრავლესობა ფულს დაზოგავდა/დახარჯავდა პანელების, იზოლაციის ან ახალი ფანჯრების შესაძენად, რომ სახლში ენერჯის მოხმარება მეტად ეფექტური გაეხადა: ქალაქი (თბილისის ჩათვლით) – 61.5%, სოფელი - 64.8%. ურბანული სივრცეების შემთხვევაში რესპონდენტთა თითქმის მეოთხედს უტოლდება მათი წილი (23.9%), ვინც იზოლაციის ან ახალი ფანჯრების შესაძენად ფულს არ დახარჯავდა, რადგან აღნიშნული საკითხი მის პრიორიტეტებში არ მოიაზრება (სოფელი - 19.2%) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა:  $X^2=8217$ ,  $p<0.05$ ) (იხ. ცხრილი #46).

**ცხრილი #46**

დებულებები (დასახლების ტიპის ჭრილში) (%) (2023 წელი)	ქალაქი (თბილისის ჩათვლის)	სოფელი
<b>წარმოიდგინეთ: თქვენ ხელმძღვანელობთ სემინარს კლიმატის ცვლილებებზე ინფორმირებულობის შესახებ. ერთ-ერთი მონაწილე ამტკიცებს, რომ ინდივიდუალური ქმედებები, როგორცაა მაგალითად ენერჯის მოხმარების შემცირება მნიშვნელოვან გავლენას არ მოახდენს. რა იქნებოდა თქვენი პოზიცია?</b>		
მონაწილის აზრს გავიზიარებ იმის შესახებ, რომ ინდივიდუალური ქმედებები კლიმატის ცვლილებაზე მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენს	30.5	27.7
მონაწილის აზრს არ გავიზიარებ იმის შესახებ, რომ ინდივიდუალური ქმედებები კლიმატის ცვლილებაზე მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენს	50.3	42.1
არ ვიცი/უარი პასუხზე	19.2	30.3
<b>წარმოიდგინეთ: თქვენ გსურთ თქვენს სახლში ენერჯის მოხმარება მეტად ეფექტური გახადოთ, რაც შესაძლებელია მზის პანელების, იზოლაციის, ან ახალი ფანჯრების დაყენებით. აღნიშნული ხარჯებთან არის დაკავშირებული, თუმცა შეამცირებს თქვენ მიერ ენერჯის მოხმარებას და, შესაბამისად, სამომავლოდ თქვენს ყოველთვიურ ხარჯებს ენერჯის მოხმარებაზე. რას გადანწყვეტთ?</b>		
დავხარჯავდი/დავაგროვებდი ფულს პანელების, იზოლაციის ან ახალი ფანჯრების შესაძენად	61.5	64.8
ფულს/დანაზოგს არ გამოვიყენებდი პანელების, იზოლაციის ან ახალი ფანჯრების შესაძენად, რადგან სხვა პრიორიტეტები მაქვს	23.9	19.2
არ ვიცი/უარი პასუხზე	14.6	15.9

განათლების მიღწეული დონის ჭრილში საკითხის გაანალიზებამ ცხადყო, რომ, მართალია, ორივე სამიზნე ჯგუფის წარმომადგენელთა ძირითადი ნაწილი გარემოს, კლიმატის ცვლილების თვალსაზრისით, მართებულ პოზიციებს ირჩევს, თუმცა უმაღლესი განათლების მქონეთა შორის მსგავსი შეხედულების მქონე პირთა წილი გაცილებით მეტია და უმრავლესობას ქმნის - უმაღლესი განათლების მქონეთა 59%, თუკი იქნებოდა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელი, უკიდურესი სიცხეების შემთხვევაში პრიორიტეტს მიანიჭებდა თემის/სამეზობლოს ცნობიერების ამაღლებას და შეზღუდული ბიუჯეტის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამებს დააფინანსებდა სიცხისგან თავდაცვის ზომების შესახებ. არაუმაღლესი განათლების მქონეთა შორის მაჩვენებელი 43.9%-მდე მცირდება. ამ სამიზნე ჯგუფის რესპონდენტთა მეოთხედს (25.7%) კონკრეტული პოზიციის დაფიქსირება გაუჭირდა (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა:  $X^2=58268$ ,  $p<0.05$ ).

ამასთან, გამოიკვეთა, რომ უმაღლესი განათლების მქონე რესპონდენტთა 55.9% არ გაიზიარებდა სემინარის იმ მონაწილის აზრს, ვინც ამტკიცებს, რომ ინდივიდუალური ქმედებები კლიმატის ცვლილებებზე გავლენის მომხდენი არ არის (არაუმაღლესი განათლება - 42.1%). ამ შემთხვევაშიც არაუმაღლესი განათლების მქონე პირთა მეოთხედზე მეტი (29.5%) პასუხის გაცემისგან თავს იკავებს ან კონკრეტული პოზიციის დაფიქსირება უჭირს (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა:  $X^2=49072$ ,  $p<0.05$ ).

სახლში ენერჯის მოხმარების ეფექტურობის გასაზრდელად კი, როგორც უმაღლესი (67.1%), ისე განათლების სხვა საფეხურის (59.7%) წარმომადგენელთა უმრავლესობა პანელების, იზოლაციის ან ახალი ფანჯრების შესაძენად ფულს დახარჯავდა (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა:  $X^2=11819$ ,  $p<0.05$ ) (იხ. ცხრილი #47).

#### ცხრილი #47

დებულებები (N=1259) (განათლების მიღწეული დონის ჭრილში) (%) (2023 წელი)	უმაღლესი	სხვა
<b>წარმოიდგინეთ: თქვენ მუშაობთ ადგილობრივ ხელისუფლებაში რეგიონში, სადაც კლიმატის ცვლილების გამო უკიდურესი სიცხეა. ბიუჯეტი შეზღუდულია და თქვენ უნდა გადაწყვიტოთ დააფინანსოთ კონდიციონერების სისტემები საზოგადოებრივ შენობებში ან თემის/სამეზობლოს საგანმანათლებლო პროგრამები სიცხისგან უსაფრთხოების/თავდაცვის ზომების შესახებ. რა გადაწყვეტილებას მიიღებდით?</b>		
დავაფინანსებ კონდიციონერების სისტემების შექმნას საზოგადოებრივი შენობებისთვის	32.1	30.5
დავაფინანსებ საგანმანათლებლო პროგრამებს სიცხისგან უსაფრთხოების/თავდაცვის ზომების შესახებ.	59	43.9
არ ვიცი/უარი პასუხზე	8.9	25.7
<b>წარმოიდგინეთ: თქვენ ხელმძღვანელობთ სემინარს კლიმატის ცვლილებებზე ინფორმირებულობის შესახებ. ერთ-ერთი მონაწილე ამტკიცებს, რომ ინდივიდუალური ქმედებები, როგორცაა მაგალითად ენერჯის მოხმარების შემცირება მნიშვნელოვან გავლენას არ მოახდენს. რა იქნებოდა თქვენი პოზიცია?</b>		
მონაწილის აზრს გავიზიარებ იმის შესახებ, რომ ინდივიდუალური ქმედებები კლიმატის ცვლილებაზე მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენს	31.3	28.4
მონაწილის აზრს არ გავიზიარებ იმის შესახებ, რომ ინდივიდუალური ქმედებები კლიმატის ცვლილებაზე მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენს	55.9	42.1
არ ვიცი/უარი პასუხზე	12.8	29.5

<b>წარმოდგინეთ: თქვენ გსურთ თქვენს სახლში ენერჯის მოხმარება მეტად ეფექტური გახადოთ, რაც შესაძლებელია მზის პანელების, იზოლაციის, ან ახალი ფანჯრების დაყენებით. აღნიშნული ხარჯებთან არის დაკავშირებული, თუმცა შეამცირებს თქვენ მიერ ენერჯის მოხმარებას და, შესაბამისად, სამომავლოდ თქვენს ყოველთვიურ ხარჯებს ენერჯის მოხმარებაზე. რას გადანყვეტთ?</b>		
დავხარჯავდი/დავაგროვებდი ფულს პანელების, იზოლაციის ან ახალი ფანჯრების შესაძენად	67.1	59.7
ფულს/დანაზოგს არ გამოვიყენებდი პანელების, იზოლაციის ან ახალი ფანჯრების შესაძენად, რადგან სხვა პრიორიტეტები მაქვს	22	22.5
არ ვიცი/უარი პასუხზე	10.9	17.8

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა შორისაც შენარჩუნებულია სხვადასხვა სიტუაციაში გარემოს გაფრთხილებაზე ორიენტირებული გადანყვეტილებების მიღება - ა) 39.5% დააფინანსებდა საგანმანათლებლო პროგრამებს სიცხისგან თავდაცვის ზომების შესახებ, ბ) 42% არ გაიზიარებდა სემინარის იმ მონაწილის აზრს, რომელიც ამტკიცებს რომ ინდივიდუალურ ქმედებებს გარემოზე გავლენა არ აქვს, გ) 52.3% დაზოგავდა ფულს პანელების, იზოლაციის ან ახალი ფანჯრების შესაძენად. თუმცა, ხაზგასასმელია, რომ პირველი ორი სიტუაციის შეფასებისას საშუალოდ 31% პასუხზე უარს აცხადებს ან უჭირს კონკრეტული პოზიციის დაფიქსირება (იხ. ცხრილი #48).

#### ცხრილი #48

ეთნიკური უმცირესობები (N=383) (%) (2023 წელი)	
<b>წარმოდგინეთ: თქვენ მუშაობთ ადგილობრივ ხელისუფლებაში რეგიონში, სადაც კლიმატის ცვლილების გამო უკიდურესი სიცხეა. ბიუჯეტი შეზღუდულია და თქვენ უნდა გადანყვიტოთ დააფინანსოთ კონდიციონერების სისტემები საზოგადოებრივ შენობებში ან თემის/სამეზობლოს საგანმანათლებლო პროგრამები სიცხისგან უსაფრთხოების/თავდაცვის ზომების შესახებ. რა გადანყვეტილებას მიიღებდით?</b>	
დააფინანსებ კონდიციონერების სისტემების შექმნას საზოგადოებრივი შენობებისთვის	33.5
დააფინანსებ საგანმანათლებლო პროგრამებს სიცხისგან უსაფრთხოების/თავდაცვის ზომების შესახებ.	39.5
არ ვიცი/უარი პასუხზე	26.9
<b>წარმოდგინეთ: თქვენ ხელმძღვანელობთ სემინარს კლიმატის ცვლილებებზე ინფორმირებულობის შესახებ. ერთ-ერთი მონაწილე ამტკიცებს, რომ ინდივიდუალური ქმედებები, როგორცაა მაგალითად ენერჯის მოხმარების შემცირება მნიშვნელოვან გავლენას არ მოახდენს. რა იქნებოდა თქვენი პოზიცია?</b>	
მონაწილის აზრს გავიზიარებ იმის შესახებ, რომ ინდივიდუალური ქმედებები კლიმატის ცვლილებაზე მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენს	21.8
მონაწილის აზრს არ გავიზიარებ იმის შესახებ, რომ ინდივიდუალური ქმედებები კლიმატის ცვლილებაზე მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენს	42
არ ვიცი/უარი პასუხზე	36.3
<b>წარმოდგინეთ: თქვენ გსურთ თქვენს სახლში ენერჯის მოხმარება მეტად ეფექტური გახადოთ, რაც შესაძლებელია მზის პანელების, იზოლაციის, ან ახალი ფანჯრების დაყენებით. აღნიშნული ხარჯებთან არის დაკავშირებული, თუმცა შეამცირებს თქვენ მიერ ენერჯის მოხმარებას და, შესაბამისად, სამომავლოდ თქვენს ყოველთვიურ ხარჯებს ენერჯის მოხმარებაზე. რას გადანყვეტთ?</b>	

<b>ეთნიკური უმცირესობები (N=383) (%) (2023 წელი)</b>	
დავხარჯავდი/დავაგროვებდი ფულს პანელების, იზოლაციის ან ახალი ფანჯრების შესაძენად	52.3
ფულს/დანაზოგს არ გამოვიყენებდი პანელების, იზოლაციის ან ახალი ფანჯრების შესაძენად, რადგან სხვა პრიორიტეტები მაქვს	29.7
არ ვიცი/უარი პასუხზე	18

მომდევნო ჰიპოთეტური სიტუაციების განხილვისასაც, რესპონდენტთა ძირითადი ნაწილი, პოზიციონირების დონეზე, გარემოსდაცვით ჭრილში მართებულ შეხედულებებს აჟღერებს. მაგალითად, იმ შემთხვევაში თუკი ქალაქთან ახლოს ფუნქციონირებს ქარხანა, რომელშიც მოსახლეობის დიდი ნაწილია დასაქმებული, თუმცა დიდი რაოდენობით გამონაბოლქვსა და სამრეწველო ნარჩენს წარმოქმნის, რესპონდენტთა 68.8% გარემოს უსაფრთხოების უზრუნველყოფამდე (მაგ. ფილტრის დაყენება) ქარხნის მუშაობის შეჩერებას მოითხოვდა.

აგრეთვე, თუკი კერძო კომპანია ნაკვეთს შეისყიდდა და, შენობის მშენებლობის მიზნით, ტყის მასივის გაჩეხვას გადაწყვეტდა, ასეთ დროს გამოკითხულთა 69.6% ტყით სარგებლობის შესახებ არსებული რეგულაციების გამკაცრებას მოითხოვდა, რაც მესაკუთრეს ტყის გაჩეხვას აუკრძალავდა.

მდინარის კალაპოტზე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის შემთხვევაში, რომელიც, ერთი მხრივ, გააჩენდა მოსახლეობის დასაქმების შესაძლებლობას, ხოლო, მეორე მხრივ, შესაძლოა ადგილობრივი ეკოსისტემის ცვლილება გამოეწვია, გამოკითხულთა 58.3% ჰესის აშენებას არ დაუჭერდა მხარს, მიუხედავად იმისა, რომ მას შესაძლოა, ეკონომიკური თვალსაზრისით, დასახლებაზე პოზიტიური გავლენა ჰქონოდა.

ზემოაღნიშნულ ჰიპოთეტურ შემთხვევებში რესპონდენტთა საშუალოდ მეხუთედი, კლიმატის ცვლილების შერბილებისთვის და გარემოს გაფრთხილებისთვის არასასიკეთო გადაწყვეტილებას მიიღებდა, თუმცა, დომინანტურ წილს ის რესპონდენტები წარმოადგენს, ვინც საკითხს მართებულად იაზრებს (იხ. ცხრილი #49).

**ცხრილი #49**

<b>ქალაქთან ახლოს ფუნქციონირებს ქარხანა, რომელსაც ინდუსტრიულ ბაზარზე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია და რომელიც წარმოადგენს ქალაქის მაცხოვრებელთა დიდი ნაწილისათვის დასაქმების ადგილს. მეორე მხრივ, ქარხანა წარმოქმნის დიდი ოდენობით გამონაბოლქვს და სამრეწველო ნარჩენს, რაც ქალაქის მაცხოვრებლების ჯანმრთელობისათვის საზიანოა. ამ ვითარებაში რას მოიმოქმედებდით? (%) (2023 წელი)</b>	
არაფერს არ მოვიმოქმედებდი, რადგან ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება პრიორიტეტულია	19.2
გარემოს უსაფრთხოების უზრუნველყოფამდე (მაგ. ფილტრების დაყენება), მოვითხოვდი ქარხნის მუშაობის შეჩერებას	68.8
არ ვიცი/უარი პასუხზე	12
<b>კერძო კომპანიამ შეისყიდა ნაკვეთი და გეგმავს ტყის მასივის გაჩეხვას ამ ადგილზე შენობის განთავსებისათვის. ადგილობრივი მოსახლეობა ასეთი გადაწყვეტილებით უკმაყოფილოა, თუმცა, კერძო მესაკუთრის წინააღმდეგ დავის აზრს ვერ ხედავს. რა იქნებოდა თქვენი პოზიცია/ მოქმედება? (%) (2023 წელი)</b>	
ნებისმიერ მესაკუთრეს უფლება აქვს განკარგოს საკუთარი ქონება ისე, როგორც მას სურს, თუ ის არსებულ კანონებს/რეგულაციებს არ არღვევს	18
მოვითხოვდი ტყით სარგებლობის შესახებ არსებული რეგულაციების გამკაცრებას, რითიც შევაჩერებდი ტყის გაჩეხვას მესაკუთრის მხრიდან	69.6



არ ვიცი/უარი პასუხზე	12.5
<b>მდინარის კალაპოტზე იგეგმება ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა. ერთი მხრივ, ეს გააჩენს ელექტროენერჯის ახალ წყაროს, და ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილის დასაქმების შესაძლებლობას. მეორე მხრივ, ჩნდება ადგილობრივი ეკოსისტემის ცვლილების საფრთხეები. რა იქნებოდა თქვენი პოზიცია/მოქმედება? (%) (2023 წელი)</b>	
მხარს დავუჭერდი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას, რადგან ეს გააჩენს დამატებით ელექტროენერჯის, დაასაქმებს მოსახლეობას და ა.შ.	25.1
მხარს არ დავუჭერდი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის, რადგან მშენებლობით გამოწვეული ეკოსისტემის ცვლილება გარემოსთვის და მოსახლეობისთვის გაცილებით მეტი ზიანის მომტანია	58.3
არ ვიცი/უარი პასუხზე	16.6

გეოგრაფიული არეალის ჭრილში საკითხის გაანალიზებისას ზოგადი ტენდენციები შენარჩუნებულია, თუმცა ლოკაციებს შორის შინაარსობრივი განსხვავებები იკვეთება. იმ დებულების შემთხვევაში, რომელიც შეეხება კერძო პირის მიერ ნაკვეთის შეძენას და, შენობის განთავსების მიზნით, ტყის მასივის გაჩეხვას, გამოიკვეთა, რომ აღმოსავლეთ საქართველოში გამოკითხულთა დიდი უმრავლესობა (82.9%) მოითხოვდა ტყით სარგებლობის შესახებ არსებული რეგულაციების გამკაცრებას. თბილისის მოსახლეობის 66.3%-იც მსგავს გადაწყვეტილებას მიიღებდა. ასევე მოიქცეოდა დასავლეთში მაცხოვრებლების უმრავლესობაც, თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ მათი წილი 57.9%-მდეა შემცირებული. ამ გეოგრაფიულ არეალში გამოკითხულთა 24.6%-ს რეაგირება არ ექნებოდა იმ მიზეზით, რომ ნებისმიერ მესაკუთრეს აქვს უფლება სურვილისამებრ განკარგოს თავისი საკუთრება, თუ კანონს არ არღვევს (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა:  $X^2=67067$ ,  $p<0.05$ ).



მდინარის კალაპოტზე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას, რომელიც, ერთი მხრივ, ელექტროენერჯის ახალ წყაროს, ხოლო, მეორე მხრივ, ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილის დასაქმების შესაძლებლობას გააჩენდა, თბილისის მაცხოვრებლების 55.7% მხარს არ დავუჭერდა, მიზეზად კი მშენებლობით გამოწვეული ეკოსისტემის ცვლილების მოსახლეობისთვის ზიანის მოტანა სახელდება. ასევე მოიქცეოდა აღმოსავლეთ საქართველოში გამოკითხულთა 64.1%-იც. მსგავს პოზიციას იზიარებს დასავლეთ საქართველოს მაცხოვრებელთა უმრავლესობაც, თუმცა პროცენტული მაჩვენებელი 10%-ით შემცირებულია (54.2%). ამ გეოგრაფიულ არეალში თითქმის ყოველი მესამე გამოკითხული (30.3%) ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას ემხრობა, სწორედ იმ შესაძლო პოზიტიური ცვლილებების გამო, რაც დებულებაშივეა აღწერილი - ენერჯის წყარო, დასაქმების შესაძლებლობა. როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში გარემოპირობები პრიორიტეტულ მიმართულებად არაა წარმოჩენილი (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა:  $X^2=20699$ ,  $p<0.05$ ) (იხ. ცხრილი #50).

**ცხრილი #50**

ჰიპოთეტური სიტუაციები (გეოგრაფიული არეალის ჭრილში) (N=1259) (%) (2023 წელი)	თბილისი	დასავლეთ საქართველო	აღმოსავლეთ საქართველო
<b>კერძო კომპანიამ შეისყიდა ნაკვეთი და გეგმავს ტყის მასივის გაჩეხვას ამ ადგილზე შენობის განთავსებისათვის. ადგილობრივი მოსახლეობა ასეთი გადაწყვეტილებით უკმაყოფილოა, თუმცა, კერძო მესაკუთრის წინააღმდეგ დავის აზრს ვერ ხედავს. რა იქნებოდა თქვენი პოზიცია/ მოქმედება?</b>			
ნებისმიერ მესაკუთრეს უფლება აქვს განკარგოს საკუთარი ქონება ისე, როგორც მას სურს, თუ ის არსებულ კანონებს/რეგულაციებს არ არღვევს	19.5	24.6	10.6
მოვითხოვდი ტყით სარგებლობის შესახებ არსებული რეგულაციების გამკაცრებას, რითიც შევაჩერებდი ტყის გაჩეხვას მესაკუთრის მხრიდან	66.3	57.9	82.9
არ ვიცი/უარი პასუხზე	14.2	17.5	6.5
<b>მდინარის კალაპოტზე იგეგმება ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა. ერთი მხრივ, ეს გააჩენს ელექტროენერჯის ახალ წყაროს, და ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილის დასაქმების შესაძლებლობას. მეორე მხრივ, ჩნდება ადგილობრივი ეკოსისტემის ცვლილების საფრთხეები. რა იქნებოდა თქვენი პოზიცია/მოქმედება?</b>			
მხარს დავუჭერდი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას, რადგან ეს გააჩენს დამატებით ელექტროენერჯის, დაასაქმებს მოსახლეობას და ა.შ.	28.1	30.3	17.8
მხარს არ დავუჭერდი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის, რადგან მშენებლობით გამოწვეული ეკოსისტემის ცვლილება გარემოსთვის და მოსახლეობისთვის გაცილებით მეტი ზიანის მომტანია	55.7	54.2	64.1
არ ვიცი/უარი პასუხზე	16.2	15.5	18.1

უმაღლესი განათლების მქონეთა 62.1% და განათლების სხვა საფეხურის წარმომადგენელთა 55.8% მდინარეზე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას მხარს არ დავუჭერდა, რადგან გაცნობიერებული აქვთ, თუ რა ზიანი შეიძლება მოიტანოს ეკოსისტემისთვის და შემდგომ უკვე მოსახლეობისთვის. ორივე სამიზნე ჯგუფის რესპონდენტთა საშუალოდ 25% კი მიიჩნევს, რომ დამატებითი ელექტროენერჯის წყაროსა და დასაქმების შესაძლებლობის გაჩენისთვის საჭიროა ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა: უმაღლესი განათლება - 25.3%, სხვა - 24.9%. აქვე ხაზგასასმელია, რომ არაუმაღლესი განათლების მქონეთა თითქმის მეხუთედს (19.3%) პოზიციის დაფიქსირება გაუჭირდა ან პასუხზე უარი განაცხადა (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა:  $X^2=10179$ ,  $p<0.05$ ) (იხ. ცხრილი #51).

**ცხრილი #51**

<p>მდინარის კალაპოტზე იგეგმება ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა. ერთი მხრივ, ეს გააჩენს ელექტროენერჯის ახალ წყაროს, და ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილის დასაქმების შესაძლებლობას. მეორე მხრივ, ჩნდება ადგილობრივი ეკოსისტემის ცვლილების საფრთხეები.</p> <p>რა იქნებოდა თქვენი პოზიცია/მოქმედება? ( განათლების მიღწეული დონის ჭრილში) (N=1259) (%) (2023 წელი)</p>	<p>უმადლესი</p>	<p>სხვა</p>
<p>მხარს დავუჭერდი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას, რადგან ეს გააჩენს დამატებით ელექტროენერჯიას, დაასაქმებს მოსახლეობას და ა.შ.</p>	<p>25.3</p>	<p>24.9ს</p>
<p>მხარს არ დავუჭერდი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის, რადგან მშენებლობით გამოწვეული ეკოსისტემის ცვლილება გარემოსთვის და მოსახლეობისთვის გაცილებით მეტი ზიანის მომტანია</p>	<p>62.1</p>	<p>55.8</p>
<p>არ ვიცი/უარი პასუხზე</p>	<p>12.6</p>	<p>19.3</p>

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა გამოკვეთილი უმრავლესობა იზიარებს პოზიციას, რომ ა) გარემოს უსაფრთხოების უზრუნველყოფამდე მოითხოვდა იმ ქარხნის მუშაობის შენარჩუნებას, რომელიც დიდი ოდენობით გამონაბოლქვს და სამრეწველო ნარჩენს წარმოქმნის (65.1%), ბ) მოითხოვდა ტყით სარგებლობის შესახებ არსებული რეგულაციების გამკაცრებას, რათა შეეჩერებინა კერძო კომპანიის მიერ, შენობის განთავსებისთვის, ტყის მასივის გაჩეხვა. მეორე მხრივ, როდესაც საქმე ეხება მდინარის კალაპოტზე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას, მართალია 47.3% არ დაუჭერდა ამ გადაწყვეტილებას მხარს, რადგან ამ მშენებლობით გამოწვეული ეკოსისტემის ცვლილება გარემოსთვის და მოსახლეობისთვის გაცილებით მეტი ზიანის მომტანია, თუმცა ხაზგასასმელია, რომ სამიზნე ჯგუფის წარმომადგენელთა მეოთხედზე მეტი (27.3%) ჰიდროელექტროსადგურის აშენებას ემხრობა, დასაქმების ადგილისა და ენერჯის ალტერნატიული წყაროს გაჩენის მოტივით. 25.4%-ს კი კონკრეტული პოზიციის დაფიქსირება გაუჭირდა (იხ. ცხრილი #52).

**ცხრილი #52**

<p>ეთნიკური უმცირესობები (N=383) (%) (2023 წელი)</p>	
<p>ქალაქთან ახლოს ფუნქციონირებს ქარხანა, რომელსაც ინდუსტრიულ ბაზარზე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია და რომელიც წარმოადგენს ქალაქის მაცხოვრებელთა დიდი ნაწილისათვის დასაქმების ადგილს. მეორე მხრივ, ქარხანა წარმოქმნის დიდი ოდენობით გამონაბოლქვს და სამრეწველო ნარჩენს, რაც ქალაქის მაცხოვრებლების ჯანმრთელობისათვის საზიანოა. ამ ვითარებაში რას მოიმოქმედებდით?</p>	
<p>არაფერს არ მოვიმოქმედებდი, რადგან ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება პრიორიტეტულია</p>	<p>26.4</p>
<p>გარემოს უსაფრთხოების უზრუნველყოფამდე (მაგ. ფილტრების დაყენება), მოვითხოვდი ქარხნის მუშაობის შეჩერებას</p>	<p>65.1</p>
<p>არ ვიცი/უარი პასუხზე</p>	<p>8.4</p>

**ეთნიკური უმცირესობები (N=383) (%) (2023 წელი)**

**კერძო კომპანიამ შეისყიდა ნაკვეთი და გეგმავს ტყის მასივის გაჩეხვას ამ ადგილზე შენობის განთავსებისათვის. ადგილობრივი მოსახლეობა ასეთი გადაწყვეტილებით უკმაყოფილოა, თუმცა, კერძო მესაკუთრის წინააღმდეგ დავის აზრს ვერ ხედავს. რა იქნებოდა თქვენი პოზიცია/მოქმედება?**

ნებისმიერ მესაკუთრეს უფლება აქვს განკარგოს საკუთარი ქონება ისე, როგორც მას სურს, თუ ის არსებულ კანონებს/რეგულაციებს არ არღვევს	18.0
მოვითხოვდი ტყით სარგებლობის შესახებ არსებული რეგულაციების გამკაცრებას, რითიც შევაჩერებდი ტყის გაჩეხვას მესაკუთრის მხრიდან	71.8
არ ვიცი/უარი პასუხზე	10.2

**მდინარის კალაპოტზე იგეგმება ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა. ერთი მხრივ, ეს გააჩენს ელექტროენერჯის ახალ წყაროს, და ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილის დასაქმების შესაძლებლობას. მეორე მხრივ, ჩნდება ადგილობრივი ეკოსისტემის ცვლილების საფრთხეები. რა იქნებოდა თქვენი პოზიცია/მოქმედება?**

მხარს დავუჭერდი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას, რადგან ეს გააჩენს დამატებით ელექტროენერჯის, დაასაქმებს მოსახლეობას და ა.შ.	27.3
მხარს არ დავუჭერდი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის, რადგან მშენებლობით გამოწვეული ეკოსისტემის ცვლილება გარემოსთვის და მოსახლეობისთვის გაცილებით მეტი ზიანის მომტანია	47.3
არ ვიცი/უარი პასუხზე	25.4




## პოლიტიკა

კლიმატის ცვლილების შეჩერებაში/მის მკვეთრად შეზღუდვაში ძირითადი დაინტერესებული პირების იდენტიფიცირების მხრივ, დასახლებულ პასუხთა ძირითადი პროცენტული წილი მოსახლეობას/მოქალაქეებს მიემართება (2023 წელი - 58.9%, 2022 წელი - 72.1%), შემდგომ პოზიციას კი საქართველოს მთავრობა იკავებს: 2023 წელი - 46.8%, 2022 წელი - 42.2%. წინა წელს ჩატარებული გამოკითხვის შედეგებთან შედარებით, წელს დასახლებულ პასუხთა შორის შემცირებულია საერთაშორისო ორგანიზაციების წილი: 2023 წელი - 22%, 2022 წელი - 31.2%, ხოლო არასამთავრობოთა მნიშვნელოვნება უცვლელია: 2023 წელი - 22%, 2022 წელი - 22.2%. ამდენად, შესაძლოა ითქვას, რომ, რესპონდენტთა შეფასებით, კლიმატის ცვლილებების შეჩერების მხრივ მთავარ მოქმედ აქტორებს მოსახლეობა და მთავრობა წარმოადგენს - მთავრობა, სავარაუდოდ, როგორც რეგულაციების დამწესებელი სტრუქტურა, მოსახლეობა კი, როგორც, პრაქტიკულ აქტივობებში ჩართული ჯგუფი. ცხადია, თითოეული სამთავრობო თუ არასამთავრობო ინსტიტუცია მოსახლეობის ნაწილია, თუმცა ამ შემთხვევაში შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სწორედ ადმინისტრაციული/მარეგულირებელი და პრაქტიკული დონეა გამიჯნული (იხ. დიაგრამა #52).

### დიაგრამა #52

თქვენი აზრით, ვინ არიან კლიმატის ცვლილების შეჩერებაში/მის მკვეთრად შეზღუდვაში ძირითადი დაინტერესებული მხარეები?



- მოსახლეობა/მოქალაქეები
- საქართველოს მთავრობა
- საქართველოს პარლამენტი
- მმართველი პარტია
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები
- ოპოზიციური პარტიები
- არასამთავრობო ორგანიზაციები
- საერთაშორისო ორგანიზაციები
- სხვა
- არ ვიცი/უარი პასუხზე

უმალესი განათლების მქონე პირთა მიერ დასახელებულ პასუხის ვარიანტებს შორის 57.2% მოსახლეობას/მოქალაქეებს მიემართება, როგორც ძირითად დაინტერესებულ მხარეს, რაც, წინა რაუნდთან შედარებით, შემცირებული პროცენტული მაჩვენებელია (73.4%). არაუმალესი განათლების მქონეთა სამიზნე ჯგუფის შემთხვევაში კი მნიშვნელობა 2023 წელს 60%-ს უტოლდება, ხოლო 2022 წელს 71.3%-ს უტოლდებოდა. შინაარსობრივად მნიშვნელოვანი სხვაობები არც რაუნდებს და არც სამიზნე ჯგუფებს შორის არ შეიმჩნევა. დომინანტური კატეგორიები ორივე შემთხვევაში ზოგადი ტენდენციის მსგავსია და მოქალაქეების მიღმა მთავარ აქტორად საქართველოს მთავრობა სახელდება:

- ▶ **უმალესი განათლება:** 2023 წელი - 42.1%, 2022 წელი - 43.1%
- ▶ **სხვა (არაუმალესი განათლება):** 2023 წელი - 49.8%, 2022 წელი - 41.6% (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა:  $X^2=20.263$ ,  $p<0.05$ ) (იხ. ცხრილი #53)

### ცხრილი #53

თქვენი აზრით, ვინ არიან კლიმატის ცვლილების შეჩერებაში/მის მკვეთრად შეზღუდვაში ძირითადი დაინტერესებული მხარეები? (განათლების მიღწეული დონის ჭრილში) (%)	უმალესი განათლება		სხვა	
	2023 წელი (N=1259)	2022 წელი (N=1500)	2023 წელი (N=1259)	2022 წელი (N=1500)
მოსახლეობა/მოქალაქეები	57.2	73.4	60	71.3
საქართველოს მთავრობა	42.1	43.1	49.8	41.6
საქართველოს პარლამენტი	18.7	19.9	20.6	19.8
მმართველი პარტია	10.4	15.2	10.5	16.1
ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები	11.7	14.2	16.3	16.9
ოპოზიციური პარტიები	6.8	9.4	7.2	10.8
არასამთავრობო ორგანიზაციები	21.2	22.3	22.5	22.2
საერთაშორისო ორგანიზაციები	23.6	34.4	20.9	29.2
სხვა	1.8	1.6	0.6	0.9
არ ვიცი/უარი პასუხზე	14.4	5	12.9	7.4

ამასთან გამოიკვეთა, რომ როგორც საქალაქო (2023 – 59.1%, 2022 – 71.5%), ისე სასოფლო ტიპის დასახლებებში (2023 – 58.5%, 2022 – 72.9%) გამოკითხულთა მიერ დასახელებულ პასუხის ვარიანტებში ძირითადი აქტორი, ცხადია, კვლავ მოსახლეობაა, თუმცა, ხაზგასასმელია, რომ სოფლად მცხოვრებთა უფრო დიდი ნაწილი მიიჩნევს საქართველოს მთავრობას მთავარ სუბიექტად (2023 – 56.2%, 2022 – 45.4%), ვიდრე ქალაქში მაცხოვრებლები (2023 – 41.9%,

2022 – 39.9%). მსგავსი მიმართებაა მმართველი პარტიისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შემთხვევაშიც. ტენდენცია ორივე რაუნდში შენარჩუნებულია:

**მმართველი პარტია:**

- ▶ **ქალაქი (თბილისის ჩათვლით):** 2023 წელი - 9.8%, 2022 წელი - 15.4%
- ▶ **სოფელი:** 2023 წელი - 11.7%, 2022 წელი - 16.3%

**ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები:**

- ▶ **ქალაქი (თბილისის ჩათვლით):** 2023 წელი - 13.3%, 2022 წელი - 14.2%
- ▶ **სოფელი:** 2023 წელი - 16.9%, 2022 წელი - 18% (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა:  $\chi^2=24157, p<0.05$ ) (იხ. ცხრილი #54)


**ცხრილი #54**

თქვენი აზრით, ვინ არიან კლიმატის ცვლილების შეჩერებაში/მის მკვეთრად შეზღუდვაში ძირითადი დაინტერესებული მხარეები?  (დასახლების ტიპის ჭრილში) (%)	ქალაქი (თბილისის ჩათვლით)		სოფელი	
	2023 წელი (N=1259)	2022 წელი (N=1500)	2023 წელი (N=1259)	2022 წელი (N=1500)
მოსახლეობა/მოქალაქეები	59.1	71.5	58.5	72.9
საქართველოს მთავრობა	41.9	39.9	56.2	45.4
საქართველოს პარლამენტი	18.6	19	22.3	21
მმართველი პარტია	9.8	15.4	11.7	16.3
ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები	13.3	14.2	16.9	18
ოპოზიციური პარტიები	6.7	9.8	7.7	10.9
არასამთავრობო ორგანიზაციები	21.1	22.5	23.7	21.8
საერთაშორისო ორგანიზაციები	21.3	33.4	23.2	28.1
სხვა	1.3	1.1	0.5	1.3
არ ვიცი/უარი პასუხზე	14	6.8	12.4	5.9

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების მიერ დასახელებულ ვარიანტებში საშუალოდ თანაბარი 28% მიემართება მოსახლეობას/მოქალაქეებს (28.5%) და საქართველოს მთავრობას (28.4%), როგორც კლიმატის ცვლილების შეჩერების მხრივ მთავარ აქტორებს. პასუხებს შორის მეათედს აღემატება საქართველოს პარლამენტის პროცენტული წილი (11.5%). სხვა ცალკეული სუბიექტის/გაერთიანების შემთხვევაში კი მაჩვენებელი 10%-საც ვერ აღწევს (იხ. დიაგრამა #53).

### დიაგრამა #53

**თქვენი აზრით, ვინ არიან კლიმატის ცვლილების შეჩერებაში/მის მკვეთრად შეზღუდვაში ძირითადი დაინტერესებული მხარეები? (ეთნიკური უმცირესობები) (N=383) (2023 წელი)**



როგორც 2022, ისე 2023 წელს გამოკითხულთა დიდი უმრავლესობა ემხრობა კლიმატის ცვლილების შესახებ კანონის და შესაბამისი რეგულაციების შემოღებას: 2023 წელი - 87.4%, 2022 წელი - 87.6%.

განათლების მიღწეული დონის ჭრილშიც ბოგადი ტენდენციის მსგავსი შედეგებია - როგორც 2022, ისე 2023 წელს გამოკითხულთა უმრავლესობა რეგულაციის შემოღების მომხრეა:

- ▶ **უმაღლესი განათლება:** 2023 – 91.9%, 2022 წელი - 90.3%
- ▶ **სხვა (არაუმაღლესი განათლება):** 2023 – 84.6%, 2022 წელი - 85.9%


საზგადასმელია, რომ, წინა რაუნდთან შედარებით, 2023 წლის გამოკითხვაში მონაწილე არაუმაღლესი განათლების მქონე რესპონდენტთა შორის გაზრდილია მათი წილი, ვისაც



საკითხის შეფასება უჭირს: 2023 წელი - 11.5%, 2022 წელი - 7.5% (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა:  $X^2=23922$ ,  $p<0.05$ ) (იხ. დიაგრამა #54).

### დიაგრამა #54


ემხრობით თუ არა კლიმატის ცვლილების შესახებ კანონის და შესაბამისი რეგულაციების შემოღებას? (განათლების მიღწეული დონის ჭრილში)



გეოგრაფიული არეალის ჭრილში საკითხის გაანალიზება ცხადყოფს, რომ კლიმატის ცვლილების შესახებ კანონისა და შესაბამისი რეგულაციების შემოღებას, როგორც თბილისში (90.8%), ისე დასავლეთ (80.7%) და აღმოსავლეთ (90.5%) საქართველოში ემხრობიან; თუმცა ხაზგასასმელია, რომ მონინააღმდეგეთა წილი შედარებით მაღალია დასავლეთ საქართველოში (7%). იგივე გეოგრაფიული არეალი გამოირჩევა იმ რესპონდენტებითაც, რომელთაც საკითხის შეფასება გაუჭირდათ, ან პასუხზე უარი განაცხადეს (12.2%) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა:  $X^2=28924$ ,  $p<0.06$ ) (იხ. დიაგრამა #55).

### დიაგრამა #55

ემხრობით თუ არა კლიმატის ცვლილების შესახებ კანონის და შესაბამისი რეგულაციების შემოღებას? (გეოგრაფიული არეალის ჭრილში) (N=1259) (2023 წელი)



ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა დიდი უმრავლესობა (73.2%) კლიმატის ცვლილების შესახებ კანონისა და შესაბამისი რეგულაციების შემოღების მომხრეა. მონი-ნააღმდეგეთა წილი 10%-საც კი არ აღწევს (9.3%). ამ შემთხვევაში შედარებით ბევრია იმ რესპონდენტთა რაოდენობა, ვისაც გაუჭირდა საკითხის შეფასება ან პასუხზე უარი განაცხადა (17.5%).

როგორც ზემოთ აღინიშნა, რესპონდენტებმა გამოკვეთეს ის სამიზნე ჯგუფები, რომელთაც, მათი აზრით, კლიმატის ცვლილების შეჩერების მხრივ გარკვეული კონტრიბუციის შემოტანა შეუძლიათ. ამ ეტაპზე განისაზღვრა თითოეული აქტორის პასუხისმგებლობის დონე.<sup>1</sup> 2022 წელს ჩატარებული გამოკითხვის მსგავსად, წელსაც, რესპონდენტთა უმრავლესობა ყველა აქტორს პასუხისმგებლიანად აფასებს (ქულები 4 და 5). მეტიც, ხაზგასასმელია, რომ რაუნდებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობა პროცენტულ მაჩვენებლებს შორის არ ფიქსირდება. აქტორების პასუხისმგებლობის ხარისხი პოზიტიურადაა შეფასებული, რაც 2022 წელს საშუალოდ 84%-ს, ხოლო 2023 წელს საშუალოდ 83%-ს უტოლდება. აქტორების მიხედვით დეტალური პროცენტული გადანაწილება იხილეთ ცხრილში #55.

### ცხრილი #55

როგორ ფიქრობთ, რამდენად პასუხისმგებელია კლიმატის ცვლილებასთან გამკლავების საქმეში ჩამოთვლილთაგან თითოეულ ჯგუფში? (%)		არანაირი პასუხისმგებლობა	არც თუ ისე დიდი პასუხისმგებლობა	საშუალო პასუხისმგებლობა	საკმაო პასუხისმგებლობა	ძლიერ დიდი პასუხისმგებლობა	არ ვიცი/უარი პასუხზე
მოქალაქეები	2023 წელი (N=1259)	0.7	2.5	12.6	24.6	58.1	1.3
	2022 წელი (N=1500)	3.4	2.3	14.4	29.4	50.1	0.4
საქართველოს მთავრობა	2023 წელი (N=1259)	1.3	1.8	7.2	19.4	69.2	1.1
	2022 წელი (N=1500)	1	1	5.8	18.4	72.8	1.1
საქართველოს პარლამენტი	2023 წელი (N=1259)	1.8	1.3	7	21.6	65.3	3
	2022 წელი (N=1500)	0.9	1.7	7.5	18.9	69.7	1.3
მმართველი პარტია	2023 წელი (N=1259)	1.3	2.4	7.9	20.8	64	3.5
	2022 წელი (N=1500)	1	1.5	7.3	20.2	68	2

<sup>1</sup> შეფასებისთვის გამოყენებულ იქნა 5-ქულიანი სკალა, რომელზეც ქულა 1 აღწერს კატეგორიას „არანაირი პასუხისმგებლობა“, ხოლო ქულა 5 - კატეგორიას „ძლიერ დიდი პასუხისმგებლობა“.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები	2023 წელი (N=1259)	1.4	2	8.9	22.2	63	2.4
	2022 წელი (N=1500)	1.2	1.4	11.3	23.1	61.9	1
ოპოზიციური პარტიები	2023 წელი (N=1259)	3	4.1	13.2	20.4	53.3	6
	2022 წელი (N=1500)	2.7	4.5	14.2	23.5	50.5	4.5
არასამთავრობო ორგანიზაციები	2023 წელი (N=1259)	1.6	2.6	10.1	22.2	56.5	7.1
	2022 წელი (N=1500)	2.9	2.9	12.4	23.1	56	2.8
საერთაშორისო ორგანიზაციები	2023 წელი (N=1259)	1.7	1.7	9.1	21.7	57.8	8
	2022 წელი (N=1500)	2.3	2.2	8.2	19.2	65.3	2.8

განათლების მიღწეული დონის ჭრილში საკითხის გაანალიზებისას გამოიკვეთა, რომ ჯგუფებს შორის სტატისტიკურად სანდო განსხვავებას მხოლოდ საქართველოს მთავრობისა და არასამთავრობო ორგანიზაციების კატეგორიები იძლევა. 2023 წლის რაუნდში იდენტურია უმაღლესი (88.5%) და სხვა განათლების მქონეთა (88.6%) შორის იმ რესპონდენტთა წილი, ვინც კლიმატის ცვლილებასთან გამკლავების საქმეში საქართველოს მთავრობას პასუხისმგებელ აქტორად მიიჩნევს (ქულები 4 და 5). გამოიკვეთა, რომ, წინა რაუნდთან შედარებით, მაჩვენებლები მკვეთრად გაზრდილია. 2022 წელს უმაღლესი განათლების მქონეთა 82.4% ერთიანდებოდა მსგავსი პოზიციის მქონეთა ჯგუფში, ხოლო არაუმაღლესი განათლების შემთხვევაში მაჩვენებელი 77.5%-ს უტოლდებოდა (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა:  $\chi^2=11777$ ,  $p<0.05$ ).

რაც შეეხება არასამთავრობო ორგანიზაციებს, გამოკითხვის რაუნდებს შორის მკვეთრი შინაარსობრივი სხვაობები არ ფიქსირდება. აღნიშნული სუბიექტიც პასუხისმგებელ აქტორადაა შეფასებული (ქულები 4 და 5), როგორც უმაღლესი, ისე განათლების სხვა დონის მქონეთა შორის:

- ▶ **უმაღლესი განათლება:** 2023 წელი - 80.6%, 2022 წელი - 80.6%
- ▶ **სხვა:** 2023 წელი - 77.4%, 2022 წელი - 78% (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა:  $\chi^2=11858$ ,  $p<0.05$ )

ამდენად, შეგვიძლია, ვთქვათ, რომ ამ აქტორთან მიმართებით მოსახლეობის დამოკიდებულებები არ შეცვლილა (იხ. ცხრილი #56).

**ცხრილი #56**

როგორ ფიქრობთ, რამდენად პასუხისმგებელია კლიმატის ცვლილებასთან გამკლავების საქმეში ჩამოთვლილთაგან თითოეულ ჯგუფი? (განათლების მიღწეული დონის ჭრილში) (%)		არანაირი პასუხისმგებლობა	არც თუ ისე დიდი პასუხისმგებლობა	საშუალო პასუხისმგებლობა	საკმაო პასუხისმგებლობა	ძლიერ დიდი პასუხისმგებლობა	არ ვიცი/უარი პასუხზე
<b>საქართველოს მთავრობა (X<sup>2</sup>=11777, p&lt;0.05)</b>							
უმალესი განათლება	2023 წელი (N=1259)	1.5	1.9	6.8	14.9	73.6	1.3
	2022 წელი (N=1500)	1.1	1	3.8	14.2	78.8	1
სხვა	2023 წელი (N=1259)	1.2	1.7	7.5	22.3	66.3	1
	2022 წელი (N=1500)	0.8	0.9	7.1	21.1	68.9	1.1
<b>არასამთავრობო ორგანიზაციები (X<sup>2</sup>=11858, p&lt;0.05)</b>							
უმალესი განათლება	2023 წელი (N=1259)	1.6	2.9	10.5	20.4	60.2	4.4
	2022 წელი (N=1500)	2.3	3.3	11.5	19.8	60.9	2.2
სხვა	2023 წელი (N=1259)	1.5	2.4	9.9	23.3	54.1	8.9
	2022 წელი (N=1500)	3.3	2.5	12.9	25.2	52.8	3.2

როგორც გამოიკვეთა, კლიმატის ცვლილებასთან გამკლავების მხრივ წარმოდგენილი სუბიექტები როგორც თბილისში, ისე დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში პასუხისმგებელ აქტორებადაა მიჩნეული (ქულები 4 და 5), თუმცა თბილისში, სხვა გეოგრაფიულ არეალებთან შედარებით, მაჩვენებლები შემცირებულია. საქართველოს მთავრობას თბილისში გამოკითხულთა 81.2% აფასებს პასუხისმგებლიანად, აღმოსავლეთ საქართველოში მაჩვენებელი 89.1%-მდე, დასავლეთში კი 95.1%-მდე იზრდება. ადგილობრივი თვითმმართველობებისადმი დედაქალაქში 78.1% ავლენს პოზიტიურ დამოკიდებულებას. დასავლეთ საქართველოში ამ პოზიციის მქონეთა წილი 91.7%-ს უტოლდება, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში - 85.8%-ს. შედარებით ნაკლებად პასუხისმგებელ სუბიექტებადაა მოაზრებული ოპოზიციური პარტიები თუმცა, რესპონდენტთა დამოკიდებულებები პოზიტიურ ველში ექცევა (ქულები 4 და 5): თბილისი - 66.4%, დასავლეთ საქართველო - 83.1%, აღმოსავლეთ საქართველო - 71.7%.

გეოგრაფიული არეალის ჭრილში თითოეული აქტორისადმი გამოვლენილი დამოკიდებულებები დეტალურად იხილეთ ცხრილში #57.

**ცხრილი #57**

როგორ ფიქრობთ, რამდენად პასუხისმგებელია კლიმატის ცვლილებასთან გამკლავების საქმეში ჩამოთვლილთაგან თითოეულ ჯგუფი? (გეოგრაფიული არეალის ჭრილში) (N=1259) (%) (2023 წელი)		არანაირი პასუხისმგებლობა	არც თუ ისე დიდი პასუხისმგებლობა	საშუალო პასუხისმგებლობა	საკმაო პასუხისმგებლობა	ძლიერ დიდი პასუხისმგებლობა	არ ვიცი/უარი პასუხზე
მოქალაქეები ( $\chi^2=56902$ , $p<0.05$ )	თბილისი	1.9	4.9	14	22.6	54.9	1.7
	დასავლეთ საქართველო	0.2	1.5	9.3	19	69.2	0.8
	აღმოსავლეთ საქართველო	0.2	1.5	14.3	31.5	51.1	1.5
საქართველოს მთავრობა ( $\chi^2=107831$ , $p<0.05$ )	თბილისი	3.8	3.6	10	9.7	71.5	1.4
	დასავლეთ საქართველო	-	0.2	3.8	17	78.2	0.8
	აღმოსავლეთ საქართველო	0.3	1.6	7.8	30	59	1.2
საქართველოს პარლამენტი ( $\chi^2=98597$ , $p<0.05$ )	თბილისი	5	1.4	11.7	14.8	64.8	2.3
	დასავლეთ საქართველო	-	0.5	2.7	21.8	73.9	1.1
	აღმოსავლეთ საქართველო	0.6	2	6.8	27.3	58	5.4
მმართველი პარტია ( $\chi^2=98344$ , $p<0.05$ )	თბილისი	3.9	4.1	11.8	12.3	65.4	2.5
	დასავლეთ საქართველო	-	0.5	4.3	21.1	72.3	1.7
	აღმოსავლეთ საქართველო	0.3	2.7	7.6	28	55.4	6
ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ( $\chi^2=59236$ , $p<0.05$ )	თბილისი	4.1	3.4	12	18.3	59.8	2.4
	დასავლეთ საქართველო	-	0.8	5.7	20.9	70.8	1.8
	აღმოსავლეთ საქართველო	0.3	1.9	9.1	26.8	59	2.9
ოპოზიციური პარტიები ( $\chi^2=74022$ , $p<0.05$ )	თბილისი	5.9	3.8	18.8	15.5	50.9	5.1
	დასავლეთ საქართველო	-	3.8	10.3	20.7	62.3	2.9
	აღმოსავლეთ საქართველო	3.1	4.7	10.8	24.3	47.4	9.6
არასამთავრობო ორგანიზაციები ( $\chi^2=79107$ , $p<0.05$ )	თბილისი	4.2	4	13.8	18.1	54.5	5.4
	დასავლეთ საქართველო	-	1.6	6	22.4	66.1	3.9
	აღმოსავლეთ საქართველო	0.6	2.2	10.6	25.5	49.6	11.5
საერთაშორისო ორგანიზაციები ( $\chi^2=49110$ , $p<0.05$ )	თბილისი	4.6	2.6	10.9	21.3	54.3	6.3
	დასავლეთ საქართველო	-	1.1	7.1	19.2	65.7	6.9
	აღმოსავლეთ საქართველო	0.7	1.6	9.2	24.2	53.7	10.6

ეთნიკური უმცირესობების ჯგუფშიც, ზოგადი ტენდენციის მსგავსად, თითოეული დასახელებული აქტორი პასუხისმგებელ სუბიექტადაა შეფასებული (ქულები 4 და 5). თუმცა ხაზგასასმელია, რომ ისეთი გაერთიანებების შემთხვევაში, როგორებიცაა ოპოზიციური პარტიები, არასამთავრობო თუ საერთაშორისო ორგანიზაციები მკვეთრადაა გაზრდილი იმ რესპონდენტთა წილი, ვისაც უჭირს საკითხის შეფასება ან პასუხზე უარს აცხადებს (პასუხის კატეგორია „არ ვიცი/უარი პასუხზე“):

- ▶ ოპოზიციური პარტიები - 20.6%
- ▶ არასამთავრობო ორგანიზაციები - 21.7%
- ▶ საერთაშორისო ორგანიზაციები - 22.9%

ცალკეულ შემთხვევაში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა 70%-ზე მეტი კლიმატის ცვლილებასთან გამკლავების საქმეში პასუხისმგებლობას ანიჭებს ისეთ აქტორებს, როგორებიცაა საქართველოს მთავრობა (80.4%), საქართველოს პარლამენტი (70.4%), ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები (70.9%) (იხ. ცხრილი #58).

**ცხრილი #58**

როგორ ფიქრობთ, რამდენად პასუხისმგებელია კლიმატის ცვლილებასთან გამკლავების საქმეში ჩამოთვლილთაგან თითოეულ ჯგუფი? (ეთნიკური უმცირესობები) (N=383) (%) (2023 წელი)	არანაირი პასუხისმგებლობა	არც თუ ისე დიდი პასუხისმგებლობა	საშუალო პასუხისმგებლობა	საკმაო პასუხისმგებლობა	ძლიერ დიდი პასუხისმგებლობა	არ ვიცი/უარი პასუხზე
მოქალაქეები	0.3	4.9	24.6	36.6	31.3	2.3
საქართველოს მთავრობა	0.4	1.9	15.0	46.6	33.8	2.3
საქართველოს პარლამენტი	1.5	1.2	15.8	41.9	28.5	11.1
მმართველი პარტია	2.4	4.8	19.2	37.6	18.4	17.5
ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები	1.3	2.2	15.9	43.3	27.6	9.7
ოპოზიციური პარტიები	9.3	10.1	14.1	32.9	12.9	20.6
არასამთავრობო ორგანიზაციები	1.9	2.2	19.6	37.3	17.3	21.7
საერთაშორისო ორგანიზაციები	1.2	4.1	16.0	35.3	20.5	22.9

გამოკითხვის შემდეგ ეტაპზე რესპონდენტებს წარედგინათ შეკითხვები ქვეყნის პოლიტიკის ისეთ მიმართულებებთან დაკავშირებით, როგორებიცაა: ენერგეტიკა, ეკონომიკა, ტრანსპორტის სექტორი, ნარჩენების მართვის სექტორი და სოფლის მეურნეობის სფერო. თითოეულ შემთხვევაში რესპონდენტებს უნდა შეეფასებინათ, თუ რა პოლიტიკა უნდა ჰქონდეს ქვეყანას, რომ კლიმატის და გარემოს კრიზისს გაუმკლავდეს.

დაფიქსირებულ პასუხთა შორის თითქმის ყოველი მეორე მიემართება, რომ ენერგეტიკის მხრივ, კლიმატის კრიზისის გასამკლავებლად საჭიროა ქვეყანამ ხელი შეუწყოს განახლებადი ენერჯის წარმოებას: მზის, ქარის და სხვა განახლებადი ენერჯის წყაროების გამოყენებას (2022 წელი - 63.3%). ამასთან ორივე რაუნდში დაფიქსირებულ პასუხთა საშუალოდ

მესამედზე მეტის შემთხვევაში მნიშვნელოვანია, ქვეყნის პოლიტიკა მიემართებოდეს ცნობიერების ამაღლებას: 2023 წელი - 38.8%, 2022 წელი - 39.8%. 2023 წლის გამოკითხვაში მცირედ გაზრდილია დასახელებულ პასუხებს შორის ენერჯის დაზოგვისა და ენერგოეფექტურობის საცხოვრებელ/კომერციულ შენობებში ხელშეწყობის კატეგორია (34%; 2022 წელი - 30.9%) (იხ. ცხრილი #59).

**ცხრილი #59**

თქვენი აზრით, რა სახის პოლიტიკა უნდა განახორციელოს ქვეყანამ ენერგეტიკის მიმართულებით, კლიმატის და გარემოს კრიზისთან გასამკლავებლად? (%)	2023 წელი (N=1259)	2022 წელი (N=1500)
ხელი შეუწყოს განახლებადი ენერჯის წარმოებას: მზე, ქარი და სხვა განახლებადი ენერჯის წყაროები	48.4	63.3
ხელი შეუწყოს ენერჯის დაზოგვას და ენერგოეფექტურობას საცხოვრებელ და კომერციულ შენობებში	34	30.9
კლიმატის ცვლილების საკითხების ინტეგრირება ენერგეტიკის სტრატეგიებში და პროგრამებში	17	13.2
ცნობიერების ამაღლება	38.8	39.8
დააწესოს რეალური ტარიფები სუბსიდირებულ ენერგორესურსებზე	11.3	18.4
არ ვიცი/უარი პასუხზე	7.1	3.3

უმაღლესი განათლების მქონე რესპონდენტთა მიერ დასახელებულ პასუხთა შორის შედარებით ჭარბობს განახლებადი ენერჯის წარმოების ხელშეწყობა: 2023 წელი - 53.3%, 2022 წელი - 67.5%. აქვე ხაზგასასმელია, რომ გამოკითხვის ორივე რაუნდში არაუმაღლესი განათლების წარმომადგენელთა მიერ გამოკვეთილ კატეგორიებშიც სწორედ აღნიშნული იკავებს დომინანტურ პოზიციას: 2023 წელი - 45.2%, 2022 წელი - 60.5%. თუმცა, როგორც იკვეთება, წინა რაუნდთან შედარებით, მაჩვენებლები შემცირებულია. მეორე მხრივ, თუკი 2022 წლის რაუნდში უმაღლესი განათლების მქონე რესპონდენტთა მიერ დასახელებული პასუხების 45.3% ცნობიერების ამაღლებას მიემართებოდა, წელს მაჩვენებელი 36.2%-მდე შემცირებული. ამ პოზიციას 2023 წლის გამოკითხვის ფარგლებში არაუმაღლესი განათლების მქონე ინდივიდები უფრო ხშირად აფიქსირებენ (40.5%), რაც წინა რაუნდთან შედარებით, გაზრდილი მაჩვენებელია (36.2%) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა:  $\chi^2=21445$ ,  $p<0.05$ ) (იხ. ცხრილი #60).

**ცხრილი #60**

თქვენი აზრით, რა სახის პოლიტიკა უნდა განახორციელოს ქვეყანამ ენერგეტიკის მიმართულებით, კლიმატის და გარემოს კრიზისთან გასამკლავებლად? (განათლების მიღწეული დონის ჭრილში) (%)	უმაღლესი განათლება		სხვა	
	2023 წელი (N=1259)	2022 წელი (N=1500)	2023 წელი (N=1259)	2022 წელი (N=1500)
ხელი შეუწყოს განახლებადი ენერჯის წარმოებას: მზე, ქარი და სხვა განახლებადი ენერჯის წყაროები	53.3	67.5	45.2	60.5
ხელი შეუწყოს ენერჯის დაზოგვას და ენერგოეფექტურობას საცხოვრებელ და კომერციულ შენობებში	35	31.4	33.3	30.6
კლიმატის ცვლილების საკითხების ინტეგრირება ენერგეტიკის სტრატეგიებში და პროგრამებში	19.4	14.8	15.5	12.1

ცნობიერების ამაღლება	36.2	45.3	40.5	36.2
დაანესოს რეალური ტარიფები სუბსიდირებულ ენერგორესურსებზე	12.1	18.9	10.7	18
არ ვიცი/უარი პასუხზე	4.6	1.9	8.7	4.3

ენერგეტიკის მიმართულებით, ეთნიკური უმცირესობების მიერ დასახელებულ პასუხებშიც განახლებადი ენერჯის წარმოების შეწყობაა დომინანტური (38.3%). ხაზგასასმელია, რომ შემდგომ პოზიციას პასუხისგან თავის შეკავება ან საკითხის შეუფასებლობა იკავებს (23.8%), რაც შესაძლოა რესპონდენტთა ინფორმირებულობის დაბალ დონეზე მიანიშნებდეს. დასახელებულ პასუხთა მეხუთედზე მეტი (22.1%) ცნობიერების ამაღლებას ხოლო 20.8% ენერჯის დაზოგვისა და საცხოვრებელ/კომერციულ შენობებში ენერგოეფექტურობის ხელშეწყობას მიემართება (იხ. ცხრილი #61).

**ცხრილი #61**

თქვენი აზრით, რა სახის პოლიტიკა უნდა განახორციელოს ქვეყანამ ენერგეტიკის მიმართულებით, კლიმატის და გარემოს კრიზისთან გასამკლავებლად? (ეთნიკური უმცირესობები)	2023 წელი (N=383) (%)
ხელი შეუწყოს განახლებადი ენერჯის წარმოებას: მზე, ქარი და სხვა განახლებადი ენერჯის წყაროები	38.3
ხელი შეუწყოს ენერჯის დაზოგვას და ენერგოეფექტურობას საცხოვრებელ და კომერციულ შენობებში	20.8
კლიმატის ცვლილების საკითხების ინტეგრირება ენერგეტიკის სტრატეგიებში და პროგრამებში	12
ცნობიერების ამაღლება	22.1
დაანესოს რეალური ტარიფები სუბსიდირებულ ენერგორესურსებზე	5.6
არ ვიცი/უარი პასუხზე	23.8

ეკონომიკის თვალსაზრისით, რესპონდენტებს შორის ჭარბობს პოზიცია, რომ ქვეყანამ უნდა დააკისროს მაღალი გადასახადი იმ კომპანიებს, რომლებიც თავისი საქმიანობით გარემოს აბინძურებენ და სათბური აირების მნიშვნელოვან გაფრქვევას უწყობენ ხელს: 2023 წელი - 34%, 2022 წელი - 38.8%. ამასთან, თუკი 2022 წელს გამოკითხულთა მეოთხედი (25.9%) მიიჩნევდა, რომ მნიშვნელოვანია ტექნოლოგიების შემოღების ან ტექნოლოგიების ადგილზე განვითარებას ხელშეწყობა, 2023 წლის გამოკითხვაში ამ შეხედულების მქონეთა წილი 30.7%-მდეა გაზარდილი; ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ფაქტორი უფრო მნიშვნელოვნადაა მიჩნეული (იხ. ცხრილი #62).

**ცხრილი #62**

თქვენი აზრით, რა სახის ეკონომიკური პოლიტიკა უნდა განახორციელოს ქვეყანამ, კლიმატის და გარემოს კრიზისთან გასამკლავებლად? (%)	2023 წელი (N=1259)	2022 წელი (N=1500)
ხელი შეუწყოს ინვესტიციების უპირატეს მოზიდვას მწვანე და რესურს-დამზოგავ ეკონომიკასა და მწვანე სამუშაო ადგილების შექმნაში	27.6	30.8
დააკისროს მაღალი გადასახადი იმ კომპანიებს, რომლებიც თავისი საქმიანობით აბინძურებენ გარემოს და ხელს უწყობენ სათბური აირების მნიშვნელოვან გაფრქვევებს	34	38.8



ხელი შეუწყოს შესაბამისი ტექნოლოგიების შემოღებას ქვეყანაში ან ტექნოლოგიების ადგილზე განვითარებას	30.7	25.9
სხვა	-	0.1
არ ვიცი/უარი პასუხზე	7.7	4.4

ორივე რაუნდის გამოკითხვაში, როგორც უმაღლესი, ისე განათლების სხვა საფეხურის მქონე რესპონდენტთა ძირითადი ნაწილი, ეკონომიკური პოლიტიკის თვალსაზრისით, მნიშვნელოვან საკითხად ასახელებს ქვეყნის მიერ იმ კომპანიებისთვის მაღალი გადასახადების დაკისრებას, რომლებიც თავისი საქმიანობით გარემოს აბინძურებენ და სათბური აირების მნიშვნელოვან გაფრქვევას უწყობენ ხელს. ზოგადი შეფასებისთვის ხაზგასასმელია, რომ, წინა რაუნდთან შედარებით, ამ პოზიციის მქონეთა წილი შემცირებულია, მაგრამ კვლავ დომინანტურ პოზიციას წარმოადგენს:

- ▶ **უმაღლესი განათლება:** 2023 წელი - 35.3%, 2022 წელი - 36%
- ▶ **სხვა:** 2023 წელი - 33.1%, 2022 წელი - 40.6%

წინა რაუნდთან შედარებით, გაზრდილია იმ რესპონდენტთა წილი, ვინც მიიჩნევს, რომ ქვეყანამ ხელი უნდა შეუწყოს შესაბამისი ტექნოლოგიების შემოღებას და ტექნოლოგიების ადგილზე განვითარებას. მსგავს შეხედულებას უფრო მეტად უმაღლესი განათლების მქონე რესპონდენტები იზიარებენ:

- ▶ **უმაღლესი განათლება:** 2023 წელი - 32.4%, 2022 წელი - 26.5%
- ▶ **სხვა:** 2023 წელი - 29.6%, 2022 წელი - 25.5% (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა:  $\chi^2=9661$ ,  $p<0.05$ ) (იხ. ცხრილი #63)

### ცხრილი #63

თქვენი აზრით, რა სახის ეკონომიკური პოლიტიკა უნდა განახორციელოს ქვეყანამ, კლიმატის და გარემოს კრიზისთან გასამკლავებლად? (განათლების მიღწეული დონის ჭრილში) (%)	უმაღლესი განათლება		სხვა	
	2023 წელი (N=1259)	2022 წელი (N=1500)	2023 წელი (N=1259)	2022 წელი (N=1500)
ხელი შეუწყოს ინვესტიციების უპირატეს მოზიდვას მწვანე და რესურს-დამზოგავ ეკონომიკასა და მწვანე სამუშაო ადგილების შექმნაში	27.5	34.1	27.7	28.6
დააკისროს მაღალი გადასახადი იმ კომპანიებს, რომლებიც თავისი საქმიანობით აბინძურებენ გარემოს და ხელს უწყობენ სათბური აირების მნიშვნელოვან გაფრქვევებს	35.3	36	33.1	40.6
ხელი შეუწყოს შესაბამისი ტექნოლოგიების შემოღებას ქვეყანაში ან ტექნოლოგიების ადგილზე განვითარებას	32.4	26.5	29.6	25.5
სხვა	-	0.3	-	-
არ ვიცი/უარი პასუხზე	4.9	3.1	9.5	5.3

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა თითქმის თანაბარი ოდენობა მიუთითებს, რომ გარემოს კრიზისთან გასამკლავებლად საჭიროა ქვეყანამ ა) მაღალი გადასახადი დააკისროს იმ კომპანიებს, რომლებიც თავისი საქმიანობით გარემოს აბინძურებენ და ხელს უწყობენ სათბური აირების მნიშვნელოვან ამოფრქვევას (32.9%), ბ) ხელი შეუწყოს შესაბამისი ტექნოლოგიების შემოღინებას ქვეყანაში ან ტექნოლოგიების ადგილზე განვითარებას (31.8%). თითქმის ყოველი მეხუთე კი პასუხისგან თავს იკავებს ან კონკრეტული პოზიციის დაფიქსირება უჭირს (19.6%) (იხ. ცხრილი #64).

**ცხრილი #64**

თქვენი აზრით, რა სახის ეკონომიკური პოლიტიკა უნდა განახორციელოს ქვეყანამ, კლიმატის და გარემოს კრიზისთან გასამკლავებლად? (ეთნიკური უმცირესობები)	2023 წელი (N=383) (%)
ხელი შეუწყოს ინვესტიციების უპირატეს მოზიდვას მწვანე და რესურს-დამზოგავ ეკონომიკასა და მწვანე სამუშაო ადგილების შექმნაში	15.7
დააკისროს მაღალი გადასახადი იმ კომპანიებს, რომლებიც თავისი საქმიანობით აბინძურებენ გარემოს და ხელს უწყობენ სათბური აირების მნიშვნელოვან გაფრქვევებს	32.9
ხელი შეუწყოს შესაბამისი ტექნოლოგიების შემოღინებას ქვეყანაში ან ტექნოლოგიების ადგილზე განვითარებას	31.8
არ ვიცი/უარი პასუხზე	19.6

კლიმატისა და გარემოს კრიზისთან გასამკლავებლად, რესპონდენტთა 41.2%-ის აზრით, საჭიროა ძლიერ დამაბინძურებელი მანქანების გადაადგილების აკრძალვა (2022 წელი - 35.5%). ამასთან, თუკი 2022 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, რესპონდენტთა 30.6% პოლიტიკის ნაწილად საზოგადოებრივი და სუფთა ტრანსპორტის საშუალებების ხელშეწყობას განსაზღვრავდა, 2023 წლის გამოკითხვაში მსგავსი პოზიციის მქონეთა წილი 20.8%-მდეა შემცირებული (იხ. ცხრილი #65).

**ცხრილი #65**

თქვენი აზრით, რა პოლიტიკა უნდა განახორციელოს ქვეყანამ ტრანსპორტის სექტორში, კლიმატის და გარემოს კრიზისთან გასამკლავებლად? (%)	2023 წელი (N=1259)	2022 წელი (N=1500)
გააძვიროს პარკირების საფასური და შეამციროს პარკირების ადგილები	2.6	2.5
საზოგადოებრივი და სუფთა ტრანსპორტის საშუალებების ხელშეწყობა	20.8	30.6
ძლიერ დამაბინძურებელი მანქანების გადაადგილების აკრძალვა	41.2	35.5
განავითაროს საფეხმავლო, ელექტრო და ველოსიპედების ინფრასტრუქტურა	9.6	10.9
ხელი შეუწყოს კლიმატისა და გარემოსადმი მეგობრულ ურბანულ და სასოფლო გეგმარების სტანდარტების და ნორმების ჩამოყალიბებას	19	17.7
სხვა	0.1	0.4
არ ვიცი/უარი პასუხზე	6.7	2.3

2022 წელს ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, უმაღლესი განათლების მქონე რესპონდენტთა შედარებით დიდი წილი (36.7%) მიიჩნევდა, რომ ტრანსპორტის სექტორში, გარემოს კრიზისთან გასამკლავებლად, საჭირო იყო ძლიერ დამაბინძურებელი მანქანების გადაადგილების აკრძალვა (არასრული განათლება - 34.8%). 2023 წლის რაუნდში აღნიშნული მაჩვენებლები გაზრდილია და თან იკვეთება, რომ ამ საკითხის მნიშვნელოვნებას არასრული უმაღლესი განათლების მქონე რესპონდენტები მეტად გამოკვეთენ (42.5%, უმაღლესი განათლება - 39.3%). 2023 წლის გამოკითხვაში სამიზნე ჯგუფებს შორის თითქმის თანაბარია მათი წილი, ვინც პოლიტიკის შემადგენელ ნაწილად საზოგადოებრივი და სუფთა ტრანსპორტის საშუალებების ხელშეწყობას განიხილავს: უმაღლესი განათლება - 20.9%, სხვა - 20.7%. აღნიშნული მონაცემები კი, წინა რაუნდთან შედარებით, შემცირებულია (2022 წელი): უმაღლესი განათლება - 29%, სხვა - 31.7% (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა:  $X^2=15113$ ,  $p<0.05$ ) (იხ. ცხრილი #66).

### ცხრილი #66

თქვენი აზრით, რა პოლიტიკა უნდა განახორციელოს ქვეყანამ ტრანსპორტის სექტორში, კლიმატის და გარემოს კრიზისთან გასამკლავებლად? (განათლების მიღწეული დონის ჭრილში) (%)	უმაღლესი განათლება		სხვა	
	2023 წელი (N=1259)	2022 წელი (N=1500)	2023 წელი (N=1259)	2022 წელი (N=1500)
გააძვიროს პარკირების საფასური და შეამციროს პარკირების ადგილები	1.9	2.5	3.1	2.5
საზოგადოებრივი და სუფთა ტრანსპორტის საშუალებების ხელშეწყობა	20.9	29	20.7	31.7
ძლიერ დამაბინძურებელი მანქანების გადაადგილების აკრძალვა	39.3	36.7	42.5	34.8
განავითაროს საფეხმავლო, ელექტრო და ველოსიპედების ინფრასტრუქტურა	12.2	12.4	7.9	9.9
ხელი შეუწყოს კლიმატისა და გარემოსადმი მეგობრულ ურბანულ და სასოფლო გეგმარების სტანდარტების და ნორმების ჩამოყალიბებას	20.7	17.3	18	18.1
სხვა	0.2	0.2	-	0.5
არ ვიცი/უარი პასუხზე	4.8	2	7.9	2.6

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მესამედზე მეტი (35.5%), ზოგადი ტენდენციის მსგავსად, მიიჩნევს, რომ ტრანსპორტის სექტორში საჭიროა/მნიშვნელოვანია ძლიერ დამაბინძურებელი მანქანების გადაადგილების აკრძალვა. მეხუთედს აღემატება მათი წილი (22.8%), ვინც ფიქრობს, რომ ქვეყანამ ხელი უნდა შეუწყოს კლიმატისა და გარემოსადმი მეგობრულ ურბანულ და სასოფლო გეგმარების სტანდარტების და ნორმების ჩამოყალიბებას. ამ ჯგუფის რესპონდენტებშიც აქტუალურია, რომ ქვეყანამ ტრანსპორტის სექტორში ხელი უნდა შეუწყოს საზოგადოებრივი და სუფთა ტრანსპორტის საშუალებების არსებობას (15.1%) (იხ. ცხრილი #67).

**ცხრილი #67**

თქვენი აზრით, რა პოლიტიკა უნდა განახორციელოს ქვეყანამ ტრანსპორტის სექტორში, კლიმატის და გარემოს კრიზისთან გასამკლავებლად? (ეთნიკური უმცირესობები)	2023 წელი (N=383) (%)
გააძვიროს პარკირების საფასური და შეამციროს პარკირების ადგილები	3.2
საზოგადოებრივი და სუფთა ტრანსპორტის საშუალებების ხელშეწყობა	15.1
ძლიერ დამაბინძურებელი მანქანების გადაადგილების აკრძალვა	35.5
განავითაროს საფეხმავლო, ელექტრო და ველოსიპედების ინფრასტრუქტურა	12.6
ხელი შეწყოს კლიმატისა და გარემოსადმი მეგობრულ ურბანულ და სასოფლო გეგმარების სტანდარტების და ნორმების ჩამოყალიბებას	22.8
არ ვიცი/უარი პასუხზე	10.8

რაც შეეხება ნარჩენების მართვის სექტორში განსახორციელებელ პოლიტიკას, ორივე რაუნდის რესპონდენტთა შეხედულებებს შორის ისეთი მაღალი სტანდარტების ნაგავსაყრელების მშენებლობა დომინირებს, რომლებიც ატმოსფეროს არ აბინძურებს; 2023 წელი - 43.1%, 2022 წელი - 48%. აქვე ხაზგასასმელია, რომ თუკი 2022 წელს გამოკითხულთა 27% ნარჩენების დახარისხებას და განცალკევებულ შეგროვებას ასახელებდა, 2023 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 23%-მდე შემცირებული; მეორე მხრივ კი, 2023 წლის გამოკითხვაში უფრო მნიშვნელოვნადაა მიჩნეული ნარჩენების ხელახალი გამოყენებისა და რეციკლირების წახალისება (28.1%), ვიდრე 2022 წელს (23.1%) (იხ. ცხრილი #68).

**ცხრილი #68**

თქვენი აზრით, რა პოლიტიკა უნდა განახორციელოს ქვეყანამ ნარჩენების მართვის სექტორში კლიმატის და გარემოს კრიზისთან გასამკლავებლად? (%)	2023 წელი (N=1259)	2022 წელი (N=1500)
ნარჩენების დახარისხება და განცალკევებული შეგროვება	23	27.2
მაღალი სტანდარტების ნაგავსაყრელების მშენებლობა, რომლებიც არ აბინძურებენ ატმოსფეროს	43.1	48
ნარჩენების ხელახალი გამოყენების და რეციკლირების წახალისება	28.1	23.1
სხვა	-	0.2
არ ვიცი/უარი პასუხზე	5.8	1.5

ცხადია, ზოგადი ტენდენცია შენარჩუნებულია განათლების მიღწეული დონის ჭრილში საკითხის განხილვისასაც. ორივე რაუნდში წამყვან პოზიციას მაღალი სტანდარტების ნაგავსაყრელების მშენებლობა იკავებს, რომლებიც ატმოსფეროს არ აბინძურებს. მსგავს შეხედულებას 2023 წლის კვლევაში უმაღლესი განათლების მქონე რესპონდენტები (45.4%) უფრო გამოკვეთენ, ვიდრე სხვა საფეხურის წარმომადგენლები (41.7%). 2022 წლის რაუნდში კი უფრო მცირე იყო სხვაობა სწორედ არასრული უმაღლესი განათლების მქონეთა სასარგებლოდ (48.6%, უმაღლესი განათლება - 47%). 2023 წლის რაუნდში გაზრდილია მათი წილი, ვინც ნარჩენების მართვის სექტორში განსახორციელებელ აქტივობად ნარჩენების ხელახალ გამოყენებასა და რეციკლირების წახალისებას ასახელებს:

- ▶ **უმაღლესი განათლება:** 2023 წელი - 31.2%, 2022 წელი - 24.9%
- ▶ **სხვა:** 2023 წელი - 26.1%, 2022 წელი - 21.9% (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა:  $X^2=15475$ ,  $p<0.05$ ) (იხ. ცხრილი #69)

### ცხრილი #69

თქვენი აზრით, რა პოლიტიკა უნდა განახორციელოს ქვეყანამ ნარჩენების მართვის სექტორში კლიმატის და გარემოს კრიზისთან გასამკლავებლად? (განათლების მიღწეული დონის ჭრილში) (%)	უმაღლესი განათლება		სხვა	
	2023 წელი (N=1259)	2022 წელი (N=1500)	2023 წელი (N=1259)	2022 წელი (N=1500)
ნარჩენების დახარისხება და განცალკევებული შეგროვება	20.1	25.7	24.9	28.2
მაღალი სტანდარტების ნაგავსაყრელების მშენებლობა, რომლებიც არ აბინძურებენ ატმოსფეროს	45.4	48.6	41.7	47.6
ნარჩენების ხელახალი გამოყენების და რეციკლირების ნახალისება	31.2	24.9	26.1	21.9
სხვა	-	0.2	-	0.2
არ ვიცი/უარი პასუხზე	3.3	0.6	7.3	2

ნარჩენების მართვის თვალსაზრისით, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა 40.4% მიიჩნევს, რომ მთავარია მაღალი სტანდარტების ნაგავსაყრელების მშენებლობა, რომლებიც ატმოსფეროს არ აბინძურებენ; თითქმის მესამედს აღწევს მათი წილი (31.1%), რომელთა აზრითაც, მნიშვნელოვანია ქვეყნის პოლიტიკა ითვალისწინებდეს ნარჩენების დახარისხებას და განცალკევებულ შეგროვებას (იხ. ცხრილი #70).

### ცხრილი #70

თქვენი აზრით, რა პოლიტიკა უნდა განახორციელოს ქვეყანამ ნარჩენების მართვის სექტორში კლიმატის და გარემოს კრიზისთან გასამკლავებლად? (ეთნიკური უმცირესობები)	2023 წელი (N=383) (%)
ნარჩენების დახარისხება და განცალკევებული შეგროვება	31.1
მაღალი სტანდარტების ნაგავსაყრელების მშენებლობა, რომლებიც არ აბინძურებენ ატმოსფეროს	40.4
ნარჩენების ხელახალი გამოყენების და რეციკლირების ნახალისება	18.9
არ ვიცი/უარი პასუხზე	9.7

რაც შეეხება სოფლის მეურნეობის მხრივ განსახორციელებელ პოლიტიკას, რესპონდენტთა საშუალოდ მესამედზე მეტი მიიჩნევს, რომ მთავარია სასუქების ზომიერი მოხმარება და ქიმიურის ბუნებრივით ჩანაცვლება: 2023 წელი - 35.3%, 2022 წელი - 38.4%. 2023 წელს ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, გამოკითხულთა მეხუთედი (20.8%) პოლიტიკის ნაწილად მდგრადი სოფლის მეურნეობის პრაქტიკების გამოყენებას ასახელებს (2022 წელი - 16.7%). პასუხის სხვა კატეგორიებს შორის მნიშვნელოვანი პროცენტული სხვაობები რაუნდებს შორის არ დაფიქსირებულა (იხ. ცხრილი #71).

## ცხრილი #71

თქვენი აზრით, რა პოლიტიკა უნდა განახორციელოს სახელმწიფომ სოფლის მეურნეობის სფეროში, კლიმატის და გარემოს კრიზისთან გასამკლავებლად? (%)	2023 წელი (N=1259)	2022 წელი (N=1500)
გამოიყენოს მდგრადი სოფლის მეურნეობის პრაქტიკები	20.8	16.7
ზომიერად მოიხმაროს სასუქები და ეცადოს ბუნებრივით ჩაანაცვლოს ქიმიური	35.3	38.4
ხელი შეუწყოს ბიო კულტურების განვითარებას	24.1	22.6
ხელი შეუწყოს ცხოველური ნარჩენებისგან ბიოგაზის წარმოებას	8.2	10.5
ხელი შეუწყოს საძოვრების მდგრად მართვას	2.9	7.2
სხვა	-	0.2
არ ვიცი/უარი პასუხზე	8.7	4.3

განათლების მიღწეული დონის ჭრილში საკითხის გაანალიზებისას რაუნდებს შორის ზოგადი ტენდენცია შენარჩუნებულია. დომინანტური პოზიციაა, რომ სახელმწიფომ სოფლის მეურნეობის სფეროში უნდა განახორციელოს სასუქების ზომიერად მოხმარება და ქიმიურის ბუნებრივით ჩანაცვლება. გამოკითხვის რაუნდებს შორის მსგავსი პოზიციის მქონეთა წილი მცირედ შემცირებულია, თუმცა მიმართება შენარჩუნებულია - არასრული უმაღლესი განათლების მქონე ინდივიდები მეტად გამოკვეთენ მსგავს აქტივობას:

- ▶ **უმაღლესი განათლება:** 2023 წელი - 32.1%, 2022 წელი - 36.3%
- ▶ **სხვა:** 2023 წელი - 37.4%, 2022 წელი - 38.9%

ამასთან, 2023 წლის რაუნდში გაზრდილია იმ რესპონდენტთა წილი, ვინც განსახორციელებელი პოლიტიკის ნაწილად ბიო კულტურის განვითარების ხელშეწყობას მოიაზრებს. მსგავსი შეხედულება აქტუალური უფრო მეტადაა უმაღლესი განათლების მქონე რესპონდენტთა შორის, რაც შესაძლოა მათი ინფორმირებულობის დონეს დავეკავშიროთ:

- ▶ **უმაღლესი განათლება:** 2023 წელი - 29.2%, 2022 წელი - 27%
- ▶ **სხვა:** 2023 წელი - 20.9%, 2022 წელი - 19.8% (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა:  $X^2=26063$ ,  $p<0.05$ ) (იხ. ცხრილი #72)

## ცხრილი #72

თქვენი აზრით, რა პოლიტიკა უნდა განახორციელოს სახელმწიფომ სოფლის მეურნეობის სფეროში, კლიმატის და გარემოს კრიზისთან გასამკლავებლად? (განათლების მიღწეული დონის ჭრილში) (%)	უმაღლესი განათლება		სხვა	
	2023 წელი (N=1259)	2022 წელი (N=1500)	2023 წელი (N=1259)	2022 წელი (N=1500)
გამოიყენოს მდგრადი სოფლის მეურნეობის პრაქტიკები	22.3	17	19.9	16.5
ზომიერად მოიხმაროს სასუქები და ეცადოს ბუნებრივით ჩაანაცვლოს ქიმიურ	32.1	36.3	37.4	39.8
ხელი შეუწყოს ბიო კულტურების განვითარებას	29.2	27	20.9	19.8
ხელი შეუწყოს ცხოველური ნარჩენებისგან ბიოგაზის წარმოებას	9.4	10.8	7.4	10.4

ხელი შეუწყოს საძოვრების მდგრად მართვას	2	5.3	3.5	8.4
სხვა	-	0.2	-	0.2
არ ვიცი/უარი პასუხზე	5.2	3.4	10.9	4.9

ეთნიკური უმცირესობების ჯგუფში ზოგადი ტენდენცია შენარჩუნებულია. მათი 30.8% მიიჩნევს, რომ ქვეყანამ სოფლის მეურნეობის სფეროში ზომიერად უნდა მოიხმაროს სასუქები და ქიმიურის ბუნებრივით ჩანაცვლებას ეცადოს. ეთნიკური უმცირესობების ყოველი მეხუთე წარმომადგენელი კი ყველაზე მნიშვნელოვან ნაბიჯად ბიო კულტურების განვითარების ხელშეწყობას ასახელებს (20.4%). ამ ჯგუფში, პროცენტული თვალსაზრისით, მრავალფეროვანი პასუხები დაფიქსირდა - ცალკეულ შემთხვევაში მეათედს აჭარბებს მათი წილი, ვინც მიიჩნევს, რომ ქვეყნის პოლიტიკა სოფლის მეურნეობის მიმართულებით მდგრადი სოფლის მეურნეობის პრაქტიკების გამოყენებას (15.8%) ან ცხოველური ნარჩენებისგან ბიოგაზის წარმოების ხელშეწყობას (12.4%) უნდა ითვალისწინებდეს (იხ. ცხრილი #73).

### ცხრილი #73

თქვენი აზრით, რა პოლიტიკა უნდა განახორციელოს სახელმწიფომ სოფლის მეურნეობის სფეროში, კლიმატის და გარემოს კრიზისთან გასამკლავებლად? (ეთნიკური უმცირესობები)	2023 წელი (N=383) (%)
გამოიყენოს მდგრადი სოფლის მეურნეობის პრაქტიკები	15.8
ზომიერად მოიხმაროს სასუქები და ეცადოს ბუნებრივით ჩანაცვლოს ქიმიური	30.8
ხელი შეუწყოს ბიო კულტურების განვითარებას	20.4
ხელი შეუწყოს ცხოველური ნარჩენებისგან ბიოგაზის წარმოებას	12.4
ხელი შეუწყოს საძოვრების მდგრად მართვას	6.7
არ ვიცი/უარი პასუხზე	13.9

გარდა იმ პოლიტიკისა, რაც, რესპონდენტთა აზრით, სახელმწიფომ უნდა გაატაროს გარემოს კრიზისთან გასამკლავებლად, გამოკითხულთა მესამედი (32.3%) მიიჩნევს, რომ გახშირებული ბუნებრივი კატასტროფებისგან მოსახლეობის დასაცავად საჭიროა სახელმწიფომ შეიმუშაოს ადრეული შეტყობინების სისტემები, რაც 2023 წლის გამოკითხვაში დომინანტური კატეგორიაა. წინა რაუნდში წამყვან პოზიციას პრევენციისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობა იკავებდა (24.7%), რასაც 2023 წელს გამოკითხულ რესპონდენტთა 18.6% ემხრობა. ორივე რაუნდში საშუალოდ 17% მიიჩნევს, რომ ბუნებრივი კატასტროფებისგან მოსახლეობის დასაცავად მნიშვნელოვანია ხალხის ცნობიერების ამაღლება და მათი ინფორმირება: 2023 წელი - 16.2%, 2022 წელი - 18%. აქვე ხაზგასასმელია, რომ ცნობიერების ამაღლება თუ არ რეალიზდა პრაქტიკულ აქტივობებში, დარჩება მხოლოდ ინფორმირებულობის დონეზე - მოსახლეობას თუ არ ექნება წინასწარი ცოდნა და თუ არ იარსებებს შესაბამისი ინფრასტრუქტურა, მხოლოდ ინფორმირებულობით გაჭირდება გახშირებული ბუნებრივი კატასტროფებისგან დაცვა (იხ. ცხრილი #74).

**ცხრილი #74**

თქვენი აზრით, როგორ შეიძლება სახელმწიფომ დაიცვას მოსახლეობა გახშირებული ბუნებრივ კატასტროფებისაგან (წყალდიდობები, წყალმოვარდნები, მეწყერი, ტყის ხანძრები, გვალვა და სხვა)? (%)	2023 წელი (N=1259)	2022 წელი (N=1500)
ადრეული შეტყობინების სისტემების განვითარება	32.3	23.5
შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობა	18.6	24.7
ჯანდაცვის სისტემის გაუმჯობესება და კლიმატთან დაკავშირებული დაავადებების მონიტორინგი	13.1	14.4
ცნობიერების ამაღლება, ინფორმირება	16.2	18
საუკეთესო პრაქტიკების შესწავლა და დანერგვა	10.3	12.5
ვერ დაიცავს	4.6	4.3
სხვა	-	0.1
არ ვიცი/უარი პასუხზე	4.9	2.6

თბილისში გამოკითხული ყოველი მესამე ინდივიდი მიიჩნევს, რომ სახელმწიფომ მოსახლეობის გახშირებული ბუნებრივი კატასტროფებისგან დასაცავად ადრეული შეტყობინების სისტემები უნდა განავითაროს. ამავე პოზიციაზე აღმოსავლეთ საქართველოში გამოკითხულთა 40.2%-იც. განსხვავებული მდგომარეობა გამოვლინდა დასავლეთ საქართველოში. ამ გეოგრაფიულ არეალში გამოკითხულთა მეოთხედი (24.8%) დომინანტურ მნიშვნელობას შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობას ანიჭებს. თბილისში გამოკითხულთა მეხუთედი (20.4%) ცნობიერების ამაღლებას და ინფორმირებას გამოკვეთს, რაც სხვა გეოგრაფიულ არეალებში მცირე წილითაა წარმოდგენილი: დასავლეთ საქართველო - 17%, აღმოსავლეთ საქართველო - 12%. აღმოსავლეთ საქართველოში მეათედს აღემატება მათი წილი, ვინც მიიჩნევს, რომ სახელმწიფომ საუკეთესო პრაქტიკები უნდა შეისწავლოს და დანერგოს. ამ პოზიციას დასავლეთ საქართველოში გამოკითხულთა 9.7%, ხოლო თბილისში მხოლოდ 6.9% იზიარებს (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა:  $X^2=94568$ ,  $p<0.05$ ) (იხ. ცხრილი #75).

**ცხრილი #75**

თქვენი აზრით, როგორ შეიძლება სახელმწიფომ დაიცვას მოსახლეობა გახშირებული ბუნებრივ კატასტროფებისაგან (წყალდიდობები, წყალმოვარდნები, მეწყერი, ტყის ხანძრები, გვალვა და სხვა)? (გეოგრაფიული არეალის ჭრილში) (%) (2023 წელი)	თბილისი	დასავლეთ საქართველო	აღმოსავლეთ საქართველო
ადრეული შეტყობინების სისტემების განვითარება	33.3	22.6	40.2
შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობა	18.2	24.8	13.4
ჯანდაცვის სისტემის გაუმჯობესება და კლიმატთან დაკავშირებული დაავადებების მონიტორინგი	15.8	13.5	10.4
ცნობიერების ამაღლება, ინფორმირება	20.4	17	12
საუკეთესო პრაქტიკების შესწავლა და დანერგვა	6.9	9.7	13.8
ვერ დაიცავს	2.3	8.8	2.8
არ ვიცი/უარი პასუხზე	3	3.8	7.5



გამოკითხვის ორივე რაუნდში უმაღლესი განათლების მქონეთა შედარებით დიდი წილი მიუთითებს ადრეული შეტყობინების სისტემების განვითარების აუცილებლობაზე. 2023 წელს ამ რესპონდენტთა მაჩვენებელი მკვეთრად გაზრდილია:

- ▶ **უმაღლესი განათლება:** 2023 წელი - 34.3%, 2022 წელი - 23.7%
- ▶ **სხვა:** 2023 წელი - 31%, 2022 წელი - 23.4%

2023 წლის გამოკითხვაში ორივე სამიზნე ჯგუფში შემცირებულია იმ რესპონდენტთა წილი, ვინც პრევენციისთვის მნიშვნელოვნად ინფრასტრუქტურულ გამართულობას ასახელებს. ამჟამად ამ პოზიციას არაუმაღლესი განათლების მქონეები უფრო იზიარებენ, 2022 წელს კი უმაღლესი განათლების მქონეები დომინირებდნენ:

- ▶ **უმაღლესი განათლება:** 2023 წელი - 16%, 2022 წელი - 26.4%
- ▶ **სხვა:** 2023 წელი - 20.2%, 2022 წელი - 23.6%

2023 წლის გამოკითხვაში არაუმაღლესი განათლების მქონე პირთა უფრო მცირე ნაწილი საუბრობს ცნობიერების ამაღლების საჭიროებაზე (14.%), ვიდრე 2022 წელს (18.3%) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა:  $X^2=16941$ ,  $p<0.05$ ) (იხ. ცხრილი #76).

### ცხრილი #76

თქვენი აზრით, როგორ შეიძლება სახელმწიფომ დაიცვას მოსახლეობა გახშირებული ბუნებრივი კატასტროფებისაგან (წყალდიდობები, წყალმოვარდნები, მენჯერი, ტყის ხანძრები, გვალვა და სხვა)? (განათლების მიღწეული დონის ჭრილში) (%)	უმაღლესი განათლება		სხვა	
	2023 წელი (N=1259)	2022 წელი (N=1500)	2023 წელი (N=1259)	2022 წელი (N=1500)
ადრეული შეტყობინების სისტემების განვითარება	34.3	23.7	31	23.4
შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობა	16	26.4	20.2	23.6
ჯანდაცვის სისტემის გაუმჯობესება და კლიმატთან დაკავშირებული დაავადებების მონიტორინგი	13.4	12.3	12.9	15.8
ცნობიერების ამაღლება, ინფორმირება	19.7	17.5	14	18.3
საუკეთესო პრაქტიკების შესწავლა და დანერგვა	10	13.5	10.4	11.8
ვერ დაიცავს	3	4.2	5.6	4.3
სხვა	-	0.2	-	-
არ ვიცი/უარი პასუხზე	3.6	2.2	5.7	2.9

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მესამედზე მეტის (36.1%) შეფასებითაც, მთავარი აქტივობა, რითაც სახელმწიფოს შეუძლია მოსახლეობა გახშირებული ბუნებრივი კატასტროფებისგან დაიცვას ადრეული შეტყობინების სისტემების განვითარებაა. ზოგადი ტენდენციისგან განსხვავებით, ამ ჯგუფის 15.4% მნიშვნელოვნად მიიჩნევს ჯანდაცვის სიტემის გაუმჯობესებას და კლიმატთან დაკავშირებული დაავადებების მონიტორინგს; მეორე მხრივ კი, მხოლოდ მცირე ნაწილი (9.9%) უსვამს ხაზს შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის როლს. უფრო მნიშვნელოვნად ცნობიერების ამაღლება (10.5%) და საუკეთესო პრაქტიკების შესწავლა/დანერგვა (12.4%) მიაჩნიათ (იხ. ცხრილი #77).

**ცხრილი #77**

<p><b>თქვენი აზრით, როგორ შეიძლება სახელმწიფომ დაიცვას მოსახლეობა გახშირებული ბუნებრივ კატასტროფებისაგან (წყალდიდობები, წყალმოვარდნები, მეწყერი, ტყის ხანძრები, გვალვა და სხვა)?</b></p> <p><b>(ეთნიკური უმცირესობები)</b></p>	<p><b>2023 წელი (N=383) (%)</b></p>
ადრეული შეტყობინების სისტემების განვითარება	36.1
შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობა	9.9
ჯანდაცვის სისტემის გაუმჯობესება და კლიმატთან დაკავშირებული დაავადებების მონიტორინგი	15.4
ცნობიერების ამაღლება, ინფორმირება	10.5
საუკეთესო პრაქტიკების შესწავლა და დანერგვა	12.4
ვერ დაიცავს	1.0
არ ვიცი/უარი პასუხზე	14.7



კლიმატის ცვლილების პრობლემასთან ბრძოლის მხრივ სახელმწიფოს სხვადასხვა საკითხში მონაწილეობის მნიშვნელოვნება შეფასდა. შეთავაზებული საკითხები მიემართებოდა სუფთა ტრანსპორტის სიტემის განვითარებას, ინფრასტრუქტურულ გამართულობას, ენერჯის წარმოებას, ტყეების განაშენიანებას, ბუნებრივი აირის გამოყენების შემცირებას, შენობების ენერგოეფექტურობის გაზრდას და ა.შ. წარმოდგენილი იყო ისეთი საკითხები, რომლებიც პირდაპირ კავშირშია კლიმატის ცვლილებებთან. გამოიკვეთა, რომ გამოკითხვის ორივე რაუნდში თითოეულ ზემოაღნიშნულ საკითხში სახელმწიფოს ჩარევას რესპონდენტთა უმრავლესობა მნიშვნელოვნად აფასებს (ქულები 4 და 5)<sup>2</sup>: 2023 წელი - საშუალოდ 83%, 2022 წელი - საშუალოდ 82%. აღნიშნული საშუალო მაჩვენებლებიც მოწმობს, რომ ცალკეულ საკითხთან მიმართებით გამოკითხვის რაუნდებს შორის მკვეთრი სხვაობები არ დაფიქსირებულა. ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებად კი, როგორც 2022, ისე 2023 წელს ტყეების დაცვა და განაშენიანება (2023 წელი - 93.3%, 2022 წელი - 93.5%) და საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაუმჯობესება სახელდება (2023 წელი - 90.3%, 2022 წელი - 92.3%) (იხ. ცხრილი #78).

<sup>2</sup> შეფასებისთვის გამოყენებულ იქნა 5-ქულიანი სკალა, რომელზეც ქულა 1 აღწერს კატეგორიას „ძალიან უმნიშვნელო“, ხოლო ქულა 5 - კატეგორიას „ძალიან მნიშვნელოვანი“.

**ცხრილი #78**

კლიმატის ცვლილების პრობლემასთან ბრძოლაში რამდენად მნიშვნელოვანია სახელმწიფო ჩარევა ჩამოთვლილთაგან შემდეგ საკითხებში? (%)		ძალიან უმნიშვნელო	2	3	4	ძალიან მნიშვნელოვანი	არ ვიცი/უარი პასუხზე
სუფთა სატრანსპორტო სისტემების განვითარება, ტექნოლოგიების გამკაცრება	2023 წელი (N=1259)	0.2	0.8	8.6	24.3	64.7	1.5
	2022 წელი (N=1500)	3.5	2.3	10.6	21.8	60.4	1.5
ინდუსტრიული საწარმოების მიერ გამოწვეული ჰაერის დაბინძურების შემცირება	2023 წელი (N=1259)	0.2	0.6	6.7	23.1	68.3	1.1
	2022 წელი (N=1500)	1	2.1	6.2	23.1	66.6	1
ენერჯის წარმოებისა და მოხმარების ეფექტურობის გაზრდის შემცირება	2023 წელი (N=1259)	0.1	0.6	10.3	23.9	59.6	5.4
	2022 წელი (N=1500)	1	1.8	10.8	25	56.7	4.7
საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაუმჯობესება	2023 წელი (N=1259)	0.1	0.5	8	23.9	66.5	1
	2022 წელი (N=1500)	0.8	0.5	6	19.9	72.4	0.4
ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება (მაგ. ველობილიკი..)	2023 წელი (N=1259)	0.9	0.8	13.1	27.2	55.9	2
	2022 წელი (N=1500)	1.5	3.1	9.4	24.5	59.7	1.8
ნავთობის გამოყენების შემცირება	2023 წელი (N=1259)	0.4	2.9	14.7	26.1	50.3	5.6
	2022 წელი (N=1500)	2.6	4.3	12.7	23.8	53.7	3
ნარჩენების მართვის მდგრადი სისტემის განვითარება და წესების გამკაცრება.	2023 წელი (N=1259)	-	0.6	9.1	28.1	60.1	2.1
	2022 წელი (N=1500)	0.7	2.4	7.9	22	65.7	1.4
ტყეების დაცვა და განაშენიანება	2023 წელი (N=1259)	0.2	0.1	5.5	19.4	73.8	1
	2022 წელი (N=1500)	1	1.2	3.5	13.5	80	0.8
ქალაქების და მუნიციპალიტეტების განვითარების დაგეგმვა კლიმატის ცვლილების გავლენის გათვალისწინებით	2023 წელი (N=1259)	0.1	0.5	9.4	25.2	60.6	4.1
	2022 წელი (N=1500)	1.1	1.7	8.9	25.1	55.5	7.6

კლიმატის ცვლილების პრობლემასთან ბრძოლაში რამდენად მნიშვნელოვანია სახელმწიფო ჩარევა ჩამოთვლილთაგან შემდეგ საკითხებში? (%)		ძალიან უმნიშვნელო	2	3	4	ძალიან მნიშვნელოვანი	არ ვიცი/უარი კახუბზე
ბუნებრივი აირის გამოყენების შემცირება	2023 წელი (N=1259)	1	4.1	18.1	24.4	46.6	5.8
	2022 წელი (N=1500)	5	5.6	14.5	23.3	49.2	2.4
შენობების ენერგოეფექტურობის გაზრდა (მაგ. ნაკლები ენერჯის ხარჯვით...)	2023 წელი (N=1259)	0.1	1.1	11.8	27.1	54.2	5.7
	2022 წელი (N=1500)	1.4	1.9	11.4	25.1	57.1	3.1
ტრანსპორტით გადაადგილების შესამცირებლად, სახლიდან მუშაობის შესაძლებლობების გაზრდა	2023 წელი (N=1259)	5.5	5.2	16.7	24.3	41	7.2
	2022 წელი (N=1500)	8.6	7.3	17.5	20.9	42.9	2.9

გეოგრაფიული არეალის ჭრილში საკითხის განხილვა ცხადყოფს, რომ ძირითადი ტენდენციები სამიზნე ჯგუფებს შორის იდენტურია. თითოეულ შემთხვევაში ჭარბობენ ის რესპონდენტები, რომლებიც კლიმატის ცვლილების პრობლემასთან ბრძოლაში ყველა მიმართულებით მნიშვნელოვნად საზღვრავენ სახელმწიფო ჩართულობას (ქულები 4 და 5): თბილისი - საშუალოდ 85%, დასავლეთ საქართველო - საშუალოდ 86%, აღმოსავლეთ საქართველო - საშუალოდ 77%. თბილისისა და დასავლეთ საქართველოს შემთხვევაში არის ისეთი იდენტური საკითხები, რომელთა მხრივაც სახელმწიფოს ჩართულობას მნიშვნელოვნად გამოკითხულთა 90% აფასებს, თუმცა აღმოსავლეთ საქართველოს შემთხვევაში მაჩვენებელი ამ ნიშნულს ვერ აღწევს (ქულები 4 და 5):

- ▶ **სუფთა სატრანსპორტო სისტემების განვითარება; ტექნოსპექტირების გამკაცრება:** თბილისი - 90.5%, დასავლეთ საქართველო - 90.8%, აღმოსავლეთ საქართველო - 86.1%
- ▶ **ინდუსტრიული საწარმოების მიერ გამონაბოლქვის შემცირება:** თბილისი - 92%, დასავლეთ საქართველო - 93%, აღმოსავლეთ საქართველო - 89.3%
- ▶ **საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაუმჯობესება:** თბილისი - 92.8%, დასავლეთ საქართველო - 91.8%, აღმოსავლეთ საქართველო - 86.9%

თითოეულ საკითხთან მიმართებით გეოგრაფიული არეალის ჭრილში მიღებული მონაცემები დეტალურად იხილეთ ცხრილში #79.

**ცხრილი #79**

<p><b>კლიმატის ცვლილების პრობლემასთან ბრძოლაში რამდენად მნიშვნელოვანია სახელმწიფო ჩარევა ჩამოთვლილთაგან შემდეგ საკითხებში?</b></p> <p><b>(გეოგრაფიული არეალის ჭრილში)</b></p> <p><b>(N=1259) (%) (2023 წელი)</b></p>		<b>ძალიან უმნიშვნელო</b>	<b>2</b>	<b>3</b>	<b>4</b>	<b>ძალიან მნიშვნელოვანი</b>	<b>არ ვიცი/უარი პასუხზე</b>
<p>სუფთა სატრანსპორტო სისტემების განვითარება, ტექნოსპექტირების გამკაცრება</p> <p>(<math>\chi^2=44237, p&lt;0.050</math>)</p>	თბილისი	-	1.5	7.4	26.9	63.7	0.5
	დასავლეთ საქართველო	-	0.5	6.1	17.1	73.6	2.6
	აღმოსავლეთ საქართველო	0.4	0.4	11.8	28.4	57.7	1.3
<p>ინდუსტრიული საწარმოების მიერ გამოწვეული ჰაერის დაბინძურების შემცირება</p> <p>(<math>\chi^2=33472, p&lt;0.05</math>)</p>	თბილისი	0.5	1.5	5.1	21.5	70.5	0.5
	დასავლეთ საქართველო	-	0.5	4.5	21	72	2
	აღმოსავლეთ საქართველო	0.2	-	10	26.3	63	0.5
<p>ენერჯის წარმოებისა და მოხმარების ეფექტურობის გაზრდის შემცირება</p> <p>(<math>\chi^2=42862, p&lt;0.05</math>)</p>	თბილისი	0.2	1.5	9.8	26.7	56.7	5.2
	დასავლეთ საქართველო	-	0.4	6.2	23	67.6	2.9
	აღმოსავლეთ საქართველო	-	-	14.5	22.4	55.1	8
<p>საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაუმჯობესება</p> <p>(<math>\chi^2=40555, p&lt;0.05</math>)</p>	თბილისი	0.2	-	6.5	23.5	69.3	0.5
	დასავლეთ საქართველო	-	1.6	5	20.7	71.1	1.7
	აღმოსავლეთ საქართველო	0.2	-	12	27	59.8	0.9
<p>ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება ველოსიპედისტებისთვის (მაგ. ველობილიკი..)</p> <p>(<math>\chi^2=30469, p&lt;0.05</math>)</p>	თბილისი	0.3	1.4	13.5	28.7	55.6	0.5
	დასავლეთ საქართველო	0.2	0.2	10.3	25.4	61	2.9
	აღმოსავლეთ საქართველო	2.2	0.8	15.3	27.6	51.6	2.4
<p>წვეთების გამოყენების შემცირება</p> <p>(<math>\chi^2=75422, p&lt;0.05</math>)</p>	თბილისი	0.3	4	13.4	27.1	50	5.2
	დასავლეთ საქართველო	-	0.8	7.9	27.6	61	2.7
	აღმოსავლეთ საქართველო	0.8	3.9	22	23.9	40.9	8.4
<p>ნარჩენების მართვის მდგრადი სისტემის განვითარება და წესების გამკაცრება.</p> <p>(<math>\chi^2=35521, p&lt;0.05</math>)</p>	თბილისი	-	0.9	5.1	32.2	60.5	1.3
	დასავლეთ საქართველო	-	0.5	8	22.1	66.6	2.8
	აღმოსავლეთ საქართველო	-	0.5	13.6	29.9	53.9	2.1
<p>ქალაქების და მუნიციპალიტეტების განვითარების დაგეგმვა კლიმატის ცვლილების გავლენის გათვალისწინებით</p> <p>(<math>\chi^2=36923, p&lt;0.05</math>)</p>	თბილისი	-	0.9	8.4	27.1	62.2	1.3
	დასავლეთ საქართველო	0.2	0.5	6	24.4	64.6	4.2
	აღმოსავლეთ საქართველო	0.2	-	13.4	24.3	55.7	6.6

კლიმატის ცვლილების პრობლემასთან ბრძოლაში რამდენად მნიშვნელოვანია სახელმწიფო ჩარევა ჩამოთვლილთაგან შემდეგ საკითხებში? (გეოგრაფიული არეალის ჭრილში) (N=1259) (%) (2023 წელი)		ძალიან უმნიშვნელო	2	3	4	ძალიან მნიშვნელოვანი	არ ვიცი/უარი პასუხზე
ბუნებრივი აირის გამოყენების შემცირება ( $\chi^2=92314$ , $p<0.05$ )	თბილისი	0.5	5	13.2	29.7	44.9	6.7
	დასავლეთ საქართველო	0.3	0.5	13.2	24.6	57.9	3.5
	აღმოსავლეთ საქართველო	2	6.6	26.9	19.4	38.1	6.9
შენობების ენერგოეფექტურობის გაზრდა (მაგ. ნაკლები ენერჯის ხარჯვით...) ( $\chi^2=49096$ , $p<0.05$ )	თბილისი	-	2.1	6.6	32.2	53.2	5.8
	დასავლეთ საქართველო	-	0.2	9.4	26.3	59.8	4.2
	აღმოსავლეთ საქართველო	0.2	0.9	18.4	23.5	50.1	6.9
ტრანსპორტით გადაადგილების შესამცირებლად, სახლიდან მუშაობის შესაძლებლობების გაზრდა ( $\chi^2=51425$ , $p<0.05$ )	თბილისი	7.3	6.9	10.6	30.2	41.3	3.7
	დასავლეთ საქართველო	5	6.5	19.5	24.5	37.1	7.3
	აღმოსავლეთ საქართველო	4.4	2.6	19.6	18.9	44.3	10.2

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები, ცხადია, ზოგადი ტენდენციის მსგავსად, ძირითადად, ყველა საკითხთან მიმართებით მნიშვნელოვნად მიიჩნევენ სახელმწიფოს ჩარევას (ქულები 4 და 5), რაც საშუალოდ 70%-ს უტოლდება. ამ სამიზნე ჯგუფის რესპონდენტთა ყველაზე დიდი ნაწილის (80%-ზე მეტის) აზრით, სახელმწიფოს კონტრიბუცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემდეგი მიმართულებით:

- ▶ სუფთა სატრანსპორტო სისტემების განვითარება; ტექნისპექტირების გამკაცრება - 86.1%
- ▶ საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაუმჯობესება - 82.5%
- ▶ ტყეების დაცვა და განაშენიანება - 90%

მეორე მხრივ, ცალკეულ შემთხვევაში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მეთავე მეტს გაუჭირდა ისეთი საკითხების მხრივ სახელმწიფოს ჩარევის მნიშვნელოვნების განსაზღვრა, როგორებიცაა (პასუხის კატეგორია „არ ვიცი/უარი პასუხზე“):

- ▶ ნავთობის გამოყენების შემცირება -13.3%
- ▶ ბუნებრივი აირის გამოყენების შემცირება - 11.8%
- ▶ ტრანსპორტით გადაადგილების შესამცირებლად, სახლიდან მუშაობის შესაძლებლობების გაზრდა - 16.8%

მსგავსი შედეგი, ერთი მხრივ, შესაძლოა საკითხის შესახებ ინფორმირებულობის დაბალ დონეს დავეკავშიროთ, რამდენადაც რესპონდენტებს უფრო უადვილდებათ ისეთი საკითხე-

ბის შეფასება, რაც მათი ყოველდღიურობის ნაწილია; მეორე მხრივ, კი, შესაძლოა შედეგი მიემართებოდეს კონკრეტულ შემთხვევებში სახელმწიფო როლის დანახვის სირთულეს, მაგალითად, როგორცაა დასაქმების სექტორი, რომელშიც მუშაობის ფორმატი, ძირითადად, დამსაქმებლის გადანაცვლებებზე და მასსა და თანამშრომლებს შორის შეთანხმებაზე დამოკიდებული. (იხ. ცხრილი #80).

**ცხრილი #80**

კლიმატის ცვლილების პრობლემასთან ბრძოლაში რამდენად მნიშვნელოვანია სახელმწიფო ჩარევა ჩამოთვლილთაგან შემდეგ საკითხებში?  (ეთნიკური უმცირესობები) (N=383) (%)  (2023 წელი)	ძალიან უმნიშვნელო	2	3	4	ძალიან მნიშვნელოვანი	არ ვიცი/უარი პასუხზე
სუფთა სატრანსპორტო სისტემების განვითარება, ტექნოსპექტირების გამკაცრება	0.6	3.3	9.2	40.5	45.6	0.8
ინდუსტრიული სანარმოების მიერ გამოწვეული ჰაერის დაბინძურების შემცირება	-	0.5	17.2	37.9	43.0	1.3
ენერჯის წარმოებისა და მოხმარების ქვესექტორებში გაფრქვევების შემცირება	-	1.4	19.0	29.9	41.0	8.7
საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაუმჯობესება	-	-	16.7	43.4	39.1	0.8
ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება ველოსიპედისტებისთვის (მაგ. ველობილიკი..)	3.5	2.7	21.6	37.2	31.9	3.1
ნავთობის გამოყენების შემცირება	1.4	6.2	27.4	27.8	24.0	13.3
ნარჩენების მართვის მდგრადი სისტემის განვითარება და წესების გამკაცრება.	-	1.4	19.5	43.2	33.0	2.9
ტყეების დაცვა და განაშენიანება	-	0.2	9.3	30.4	59.6	0.5
ქალაქების და მუნიციპალიტეტების განვითარების დაგეგმვა კლიმატის ცვლილების გავლენის გათვალისწინებით	-	0.4	19.2	37.4	35.2	7.8
ბუნებრივი აირის გამოყენების შემცირება	1.2	10.9	26.0	28.6	21.6	11.8
შენობების ენერგოეფექტურობის გაზრდა (მაგ. ნაკლები ენერჯის ხარჯვით...)	-	2.2	27.4	32.3	28.8	9.3
ტრანსპორტით გადაადგილების შესამცირებლად, სახლიდან მუშაობის შესაძლებლობების გაზრდა	2.5	4.9	22.3	22.0	31.5	16.8

კლიმატის ცვლილების შემცირების მიზნით ქვეყნის სასურველი პოლიტიკის განხილვის შემდეგ, რესპონდენტებს წარედგინათ რეგულაციები. თითოეულ შემთხვევაში უნდა შეფასებინათ ემხრობიან თუ ეწინააღმდეგებიან მსგავსი რეგულაციის შემუშავებას. გამოიკვეთა, რომ ორივე რაუნდის კვლევაში რესპონდენტთა უმრავლესობა (ზოგიერთ შემთხვევაში გამოკვეთილი და დიდი უმრავლესობა) წარმოდგენილი რეგულაციების შემოღებას ემხრობა (პასუხის კატეგორია „დიახ“):

- ▶ გადასახადის დაწესება ბიზნესებისთვის სათბურის აირების გამონაბოლქვზე, ამ გადასახადებმა შესაძლოა მომხმარებლისთვის ხარჯების ზრდა გამოიწვიოს: 2023 წელი - 68.4%, 2022 წელი - 66.9%
- ▶ საწვავის ხარისხის მონიტორინგის გამკაცრება: 2023 წელი - 93.3%, 2022 წელი - 92.3%
- ▶ ენერგოეფექტურობის უფრო მკაცრი სტანდარტების დაწესება ბიზნესსა და მრეწველობაზე: 2023 წელი - 82.8%, 2022 წელი - 84.5%
- ▶ შენობების თბოტექნიკური მახასიათებლების უფრო მკაცრი სტანდარტების დაწესება: 2023 წელი - 82.1%, 2022 წელი - 84%
- ▶ ელექტრომობილების შეძენის შემთხვევაში, მათი სუბსიდირება: 2023 წელი - 81%, 2022 წელი - 81.3%
- ▶ 2050 წლისთვის ბენზინზე მომუშავე ახალი ავტომობილებისა და სატვირთო მანქანების აკრძალვა: 2023 წელი - 57.7%, 2022 წელი - 50.5%
- ▶ სოფლის მეურნეობაში სასუქების გამოყენების სტანდარტების დაწესება და მისი მკაცრი მონიტორინგი: 2023 წელი - 82.2%, 2022 წელი - 82.6%
- ▶ ნარჩენების გადასახადის გაზრდა და განცალკევების ხელშეწყობა: 2023 წელი - 76.2%, 2022 წელი - 61.4%
- ▶ ტყის მდგრადი მართვა და განაშენიანება: 2023 წელი - 94.6%, 2022 წელი - 97.4%

ერთადერთი იმ დებულების შემთხვევაში, რომელიც რეგულაციის სახით გულისხმობდა მოხმარებულ ენერგიაზე რეალური (მაღალი) ტარიფების დაწესებას, კვლევის რაუნდებს შორის განსხვავებული შედეგები დაფიქსირდა - 2023 წელს გამოკითხულთა 52.2% ემხრობა მსგავსი რეგულაციის შემოღებას, ხოლო 2022 წელს გამოკითხულთა 52.1% არ ეთანხმება (იხ. ცხრილი #81).



**ცხრილი #81**

ემბრობით თუ ეწინააღმდეგებით კლიმატის ცვლილების შემცირების მიზნით ჩამოთვლილი რეგულაციების შემუშავებას და შემოღებას? (%)		დიახ	არა	არ ვიცი/ უარი პასუხზე
გადასახადის დაწესება ბიზნესებისთვის სათბურის აირების გამონაბოლქვზე, ამ გადასახადებმა შესაძლოა მომხმარებლისთვის ხარჯების ზრდა გამოიწვიოს	2023 წელი (N=1259)	68.4	19.5	12.1
	2022 წელი (N=1500)	66.9	23.5	9.6
საწვავის ხარისხის მონიტორინგის გამკაცრება	2023 წელი (N=1259)	93.3	4.1	2.6
	2022 წელი (N=1500)	92.3	5.5	2.2
ენერგოეფექტურობის უფრო მკაცრი სტანდარტების დაწესება ბიზნესსა და მრეწველობაზე	2023 წელი (N=1259)	82.8	8.1	9.1
	2022 წელი (N=1500)	84.5	8.8	6.7
შენობების თბოტექნიკური მახასიათებლების უფრო მკაცრი სტანდარტების დაწესება	2023 წელი (N=1259)	82.1	6.9	11
	2022 წელი (N=1500)	84	8.9	7.1
ელექტრომობილების შეძენის შემთხვევაში, მათი სუბსიდირება	2023 წელი (N=1259)	81	5.8	13.3
	2022 წელი (N=1500)	81.3	9.7	9
2050 წლისთვის ბენზინზე მომუშავე ახალი ავტომობილებისა და სატვირთო მანქანების აკრძალვა	2023 წელი (N=1259)	57.7	20.4	21.9
	2022 წელი (N=1500)	50.5	32.2	17.3
მოხმარებულ ენერგიაზე რეალური (მალალი) ტარიფების დაწესება	2023 წელი (N=1259)	52.2	37.7	10.2
	2022 წელი (N=1500)	43.1	52.1	4.8
სოფლის მეურნეობაში სასუქების გამოყენების სტანდარტების დაწესება და მისი მკაცრი მონიტორინგი	2023 წელი (N=1259)	82.2	10.3	7.4
	2022 წელი (N=1500)	82.6	12.7	4.6
ნარჩენების გადასახადის გაზრდა და განცალკევების ხელშეწყობა	2023 წელი (N=1259)	76.2	16.9	6.9
	2022 წელი (N=1500)	61.4	31.4	7.1
ტყის მდგრადი მართვა და განაშენიანება	2023 წელი (N=1259)	94.6	3.5	1.9
	2022 წელი (N=1500)	97.4	1.9	0.7

დასახლების ტიპის ჭრილში საკითხის გაანალიზება, 2022 წლის გამოკითხვისგან განსხვავებით, მკვეთრ შინაარსობრივ განსხვავებებს არ იძლევა. სამიზნე ჯგუფებს შორის განსხვავებები საშუალოდ 2%-ს უტოლდება. როგორც ქალაქში, ისე სოფლებში გამოკითხულთა ძირითადი ნაწილი წარმოდგენილი მიზნით რეგულაციების შემოღებას ეთანხმება:

**ენერგოეფექტურობის უფრო მკაცრი სტანდარტების დაწესება ბიზნესსა და მრეწველობაზე:**

- ▶ ქალაქი (თბილისის ჩათვლით): 2023 წელი - 81.4%, 2022 წელი - 86.6%
- ▶ სოფელი: 2023 წელი - 85.6%, 2022 წელი - 81.6%

**შენობების თბოტექნიკური მახასიათებლების უფრო მკაცრი სტანდარტების დაწესება:**

- ▶ ქალაქი (თბილისის ჩათვლით): 2023 წელი - 82.3%, 2022 წელი - 88%
- ▶ სოფელი: 2023 წელი - 81.8%, 2022 წელი - 78.4%

**ელექტრომობილების შეძენის შემთხვევაში, მათი სუბსიდირება**

- ▶ ქალაქი (თბილისის ჩათვლით): 2023 წელი - 80.5%, 2022 წელი - 83.2%
- ▶ სოფელი: 2023 წელი - 81.9%, 2022 წელი - 78.6% (იხ. ცხრილი #82)

**ცხრილი #82**

ემბრობით თუ ეწინააღმდეგებით კლიმატის ცვლილების შემცირების მიზნით ჩამოთვლილი რეგულაციების შემუშავებას და შემოღებას? (დასახლების ტიპის ჭრილში) (%)		დიახ	არა	არ ვიცი/ უარი პასუხზე
<b>ენერგოეფექტურობის უფრო მკაცრი სტანდარტების დაწესება ბიზნესსა და მრეწველობაზე (<math>X^2=7637</math>, <math>p&lt;0.05</math>)</b>				
ქალაქი (თბილისის ჩათვლით)	2023 წელი (N=1259)	81.4	10.6	8.1
	2022 წელი (N=1500)	86.6	6.8	6.6
სოფელი	2023 წელი (N=1259)	85.6	3.5	10.9
	2022 წელი (N=1500)	81.6	11.6	6.8
<b>შენობების თბოტექნიკური მახასიათებლების უფრო მკაცრი სტანდარტების დაწესება (<math>X^2=8939</math>, <math>p&lt;0.05</math>)</b>				
ქალაქი (თბილისის ჩათვლით)	2023 წელი (N=1259)	82.3	8.4	9.4
	2022 წელი (N=1500)	88	5.6	6.4
სოფელი	2023 წელი (N=1259)	81.8	4	14.3
	2022 წელი (N=1500)	78.4	13.6	8
<b>ელექტრომობილების შეძენის შემთხვევაში, მათი სუბსიდირება (<math>X^2=18510</math>, <math>p&lt;0.05</math>)</b>				
ქალაქი (თბილისის ჩათვლით)	2023 წელი (N=1259)	80.5	7.7	11.8
	2022 წელი (N=1500)	83.2	8.9	7.9
სოფელი	2023 წელი (N=1259)	81.9	2.1	16
	2022 წელი (N=1500)	78.6	10.9	10.4

წინა რაუნდთან შედარებით, მცირედად შემცირებულია საქალაქო ტიპში მაცხოვრებელ მომხრეთა წილი და გაზრდილია იმ რესპონდენტთა წილი, ვისაც კონკრეტული პოზიციის დაფიქსირება უჭირს ან თავს იკავებს.

განათლების მიღწეული დონის შემთხვევაში სტატისტიკურად სანდო განსხვავებები კი გამოიკვეთა, თუმცა ზოგიერთი მათგანი შინაარსობრივ სხვაობებზე ნაკლებად მიუთითებს. ამდენად, განხილული იქნება მხოლოდ ის რეგულაციები, რომლებიც ჯგუფებს შორის სხვაობებს წარმოაჩენს. იკვეთება, რომ უმაღლესი განათლების მქონე რესპონდენტების უფრო დიდი ნაწილი ეთანხმება თითოეული რეგულაციის შემოღებას. ამ ჯგუფის წარმომადგენელთა 87.4% მიიჩნევს (2022 წელი - 86.5%), რომ საჭიროა შენობების თბოტექნიკური მახასიათებლების უფრო მკაცრი სტანდარტების დაწესება, რასაც არაუმაღლესი განათლების მქონეთა 78.7% (2022 წელი - 82.4%) ეთანხმება. დაახლოებით იდენტური მდგომარეობაა ელექტრომობილების შექმნის შემთხვევაში მისი სუბსიდირების რეგულაციის შემოღებასთან მიმართებით:

- ▶ **უმაღლესი განათლება:** 2023 წელი - 84.5%, 2022 წელი - 86.3%
- ▶ **სხვა:** 2023 წელი - 78.8%, 2022 წელი - 78%

წინა რაუნდის მსგავსად, 2023 წელსაც, როგორც უმაღლესი, ისე განათლების სხვა საფეხურის წარმომადგენელთა შედარებით დიდ ნაწილს გაუჭირდა შეეფასებინა, რამდენად საჭიროა 2050 წლისთვის ბენზინზე მომუშავე ახალი ავტომობილებისა და სატვირთო მანქანების ასაკრძალად რეგულაციის შემოღება (პასუხის კატეგორია „არ ვიცი/უარი პასუხზე“):

- ▶ **უმაღლესი განათლება:** 2023 წელი - 16.7%, 2022 წელი - 17.1%
- ▶ **სხვა:** 2023 წელი - 25.2%, 2022 წელი - 17.3%

ზოგადი მდგომარეობის გამოსაკვეთად, ხაზგასასმელია, რომ არაუმაღლესი განათლების ჯგუფის წარმომადგენლებში გაცილებით მაღალია იმ რესპონდენტთა წილი, ვისაც უჭირს საკითხის შეფასება ან პასუხისგან თავს იკავებს (2023 წელი - საშუალოდ 12%, უმაღლესი განათლება - საშუალოდ 6%).

მხარდაჭერის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი, გამოკითხვის ორივე რაუნდში, როგორც უმაღლესი, ისე განათლების სხვა საფეხურის წარმომადგენელთა შორის ტყის მდგრადი მართვისა და განაშენიანების მიმართულებით მარეგულირებელი აქტის შემოტანას უკავშირდება. 2023 წელს გამოკითხულ უმაღლესი განათლების მქონეთა 93.9% მსგავსი რეგულაციის მომხრეა (2022 წელი - 98.6%); ამავე პოზიციას იზიარებს არაუმაღლესი განათლების მქონეთა 95.1%-იც (2022 წელი - 96.6%). თითოეულ სამიზნე ჯგუფში 90%-ს აღემატება საწვავის ხარისხის მონიტორინგის გამკაცრების მომხრეთა წილი:

- ▶ **უმაღლესი განათლება:** 2023 წელი - 94.6%, 2022 წელი - 95.5%
- ▶ **სხვა:** 2023 წელი - 92.5%, 2022 წელი - 90.2%

ერთადერთი შეხედულება, რომლის მიმართაც გამოკითხვის რაუნდებს შორის საპირისპირო მოსაზრებები ვლინდება არის მოხმარებულ ენერგიაზე რეალური (მარალი) ტარიფების დაწესება. 2023 წელს გამოკითხულ უმაღლესი განათლების მქონე პირთა 54.8% ეთანხმება მსგავსი რეგულაციის შემოღებას, ხოლო 2022 წლის შემთხვევაში მომხრეთა წილი 45.5%-ს უტოლდებოდა; დომინანტურ პოზიციას კი მოწინააღმდეგეები იკავებენ (50.2%). იდენტური

მდგომარეობაა არაუმალესი განათლების შემთხვევაშიც - 2023 წელს გამოკითხულთა ნახევარი (50.5%) იზიარებს მოხმარებულ ენერჯიაზე რეალური ტარიფის დაწესებას, ხოლო 2022 წელს გამოკითხულთა ნახევარზე მეტი (53.3%) მსგავსი მიდგომის წინააღმდეგია.

თითოეულ რეგულაციასთან მიმართებით სამიზნე ჯგუფების მაჩვენებლები წლების მიხედვით იხილეთ ცხრილში #83.

### ცხრილი #83

ემხრობით თუ ეწინააღმდეგებით კლიმატის ცვლილების შემცირების მიზნით ჩამოთვლილი რეგულაციების შემუშავებას და შემოღებას? (განათლების მიღწეული დონის ჭრილში) (%)		დიახ	არა	არ ვიცი/ უარი პასუხზე
<b>გადასახადის დაწესება ბიზნესებისთვის სათბურის აირების გამონაბოლქვზე, ამ გადასახადებმა შესაძლოა მომხმარებლისთვის ხარჯების ზრდა გამოიწვიოს (<math>X^2=4432</math>, <math>p&lt;0.05</math>)</b>				
უმაღლესი განათლება	2023 წელი (N=1259)	69.9	20.4	9.7
	2022 წელი (N=1500)	71.2	20.5	8.2
სხვა	2023 წელი (N=1259)	67.4	18.9	13.7
	2022 წელი (N=1500)	64	25.4	10.6
<b>საწვავის ხარისხის მონიტორინგის გამკაცრება (<math>X^2=6253</math>, <math>p&lt;0.05</math>)</b>				
უმაღლესი განათლება	2023 წელი (N=1259)	94.6	4.2	1.2
	2022 წელი (N=1500)	95.5	3.3	1.2
სხვა	2023 წელი (N=1259)	92.5	4	3.5
	2022 წელი (N=1500)	90.2	6.9	2.9
<b>ენერგოეფექტურობის უფრო მკაცრი სტანდარტების დაწესება ბიზნესსა და მრეწველობაზე (<math>X^2=27980</math>, <math>p&lt;0.05</math>)</b>				
უმაღლესი განათლება	2023 წელი (N=1259)	84	11.4	4.6
	2022 წელი (N=1500)	99.1	5.9	6
სხვა	2023 წელი (N=1259)	82.1	6	11.9
	2022 წელი (N=1500)	82.2	10.7	7.1

ემხრობით თუ ეწინააღმდეგებით კლიმატის ცვლილების შემცირების მიზნით ჩამოთვლილი რეგულაციების შემუშავებას და შემოღებას? (განათლების მიღწეული დონის ჭრილში) (%)		დიახ	არა	არ ვიცი/ უარი პასუხზე
<b>შენობების თბოტექნიკური მახასიათებლების უფრო მკაცრი სტანდარტების დანერგვა (X<sup>2</sup>=23865, p&lt;0.05)</b>				
უმაღლესი განათლება	2023 წელი (N=1259)	87.4	7	5.6
	2022 წელი (N=1500)	86.5	7.3	6.2
სხვა	2023 წელი (N=1259)	78.7	6.8	14.5
	2022 წელი (N=1500)	82.4	9.9	7.7
<b>ელექტრომობილების შეძენის შემთხვევაში, მათი სუბსიდირება (X<sup>2</sup>=12259, p&lt;0.05)</b>				
უმაღლესი განათლება	2023 წელი (N=1259)	84.5	6.5	9
	2022 წელი (N=1500)	86.3	6.5	7.1
სხვა	2023 წელი (N=1259)	78.8	5.3	16
	2022 წელი (N=1500)	78	11.8	10.1
<b>2050 წლისთვის ბენზინზე მომუშავე ახალი ავტომობილებისა და სატვირთო მანქანების აკრძალვა (X<sup>2</sup>=13270, p&lt;0.05)</b>				
უმაღლესი განათლება	2023 წელი (N=1259)	60.6	22.8	16.7
	2022 წელი (N=1500)	57.9	24.9	17.1
სხვა	2023 წელი (N=1259)	55.9	18.9	25.2
	2022 წელი (N=1500)	45.7	37	17.3
<b>მოხმარებულ ენერჯიაზე რეალური (მაღალი) ტარიფების დანერგვა (X<sup>2</sup>=12062, p&lt;0.05)</b>				
უმაღლესი განათლება	2023 წელი (N=1259)	54.8	38.7	6.4
	2022 წელი (N=1500)	45.5	50.2	4.3
სხვა	2023 წელი (N=1259)	50.5	37	12.6
	2022 წელი (N=1500)	41.5	53.3	5.2

ემბრობით თუ ენინაალმდეგებით კლიმატის ცვლილების შემცირების მიზნით ჩამოთვლილი რეგულაციების შემუშავებას და შემოღებას? (განათლების მიღწეული დონის ჭრილში) (%)		დიახ	არა	არ ვიცი/ უარი პასუხზე
<b>სოფლის მეურნეობაში სასუქების გამოყენების სტანდარტების დანესება და მისი მკაცრი მონიტორინგი (X<sup>2</sup>=11013, p&lt;0.05)</b>				
უმაღლესი განათლება	2023 წელი (N=1259)	84.2	11.4	4.4
	2022 წელი (N=1500)	88.2	7.6	4.2
სხვა	2023 წელი (N=1259)	81	9.6	9.4
	2022 წელი (N=1500)	79	16.1	5
<b>ნარჩენების გადასახადის გაზრდა და განცალკევების ხელშეწყობა (X<sup>2</sup>=9349, p&lt;0.05)</b>				
უმაღლესი განათლება	2023 წელი (N=1259)	79.4	16.4	4.2
	2022 წელი (N=1500)	65.3	27.5	7.2
სხვა	2023 წელი (N=1259)	74.2	17.2	8.6
	2022 წელი (N=1500)	58.9	34	7.1
<b>ტყის მდგრადი მართვა და განაშენიანება (X<sup>2</sup>=9935, p&lt;0.05)</b>				
უმაღლესი განათლება	2023 წელი (N=1259)	93.9	5.2	1
	2022 წელი (N=1500)	98.6	0.6	0.8
სხვა	2023 წელი (N=1259)	95.1	2.4	2.5
	2022 წელი (N=1500)	96.6	2.7	0.7

ზოგადი ტენდენციის მსგავსად, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა უმრავლესობა/ძირითადი ნაწილი კლიმატის ცვლილების შემცირების მიზნით თითოეული რეგულაციის შემოღებას ეთანხმება, რაც საშუალოდ 73%-ს აღწევს. იკვეთება, რომ თანხმობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი საწვავის ხარისხის მონიტორინგის გამკაცრებას (95.1%) და ტყის მდგრად მართვასა და განაშენიანებას (94.8%) აქვს, ხოლო ყველაზე დაბალი - 2050 წლისთვის ბენზინზე მომუშავე ახალი ავტომობილებისა და სატვირთო მანქანების აკრძალვას (48%). ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა საშუალოდ 13%-ს გაუჭირდა კონკრეტული მიზნით რეგულაციის შემოღების საჭიროების განსაზღვრა ან პასუხზე უარი განაცხადა. მსგავსი შეფასებები განსაკუთრებით დიდი წილითაა წარმოდგენილი შემდეგ შემთხვევებში (პასუხის კატეგორია „არ ვიცი/უარი პასუხზე“):

- ▶ ელექტრომობილების შეძენის შემთხვევაში, მათი სუბსიდირება - 25.7%
- ▶ 2050 წლისთვის ბენზინზე მომუშავე ახალი ავტომობილებისა და სატვირთო მანქანების აკრძალვა - 33.9%
- ▶ მოხმარებულ ენერგიაზე რეალური (მაღალი) ტარიფების დაწესება - 18.6% (იხ. ცხრილი #84)


#### ცხრილი #84

ემბრობით თუ ეწინააღმდეგებით კლიმატის ცვლილების შემცირების მიზნით ჩამოთვლილი რეგულაციების შემუშავებას და შემოღებას? (ეთნიკური უმცირესობები) (N=383) (%) (2023 წელი)	დიახ	არა	არ ვიცი/ უარი პასუხზე
გადასახადის დაწესება ბიზნესებისთვის სათბურის აირების გამონაბოლქვზე, ამ გადასახადებმა შესაძლოა მომხმარებლისთვის ხარჯების ზრდა გამოიწვიოს	69.6	19.5	10.9
სანვავის ხარისხის მონიტორინგის გამკაცრება	95.1	3.3	1.6
ენერგოეფექტურობის უფრო მკაცრი სტანდარტების დაწესება ბიზნესსა და მრეწველობაზე	72.7	15	12.3
შენობების თბოტექნიკური მახასიათებლების უფრო მკაცრი სტანდარტების დაწესება	74.1	11.5	14.4
ელექტრომობილების შეძენის შემთხვევაში, მათი სუბსიდირება	63.7	10.6	25.7
2050 წლისთვის ბენზინზე მომუშავე ახალი ავტომობილებისა და სატვირთო მანქანების აკრძალვა	48	18.2	33.9
მოხმარებულ ენერგიაზე რეალური (მაღალი) ტარიფების დაწესება	51.2	30.2	18.6
სოფლის მეურნეობაში სასუქების გამოყენების სტანდარტების დაწესება და მისი მკაცრი მონიტორინგი	83	12.1	5
ნარჩენების გადასახადის გაზრდა და განცალკევების ხელშეწყობა	77.7	16	6.2
ტყის მდგრადი მართვა და განაშენიანება	94.8	4.4	0.8



# 5.

## თვისებრივი კვლევის დეტალური ანგარიში







# კლიმატის ცვლილება საქართველოს კონტექსტში

კვლევის მონაწილეებმა ისაუბრეს, თუ როგორ ესმით ტერმინი „კლიმატის ცვლილება“ და რა ასოციაციები უჩნდებათ ამ საკითხთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ კლიმატის ცვლილება, როგორც პროცესი, კვლევის მონაწილეებისათვის გლობალურ დათბობას და მის თანმდევ შედეგებს უკავშირდება. კერძოდ, ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები კლიმატის ცვლილებისა და გლობალური დათბობის შედეგებად მოიაზრებენ ბუნებრივ კატაკლიზმებს, სტიქიურ მოვლენებსა და წლის განმავლობაში, სეზონებისათვის უჩვეულო ტემპერატურის გამოვლინებას.

კლიმატის ცვლილების მაგალითის სახით, კვლევის მონაწილეები, ხშირად უბრუნდებიან ახლო წარსულში, საქართველოს მასშტაბით განვითარებულ რამდენიმე სტიქიურ მოვლენას, რაც, მათი მოსაზრებით, თვალსაჩინოდ გამოხატავს მოსალოდნელ საშიშროებას. კონკრეტულად, მონაწილეები იხსენებენ, 3 აგვისტოს შოვის ტერიტორიაზე განვითარებული სტიქიის შემთხვევას. გარდა ამისა, მენყერული და წყალმოვარდნის შემთხვევებს ქობულეთსა და გურიაში და უხვი ნალექით გამოწვეულ დატბორვით პროცესებს რუსთავსა და თბილისში.

აღსანიშნავია, რომ თითოეული ეს მოვლენა დაახლოებით 2 თვის ჭრილში განვითარდა (აგვისტო-სექტემბერი) და მედიის მხრიდან აქტიურად იქნა გაშუქებული, რაც კვლევის მონაწილეებისათვის დასამახსოვრებელი და საყურადღებო აღმოჩნდა.

ფოკუს-ჯგუფების მონაწილეები ხაზს უსვამენ პრობლემის მასშტაბურობას და აღნიშნავენ, რომ ცვლილებები შესამჩნევია როგორც საქართველოში, ასევე მსოფლიოს სხვა ქვეყნებში. მონაწილეები გლობალურ დონეზე მიუთითებენ ტემპერატურის მატებით გამოწვეულ ისეთ გარემოებებზე, როგორებიცაა მყინვარების სწრაფი დნობა, ხანძრები და ადამიანური მსხვერპლი.



„ბუნებრივი კატაკლიზმები ყველგან ხდება მარტო შოვის ტრაგედია რად ღირს, ახლა კიდე გურიაში, თურქეთშიც იგივე სიტუაცია იყო, ზოგან ხანძარია, ზოგან წყალდიდობები, სხვადასხვა ტერიტორიაზე სხვადასხვა სახით არის გამოხატული ეს კლიმატური ცვლილებები.“ (62 წლის კაცი, სოფელში მცხოვრები, დასავლეთ საქართველო)



„დღეს ეს პრობლემა ძალიან არის, იჩინა თავი საქართველოშიც და მსოფლიოშიც, რასაც ვაკვირდები და მესმის თითქმის ყველა ქვეყანაში არის ეს პრობლემა, წყალდიდობა, ღვარცოფი, ხანძრები ყველაფერი აქედან გამომდინარეა.“ (29 წლის ქალი, ქალაქში მცხოვრები, დასავლეთ საქართველო)



„მე ვფიქრობ, კლიმატის ცვლილება ძალიან მძაფრად არის ასახული, გლობალურ დათბობასთან არის კავშირში... როგორც აღნიშნეს ყველაფერი შეცვლილია, ზაფხული ზაფხულს არ ჰგავს და ზამთარი ზამთარს, ძალიან სიცხეები და სიცივეებია...“ (44 წლის კაცი, თბილისში მცხოვრები)

კვლევის მონაწილეებმა ისაუბრეს, თუ როგორ აისახა გარემოსა და კლიმატის ცვლილება მათ ქალაქში/სოფელში და რეგიონში. აღსანიშნავია, რომ ცვლილებები, რომლებიც კვლევის მონაწილეებმა საქართველოსა და მსოფლიოს სხვა ქვეყნების მაგალითზე მოიყვანეს,

ასევე რელევანტურია უშუალოდ მათ საცხოვრებელ გარემოში.

აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში მცხოვრებმა მონაწილეებმა ისაუბრეს 2023 წელს დიდი ოდენობით მოსულ ნალექზე, რაც მათი შეფასებით, უჩვეულოა. კერძოდ, მონაწილეები განმარტავენ რომ აღმოსავლეთ საქართველოსთვის დამახასიათებელია ნახევრად უდაბნო ზონები, რომლებიც მშრალი ჰავით გამოირჩევა. 2023 წელს დიდი ოდენობით მოსული ნალექი ერთი მხრივ გახდა მენყრული და დატბორვითი პროცესების კატალიზატორი, ხოლო მეორე მხრივ, უარყოფითად იმოქმედა რეგიონისათვის დამახასიათებელი კულტურების მოსავლიანობაზე.

როგორც კვლევის მონაწილეებმა ისაუბრეს, ქვემო ქართლსა და კახეთის რეგიონებში მათი საცხოვრებელი არეალი რელიეფურად ესაზღვრება ღვარცობსაშიშ კერებს, რაც მათთვის მღელვარების საკითხს წარმოადგენს მყინვარებზე ტემპერატურის მატებისა და გახშირებული წვიმიანობის კონტექსტში. იმავე მიზეზით, კვლევის მონაწილეები სარისკოდ მიიჩნევენ რეგიონში არსებულ მცირე ზომის მდინარეებს, რომელთა კალაპოტიც დავიწროებული, ან საერთოდაც, გამქრალია. ხაზგასასმელია, რომ მდინარეების ადიდების შემთხვევა არაერთხელ გამოიკვეთა ასევე ეთნიკურად აზერბაიჯანელი მონაწილეების ჯგუფში.

კლიმატური პირობების თვალსაზრისით, კახეთის რეგიონისათვის მნიშვნელოვან პრობლემად გამოიკვეთა სეტყვა. კონკრეტულად, რამდენიმე მონაწილე ამბობს, რომ 2023 წელს მოსული სეტყვის ზომა წინა წლებთან შედარებით გაზრდილია, რამაც შედეგად მასიურად გაანადგურა ყურძნის მოსავალი.



*„არ მქონდა ნანახი ამხელა წყალდიდობა, შარშანაც იყო და ამ წელსაც, ძალიან ცუდი წყალდიდობა იყო რომლის შედეგადაც დაინგრა ჩვენი სოფლის ხიდი, მთლიანად შეიცვალა ბუნება, მდინარის კალაპოტიც შეიცვალა.“ – (29 წლის ქალი, ეთნიკურად აზერბაიჯანელი)*



*„ვენახი სამჯერ დაისეტყვა. 5-6 ტონის ნაცვლად, მივიღეთ 700 კილო. პლუს მაგას, ჩვენთან იყო ძალიან ღვარცოფი. მდინარე მოვარდა, მაგრამ გადავრჩით. ხევი ჰქვია და ადიდდა. მთელს ქალაქში, გურჯაანში, ორი უზარმაზარი მდინარე მოდიოდა. როცა ოდნავ, ზოლად არის ხოლმე წყალი, მშრალი ხევია. არასდროს არ მომხდარა ასეთი რამე, 46 წლის მანძილზე.“ (46 წლის ქალი, სოფელში მცხოვრები, აღმოსავლეთ საქართველო)*

დასახელებული პრობლემები ასევე აქტუალურია დასავლეთ საქართველოს რეგიონის ქალაქებისა და სოფლებისათვის. მაცხოვრებლები ამბობენ, რომ წლის განმავლობაში მათ რეგიონს მნიშვნელოვანი ზარალი მიადგა, როგორც ინფრასტრუქტურული, ასევე კერძო საკუთრებისა და ადამიანური მსხვერპლის თვალსაზრისით. დასავლეთ საქართველოს რეგიონების მაცხოვრებელთა მიერ სიტუაცია მეტად ინტენსიურად აღინერება. მაგალითისთვის, გურიის რეგიონში საუბრობენ წყალდიდობასა და ღვარცოფზე, რომელმაც რამდენიმე სოფელი დააზარალა, მათ შორის კერძო სახლები, დამაკავშირებელი ხიდი და გამოიწვია მსხვერპლი. გურიის მაცხოვრებელთა თანახმად, ამ ტერიტორიაზე მინაზე გაჩნდა დიდი ზომის ბზარები, რაც მომავალში შესაძლოა ახალი ღვარცოფული კერა გახდეს. გეოლოგების მიერ ამჟამად მიმდინარეობს ტერიტორიის კვლევა და იგეგმება დაახლოებით 300 ოჯახის გასახლება, რომლებსაც ეკომიგრანტის სტატუსი მიენიჭებათ.

დასავლეთ საქართველოს რეგიონის ერთ-ერთი მაცხოვრებელი ყურადღებას ამახვილებს ტემპერატურის სწრაფ ცვალებადობაზე და განმარტავს, თუ რა თვალსაჩინო პრობლემა მოაქვს ასეთ რეზონანსს. ზამთრის პერიოდში ორ კალენდარულ დღეს შორის შესაძლებელია

ტემპერატურული განსხვავება იმდენად დიდი იყოს, რომ ერთ დღეს მოსული დიდი თოვლის მასა სრულად დადნეს და გამოიწვიოს ქანებში წყლის დაგროვება, ან დაძვრა.

საინტერესოა, რომ რეგიონებისგან განსხვავებით, თბილისის მაცხოვრებლები გარემოს ცვალებადობას მეტწილად ხედავენ ისეთი პირობების გაუარესებაში, როგორებიცაა ჰაერის, წყლის და მიწის რესურსების დაბინძურება. მონაწილეები ამ პრობლემებს ქალაქის გადამეტებულ ურბანიზაციას, ავტოტრანსპორტის დიდ ოდენობას, უკონტროლო მშენებლობებს და ადამიანურ დაუდევრობას უკავშირებენ.



## კლიმატის ცვლილების გავლენა და მოწყვლადი ჯგუფები

კვლევის მონაწილეებმა ისაუბრეს გარემოსა და კლიმატის ცვლილების გავლენაზე სხვადასხვა სოციალური მახასიათებლების ჭრილში. მონაწილეებს მიაჩნიათ, რომ ეკონომიკური ზარალი პირველ რიგში აგროსფეროს და მიწათმოქმედებაზე დასაქმებულ პირებს ადგებათ, რამდენადაც მათი საქმიანობა კლიმატზე პირდაპირ არის დამოკიდებული. სამეურნეო საქმიანობაში კლიმატის ნებისმიერი უჩვეულო გამოვლინება შესაძლოა მოსავლის ნაყოფიერებისათვის გადამწყვეტი აღმოჩნდეს, მათ შორის, გადამეტებული სიცხე, უხვი ნალექი, ტემპერატურის სწრაფი ცვალებადობა, ზამთარსა და ზაფხულს შორის შუალედური ტემპერატურის არარსებობა, სეტყვა და სხვა. სასოფლო სამეურნეო საქმიანობით დაკავებული პირების შემთხვევაში, ასევე სავალალო შეიძლება გახდეს სტიქიური მოვლენები, როგორებიცაა ღვარცოფი, წყალდიდობა და სხვა, რომლებიც სამეურნეო მიწას ფიზიკურად დააზიანებს/ნაიღებს. სასოფლო მეურნეობით დაკავებული პირების განსაკუთრებული მოწყვლადობა კლიმატის ცვლილების მიმართ განპირობებულია იმით, რომ ამ ადამიანების ეკონომიკური მდგრადობა პირდაპირ ებმის წლიურ მოსავლიანობას.

ეკონომიკური თვალსაზრისით, სოფლის მეურნეობის შემთხვევაში, მონაწილეები ასევე ამახვილებენ ყურადღებას სხვა წლებთან შედარებით დიდი რაოდენობით ქიმიური ნივთიერებების (პესტიციდების) შექმნის საჭიროებასთან დაკავშირებით. ერთ-ერთი მონაწილე განმარტავს, რომ არახელსაყრელი ამინდის შემდგომ, როგორიცაა უხვი ნალექი, სოფლის მეურნეები ყიდულობენ და იყენებენ პესტიციდებს, იმისათვის, რომ მოსავალს არ გაუჩნდეს დაავადება და შეძლოს ნაყოფის გამოღება. გამომდინარე იქიდან, რომ 2023 წლის პირველ ნახევარში მთელი ქვეყნის მასშტაბით, რამდენიმე თვის მანძილზე, დიდი ოდენობით ნალექი მოვიდა, სოფლის მეურნეებს ხშირად მოუწიათ მოსავლის შენამღვა და მიადგათ ეკონომიკური ზარალი.

ერთ-ერთმა სოფლის მაცხოვრებელმა ასევე ისაუბრა საკუთარ საფუტკრე მეურნეობაზე და აღნიშნა, რომ ცივი და ნესტიანი კლიმატური პირობების გამო ვერ მიიღო თაფლი, რამდენადაც ასეთ ამინდებში ფუტკრები სკიდან არ გადიან და საკვებს ვერ იძიებენ.

კვლევის მონაწილეები ასევე აკავშირებენ ცუდ მოსავლიანობასა და ქვეყნის მასშტაბით პროდუქტებზე ფასების ზრდას და ამბობენ, რომ აღნიშნულს ყველა მაცხოვრებლისათვის მოაქვს ეკონომიკური ზიანი.



*„ეკონომიკური თვალსაზრისით ვინც სასოფლო სამეურნეო საქმიანობით არის დაკავებული მათ შეეხოთ უფრო მეტად, ეს კლიმატის ცვლილებები ძალიან ბევრ პრობლემას უქმნის ამ ადამიანებს, მოსავალი მოჰყავთ და მათთვის ეს ეკონომიკურ შემოსავალს წარმოადგენს“ (53 წლის კაცი, ქალაქში მცხოვრები, დასავლეთ საქართველო)*



**„პირადად ჩემი ოჯახიდან გამომდინარე, როგორ აისახა და შარშან თუ დავკრიფეთ 5 ტონა ყურძენი, წელს დავკრიფეთ 700 კგ. სამჯერ დაისეტყვა. ეს ხომ გლობალურ მდგომარეობასთან არის დაკავშირებული. უმსხვილესი სეტყვა მოდის. ჩვეულებრივი სეტყვა რომ იყო ასეთი არა. ამხელა სეტყვა არ გვინახავს.“ (46 წლის ქალი, სოფელში მცხოვრები, აღმოსავლეთ საქართველო)**

ერთ-ერთი მონაწილეს თანახმად, კლიმატის ცვლილების ფონზე ადამიანები ვალდებული ხდებიან შეიძინონ ისეთი ტექნიკა, რაც მათ დაეხმარება საცხოვრებელ პირობებში ტემპერატურის დარეგულირებაში (კონდიციონერი, მაცივარი, ა.შ). ადამიანი ვალდებული ხდება განიოს ასეთი ხარჯი, რაც მათ ეკონომიკურ მდგომარეობაზე აისახება.

ფოკუს-ჯგუფების მონაწილეები ხაზს უსვამენ კლიმატური ცვლილებების ფონზე მოსახლეობის ფსიქო-ემოციური მდგომარეობის დამძიმებას, მონაწილეთა განმარტებით, ინდივიდუალურ დონეზე გაზრდილია სტრესისა და მღელვარების მაჩვენებელი, რაც პირველ რიგში დაკავშირებულია ახლო წარსულში საქართველოს მასშტაბით მომხდარ სტიქიურ მოვლენებთან. სხვადასხვა რეგიონის წარმომადგენლებმა დაინყეს საკუთარ საცხოვრებელ გარემოში ახლომდებარე მცირე მდინარეებსა და ქედებზე დაკვირვება და შიშობენ, რომ უხვი ნალექის შემთხვევაში შესაძლოა მიადგეთ ფიზიკური ან ეკონომიკური ზიანი.

მეორე მხრივ, მონაწილეთა თანახმად, სტრესის საბაბს წარმოადგენს ინტენსიურად ცხელი დღეები, რომლებიც ყველა ასაკობრივ ჯგუფზე უარყოფითად მოქმედებს და აქვეითებს მათ ემოციურ მდგრადობასა და ყოველდღიური საქმიანობების წარმოების უნარს.

აღსანიშნავია, რომ ხშირ შემთხვევაში მონაწილეთა მიერ ხდება მოწყვლადი ჯგუფებისა და კლიმატის ცვლილების ფონზე ჯანმრთელობის საკითხების გაიგივება. შეიძლება ითქვას, რომ უმეტესწილად, მოწყვლად ჯგუფებად მიიჩნევიან ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირები. თვალსაჩინოა მონაწილეთა მიერ ორი ძირითადი ასაკობრივი ჯგუფის გამოვლენა, კერძოდ, მცირეწლოვანი ბავშვებისა და ასაკოვანი ადამიანების ჭრილში.

ერთი მხრივ, დიდი ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლები, რომლებსაც ასაკთან ერთად შეექმნათ ჯანმრთელობის გარკვეული პრობლემები, მეტად ინტენსიურად რეაგირებენ კლიმატის ცვლილებაზე. მაღალი ტემპერატურა უარყოფითად მოქმედებს გულის, სისხლძარღვების, სასუნთქი სისტემის პრობლემის მქონე ადამიანებზე.

მეორე მხრივ, კვლევის მონაწილეებს მიაჩნიათ, რომ მცირეწლოვანი ბავშვების ორგანიზმი შედარებით მარტივად ითვისებს ჰაერსა და საკვებში არსებულ მავნე ნივთიერებებს, რაც ხელს უწყობს ბავშვებში ქრონიკული დაავადებების წარმოქმნას, ან მათი გენეტიკური მაჩვენებლების შესუსტებას. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე მონაწილე ასევე საუბრობს პრენატალურ და პოსტნატალურ პერიოდებზე და მიიჩნევს, რომ გარემოსა და კლიმატის ცვლილების პირობებში გახშირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების დაბადება ან შესაბამისი ინდიკატორების მომდევნო წლებში გამოვლენა.

საინტერესოა, ერთ-ერთი მონაწილეს მოსაზრება, რომელიც მიუთითებს, რომ დღესდღეობით დაავადებები არის გაახალგაზრდავებული და ის პრობლემები, რომლებიც ძველად უფროსი ასაკის ადამიანებს ემართებოდა, ამჟამად უკვე თავს იჩენს ახალგაზრდებშიც.



**„ასაკობრივი ადამიანები, გულის დაავადება ვისაც ააქვთ ძლიერ სიცხეს ვერ იტანენ და ამინდის მკვეთრ შეცვლას, რაც ახლა ძალიან გახშირებულია ერთ დღეს შეიძლება იყოს 35 გრადუსი და მეორე დღეს მკვეთრად დაეცეს ეს ტემპერატურა“ (38 წლის ქალი, ეთნიკურად სომეხი)**



**„მე ვფიქრობ, რომ პატარა თაობაზე და ჯანმრთელობაზე აისახება... უამრავ ბავშვს აქვს დიაბეტი, სიმსივნე. წარმოუდგენელი რომ იყო ისეთი დაავადებები ჩნდება მცირე ასაკში“ (50 წლის კაცი, თბილისში მცხოვრები)**

გარდა ჯანმრთელობის პირობებისა, ბავშვების მოწყვლადობა დაკავშირებულია მათ უუნარობასთან დაიცვან საკუთარი თავი კლიმატით გამოწვეული სტიქიური მოვლენების დროს. მონაწილეთა თანხმად, მაგალითად წყალდიდობისა და ღვარცოფის პირობებში, ბავშვებს არ გააჩნიათ იმდენი ძალა, რომ სტიქიურ მოვლენას შეენინააღმდეგონ ან თავი დაიძვრინონ. ამასთანავე, ბავშვებს არ აქვთ შესაბამისი ცოდნა და უნარი სწორი რეაგირება მოახდინონ მოახლოვებულ საშიშროებაზე, იმ შემთხვევაში, თუ მოცემულ მომენტში უფროსთან ერთად არ იმყოფებიან, რომელიც მათ მიუთითებს, როგორ მოიქცნენ.

შშმ თემის წარმომადგენლები შეუფერხებელი მოქმედებისა და გადაადგილების პრობლემას უსვამენ ხაზს და ამბობენ, რომ სწრაფი რეაგირების საჭიროების შემთხვევაში, მათთვის შესაძლოა რთული იყოს სათანადო და რეკომენდირებული აქტივობების განხორციელება.

**„შეიძლება ისეთ ვითარებაში მოვყვე, რომ გადაადგილება გამიჭირდეს. უცაბედად ხდება ეს ყველაფერი და შეიძლება ამ მხედველობის გამო გავიჭედო ადგილზე და ვეღარ გადავადგილდე ვერანაირად.“ - შშმ თემის წარმომადგენელი, 57 წლის, კაცი**

ყურადსაღებია მოწყვლადობის საკითხი ქვიარ თემში. როგორც კვლევის მონაწილეები განმარტავენ, ქვიარ თემისთვის პრობლემას წარმოადგენს სოციალური და ეკონომიკური ექსკლუზია, რომლის ფონზეც თავს იჩენს უსახლკარობა, საკვებისა და ჰიგიენურ საშუალებებზე მწირი ხელმისაწვდომობა და შედეგად მიღებული სუსტი იმუნიტეტი. მონაწილეები მიიჩნევენ, რომ ქვიარ თემის წარმომადგენლები, უკვე არსებული პირობებიდან გამომდინარე მოწყვლადები არიან და უჭირთ ახალ გამოწვევებთან ადაპტაცია. აღნიშნულის მაგალითად კვლევის მონაწილეებს მოჰყავთ COVID-19 პანდემიის პერიოდი.



**„კლიმატური ცვლილებები და ადაპტაციის გარკვეული პროცესები მოითხოვს გარკვეულ რესურსებს, რაზე წვდომაც ხშირ შემთხვევაში ამ მოწყვლად ჯგუფებს არ აქვთ.“ (23 წლის, ქვიარ თემის წარმომადგენელი)**



**„როგორც წესი, კრიზისები უფრო მოწყვლად ჯგუფებს ეხება, კოვიდის კრიზისიც ესე იყო და სხვა კრიზისებიც. შესაბამისად ვვარაუდობ, რომ ეს არსებული მდგომარეობა, ამ მოწყვლად ჯგუფებს კიდევ უფრო მძაფრად შეეხება“ (34 წლის, ქვიარ თემის წარმომადგენელი)**

ერთ-ერთი მონაწილე კრიზისებისადმი მოწყვლადად ქალთა ჯგუფს მიიჩნევს და განმარტავს, რომ ოჯახის ფარგლებში ქალებს აწევთ ე.წ. „ზრუნვის შრომის“ განევა. აღნიშნული გულისხმობს, საოჯახო საქმეების განხორციელებას და ოჯახის წევრების შესაბამისი საცხოვრებელი პირობების შენარჩუნებას. მონაწილე მიიჩნევს, რომ კლიმატის ცვლილების პირობებში ახალი გამოწვევების საპირწონედ, ქალებს მოუწევთ მეტი შრომის განევა. მაგალითად, უწყლობის შემთხვევაში წყლის რესურსების მოზიდვა და მწირი რესურსებით „ზრუნვის შრომის“ სტანდარტების შენარჩუნება.



## კლიმატის ცვლილების გამოწვევი მიზეზები

დამატებით, კვლევის მონაწილეებმა ისაუბრეს ეკოლოგიურ ცვლილებებზე საქართველოს მასშტაბით და განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს ტყეების ჩეხვის, ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის, დამაბინძურებელი საწარმოების მოქმედების და ჰაერის დაბინძურების გარემოებებს. აღსანიშნავია, რომ როდესაც საუბარი ეკოლოგიურ ცვლილებებს ეხება, კვლევის მონაწილეები უმეტესწილად საუბრობენ უშუალოდ ადამიანის ჩარევით, ან პირიქით, ჩაურევლობით, გამოწვეულ ეკოლოგიურ მდგომარეობაზე რაც საბოლოოდ, კლიმატის ცვლილების მიზეზი ხდება.

თითქმის ყველა მონაწილე გამოეხმაურა საქართველოს მასშტაბით დაურეგულირებელი ტყის ჩეხვის ფაქტებს და ასეთი პროცესები ჰაერის დაბინძურებას და ბიომრავალფეროვნების გადაშენებას დაუკავშირა. მწვანე სივრცეების ნაკლებობაზე წუხილს გამოთქვამენ თბილისში მაცხოვრებლები და ამბობენ, რომ მასიურად ხდება ქალაქის მასშტაბით ღია სივრცეების ათვისება და მშენებლობების წარმოება, რაც არა მხოლოდ ზღუდავს მწვანე სივრცეების ხარჯზე სუფთა ჰაერის გამოყოფას, ამასთანავე წარმოქმნის სამშენებლო კერას, რომელიც გარემოს მყარი ნაწილაკებით აბინძურებს.

ჰაერის დაბინძურების პრობლემურობის თვალსაზრისით, სხვადასხვა რეგიონის მაგალითზე, აქტიურად სახელდება ფაბრიკებისა და ქარხნების ფუნქციონირება, რომლებიც ჰაერში დიდი ოდენობით მყარ ნაწილაკებს აფრქვევენ. კვლევის მონაწილეები მიიჩნევენ, რომ ამ დაწესებულებებს მნიშვნელოვანი ზიანი მოაქვთ გარემოსთვის და რეგიონში მაცხოვრებელთა ჯანმრთელობისათვის. ამავედროულად, მონაწილეები აკრიტიკებენ აქტიურ ფაბრიკებსა და ქარხნებს, რამდენადაც ხედავენ, რომ ეს დაწესებულებები არ ექვემდებარებიან რეგულაციებს და არ ატარებენ შესაბამის ინტერვენციებს ზიანის შემცირების მიზნით, როგორცაა, ფილტრის დაყენება და სხვა.

მეორე მხრივ, ჰაერის დაბინძურების თვალსაზრისით, კვლევის მონაწილეები ასევე კრიტიკის საგნად მიიჩნევენ გადატვირთულ საავტომობილო მოძრაობას. რამდენიმე მონაწილე ამბობს, რომ საქართველოში შემოსული ავტომობილების დიდი უმრავლესობა არის მეორადი და გაუმართავი. ეს ავტომობილები წლების განმავლობაში უკვე იქნა გამოყენებული საზღვარგარეთ და ამჟამად აღარ აკმაყოფილებს სასურველ სტანდარტებს.

„მე ვცხოვრობ გარდაბნის რაიონში და ყველაზე მეტად, ჩემგან ჩანს ფაბრიკა-ქარხნები, მძიმე მეტალურგიულ ქარხნების გამონაბოლქვი რას უშვრება ჩვენს სამშობლოს ვერ წარმოიდგენთ როგორი გამონაბოლქვია. ალბათ ფილტრები არ უყენიათ“ (44 წლის ქალი, სოფელში მცხოვრები, აღმოსავლეთ საქართველო)

„ევროპა ჩვენთან შედარებით ძალიან წინ არის იმიტომ, რომ იქ გადადის მთელი ტრანსპორტი ელექტრომობილობაზე. ჩვენთან კიდევ, პირიქით, მათ ჟანგიან მანქანებს ვეზიდებით, და გამონაბოლქვი ჩვენ უნდა გავუშვათ ჰაერში“ (64 წლის კაცი, სოფელში მცხოვრები, აღმოსავლეთ საქართველო)

ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობისა და ფუნქციონირების თვალსაზრისით, კვლევის მონაწილეთა დამოკიდებულება სკეპტიკურია. ერთი მხრივ, მონაწილეები ეთანხმებიან, რომ ელექტროენერჯის გამომუშავებისა და ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით, ასეთი სადგურების მშენებლობა კარგია. მეორე მხრივ, მონაწილეები აკრიტიკებენ ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის პრაქტიკულ მხარეს, რამდენადაც მიიჩნევენ, რომ საქარ-

თველოში არ ტარდება შესაბამისის გეოლოგიური და სეისმოლოგიური კვლევები, რაც აუცილებელია უსაფრთხოების თვალსაზრისით მშენებლობამდე ჩატარდეს. მონაწილეთა თანახმად, დაუდევრობის შემთხვევაში, სადგური შესაძლოა განთავსდეს ისეთ მდინარეზე, რომელსაც რეალურად არ გააჩნია საკმარისი სიძლიერე და წყლის რესურსი იმისათვის, რომ სადგურის მიერ წარმოქმნილ დაბრკოლებებს შეენიანააღმდეგოს. შედეგად, ასეთი მდინარე შეიძლება სრულიად გაქრეს. დამატებით, ერთ-ერთ მონაწილეს მოჰყავს სვანეთში არსებული ჰესების მაგალითი და ამბობს, რომ ამ არეალში ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობამ გამოიწვია ახლომდებარე სოფლების განესტიანება და წარმოქმნა ფილტვისა და სასუნთქი გზების დაავადებები.



**„სვანები ამბობენ რომ კაშხლებმა გამოიწვია ნესტის გაჩენა, ვერ ანიავებენ სასუნთქი საშუალება ნაკლებია, ისეთი ჟანგბადი აღარ არის და მოსახლეობის ჯანმრთელობისთვის საშიშია, ფილტვებზე შეექმნათ პრობლემები“ (53 წლის კაცი, თბილისში მცხოვრები)**

კვლევის მონაწილეებმა ისაუბრეს ნიადაგისა და წყლის რესურსების დაბინძურებაზე, როგორც პრობლემაზე. ფოკუს ჯგუფის დისკუსიისას არაერთხელ გაჟღერდა მოქალაქეთა მიერ საყოფაცხოვრებო ნარჩენების მინაზე დაყრის ან წყალში გადაყრის მავნე პრაქტიკები. გარდა ამისა, კრიტიკის თემაა ქვეყნის მასშტაბით არსებული ნაგავსაყრელები წარმოქმნის და მათი მენეჯმენტის საკითხი, რაც ნიადაგს აუნაზღაურებელ ზარალს აყენებს. მონაწილეები კვლავ უბრუნდებიან ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების საკითხს, და ამბობენ, რომ ყოველგვარი დაბინძურება წარმოადგენს ფლორისა და ფაუნის სხვადასხვა სახეობის გადაშენების საწინდარს.



**„ათასნაირი ნარჩენები ჩაედინება უკვე მდინარეებში, ის ზღვაში შედის და ყველას მოგვეხსენება ერთი რგოლიც რომ განყდეს, უკვე ყველაფერზე მოქმედებს. რაღაცა სახეობის თევზი განადგურდა წყალში, ის რომ განადგურდა, ახლა სხვა რამე გამოიწვია და ა.შ.“ (45 წლის კაცი, შშმ თემის წარმომადგენელი)**

სპეციფიური პრობლემა იკვეთება გურიის რეგიონის წარმომადგენლის მიერ, რომელიც ამბობს, რომ მდინარე სუფსაზე აქტიურად ხდება ქვიშა-ლორღის მოპოვება, რაც იწვევს მდინარის კალაპოტის შეცვლას, ან საერთოდაც, გაქრობას. აღსანიშნავია, რომ გასულ თვეებში მენყრული პროცესები სწორედ მდინარე სუფსას მიმდებარე ტერიტორიაზე წარმოიშვა. მსგავსი საქმიანობა ასევე მიმდინარეობს კახეთის რეგიონში, სადაც, მონაწილეს უწყებით, რამდენიმე ქვის სამტკრევი შენობა არის მდინარის კალაპოტში განლაგებული და მიმდინარეობს ადგილზე შეგროვებული ქვებისა და ხრეშის დამუშავება.

გლობალურ დონეზე ადამიანის გავლენის თვალსაზრისით, კვლევის მონაწილეები გარემოს მიმართ დანაშაულად მიიჩნევენ მიმდინარე საომარ მოქმედებებს და მიაჩნიათ, რომ ამ პროცესში გამოყენებული ტექნიკური და შეიარაღების რესურსები შეუქცევადი ზიანის მომტანია.

შეიძლება ითქვას, რომ მონაწილეები მნიშვნელოვნად მიიჩნევენ ინდივიდუალურ ქცევებს და თვლიან, რომ ადამიანთა ქმედებები დიდ გავლენას ახდენს ეკოლოგიურ გარემოსა და კლიმატის ცვლილებაზე. მეორე მხრივ, ერთ-ერთი მონაწილე საწინააღმდეგო მოსაზრებას აფიქსირებს და ამბობს, რომ ინდივიდუალურ დონეზე არსებული პრაქტიკები არაფერია იმასთან შედარებით, რა ზიანსაც მრეწველობითი დარგები წარმოქმნიან. მონაწილეს თანახმად, ინდივიდუალური ინიციატივები იკარგება დიდი ზომის კომპანიების საპირწონედ.



## სხვადასხვა რესურსის გამოყენება ყოველდღიურ საქმიანობაში

კვლევის მონაწილეებმა განიხილეს საკუთარ თემში ისეთი რესურსების გამოყენების პრაქტიკები, როგორებიცაა წყალი, ელექტროენერგია, გაზი და სხვა. საინტერესოა, რომ ამ შემთხვევაში კვლევის მონაწილეთა მოსაზრებები და შეფასებები რამდენიმე ნაწილად გაიყო. ერთი მხრივ, რამდენიმე მონაწილე მიუთითებს, რომ სხვადასხვა რესურსის ჭარბი მოხმარება რეგულარულ პრაქტიკას წარმოადგენს, რაც დაკავშირებულია თემის წევრების უცოდინრობასა და მავნე ჩვევებთან. ამ თვალსაზრისით, მონაწილეები საუბრობენ მსგავსი პრაქტიკების სწავლების საგანმანათლებლო სისტემებში დანერგვის აუცილებლობაზე.

მეორე მხრივ, კონკრეტული რეგიონებისა და ტერიტორიების ფარგლებში მიუთითებენ, რომ წლის, ელექტრო ენერჯისა და გაზის რეურსები თემს უფასოდ მიეწოდებათ, რის გამოც, თემი წევრები ამ რესურსებს არ უფრო ხილდებიან და შესაძლოა დღის განმავლობაში მოშვებული დატოვონ ონკანი, ან ყურების გარეშე ჩართული დატოვონ ტელევიზორი და არ იდარდონ ამაზე.

მესამე შემთხვევაში, კვლევის მონაწილეები საუბრობენ ისეთ რეგიონებსა და თემებზე, სადაც საყოფაცხოვრებო რესურსები გრაფიკით მოქმედებს, ან რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით ასეთი ხარჯების გაწევა თემის წევრებისათვის რთულია. ამ შემთხვევაში, მონაწილეები ამბობენ, რომ როგორც წესი, რესურსები უდიერად არ იხარჯება.

„საქართველოში განსაკუთრებულად შევამჩნევდი ამას, რადგან წყლის რესურსების გამოყენება არავის არ უსწავლებიათ სკოლაში, რომ კბილების გამოხეხვის დროს წყალი უნდა დაკეტო მაგალითად ეს ხომ ძალიან ელემენტარულია, ყველას გვგონია რომ ეს ყველა რესურსი ამოუწურავია“ (26 წლის ქალი, თბილისში მცხოვრები)

„ჩვენს სოფლებში ასეა გაშვებული აქვთ წყალი და არ ზოგავენ, ქალაქში ასე თუ ისე მრიცხველი დგას და გვინვეს დაზოგვა“ (33 წლის ქალი, ეთნიკურად სომეხი)

„ელექტრო ენერჯიაზე და ყველაფერზე იმხელა ტარიფია, რომ უკვე ყველა ადამიანი ცდილობს, რომ ეკონომიურად (მოიხმაროს). ადრე თუ არ აქცევდნენ ყურადღებას, ახლა უკვე, თუნდაც იმიტომ, რომ უკვე ჯიბეს ეხება, ხვდებით? უკვე ზღუდავენ ყველანაირად და ცდილობენ, რომ ნაკლებად გაანიავონ.“ (54 წლის ქალი, სოფელში მცხოვრები, აღმოსავლეთ საქართველო)

ერთ-ერთ მონაწილეს მოჰყავს წყლის არამიზნობრივად გამოყენების მაგალითი და ამბობს, რომ ხშირად აქვს ადგილი სასმელი წყლის სარწყავად გამოყენების შემთხვევებს. მონაწილეს მიაჩნია, რომ შესაძლებელი და აუცილებელია ალტერნატიული წყაროების მოხმარება, იმისათვის, რომ სასმელი წყლის რესურსები დაიზოგოს.





## ენერჯის განახლებადი და ალტერნატიული წყაროები

კვლევის მონაწილეებმა განიხილეს როგორც ინდივიდუალური მოხმარების, ასევე დიდი ზომის დანადგარები, რომლებიც განახლებადი რესურსების გამოყენებით ენერჯის წარმოებისათვის გამოიყენება. კვლევის მონაწილეები მეტად ინფორმირებული არიან დიდი ზომის სადგურებზე, რომლებიც ქარისა და წყლის რესურსებს მოიხმარენ, როგორებიცაა ჰიდროელექტროსადგურები და ქარის ენერჯოსადგურები (ტურბინები).

ინდივიდუალური მოხმარების საშუალებებიდან კვლევის მონაწილეებს სმენიათ მზის პანელების შესახებ, რომლებიც უშუალოდ ელექტროენერჯიას აწარმოებს. ასევე, დასახელდა ცხელი წყლის წარმომქმნელი დანადგარები, რომლებიც დღის განმავლობაში მზის ტემპერატურით ხურდება.

მიუხედავად იმისა, რომ კვლევის მონაწილეებმა შეძლეს რამდენიმე მაგალითის დასახელება, ჯამში მათი ცოდნა და გამოცდილება თოთოეულ ასეთ დანადგართან მიმართებით მწირია. მონაწილეთაგან მხოლოდ რამდენიმე დაასახელა, რომ თავად ფლობს მზის პანელს, ან უნახავს ასეთი საშუალება თავის საახლობლო წრეში.

მონაწილეები ამბობენ, რომ განახლებადი ენერჯის გამოყენების საშუალებები ფინანსურად დიდ თანხებთან არის დაკავშირებული და შესაბამისად ნაკლებად მიმზიდველია. ამასთანავე, მონაწილეების ინფორმაციით, ალტერნატიული წყაროების გამოყენება მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ იძლევა ე.წ. „უკუგებას“ ან „მოგებას“. რამდენიმე მონაწილე სურვილს გამოთქვამს მსგავსი დანადგარების ფლობის თვალსაზრისით, თუმცა დასძენს, რომ გარკვეული ფინანსური შეღავათების გარეშე, მათ შეძენას ვერ შეძლებენ.



*„მე მაგალითად ეზოში ჩვეულებრივ მაქვს, მზის პატარა პანელები, რომლებიც შემდეგ ღამე გაძლევს შუქს. მთელი ღამის განმავლობაში განათებულია. თუ იქნება ხელშეწყობა იმიტომ, რომ უკუგება ამას აქვს, 6-7 წლის შემდეგ. მთლიანად ოჯახური მოხმარებისთვის მზის პანელები რომ დააყენო, ერთიანი თანხით ძალიან ძვირი ღირს“ (45 წლის კაცი, ქალაქში მცხოვრები, აღმოსავლეთ სქართველო)*



## საქართველოს მიდგომა და სტრატეგია კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით

ფოკუს ჯგუფის მიმდინარეობისას კვლევის მონაწილეებს წაეკითხათ განმარტება კლიმატის ცვლილებაზე რეაგირებას ორ ძირითად მიდგომასთან დაკავშირებით: „მსოფლიოში ამჟამად კლიმატის ცვლილებაზე რეაგირების თვალსაზრისით ორი ძირითადი მიდგომა არსებობს, ერთი არის კლიმატის ცვლილებით გამოწვეულ შედეგებთან და ეფექტებთან ადაპტაცია (მაგ. კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფებისადმი მდგრადი ინფრასტრუქტურის მშენებლობა), ხოლო მეორე არის მომავალ პერსპექტივაში კლიმატის ცვლილების პროცესის შენელების/შერბილების მცდელობა (მაგ. ატმოსფეროში გაფრქვეული აირების/გაზების შემცირება).“

განმარტების შემდეგ, მონაწილეებს ეთხოვათ დაეფიქსირებინათ მოსაზრება, თუ რომელ მიდგომას ემხრობა საქართველო მათი მოსაზრებით. ერთმნიშვნელოვნად, შეიძლება ითქ-

ვას, რომ კვლევის მონაწილეებისათვის რთული აღმოჩნდა საქართველოს კონტექსტში პოლიტიკური ორიენტირის დადგენა.

მონაწილეები ფლობენ ინფორმაციას, რომ საქართველო მიერთებულია საერთაშორისო კონვენციებს და ამავდროულად, ერთვება გარემოს დაცვით ღონისძიებებში, რომლებიც საერთაშორისო დონეზე ტარდება. მიუხედავად ამისა, მონაწილეებს უჭირთ დაასახელონ, ხელმოწერილი კონვენციის ფარგლებში რომელ დაკისრებულ მოვალეობებს ან აღებულ პასუხისმგებლობებს ასრულებს საქართველო პოლიტიკურ დონეზე.

სახელმწიფო დონეზე ინიცირებულ ინტერვენციებს შორის კვლევის მონაწილეები იხსენებენ ისეთ აქტივობებს, რომლებიც მიმართული იყო კონკრეტული მინათმოქმედების სფეროების დახმარებაზე, ან ბუნებრივი რესურსების შენარჩუნებაზე. მაგალითისათვის, ასეთ აქტივობებად მიჩნეულია კახეთში სეტყვის საწინააღმდეგო ბადეების უზრუნველყოფა, ბორჯომში დაზიანებული ტყის მასივის აღდგენის მცდელობები, მინათმოქმედებაში გაჩენილი მავნებელი მწერების მოგერიება და სხვა.

გარდა ამისა, კვლევის მონაწილეებმა გაიხსენეს რამდენიმე ინტერვენცია, რომელიც უშუალოდ კანონის დონეზე მიმართული იყო ჰაერის დაბინძურების პროცესების აღკვეთაზე. ერთი მხრივ ეს შეეხებოდა კერძო ავტომობილების გამონაბოლქვის დარეგულირებას. მეორე მხრივ, ინიციატივა მიმართული იყო ქვეყნის დონეზე ფაბრიკა-ქარხნების მიმართ. კვლევის მონაწილეები სამრეწველო სფეროს კონტექსტში საუბრობენ, რომ მიუხედავად საკანონმდებლო ცვლილებისა და ჯარიმების დაკისრებისა, დღემდე, მაინც ფუნქციონირებს საწარმოები, რომლებიც რეგულაციების დარღვევით მოქმედებენ, ჯარიმის საფასურს იხდიან და მრეწველობას განაგრძობენ. ამ მხრივ, კვლევის მონაწილეები მიიჩნევენ ზედამხედველობის სამსახურების მუშაობის გამკაცრების აუცილებლობას.



## კლიმატის ცვლილების შესახებ ინფორმაციის მიღების წყაროები, შინაარსი და სანდოობა

ფოკუს ჯგუფის მონაწილეები ინფორმაციას კლიმატის ცვლილების შესახებ ძირითადად მასმედიის საშუალებით იღებენ. რესპონდენტებმა განსაკუთრებით გამოარჩიეს ტელევიზია და ონლაინ გამოცემები.



„ძირითადად, ტელევიზიიდან ვიღებ ინფორმაციას, ხანდახან გადაცემებს რომ ვუსმენ, საუბრობენ იმაზე, თუ როგორ შევებრძოლოთ გლობალურ დათბობას“ (63 წლის ქალი; თბილისი)



„ძირითადად სოციალური მედიიდან [ვიღებ ინფორმაციას], გამონერილი მაქვს გვერდები და ვკითხულობ“ (ქალი; თბილისი)

რესპონდენტების ნაწილი ინფორმაციას უცხო ენებზე - ინგლისურად ან რუსულად იღებს, რადგან, რესპონდენტების შეფასებით, კლიმატის ცვლილების შესახებ ქართულენოვანი ინფორმაცია მწირია, ხოლო რაც ხელმისაწვდომია, ის ერთფეროვანი და ზოგჯერ არასანდოა - „ქართულად ცუდად თარგმნილი ტექსტებია, ან რეზონანსული სათაური აქვს და რომ გახსნი, შიგნით სისულელე წერია“ (50 წლის კაცი; თბილისი). ერთ-ერთმა რესპონდენტმა ინფორმაციის მიღების წყაროდ ტელეკომპანია „აგრო-ტვ<sup>3</sup>“ დაასახელა, სადაც ტელეგა-

3 აგრო-ტვ-ს სოციალური მედიის გვერდი - <https://www.facebook.com/people/AgroTV-%E1%83%90%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%9>

დაცემები სოფლის მეურნეობას შეეხება და ხშირად განიხილავენ სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურებზე კლიმატის ცვლილების გავლენას.

ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული სოფლებისა და ქალაქების მაცხოვრებლები კლიმატის ცვლილების შესახებ ინფორმაციას, ქართულთან ერთად, მათ მშობლიურ ენაზე იღებენ. რეგიონებში, ეთნიკური უმცირესობებისთვის, ფუნქციონირებს მასმედიის საშუალებები (ონლაინ მედია და ტელევიზიები) ეთნიკური უმცირესობების ენაზე, რომელებიც ქართული ენის არმცოდნე მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიღების ძირითადი წყაროა - „კახეთში მომხდარი სტიქიის შესახებ შემძლია გავიხსენო. ქართული ვებ-გვერდიდანაც მივიღე ეს ინფორმაცია და ზუსტად იგივე აზერბაიჯანულადაც იყო ნათარგმნი“ (ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალი).

ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა ნაწილი კლიმატის ცვლილების შესახებ ინფორმაციას სხვადასხვა ორგანიზაციების, მათ შორის მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებული სემინარების მეშვეობით იღებს.



**„კახეთიდან, გურჯაანის რაიონიდან ვარ და სხვათა შორის, ჩვენთან იმართება ხოლმე ტრენინგები, გლობალურ საკითხებზე. მერიამ გააკეთა რამდენიმე ტრენინგი და ვიყავით ჩართულები და განვიხილეთ ეკოლოგიური პრობლემები“ (46 წლის კაცი; სოფელში მცხოვრები; აღმოსავლეთ საქართველო)**

ქვიარ თემის წარმომადგენლებში ინფორმაციის მიღების სანდო წყაროდ დასახელდა ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივის“ ვებ-გვერდი<sup>4</sup>. ასევე, ქვიარ თემის წარმომადგენლებმა ინფორმაციის მიღების წყაროდ სხვადასხვა აკადემიური დოკუმენტები დაასახელეს.

ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა კონკრეტული ინფორმაცია გაიხსენეს, რომელიც ეკოლოგიური საკითხების და მათ შორის კლიმატის ცვლილების თაობაზე ბოლო პერიოდში მიიღეს. კერძოდ, ინფორმაცია შეეხებოდა წყნარ ოკეანეში არსებული ცვლილებებს, მიწისძვრის შედეგად გადაადგილებულ ქანებს, აისბერგების დნობას, იაპონიის მაგალითზე სტიქიური მოვლენებისგან თავის დაღწევის გზებს, სხვადასხვა ქვეყანაში მაღალი სიციხის გამო გაჩენილი ხანძრებს, რომელებიც ჰექტრობით ქალაქებსა და მწვანე საფარს აზიანებს და ა.შ. ადგილობრივ დონეზე, საქართველოს მაგალითზე, დასახელდა გურიასა და კურორტ შოვში მომხდარი სტიქიური მოვლენები.

ფოკუს ჯგუფების შედეგები აჩვენებს, რომ სოფლის მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც სოფლის მეურნეობას მისდევს, პროაქტიურად იძიებს ინფორმაციას კლიმატის ცვლილების შესახებ - „მთელი ზამთარი ვიჯექი და ვეძებდი ამ შეცვლილ კლიმატურ პირობებში რა კულტურა შეიძლება მოვიდეს, როგორ დავიცვა სიციხისგან ის, რაც მომყავს, შევცვალე კიდევაც ჩემს მეურნეობაში რაღაცები, მაგრამ ბევრს ვერც შევცვლი, რადგან ხარჯებთან არის დაკავშირებული“ (46 წლის კაცი; სოფელში მცხოვრები; დასავლეთ საქართველო). შშმ თემის ერთ-ერთი წარმომადგენელი გარემოს შესახებ ინფორმაციას აპლიკაციის მეშვეობით იღებს - „სპეციალური აპლიკაცია მაქვს გადმოწერილი, სადაც მოცემულია ინფორმაცია ჰაერის დაბინძურების, მოსალოდნელი სტიქიური უბედურების შესახებ და ა.შ.“ (შშმ თემის წარმომადგენელი).

მიღებული ინფორმაციის სანდოობაზე საუბრისას გამოიკვეთა, რომ რესპონდენტები ყველაზე ნაკლებად სოციალური მედიის საშუალებით მიღებულ ინფორმაციას ენდობიან. ამის


D%E1%83%A2%E1%83%95/100063483249534/?locale=pt\_BR&paipv=0&eav=AfaB6uCBfXftKcNz81soG14nTgD3He3bKEkY-U37\_Fy\_3L04uqQm\_jdxJj3MccvcHw&\_rdr  
4 „მწვანე ალტერნატივის“ ვებ-გვერდი - <https://greenalt.org/>

მიზეზი ისაა, რომ სოციალურ მედიაში ხშირად გადაუმონმებელი და ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია ვრცელდება, მათ შორის, კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებით. მეტი სანდოობით სარგებლობენ მასმედიის საშუალებები, განსაკუთრებით - ტელევიზია. ყველაზე მეტად კი დარგის ექსპერტების მოსაზრებებს ენდობიან, რომლებსაც სხვადასხვა სატელევიზიო გადაცემებში უსმენენ.

რესპონდენტების შეფასებით, ძალზე სასარგებლო იქნებოდა, რომ არსებობდეს ვებ-გვერდი ქართულად და ეთნიკური უმცირესობებისთვის მათ მშობლიურ ენებზე, სადაც გარემოსდაცვითი და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული სანდო სიახლეები და სასარგებლო ინფორმაცია იქნება მოცემული. ვებ-გვერდზე პერიოდულად განახლდებოდა კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებული როგორც გლობალური, ისე საქართველოს კონტექსტთან დაკავშირებული ინფორმაცია. აღსანიშნავია, რომ ფოკუს ჯგუფის მონაწილეებს არ სმენიათ სსიპ გარემოსდაცვითი განათლებისა და ინფორმაციის ცენტრის ვებ-გვერდის შესახებ<sup>5</sup>, რომელიც ნაწილობრივ ფარავს კლიმატის ცვლილებების შესახებ სისტემური და უახლესი ინფორმაციის დეფიციტის ხარვეზს.

სოფლის მოსახლეობაში არსებობს როგორც ერთნაირი, ისე მრავალნაირი კულტურებზე კლიმატის ცვლილებების გავლენის შესახებ განახლებული ინფორმაციის მიღების განსაკუთრებული ინტერესი - „ახლა შხამქიმიკატები არის შემოტანილი ქვეყანაში და მალეფუჭებადია, მე ამ საკითხთან დაკავშირებით ვისურვებდი მეტი ინფორმაციის გაგებას“ (ქალი; თბილისში მცხოვრები). ფოკუს ჯგუფების მონაწილეებში მაღალი იყო დაინტერესება სტიქიური მოვლენების წინასწარი შეტყობინების სისტემის დანერგვის შესახებ. კერძოდ, ამ მიმართულებით რას აკეთებს სახელმწიფო. ფოკუს ჯგუფებში ამ საკითხის აქტუალობა განპირობებული იყო ზაფხულში კურორტ შოვში მომხდარი ტრაგედიით, რომელიც სტიქიურმა უბედურებამ გამოიწვია.

ქვიარ თემის წარმომადგენლები ისურვებდნენ უფრო მეტად სტრუქტურული ცოდნის მიღებას იმასთან დაკავშირებით, თუ რა არის კლიმატის ცვლილება, მისი გამომწვევი მიზეზები, რა ზიანის მომტანია ჰაბიტატისთვის, ვინ არის პასუხისმგებელი კლიმატის ცვლილებაზე და რა უნდა მოიმოქმედონ სხვადასხვა მხარეებმა საიმისოდ, რომ გარემოზე ზიანი შემცირდეს. ასევე აღინიშნა, რომ, მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით, სასარგებლო იქნებოდა სხვადასხვა ფორმატის სადისკუსიო სივრცეების შექმნა, სადაც მონაწილეები კლიმატთან დაკავშირებულ აქტუალური საკითხებს განიხილავენ. რესპონდენტებმა განსაკუთრებით გამოარჩიეს ინდივიდუალური პასუხისმგებლობის თემა.

 „ჩვენ ხშირად ვსაუბრობთ ინდივიდუალურ პასუხისმგებლობაზე, რომელიც მრავალშრიანი და მრავალდონიანია. კი, შეიძლება მე სორტირება დავიწყო ნარჩენების, მაგრამ ფინალი სულ სხვა არის რეალურად. მიზანი ჩემი ქცევის არ მაძლევს იმ შედეგს, რაც მე მინდა. თუ ნარჩენი არ გადამუშავდება, მიზანი ვერ შესრულდება“ (ქვიარ თემის წარმომადგენელი)

<sup>5</sup> გარემოსდაცვითი განათლებისა და ინფორმაციის ცენტრის ვებ-გვერდი - <https://www.eiec.gov.ge/>



## რესურსების გამოყენების პრაქტიკები

ფოკუს ჯგუფების მონაწილეები რესურსების დაზოგვას, ძირითადად, ელექტროენერჯისა და ბუნებრივი აირის ეკონომიური მოხმარებით ცდილობენ. გამოიკვეთა, რომ რესურსების გამოყენების შემცირება განპირობებულია კომუნალური გადასახადის დაზოგვის მოტივით და ნაკლებად - გარემოზე ზრუნვით. რესპონდენტების შეფასებით, როგორც ელექტროენერჯის, ისე ბუნებრივი აირის დაზოგვის მეტი შესაძლებლობა გაჩნდა ბოლო წლებში, რაც ტექნოლოგიური სიახლეების დამსახურებაა.



**„სახლში ეკონომიური ნათურები დავაყენე. სარეცხი მანქანა და მაცივარი ისეთი ვიციდე, რომელიც ნაკლებ ელექტროენერჯიას მოიხმარს“ (46 წლის ქალი; აღმოსავლეთ საქართველოს სოფელი)**

ფოკუს ჯგუფების მონაწილეები სასმელი და სარწყავი წყლის რესურსების ჭარბი გამოყენების შემცირებაზე ნაკლებ ყურადღებას ამახვილებენ. ეს იმით აიხსნება, რომ, ერთი მხრივ, წყლის მოხმარებაზე გადასახადი მცირეა ან საერთოდ არ არის (განსაკუთრებით, სოფლად), ან წყლის რესურსების (სასმელი და სარწყავი) ხელმისაწვდომობა პრობლემას წარმოადგენს და, ამდენად, მის ჭარბ მოხმარებაზე საუბარი ზედმეტია. „წყალი ისე უჭირს სოფელს, ჭარბად გამოიყენო კი არა, ხელის დასაბანი წყალი არ არის“ (64 წლის კაცი; აღმოსავლეთ საქართველოს სოფელი). წყლის რესურსების ჭარბი გამოყენებას ადგილი აქვს იმ სოფლებში, სადაც მომარაგება უწყვეტია და მრიცხველები არ არის დაყენებული - „სოფლებში ასეა გაშვებული აქვთ წყალი და არ ზოგავენ, ქალაქში ასე თუ ისე მრიცხველი დგას და გვინევს დაზოგვა“ (30 წლის კაცი; ქალაქში მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელი).

**სოფლის** მოსახლეობის გამოცდილებით, ხე-ტყის ჭარბ მოხმარებას ზღუდავს არსებული რეგულაციები - „ტყეში არ უშვებენ გლეხს, რა ჭარბ გამოყენებაზეა საუბარი?! გლეხი შეზღუდეს ყველანაირად სოფელში, შეშა არ უნდა მოჭრას“ (61 წლის ქალი; აღმოსავლეთ საქართველოს სოფელი). გარდა ამისა, სოფლის მაცხოვრებლები აღნიშნავენ, რომ ბოლო წლებში სოფლებში შეშას სულ უფრო მეტად ანაცვლებს ბუნებრივი აირი, რადგან ბევრ სოფელში ხდება ბუნებრივი აირი ხელმისაწვდომი. სოფლის მაცხოვრებლებმა იციან, რომ საყოფაცხოვრებო ნარჩენები ღია სივრცეში (გზაზე, ტყეში, ხრამში და ა.შ.) არ უნდა დაყარონ, თუმცა რამდენიმე რესპონდენტმა აღნიშნა, რომ ყოველთვის ამ წესს ვერ იცავენ, რადგან სოფლებში არ დგას ნაგვის ბუნკერები, ან ისინი მცირე რაოდენობითაა და სიშორის გამო ვერ ახერხებენ ყოველთვის ნარჩენის ბუნკერში მოთავსებას.

**ქალაქების** მაცხოვრებლები წყლის და ბუნებრივი რესურსების გამოყენების შემცირების გარდა, ასევე, ცდილობენ, რომ ქალაქში გადაადგილდნენ ფეხით ან ისეთი სატრანსპორტო საშუალებებით (ველოსიპედი, სკუტერი), რომლებიც არ საჭიროებს საწვავს. რესპონდენტების ის ნაწილი, რომელსაც აქვს ავტომობილი, ცდილობს გააკონტროლოს, რომ ის ტექნიკურად გამართული იყოს.



**„ვცდილობ, რომ ვაკონტროლო, რომ ჩემი ავტომობილის გამონაბოლქვი იყოს ნორმის ფარგლებში. ჩემ გარშემო, ჩემმა ახლობლებმა და ნათესავებმა, ჩემი დაჟინებული მოთხოვნით დააყენეს კატალიზატორები. ვიცი, რომ ეს მცირედი წვლილია, მაგრამ აუცილებელი“ (35 წლის კაცი; ქალაქში მცხოვრები; აღმოსავლეთ საქართველო)**

მოსახლეობის მიერ ავტომობილების არარაციონალური გამოყენება დასახელდა ერთ-ერთ მთავარ პრობლემად ქალაქების მაცხოვრებლებში - „ჩემი მეზობელი სკოლიდან 100-150 მეტრის დაშორებაზე ცხოვრობს და მაინც მანქანით მიყავს ბავშვი სკოლაში. ცოტა სიცხე თუა, დაქოქილი აქვს მანქანა და ისე დგას, რომ კონდენციონერი ჩართული ქონდეს“ (46 წლის კაცი; შშმ პირი).

საინტერესოა, რომ რესპონდენტების ნაწილს გაუჭირდა იმის დასახელება, თუ რა მოი- მოქმედა ბოლო პერიოდში ეკოლოგიური გარემოს დასაცავად და მის გასაუმჯობესებლად. ეს მოსაზრება განსაკუთრებით ქალაქის მოსახლეობაში იყო დომინანტური.



**„მე არაფერი ისეთი არ გამიკეთებია, გარდა იმისა, რომ სოფელი მაქვს და ვცდი- ლობ, რომ ნარგავები დავრგო, გავაშენო რაღაცეები ეზოში, სიმწვანე იყოს მეტი“ (61 წლის ქალი; ქალაქში მცხოვრები; აღმოსავლეთ საქართველო).**

რესპონდენტების ნაწილი რესურსების მოხმარების შემცირებას გარემოსდაცვით საკით- ხებზე ცნობიერების ამაღლებასაც უკავშირებს - „ჩემი ქალიშვილი არის ჩართული ტრენინ- გებში, რომლებიც ეკოლოგიურ საკითხებს ეხება. მისგან ბევრი რამე გავიგეთ ოჯახში“ (46 წლის ქალი; აღმოსავლეთ საქართველოს სოფელი). რესპონდენტების შეფასებით, ახალგაზრდები რესურსების ჭარბი მოხმარებით გამოწვეული ზიანის შესახებ უფრო მეტად ინფორმირებულები არიან, ვიდრე უფროსები. მოზარდებისთვის და ახალგაზრდებისთვის ეკოლოგიურ გარემოსთან დაკავშირებული ინფორმაცია სხვადასხვა წყაროებით არის ხელ- მისაწვდომი. მაგალითად, სკოლაში, არაფორმალური განათლების ფარგლებში გამარ- თული სემინარების, სოციალური მედიის მეშვეობით და ა.შ.



## **კლიმატის ცვლილების გავლენა სოფლის მეურნეობაზე**

სოფლის მოსახლეობა კლიმატის ცვლილებებს სასუქის და პესტიციდების გამოყენების აუ- ცილებლობას უკავშირებს, რომელთა გარეშეც სოფლის მოსახლეობას მოსავალი ვერ მო- ყავს - „მოსავალი არ მოდის წამლის გარეშე, ელემენტარულად სიმინდი ავიღოთ, ჭიები აფუ- ჭებს, რაც ადრე ასე არ იყო“ (29 წლის ახალგაზრდა კაცი; სოფელში მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელი). სოფლის მოსახლეობის მეორე ნაწილი ამბობს, რომ არ იყენებს სასუქებს და პესტიციდებს, რადგან იციან, რომ მათი გამოყენება გარემოს აზიანებს, ხოლო მიღე- ბული მოსავალი არაჯანსაღია. ე.წ. ბიოპროდუქტები მოყავს მოსახლეობის იმ ჯგუფს, რომე- ლიც მიღებულ პროდუქციას საკუთარი ოჯახებისთვის მოიხმარს. დიდი ზომის ფერმერული მეურნეობის მქონე ოჯახები შხამ-ქიმიკატებს აქტიურად იყენებენ, წინააღმდეგ შემთხვე- ვაში ვერ შეძლებენ რეალიზაციისთვის განკუთვნილი მოსავლის მოყვანას - „ჰექტრობით რომ ამუშავებს გლეხი მიწას, შეუძლებელია მან შხამ-ქიმიკატები არ გამოიყენოს, თორემ აუცილებლად გაუფუჭდება“ (61 წლის კაცი; სოფელში მცხოვრები; აღმოსავლეთ საქარ- თველო). ზოგიერთ შემთხვევაში სოფლის მოსახლეობა იძულებულია, რომ გამოიყენოს შხამ-ქიმიკატები - „მეზობლის ბაღიდან გადმოდიან მავნებელი მწერები და ვეღარ ჩაგრავს ბუნებრივი საშუალებები - კირი და შაბი. იძულებული ვარ შხამ-ქიმიკატები მეც გამოვიყენო“ (62 წლის კაცი; სოფელში მცხოვრები; აღმოსავლეთ საქართველო).

ეთნიკურ სომხებთან ჩატარებული ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ სოფლებში კარტოფილის მოსავლის აღების შემდგომ გავრცელებულია მიწების გადაწვა, რაც აზიანებს გარემოს. აღსანიშნავია, რომ სომხური სოფლებისთვის კარტოფილის რეალიზაციით მიღე- ბული შემოსავალი ძირითადია.



## პასუხისმგებელი აქტორები კლიმატის ცვლილებაზე და გარემოს დეგრადაციით გამოწვეული პრობლემების მოგვარებაზე

ფოკუს ჯგუფებში ძირითადად ორი მოსაზრება გამოითქვა იმის შესახებ, თუ ვინ არის პასუხისმგებელი კლიმატის ცვლილებაზე და გარემოს დეგრადაციით გამოწვეული პრობლემების მოგვარებაზე. რესპონდენტების ერთი ნაწილი პასუხისმგებლობას ინდივიდსა და სახელმწიფოს შორის ანაწილებს, ხოლო, რესპონდენტების მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას გამოკვეთილად სახელმწიფოს და კერძო სექტორს აკისრებს, რომელიც საკუთარი საქმიანობით ეკოლოგიურ გარემოს ზიანს აყენებს.

რესპონდენტების შეფასებით, ინდივიდუალური პასუხისმგებლობა გამოიხატება: ა) ინდივიდების მიერ, შესაძლებლობის ფარგლებში, გარემოზე ზრუნვაში (არ დაანაგვიანონ, რესურსები ჭარბად არ გამოიყენონ და ა.შ.) და ბ) გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ ინფორმაციისა და ცოდნის გავრცელებაში, როგორც ოჯახში (განსაკუთრებით ბავშვებში), ისე საკუთარ თემში - „ბავშვი რომ გაგყავს ბუნებაში, უნდა იცოდეს იმან, რა ზიანს მიაყენებს და რა იქნება სარგებელი ბუნებისთვის“ (61 წლის ქალი; ქალაქში მცხოვრები; აღმოსავლეთ საქართველო). ინდივიდუალურ ქმედებებზე საუბრისას, ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფრთხედ დასახელდა დანაგვიანება და კოცონის დანთება ტყეში, რაც ხანძრის მიზეზი ხდება ხოლმე. რესპონდენტების შეფასებით, მნიშვნელოვანია, რომ ბუნების მიმართ დღეს არსებული მომხმარებლური დამოკიდებულება შეიცვალოს და ის უფრო მეტად გახდეს გარემოზე ზრუნვაზე ორიენტირებული. საამისოდ საჭიროა მოსახლეობის ადეკვატური ინფორმაციითა და ცოდნით აღჭურვა, რაც სახელმწიფოს პასუხისმგებლობას წარმოადგენს.

რესპონდენტებში გამოიკვეთა მოსაზრება იმის შესახებ, რომ სახელმწიფოს ჩარევის გარეშე შეუძლებელია გარემოს დეგრადაციით გამოწვეული პრობლემების მოგვარება - „თუ მთავრობა ხელს არ შეგვიწყობს, ადამიანები ბუნებას ვერ გადავარჩენთ“ (61 წლის ქალი; ქალაქში მცხოვრები; აღმოსავლეთ საქართველო). ფოკუს ჯგუფების მონაწილეები გარემოსდაცვითი მიმართულებით სახელმწიფოს როლს ხედავენ: 1) განათლების სისტემაში გარემოსდაცვითი საკითხების ინტეგრაციაში, რაც გაზრდის ცოდნას და ინფორმირებულობას მოსახლეობაში, განსაკუთრებით ახალგაზრდებში; 2) გარემოს ზედამხედველობაზე აქტიური მონიტორინგის განხორციელებაში, რომელიც შეეხება როგორც გარემოს დაზიანების ინდივიდუალური შემთხვევების გამოვლენას, ისე გარემოზე ზიანის მომტანი კერძო ორგანიზაციების (ფაბრიკა, ქარხნები და ა.შ.) საქმიანობის მონიტორინგს. ფოკუს ჯგუფების მონაწილეებმა დაასახელეს კონკრეტული უწყებები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან კლიმატის ცვლილებების და ამისგან გამოწვეული ზიანის შემცირებაზე. ეს უწყებებია: საქართველოს მთავრობა, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო და ადგილობრივი მუნიციპალური ხელისუფლება (მერია და საკრებულო). მთავრობა და სამინისტროს უწყებები სისტემურ დონეზე არიან პასუხისმგებელი, ხოლო ადგილობრივი ხელისუფლების პასუხისმგებლობა შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნაში გამოიხატება, როგორცაა, მაგალითად, სანაგვე ურნების განთავსება, დასუფთავება და ა.შ.

ფოკუს ჯგუფებში მონაწილე ქვიარ თემის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ კლიმატის ცვლილებას ვერ შეაწულებს ცალკეული ქვეყნების მთავრობების ქმედებები, მით უფრო

ისეთი მცირე ზომის სახელმწიფოს მთავრობა, როგორც საქართველოა. კლიმატის ცვლილებები ცალსახად გლობალურ პრობლემას წარმოადგენს, რომელის გამონწვეულია ეკონომიკური კორპორაციების საქმიანობის საზიანო შედეგებით.



*„მე არ მჯერა, რომ კლიმატის კრიზისში ჩემი, ან ნებისმიერი ერთი ინდივიდის პასუხისმგებლობა მაღალია. პასუხისმგებლობა აქვთ დიდ კორპორაციებს. სტატისტიკურადაც, როგორც ვიცი, ჰაერის დამაბინძურებლების 99% მოდის მათზე. ამიტომ, იმ 1%-ს ვერ ვადანაშაულებ ვერაფერში. იგივე ეხება წყლის ჭარბად მოხმარებას“ (23 წლის ახალგაზრდა კაცი; ქალაქის მცხოვრები; ქვიარ თემი).*



## ეკოლოგიური გარემოს ზიანის შემცირებისკენ მიმართული ქმედებები

ფოკუს ჯგუფებში ეკოლოგიურ გარემოზე ზიანის შემცირების ეფექტიანი გზების შესახებ ერთმანეთისგან განსხვავებული მოსაზრებები გამოიკვეთა. ერთი ნაწილის აზრით, გარემოზე ზიანის მიყენების გამო დაჯარიმება ყველაზე ემედიითი მიდგომაა, მეორე ნაწილი კი ფიქრობს, რომ გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ ცნობიერების ამაღლება ყველაზე უკეთ უზრუნველყოფს გარემოზე ზიანის შემცირებას.

რესპონდენტების ის ნაწილი, რომელიც ცნობიერების ამაღლებას ემხრობა, აღნიშნავს, რომ შეუძლებელია როგორც გარემოზე სრულფასოვანი მონიტორინგის განხორციელება, ისე დაჯარიმებით იმ ზიანის სრულყოფილად აღდგენა, რაც გარემოს მიაღდა - „ბუნებას აუნაზღაურებელი ზიანი მიაყენა, 500 ლარი გადაიხადა და დამთავრდა ეს ამბავი. ბუნებისთვის მიყენებულ ზიანს რა აღადგენს? ამიტომ დაჯარიმება არ არის გამოსავალი“ (62 წლის ქალი; ქალაქის მცხოვრები; აღმოსავლეთ საქართველო). ამასთანავე, როდესაც ჯარიმების დაწესებაზე საუბარი, გასათვალისწინებელია მოსახლეობის მძიმე სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა, რომლისთვისაც ჯარიმის თანხის გადახდა დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული. რესპონდენტები ამახვილებენ ყურადღებას ავტომობილების გაუმართავ მდგომარეობაზე, რომელთა ნაწილების შექცევა და/ან განახლება ხარჯებთან არის დაკავშირებული - „ავტომობილებთან დაკავშირებით მინდა ვთქვა, რომ არ აქვს ბევრს შესაძლებლობა, რომ გამოცვალონ და ახალი ნაწილები იყიდონ“ (19 წლის ახალგაზრდა კაცი; ქალაქის მცხოვრები; დასავლეთ საქართველო). ამდენად, ამ მოსაზრების მქონე რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ უმჯობესია აქცენტი გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ ცნობიერების ამაღლებაზე გაკეთდეს.

ფოკუს ჯგუფების ის მონაწილეები, რომელთა აზრითაც ემედიითი მექანიზმი მონიტორინგი და ადმინისტრაციული სასჯელის (ჯარიმის) დაწესებაა, აღნიშნავენ, რომ მონიტორინგითა და დაჯარიმებით სწრაფად, დროის მოკლე პერიოდში დადგება პოზიტიური შედეგი - „მაგალითად, ნაგვის გადაყრაზე ჯარიმას დავანესებდი და ახლა რომ ნაგვით არის გადავსებული ვაზისუბანი, აღარ იქნება ასე“ (57 წლის ქალი; თბილისის მცხოვრები). ფოკუს ჯგუფებში გამოითქვა მოსაზრება, რომ ჯარიმის ოდენობა უნდა იყოს მზარდი. კერძოდ, გამეორების შემთხვევაში კანონდამრღვევი ორმაგად უნდა დაჯარიმდეს გარემოსთვის მიყენებული ზიანისთვის. რესპონდენტების მცირე ნაწილი პირდაპირ მკაცრი სასჯელის დაწესებას ემხრობა - „ადამიანმა თუ კომპანიამ მეორედ არ უნდა გაიფიქროს, რომ დაარღვიოს კანონი. სასჯელი უნდა იყოს თავიდანვე მკაცრი“ (30 წლის კაცი; სოფელში მცხოვრები; აღმოსავლეთ საქართველო).





## მთავრობის საქმიანობის შეფასება და მიმართულებები, რომლებზეც სახელმწიფო ორგანოებმა უნდა იმუშაონ

ფოკუს ჯგუფებში მონაწილეთა შეფასებები განსხვავებულია იმის შესახებ, თუ რამდენად ახერხებს მთავრობა სხვადასხვა დონეზე კლიმატის ცვლილებების შემცირებას და გარემოს დეგრადაციით გამოწვეული პრობლემების მოგვარებას. ერთი ნაწილის აზრით, სახელმწიფოს როლი ყველაზე სუსტი კერძო ბიზნესის მიმართ არის, რადგან, როგორც წესი, ხელისუფლების ორგანოები ბიზნესის ინტერესების დაცვისკენ იხრება - მაშინაც კი, როცა საქმე სანარმოების მიერ გარემოს დაზიანებას შეეხება. ასევე, აღინიშნა, რომ ხელისუფლების მთავარი გამოწვევა გარემოს დაზიანებაზე არასათანადო მონიტორინგის განხორციელება და შემდგომ მისი აღსრულებაა. მუნიციპალურ დონეზე კი, პრობლემას წარმოადგენს მუხნესრიგებელი ინფრასტრუქტურა (ნაგავსაყრელების და ნარჩენების ბუნკერების არარსებობა).

ფოკუს ჯგუფების მონაწილეებმა ისაუბრეს იმ მიმართულებებზე, რომლებზეც სახელმწიფო ინსტიტუტებმა აქტიურად უნდა იმუშაონ იმისათვის, რომ ეკოლოგიურ გარემოს ნაკლები ზიანი მიაღგეს. პირველ ყოვლისა, ისინი ყურადღებას ამახვილებენ ეკოლოგიურ გარემოზე ზიანის მომტანი სანარმოებისა და ფაბრიკების საქმიანობის მონიტორინგის და მათთვის რეგულაციების გამკაცრების საჭიროებაზე - „ფაქტია, რომ ჯარიმების დაწესებით ეს არ გვარდება, რადგან იხდიან. უნდა დახურონ, ან უნდა გაამკაცრონ რეგულაციები“ (44 წლის ქალი; სოფლის მცხოვრები; აღმოსავლეთ საქართველო). ადგილობრივი ხელისუფლების პასუხისმგებლობაა, რომ სამომავლოდ გააგრძელოს სერვისების განვითარება, რომლებიც გარემოს დაიცავს დაბინძურებისგან.



*„გიდად ვმუშაობ მე რაჭაში. ზაფხულში, რამდენიმე ადგილას რომ მივედი ესტონელ ტურისტებთან ერთად, შემრცხვა, ნაგვით იყო სავსე. ურნები არ იდგა და ნაგავი დაყრილი იყო ხესთან“ (62 წლის ქალი; სოფელში მცხოვრები; დასავლეთ საქართველო).*



*„ნარჩენების მართვა საკმაოდ რთული პრობლემაა ჩვენს სოფელში. ერთი ურნა დგას სოფლის შემოსასვლელში. ჰოდა, გინდა სოფლის თავში ჩამიყრია ნაგავი და გინდა წყალტუბოში ჩამიტანია. ნარჩენების მართვა ძალიან გაუმართავია სოფლებში“ (46 წლის კაცი; სოფელში მცხოვრები; დასავლეთ საქართველო).*

რესპონდენტების ერთი ნაწილი ყურადღებას ამახვილებს მუნიციპალური ორგანოების თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლების საჭიროებაზე გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ. ასევე, აღინიშნა, რომ აუცილებელია, თვითმართველობამ შეისწავლოს გარემოს დაბინძურების თვალსაზრისით ადგილზე არსებული გამოწვევები და, მათი მოგვარების მიზნით, დაიხმაროს ცენტრალური ხელისუფლება. გამოითქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ მუნიციპალურ ორგანოებში საჭიროა გარემოს დაცვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურის შექმნა, სადაც კვალიფიციური კადრები დასაქმდებიან.

საგულისხმოა, რომ ფოკუს ჯგუფების მონაწილეებს გაუჭირდათ დაესახელებინათ კონკრეტული საკანომდებლო ინიციატივები, რომელთა ინიცირებაც საჭიროა. რესპონდენტების მოსაზრებები ზოგადია და საკუთარ დაკვირვებებსა და გამოცდილებას ეფუძნება. რესპონ-

დენტების მცირე ნაწილის ინფორმაციით, საქართველო არის ყველა მნიშვნელოვანი საერთაშორისო კონვენციის ხელმომწერი ქვეყანა და არსებული კანონმდებლობა მათთან ჰარმონიაშია. ამდენად, მნიშვნელოვანია არსებული შეთანხმებებისა და კანონმდებლობის აღსრულება.



## ადგილობრივი ხელისუფლებისა და სხვა აქტორებისადმი მიმართვის გამოცდილება

ფოკუს ჯგუფების მონაწილეები აღნიშნავენ, რომ ბუნებრივი კატასტროფების დროს დახმარების მისაღებად დაუკავშირდებიან საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრს, ცხელი ხაზის (ტ:112) მეშვეობით.



*„აუცილებლად 112-ში დავრეკავდი. ძალიან დიდი ნდობა მაქვს. ნამდვილად დაამტკიცეს ჩვენმა მაშველებმა, რომ ყველანაირი რესურსის გარეშეც კი, თავისი ძალებით შეძლეს მაქსიმუმი“ (46 წლის ქალი; სოფელში მცხოვრები; აღმოსავლეთ საქართველო)*

რესპოდენტების ნაწილი დახმარების მისაღებად ადგილობრივ ხელისუფლებას მიმართავდა, რათა აუნაზღაურდეს სხვადასხვა სტიქიური მოვლენის (მენყერი, წყალდიდობა, ქარიშხალი და ხანძარი) გამო მიღებული მატერიალური ზიანი. ზიანის მოცულობის დასადგენად აუცილებელია აღწერა და ფინანსური კალკულაცია.



*„მერიაში დავრეკავდი, ან სოფლის რწმუნებულთან. გააჩნია რა პრობლემა იქნებოდა. თუ დგას ზიანის ანაზღაურების საკითხი, მაშინ ადგილობრივ ხელისუფლებას დავუკავშირდებოდი აღწერის გასაკეთებლად“ (34 წლის კაცი; სოფელში მცხოვრები; აღმოსავლეთ საქართველო)*

აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი ხელისუფლებისთვის მიმართვის გამოცდილება სოფლად უფრო მეტად გამოიკვეთა, ვიდრე ქალაქებში მცხოვრებ რესპოდენტებში. ეს გამოცდილება, როგორც წესი, ნეგატიურია. ადგილობრივი ხელისუფლებისადმი მიმართვის გამოცდილების მქონე რესპოდენტებმა კონკრეტული შემთხვევები გაიხსენეს.



*„ჩვენი ოჯახის კარმიდამოში გადმოვიდა წყალი, ნახევარი დათესილი ტერიტორია წაიღო, მივმართეთ ადგილობრივ გამგეობას, მაგრამ, მხოლოდ საცხოვრებელი უნდა იყოს დაზიანებული, მინას არ ვანაზღაურებთ“ (46 წლის კაცი; სოფელში მცხოვრები; დასავლეთ საქართველო)*



*„ჩვენთან საშინელი წვიმა იყო, შუაში ეზო გახეთქა, მოვიდნენ შეხედეს თუ ჩვენ მთავრობაში დავრჩებით მოგხედავთო, მაგრამ არავინ არ მოსულა და ის მინა ისე დარჩა“ (30 წლის კაცი; სოფელში მცხოვრები; დასავლეთ საქართველო)*



*ჩვენთან დაბლა სარდაფში გროვდებოდა წყალი და იტბორებოდა. მივმართეთ მერიას, ამოაშრეს, გაამაგრეს, რეაბილიტაცია გაუკეთეს მილებს, ასე თუ ისე, გვეხმარებიან ხოლმე“ (33 წლის ქალი; ეთნიკური სომეხი; სოფელში მცხოვრები)*

კლიმატის ცვლილებით ან ბუნებრივი გარემოს დეგრადაციით წარმოქმნილი პრობლემების მოგვარების მიზნით, ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა მცირე ნაწილს აქვს სამოქალაქო საზოგადოების და მასშედის საშუალებებისთვის მიმართვის გამოცდილება, რაც, ძირითადად,

იურიდიული კონსულტაციის მიღებასა და პრობლემის გაშუქებას შეეხებოდა. აგრეთვე, ცოტას აქვს სხვადასხვა საინფორმაციო და შემეცნებით ღონისძიებაში მონაწილეობის გამოცდილება, რომლებიც კლიმატის ცვლილებით და/ან ბუნებრივი გარემოს დეგრადაციით წარმოქმნილ პრობლემებს შეეხებოდა.

რამდენიმე რესპონდენტს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ საინფორმაციო შეხვედრებში მიუღია მონაწილეობა. ასეთი შეხვედრების ერთ-ერთი თემა სწორედ კატასტროფების დროს დახმარების მიღებას, კლიმატის ცვლილებით და/ან ბუნებრივი გარემოს დეგრადაციით წარმოქმნილ პრობლემებს შეეხებოდა.



## ეთნიკური უმცირესობების სპეციფიკა

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებმა - სომხებმა და აზერბაიჯანელებმა - ფოკუს ჯგუფების მსვლელობისას აღნიშნეს, რომ მათთან ვრცელდება ხოლმე ორენოვანი ბროშურები, სადაც მათ შორის მოცემულია ინფორმაცია კატასტროფების დროს მოქმედების და პირველადი დახმარების აღმოჩენის შესახებ. ამას გარდა, ფუნქციონირებს ადგილობრივი მედია საშუალებები (ტელევიზია, ონლაინ მედია) სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე, სადაც ვრცელდება გარემოსთან დაკავშირებით სასარგებლო ინფორმაცია. ფოკუს ჯგუფებში მონაწილე ეთნიკური უმცირესობების შეფასებით, ახალგაზრდა თაობისთვის ქართული ენის ბარიერი არ წარმოადგენს პრობლემას. შესაბამისად, ახალგაზრდებისთვის ქართულ ენაზე ინფორმაცია ხელმისაწვდომი. რესპონდენტების შეფასებით, სასურველია, რომ კლიმატის ცვლილების საკითხებზე უფრო მეტი ორენოვანი ინფორმაცია გავრცელდეს მოსახლეობაში. იმის გათვალისწინებით, რომ ეთნიკური უმცირესობების უმრავლესობა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით არის დაკავებული, მათთვის ძალზე მნიშვნელოვანია ეკოლოგიურ საკითხებზე ინფორმაციის ფლობა.



## ინფორმირებულობა უცხოეთის კოზიტური გამოცდილების შესახებ

კვლევისთვის საინტერესო იყო იმის გაგება, თუ რა ინფორმაციას ფლობენ რესპონდენტები იმ გამოცდილების შესახებ, რომელიც უცხოეთში, განსაკუთრებით დასავლეთის ქვეყნებშია აპრობირებული ეკოლოგიურ გარემოზე ზრუნვის თვალსაზრისით. ფოკუს ჯგუფების მონაწილეებმა შემდეგი ქვეყნების მაგალითები დასახელეს: ჩეხეთი, გერმანია, თურქეთი, ფინეთი, საფრანგეთი და შვეიცარია.

უცხოეთის გამოცდილების შესახებ ინფორმაციის მქონე რესპონდენტებისთვის ძალზე მოსაწონია ბუნებრივი კატასტროფების წინასწარი შეტყობინების სისტემა. ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია 2023 წლის 3 აგვისტოს კურორტ შოვში მომხდარი სტიქიური უბედურების ფონზე.



*„გამიგია, რომ უცხოეთში არის გამაფრთხილებელი შეტყობინებები რადიოთი, და ტელევიზიით, რომ მოსალოდნელია ქარიშხალი, ან წყალდიდობა. ეს ძალიან კარგი იქნებოდა, თუ ჩვენს ქვეყანაშიც იარსებებდა შეტყობინების მექანიზმი“ (53 წლის ქალი; სოფელში მცხოვრები; აღმოსავლეთ საქართველო)*

ფოკუს ჯგუფის ერთ-ერთმა მონაწილემ ჩეხეთის გამოცდილებაზე ისაუბრა, სადაც ყოველწლიურად სახელმწიფო ტენდერის მეშვეობით რომელიმე რეგიონიდან იძენს მთავარ ნაძვის ხეს, ხოლო მიღებული თანხით რეგიონში ნაძვის ასობით ახალ ნარგავს რგავს - „200 000 გადაურიცხავენ და ამ ფულით ახალი ნაძვის ხეები ირგვება. ჩვენთან რა შვრებიან? 2 მილიონს და კიდევ მეტს ხარჯავენ და რა? კარგი იქნება, ჩვენთანაც ისევე ბუნებას რომ მოხმარდეს ფული“ (44 წლის კაცი; სოფელში მცხოვრები; აღმოსავლეთ საქართველო). აგრეთვე, დასახელდა ფინეთის მაგალითი, სადაც კერძო კომპანიებს, რომლებიც ხე-ტყეს ჭრის, ვალდებულება აქვს სხვა ტერიტორიაზე დარგოს ათობით ნარგავი.

კიდევ ერთი მაგალითი საყოფაცხოვრებო ნარჩენების სეპარაციას და მის გადამუშავების შეეხება. რესპონდენტების ინფორმაციით, ნარჩენების სეპარაცია და გადამუშავება გარემოზე გაფრთხილებასთან ერთად, ეკონომიკურად სარგებლიანიც არის - „მაგალითად, მუყაო თურქეთში მიაქვთ, სადაც ამუშავებენ და ამზადებენ რვეულებს. ჩემს შვილს რვეული რომ ვუყიდე, სწორედ აქ მოგროვებული მუყაოსგან იყო დამზადებული“ (30 წლის კაცი; სოფელში მცხოვრები; აღმოსავლეთ საქართველო). დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ სოფელში მცხოვრებმა რესპონდენტმა გერმანიის მაგალითი დაასახელა, სადაც პლასტმასის და ელემენტების ჩაბარების პუნქტები ფუნქციონირებს - „რადგან შხამს შეიცავს და მიწაში ცოცხალს ანადგურებს, რაღაც რადიუსზე, აუცილებელია მათი გადამუშავება“ (46 წლის კაცი; სოფელში მცხოვრები; დასავლეთ საქართველო).

დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ნამყოფი რესპონდენტებისთვის თვალშისაცემია მოსახლეობის მიერ ველოსიპედების აქტიურად გამოყენება, როგორც ძირითადი სატრანსპორტო საშუალების. სახელმწიფო ხელს უწყობს, რომ ველოსიპედი კომფორტული ტრანსპორტი იყოს, რისთვისაც აწყობს შესაბამის საგზაო ინფრასტრუქტურას. რესპონდენტებმა მაგალითის სახით ორი ქვეყანა დაასახელეს - საფრანგეთი და შვეიცარია.



## ჰიპოთეტური სიტუაციების შეფასება

ფოკუს ჯგუფების მსვლელობისას, კლიმატის და გარემოს ცვლილებასთან დაკავშირებით რესპონდენტებისთვის შესაფასებლად შეთავაზებულ იქნა ჰიპოთეტური სიტუაციები. დისკუსიების მონაწილეებმა ისაუბრეს კონკრეტული სიტუაციების მიმართ მათი დამოკიდებულების შესახებ, დაასახლეს კონკრეტული ქმედებები, რომლებსაც განახორციელებდნენ ცალკეული სიტუაციების დროს. ამასთანავე, გამოკვეთეს პასუხისმგებელი აქტორები. საგულისხმოა, რომ ჰიპოთეტური ქეისების შეფასებისას, სამიზნე ჯგუფების მიხედვით არ გამოვლენილა არსებითად განსხვავებული მოსაზრებები და დამოკიდებულებები.

### სიტუაცია #1

**„თემის/სამეზობლოს წევრი ამტკიცებს, რომ არ აქვს აზრი კლიმატის ცვლილებისათვის მისი ინდივიდუალური ქცევების შეცვლას, რადგან ერთეული ძალისხმევა საკმარისი არ არის, თუ სხვა ადამიანები იმავეს არ აკეთებენ“**

რესპონდენტების უმრავლესობა არ ეთანხმება მოსაზრებას იმის შესახებ, რომ კლიმატის ცვლილებისთვის ინდივიდუალურ ქცევას არ აქვს აზრი. რესპონდენტები ფიქრობენ, რომ, როგორც კარგი, ისე ცუდი ინდივიდუალური ქცევა მისაბაძი მაგალითი ხდება სხვებისთვის. საბოლოოდ, ინდივიდუალური ქცევა კოლექტიური გახდება და კლიმატის ცვლილებაზეც დადებითად ან უარყოფითად აისახება.



„უცხოეთში ცხოვრობს ჩვენი მეზობელი და რომ ჩამოვიდა, გზაზე რაც სხვების დაყრილი იყო, ყველაფერი თვითონ მოაგროვა, ჩაყარა პარკებში და სანაგვე ურნაში გადაყარა. იმას რომ ვუყურეთ, მერე დანარჩენებიც იგივე ვაკეთებთ“ (66 წლის კაცი; სოფელში მცხოვრები; აღმოსავლეთ საქართველო)

ინდივიდუალური ქცევის მნიშვნელობას ყველა სამიზნე ჯგუფი იზიარებს, თუმცა, ქვიარ თემის მონაწილეებში ხაზი გაესვა იმას, რომ მხოლოდ ინდივიდუალური ქმედებებით ზიანი გარემოზე არ შემცირდება - „რა თქმა უნდა, აუცილებელია, რომ დავიცვათ და გავუფრთხილდეთ გარემოს. მაგრამ ყველაზე დიდ ზიანს გარემოს არა მოსახლეობა, არამედ ეკონომიკური კაპიტალი აყენებს“ (29 წლის ქვიარ თემის წარმომადგენელი).

## სიტუაცია #2

**„წარმოიდგინეთ: თქვენ ხელმძღვანელობთ სემინარს კლიმატის ცვლილებებზე ინფორმირებულობის შესახებ. ერთ-ერთი მონაწილე ამტკიცებს, რომ ინდივიდუალური ქმედებები, როგორცაა მაგალითად ენერჯის მოხმარების შემცირება მნიშვნელოვან გავლენას არ მოახდენს. როგორ პასუხს გასცემთ მას?“**

#1 სიტუაციის შეფასების მსგავსად, ამ შემთხვევაშიც გამოიკვეთა მოსაზრება იმის შესახებ, რომ ინდივიდუალური ქმედებები ხელს უწყობს გარემოზე გაფრთხილებას, რაც შემდგომ დადებითად აისახება კლიმატზე - „თუ ქართულ ანდაზას გავიხსენებთ, ნათქვამია - ზღვა კოვზით დაიღვევო. ეს ანდაზა იმას ამბობს, რომ ინდივიდებისგან შედგება მთელი სამყარო“ (53 წლის კაცი; ქალაქის მცხოვრები; დასავლეთ საქართველო). თუმცა, რესპონდენტების ნაწილი რესურსების ყველაზე მსხვილ მომხმარებლებზე ამახვილებს ყურადღებას და პასუხისმგებლობას დიდ სანარმოებს აკისრებს, რომლებიც ყოველწლიურად ფართოდებიან, წარმოებას ზრდიან და ყველაზე მეტ რესურსს (საწვავი, წყალი და ა.შ.) მოიხმარენ, რაც საბოლოოდ უარყოფითად აისახება ეკოლოგიაზე.

## სიტუაცია #3

**„წარმოიდგინეთ: თქვენ მუშაობთ ადგილობრივ ხელისუფლებაში რეგიონში, სადაც კლიმატის ცვლილების გამო უკიდურესი სიცხეა. ბიუჯეტი შეზღუდულია და თქვენ უნდა გადანყვიტოთ დააფინანსოთ კონდიციონერების სისტემები საზოგადოებრივ შენობებში ან თემის საგანმანათლებლო პროგრამები სიცხისგან უსაფრთხოების/თავდაცვის ზომების შესახებ. რა გადანყვიტალებას მიიღებდით და რატომ?“**

წინა ორი (#1 და #2) სიტუაციური მაგალითებისგან განსხვავებით, რესპონდენტების მოსაზრებები ამ კონკრეტული სიტუაციის მიმართ ნაკლებად მკაფიოა. თუმცა, უმრავლესობა მაინც საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსებას ემხრობა, რადგან გრძელვადიან შედეგზეა ორიენტირებული და ითვალისწინებს გარემოზე მოფრთხილებას. მეორე მხრივ, მაღალი სიცხე იწვევს ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ სერიოზულ პრობლემებს, განსაკუთრებით მოწყვლად მდგომარეობის ადამიანებისთვის.

რეობაში მყოფ ჯგუფებში (ხანდაზმულები, შშმ პირები, ქრონიკული დაავადების მქონე პირები და ა.შ.), რომლებთათვისაც მნიშვნელოვანია შესაბამისი გარემოს უზრუნველყოფა, რაც, მათ შორის, ჰაერის გაგრილების საჭიროებას გულისხმობს. არჩევანის შესაძლებლობის შემთხვევაში, რესპონდენტების ნაწილი არსებულ თანხას დაახლოებით თანაბრად გაანაწილებდა და როგორც განათლებას, ისე კონდიციონერების შეძენას მოახმარდა - „უფლება თუ მექნებოდა, თანხას ორად გავყოფდი, რადგან გაგრილების გარეშე არ შეიძლება ადამიანების დატოვება, რომლებსაც აქვთ ჯანმრთელობის პრობლემები. მაგალითად, სერვისებს ერთ სივრცეში მოვათავსებდი, სადაც კონდიციონერი იქნებოდა, ხოლო დანარჩენ თანხას საინფორმაციო კამპანიაზე დავხარჯავდი“ (29 წლის ქვიარ თემის წარმომადგენელი).

## სიტუაცია #4

**„მდინარის კალაპოტზე იგეგმება ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა. ერთი მხრივ, ეს გააჩენს ელ. ენერჯის ახალ წყაროს და ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილის დასაქმების შესაძლებლობას. მეორე მხრივ, ჩნდება ადგილობრივი ეკოსისტემის ცვლილების საფრთხეები“.**

ამ კონკრეტული სიტუაციის შეფასებისას რესპონდენტებში ამბივალენტური მოსაზრებები გამოიკვეთა. ერთი მხრივ, ისინი იაიარებენ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ დამატებითი ენერჯის გამომუშავება ხელს შეუწყობს ეკონომიკის ზრდას, თუმცა, მეორე მხრივ, ეთანხმებიან იმასაც, რომ ეკოსისტემის ცვლილება გამოიწვევს გარემოს დაზიანებას, რაც ადამიანების ჯანმრთელობაზე უარყოფითად აისახება. რესპონდენტების ერთი ნაწილი ემხრობა მცირე ზომის ჰესების მშენებლობას, რომლებსაც, მათი ინფორმაციით, გარემოზე უმნიშვნელო ზეგავლენა აქვს - „პატარა ჰესები შეიძლება რომ აშენდეს, რომ იტყვიან, არც მწვადი დაინვას და არც შამფური. არც კალაპოტს დააზიანებს და მოსახლეობასაც ცოტა შეეშველება“ (40 წლის ქალი; სოფელში მცხოვრები; აღმოსავლეთ საქართველო). ასევე, გამოითქვა მოსაზრება, რომ ჰესების მშენებლობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას გასათვალისწინებელია სპეციალისტების შეფასებები და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესები.



„სწორი საინჟინრო დაგეგმვით ეკოსისტემა არ შეიცვლება. გეოლოგების და ინჟინრების სწორ და მიუკერძოებელ გადაწყვეტილებას უნდა დავეყრდნოთ“ (45 წლის კაცი; ქალაქის მცხოვრები; აღმოსავლეთ საქართველო).




„ვფიქრობ, თუ ადგილობრივ მოსახლეობას და იქ წარმოქმნილ კლიმატს და მეურნეობას საფრთხე ემუქრება, მაშინ თავს შევიკავებდი ასეთ ადგილას ჰესის აშენებისგან და მოვიძიებდი სხვა ალტერნატივას“ (57 წლის კაცი; შშმ თემის წევრი)


მცირე ნაწილის აზრით, საქართველოში ჰესების მშენებლობის საჭიროება აღარ არსებობს, რადგან მათი რაოდენობა საკმარისია ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებისთვის.

## სიტუაცია #5


**„წარმოიდგინეთ: თქვენ გსურთ თქვენს სახლში ენერჯის მოხმარება მეტად ეფექტური გახადოთ, რაც შესაძლებელია მზის პანელების, იზოლაციის, ან ახალი ფანჯრების დაყენებით. აღნიშნული ხარჯებთან არის დაკავშირებული, თუმცა შეამცირებს თქვენ მიერ ენერჯის მოხმარებას და შესაბამისად სამომავლოდ თქვენს ყოველთვიურ ხარჯებს ენერჯის მოხმარებაზე. რას გადაწყვეტთ?“**

ფოკუს ჯგუფის მონაწილეები მე-5 ჰიპოთეტური სიტუაციის განხილვისას ყურადღებას ამახვილებენ ოჯახების სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე და აღნიშნავენ, რომ მათი დამოკიდებულების მიუხედავად, ვერ შეძლებდნენ ენერჯის ეფექტური მოხმარებისთვის შესაბამისი საშუალებების შეძენას. თუმცა საკმარისი ბიუჯეტის ქონის შემთხვევაში, რესპონდენტები ამჯობინებენ ენერჯის მოხმარების შესამცირებლად მზის პანელების, იზოლაციის და/ან ახალი ფანჯრების შეძენას.

 „იზოლაციის გაკეთებით სახლში ეკონომიას გავაკეთებ გაზის გადასახადზე (24 წლის ახალგაზრდა ქალი; ეთნიკური აზერბაიჯანელი).

 „თუ არის საშუალება, რომ ინვესტირება ჩავდო და დავზოგო, რა თქმა უნდა, თავიდანვე ასე მოვიქცეოდი“ (30 წლის ქალი; ქალაქის მცხოვრები; დასავლეთ საქართველო).

რესპონდენტების ინფორმაციით, განსაკუთრებით ძვირია მზის პანელები. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ შეიმუშავოს თანადაფინანსების პროგრამები და მოახდინოს სუბსიდირება.

 „ჩემს პირად მაგალითს გეტყვით - თუ კი დავდგამდი მზის პანელებს, გათავისუფლებული ვიქნებოდი გადასახადიდან, მაგრამ რომ ვიანგარიშე, 20 წელი ჭირდებოდა დანახარჯის ამოღებას. ცოტა უფრო იაფი რომ ყოფილიყო და შეღავათი მექონოდა, აუცილებლად შევიძენდი. დიდი სურვილი მაქვს, მაგრამ ძალიან ძვირი სიამოვნებაა, სასურველი იქნებოდა, რომ სახელმწიფოსგან სუბსიდირება არსებობდეს“ (48 წლის კაცი; ქალაქის მცხოვრები; დასავლეთ საქართველო)

## სიტუაცია #6

**„ქალაქთან ახლოს ფუნქციონირებს ქარხანა, რომელსაც ინდუსტრიულ ბაზარზე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია და რომელიც წარმოადგენს ქალაქის მაცხოვრებელთა დიდი ნაწილისათვის დასაქმების ადგილს. მეორე მხრივ, ქარხანა წარმოქმნის დიდი ოდენობით გამონაბოლქვს და სამრეწველო ნარჩენს, რაც ქალაქის მაცხოვრებლების ჯანმრთელობისათვის საზიანოა“.**

ფოკუს ჯგუფების მონაწილეების შეფასებით, ინდუსტრიულ ბაზარზე სანარმოების ფუნქციონირება მნიშვნელოვანია ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებისთვის. მით უფრო, რეგიონებში, სადაც დასაქმების შესაძლებლობები მწირია. თუმცა, ამავდროულად, გამოიკვეთა მოსაზრება იმის შესახებ, რომ აუცილებ-

ლია საწარმოების მიერ ეკოლოგიური და უსაფრთხოების ნორმების უზრუნველყოფა, რათა ზიანი არ მიადგეს გარემოს და მოსახლეობის ჯანმრთელობას - „ზესტაფონში ფეროშენადნობთა ქარხანაში ფილტრების არარსებობის გამო ნისლი დგას ქალაქში. აუცილებელია სავალდებულო რეგულაციების არსებობა. კვამლში არ უნდა იყოს მთელი ქალაქი გახვეული“ (47 წლის კაცი; სოფელში მცხოვრები; დასავლეთ საქართველო). იმ შემთხვევაში, თუ ახალი საწარმოების აშენებაა დაგეგმილი, აუცილებელია, რომ ისინი დასახლებული ადგილებიდან მოშორებით აშენდეს, რათა მათმა საქმიანობამ ზიანი არ მიაყენოს გარემოს და ადამიანების ჯანმრთელობას. საგულისხმოა, რომ რესპონდენტები ქარხნების ფუნქციონირებით გამოწვეულ იმ მავნე ზეგავლენაზე ამახვილებენ ყურადღებას, რომელსაც ადამიანის ჯანმრთელობაზე აქვს უარყოფითი გავლენა. რესპონდენტები ნაკლებად, ან საერთოდ არ საუბრობენ იმ ზიანზე, რასაც საწარმოების ფუნქციონირება ეკოსისტემას აყენებს.

ფოკუს ჯგუფების მონაწილეების აზრით, ბალანსის დაცვა აუცილებელია - ერთი მხრივ, ხელი უნდა შეეწყოს ეკონომიკის ზრდას და დასაქმების ადგილების გაჩენას, ხოლო, მეორე მხრივ, დაცული უნდა იქნეს ეკოლოგიური გარემო და ადამიანების ჯანმრთელობა - „რა თქმა უნდა, კარგი იქნება, თუ მოსახლეობა იმუშავებს საწარმოში, სადაც ჰაერი არ იქნება დაბინძურებული. საწარმოს უფროსმა უნდა აიღოს ამაზე პასუხისმგებლობა“ (30 წლის ქალი; ეთნიკური სომეხი). მოსახლეობა არ უნდა აღმოჩნდეს ისეთი არჩევანის წინაშე, როდესაც ის ერთ-ერთს - დასაქმებას ან ჯანმრთელობას - ირჩევს. აგრეთვე, რესპონდენტებმა ყურადღება გაამახვილეს სახელმწიფოს როლზე, რომელიც ვალდებულია სისტემატურად განახორციელოს მონიტორინგი, გამოავლინოს დარღვევები და ჰქონდეს გამოვლენილ დარღვევებზე ადეკვატური რეაგირება.

## სიტუაცია #7

**„კერძო კომპანიამ შეისყიდა ნაკვეთი და გეგმავს ტყის მასივის გაჩეხვას ამ ადგილზე შენობის განთავსებისათვის. ადგილობრივი მოსახლეობა ასეთი გადაწყვეტილებით უკმაყოფილოა, თუმცა კერძო მესაკუთრის წინააღდეგ დავის აზრს ვერ ხედავენ“.**

ამ ჰიპოთეტური სიტუაციის შეფასებისას, რესპონდენტები იმეორებენ #4 და #6 სიტუაციების შეფასებისას გამოთქმულ მოსაზრებებს და აღნიშნავენ, რომ, ერთი მხრივ, მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად აუცილებელია ბიზნესის ხელშეწყობა, თუმცა, ამავდროულად, კომპანიის საქმიანობამ უარყოფითი გავლენა არ უნდა იქონიოს გარემოზე. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია კანონიერად ახორციელებს საქმიანობას და არსებული რეგულაციების დაცვით ჭრის მის საკუთრებაში არსებულ ხე-ტყეს, მაშინ მოსახლეობა უძღურია. ასეთ ვითარებაში საჭიროა, რომ კანონმდებლობა გამკაცრდეს, რომ სხვა შემთხვევებისას კერძო სექტორმა ვერ შეძლოს ტყის გაჩეხვა. თუმცა, რესპონდენტებს შორის იყვნენ ისეთებიც, რომელთა შეფასებითაც, დასაშვებია კერძო სექტორი საკუთარი შეხედულებისამებრ მოიქცეს, რადგან საკუთრების უფლება უზენაესია.





„თუ საკუთრებაში არის ხე, შეუძლია მოჭრას და თუ დაასაქმებს ადამიანებს, წარმატებულ ბიზნესს შექმნის და ბიუჯეტში თანხას შეიტანს, მაშინ, მით უფრო მისაღებია“ (40 წლის კაცი; სოფელში მცხოვრები; დასავლეთ საქართველო).

რესპონდენტებმა, დამოკიდებულების ფორმირებისათვის მნიშვნელოვანია იცოდნენ, რა მოცულობის ნაკვეთის გაჩეხვა იგეგმება და ტყეში რა სახეობის ნარგავებია.




„ჭექტრობით თუ უნდა გაჩეხოს ტყე, მაშინ არ არის მისაღები, პატარა ტერიტორია თუ არის და რაღაცის სანაცვლოდ იჩეხება, მაშინ მისაღებია. ასევე, რა ნარგავებია ნაკვეთზე, ამასაც აქვს მნიშვნელობა“ (46 წლის კაცი; სოფელში მცხოვრები; დასავლეთ საქართველო)

რესპონდენტების მეორე ნაწილს მიაჩნია, რომ გადაწყვეტილების მიღებისას ნამყვანი საჯარო ინტერესია, ის თუ რა ზიანს მიაყენებს ტყის გაჩეხვა გარემოს და რა სარგებელს მოუტანს მოსახლეობას კომპანიის მიერ გაჩეხილ ტერიტორიაზე გახსნილი საწარმო. კომპანია ხეების მოჭრის გარეშე თუ ვერ ახერხებს საკუთარი საქმიანობის განხორციელებას, მაშინ, მას უნდა დაეკისროს ვალდებულება, რომ სანაცვლოდ სხვაგან დარგოს არანაკლებ იმავე რაოდენობის ხეები. იმ შემთხვევაში, თუ არ იქნება მოსახლეობის ინტერესები გათვალისწინებული, მაშინ აუცილებელია სასამართლოსთვის მიმართვა, სადაც მოსახლეობა საკუთარ ინტერესებს დაიცავს.

## სიტუაცია #8

„წარმოიდგინეთ: თქვენი თემი/სამეზობლო პასუხისმგებელია საცხოვრებელი კომპლექსის დაგეგმვაზე, რომელიც მდებარეობს მდინარის კალაპოტთან ახლოს. მეცნიერები წინასწარმეტყველებენ წვიმების გახშირებას და მდინარის დინების ადიდებას, თუმცა, მდგრადი ინფრასტრუქტურის მშენებლობა დამატებით ხარჯებთან არის დაკავშირებული. რა იქნებოდა თქვენი თემის/სამეზობლოს პრიორიტეტი დაგეგმარების დროს?“

ამ სიტუაციის შეფასებისას რესპონდენტების მოსაზრებები მკაფიოა. კერძოდ, მათი აზრით, დაუშვებელია საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა კალაპოტში, მით უფრო მაშინ, როდესაც კვალიფიციური მეცნიერების შეფასებით, მშენებლობა საფრთხეს შეიცავს. რესპონდენტების ერთი ნაწილისთვის მდგრადი ინფრასტრუქტურის მშენებლობაც არ არის საკმარისი, რადგან კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ცვლილებების წინასწარმეტყველება რთულია. რესპონდენტების მკაფიო მოსაზრებებს აძლიერებს 2023 წლის ზაფხულში შოვში მომხდარი ტრაგიკული შემთხვევა, რომელიც რესპონდენტებმა დისკუსიების მსვლელობისას არაერთხელ გაიხსენეს.



საქართველოს მასშტაბით საზოგადოებრივი აზრის  
**კვლევა გარემოსა და კლიმატის საკითხებზე**  
ცოდნის, აღქმის, დამოკიდებულების, ქცევის და  
სასურველი პოლიტიკის შესახებ